ახალი საუნჯე

ტექსტების და
კონტექსტების
ჟურნალი

№12 (42)

დეკემბერი, 2016 წელი

ნომრის ავტორები
ზაზა გიგილაშვილი & მარიანა კიანოვსკა

პოეზია
ზვიად რატიანი
გიორგი ლოგჟანიძე
დავით რობაქიძე
ეკა ქევანიშვილი
პაატა შამუგია
დათო ქარდავა
გიო საჯაია
სოსო მეშველიანი

კრიტიკა
მანანა კვაჭანტირაძე
ერლომ ახვლედიანზე

ესეისტიკა
გია ეძგვერაძე

ახალი თარგმანები
თეოდორ კრამერი

პროზა
თეა თოფურია
რატი რატიანი
ჯაბა ზარქუა
ანდრო გუაჩიძე

Маріанна Кіяновська

ფასი 1,5 ლარი

№12 (42) დეკემბერი, 2016 წელი

ახალი საუნჯე

ტექსტების და კონტექსტების ჟურნალი

პროექტის ავტორი: ვაჟა წოწკოლაური
მთავარი რედაქტორი: შოთა იათაშვილი
რედაქტორი-სტილისტი: ლელა კოდალაშვილი
დიზაინი და დაკაბადონება: ნიკა ხვედელიძე

სარედაქციო კოლეგია: დავით ანდრიაძე, გია ეძგვერაძე, დათო ტურაშვილი, ეკა ქევანიშვილი, ზაზა შათირიშვილი, დავით ჩიხლაძე, გია ხადური

ნომერზე მუშაობდნენ: ეკა ქევანიშვილი, ზაზა ბიბილაშვილი, თამარ კოტრიკაძე, რაულ ჩილაჩავა, ზვიად რატიანი, გიორგი ლობჟანიძე, დავით რობაქიძე, ეკა ქევანიშვილი, პაატა შამუგია, დათო ქარდავა, გიო საჯაია, სოსო მეშველიანი, თეა თოფურია, რატი რატიანი, ჯაბა ზარქუა, ანდრო ბუაჩიძე, მანანა კვაჭანტირაძე, გია ეძგვერაძე, ლულუ დადიანი

გამომცემლობა «საუნჯე»
მის.: ალ. ყაზბეგის 32/34
ტელ.: 2141214, 2395587, 2397188
Skype: saunje-saunje
ელ-ფოსტა: saungeo@gmail.com;
www.saungeo.ge

1. ნომრის ავტორები

ეკა ქევანიშვილი – ზაზა ბიბილაშვილის „პოეზია... და დანარჩენი“

მისი ახალი წიგნი სულ ახლახანს დაიბეჭდა. ვინც ზაზას იცნობს, იცის, რომ წიგნების ხშირი გამოცემით არ გამოირჩევა – უფრო «დამგროვებელი» ავტორია. ამიტომაც ღირს თვალის მიდევნება, რას იტყვის ახალს, რას «გაიმეტებს» და გამოუშვებს მკითხველამდე. წიგნს «პოეზია, დანარჩენი ლიტერატურა, და დანარჩენი" უწოდა. მეც ამ ახალი ამბით დავიწყებ და ვკითხავ:

ეს «დანარჩენი» მაინტერესებს რა არის, რა იგულისხმება მასში?

როგორც შემდგომი პასუხიდან გაირკვევა, წიგნი ლექსებისა არ არის, ჩანაწერებისაა. :) შესაბამისად, «დანარჩენში» იგულისხმება ლიტერატურის გარდა ყველაფერი, რასაც ჩანაწერები ეხება. წიგნის სახელწოდება მისი შინაარსის თემატიკასა და პრიორიტეტებს მიანიშნებს (და არა, რა თქმა უნდა, ამ თემებზე ყველაფრის თქმის, მათი ამოწურვის პრეტენზიას).

ბოლო ხანებამდე ვერაფრით ვიფიქრებდი, თუ ეს ტექსტი (მრავალი წლის ჩანაწერთა ერთობლიობა) წიგნად გამოიცემოდა. უბრალოდ, ერთი რედაქტორია – ირაკლი ჯავახაძე, რომელიც იმაზე გაცილებით ხშირად მთხოვს ლექსებს დასაბეჭდად, ვიდრე მე მათ ვწერ. ერთხელაც, მისი ასეთი მოთხოვნა იმ პერიოდს დაემთხვა, როცა ამ ჩანაწერებს ვაგროვებდი და მათი ხელნაწერი ნაწილი ელექტრონულ ფორმატში გადამყავდა. ავდექი და, ლექსების ნაცვლად, სწორედ ესენი შევთავაზე – ყოველი

შემთხვევისთვის გადახედე-მეთქი... 16 წლის ჩანაწერები რამდენიმე ნაწილად გამოქვეყნდა «ლიტერატურულ გაზეთში». გამოხმაურებამ (მათ შორის – გამომცემლობების) მათ წიგნად გამოცემაზე დამაფიქრა. ბოლოს «საუნჯესთან» თანამშრომლობა გადაწყდა.

რა აგროვებდა, რა ემოცია ან მომხდარი ამბავი გაწერინებდა ამ ყველაფერზე?

წიგნის შესავალში დავწერე ამაზე და იმავეს გავიმეორებ: «ამ ფიქრებს თავისთავად იწვევდა ჩემი ლიტერატურული, მისი მონათესავე თუ ყოფითი გარემო. მეტიც – ყველაფერ ამას უფრო ვგრძნობდი, ვიდრე ვფიქრობდი. ჩანაწერების გამოქვეყნებაც, რაც იმას არ ნიშნავს, რომ მათ დღესაც სიტყვასიტყვით ვიზიარებ, უწინარესად, მათმა ასეთმა სიმართლემ გადამაწყვეტინა. თავისთავად, არ ველი, რომ სხვა დაეთანხმება ყველაფერს, რასაც აქ წაიკითხავს, და რისი ჩაწერის მიზანი საყოველთაოდ მიღებული მოსაზრებების ჩანიშვნა არც ყოფილა». ბოლოსიტყვაში კი ვწერ: «მათი ჩანიშვნის მიზანი, რა თქმა უნდა, გამოქვეყნება არ ყოფილა. მაშ, რა შეიძლებოდა ყოფილიყო და – ვარაუდი – იქნებ მომავალი წერილების საფუძვლად ევარგა, ან, სულაც, იმ ხლართების თანდათან გამოხსნაში მომშველებოდა, რასაც ლიტერატურა თუ დანარჩენი ცხოვრება ჰქვია. ამას გარდა, ადამიანს ზოგჯერ მოსდის ფიქრი, რომელიც დასავიწყებლად ენანება და, წერაც თუ არ ეზარება, ინიშნავს. გამოხდა ხანი და, მოულოდნელად, ჩანაწერების ღმერთმა ამ ფიქრების «ლიტერატურულ გაზეთში" დაბეჭდვა ინება. რა თქმა უნდა, გამოქვეყნებამდე გადავიკითხე და რედაქტორის ხელიც შევავლე: საშინაო სტილი შევათეთრე, ბუნდოვანი ადგილები გავამკაფიოე და, რაც მთავარია, შევამცირე. ამოაკლდა, ძირითადად, ბიოგრაფიული ფრაგმენტები –

მკითხველს თავზე ვერ მოვახვევდი; პოლიტიკური შეფასებები – ჩხუბის შემდეგ მუშტების ქნევად გამოჩნდებოდა; კონკრეტულ ლიტერატურულ აქტებზე რეაქციები – იმ ჩანაწერებისგან გასამიჯნად, შურისძიების იარაღს, ან პირიქით, ავტორის ჰუმანიზმის პრეზენტაციას რომ წააგავს ხოლმე (თან, კონკრეტულ ტექსტებზე ცხოვრებაშიც იშვიათად ვლაპარაკობ. სხვანაირად რომ ვიქცეოდე – რაკი ადვილად არაფერი აღმაფრთოვანებს – გაცილებით უფრო მძიმე იქნებოდა ჩემი მოსმენა).

ჩანაწერების ღმერთმა მალე ისევ მაიძულა ფიქრების გადაკითხვა – საწიგნედ. ტექსტში კიდევ შეიცვალა რაღაცები, ოღონდ ამჯერად უფრო ჩაემატა – რამდენიმე ეპიზოდი, პრესის პერიოდული შეკითხვებით წაქეზებული და, ძირითადად, მაინც იმ უნებურ ფიქრებზე დაფუძნებული.

ამ ყველაფრიდან რა გამოვიდა, ამაზე აღარაფერს ვიტყვი; მით უმეტეს, უკვე თვითონაც ნახავდით; თუკი, რა თქმა უნდა, ჩვევად არა გაქვთ, წიგნის კითხვა ბოლოდან დაიწყოთ.»

პირველი კრებული კუსტარულად გამოვეცით, ამბობ ერთგან, ჩემი ხარჯითო. დღეს მაგ კრებულს რომ გადაშლი ხოლმე (თუ ეს ჯერ კიდევ ხდება), რას გრძნობ ხოლმე?

არც მახსოვს, ბოლოს როდის გადავშალე.

17 წლის წინათ გამოცემული კრებულის გაუცხოებას რა უნდა; მით უმეტეს, თუ (და, რაღა თქმა უნდა, რომ) კიდევ

უფრო ადრე დაწერილ ლექსებს შეიცავს.

ამასთან, ამ კრებულის ნაწილი (ნაწილობრივ – გადამუშავებული სახით) მომდევნო წიგნშიც შევიდა. მაშინდელ ლექსებს, არცთუ იშვიათად, ე. წ. სოციალური ქსელიც შემახვედრებს ხოლმე. არის მკითხველი, რომლისთვისაც ჩემი ადრინდელი ნაწერი დღემდე უფრო ახლობელი თუ მისაღებია...

და მერე, კიდევ, იყო ერთი წიგნი, პოეტური კრებული «ჩემი მდოგვის მარცვალი». ეგ რა ამბების წიგნია, რა ამბები დაიტია?

ამ კრებულის გამოცემა ერთგვარი დაბრუნება იყო პოეზიაში, ან «პრაქტიკულ პოეზიაში».

პირველი კრებულის გამოცემა ჩემი ცხოვრებისა და, ასე ვთქვათ, ჩემი პოეზიის რაღაც ეტაპის დასრულებას მოჰყვა (ერთი ხანობა, პრაქტიკულად, შევწყვიტე კიდეც ლექსების წერა). მგონი, სწორედ ეს აღვნიშნე წიგნის გამოცემით. თან, ამ კრებულმა ლექსების თავმოყრის, შენახვის ფუნქციაც შეასრულა.

ამასობაში, დროც ისეთი დადგა და ლიტერატურისთვის ისეთი გარემო შეიქმნა, ლექსებს მხოლოდ თუ შევინახავდი...

წლების შემდეგ იმ ლექსების სიცოცხლის გადამოწმების საშუალება გაჩნდა (ვთქვათ, ინტერნეტპორტალების სახით). ექსპერიმენტმა დადებითი შედეგი აჩვენა. თან, ისიც აღმოვაჩინე, რომ ამასობაში მთლად გულხელდაკრეფილი არ ვმჯდარვარ და რაღაცები დამიწერია.

მოკლედ, ეს ყველაფერი შევკრიბე, მცირედ გადავამუშავე, მერე კარგად გავცხრილე და «ინტელექტის» მეშვეობით წიგნად გამოვეცი. საბოლოოდ, ერთგვარი «რჩეული» გამომივიდა, ოციოდე წლის განმავლობაში დაწერილი.

სათაურიც ასეთი შევურჩიე – არაკონკრეტული, ცხოვრების (განვლილი ცხოვრების) დამტევი.

როგორ გგონია, რა იცვლება ავტორში, როცა მისი წიგნი მის საწერ მაგიდას სცდება? და მას მერეც, რაც თაროზე გადაინაცვლებს?

მიუხედავად იმისა, რომ იშვიათად გამოვცემ რამეს, მაინც არა მგონია, წიგნის გამოსვლა მნიშვნელოვანი ეტაპის დასასრული და დასაწყისი იყოს მისი ავტორისთვის. ადამიანში სერიოზულ ცვლილებებს უფრო სერიოზული მოვლენები, ან, უბრალოდ, დროის მსვლელობის ზემოქმედება იწვევს.

მით უმეტეს, მოგეხსენება, ჩვენი წიგნები ათიათასობით არ გამოდის. და წიგნის გამოცემის შემდეგაც თითქმის იგივე ხალხი გვკითხულობს, ვინც მანამდე გვკითხულობდა.

წიგნის გამოცემა, ალბათ, უფრო უკვე დაწერილის შეჯამება («რჩეულისა» და «ნარჩენის» განცალკევება) და გვერდზე, ან სულაც წარსულში გადადება, შენახვა... და ახალი წიგნის დაწყებაა.

სულ ვფიქრობ, რატომ მოდის სათქმელი ლექსად. მხოლოდ იმიტომ, რომ ამის ნიჭი და უნარი გვაქვს, თუ სიტყვებთან რაღაც მაგიური დამოკიდებულების ბრალია? შენ თუ გაქვს ამაზე პასუხი?

მე ეგენი ერთი და იგივე მგონია – გარკვეული მიმართულების ნიჭი და უნარი შეიძლება სწორედ «სიტყვებთან რაღაც მაგიური დამოკიდებულება» (თუ ასე დავარქმევთ) იყოს.

არის შემთხვევები, როცა ძალისმიერი ორთაბრძოლებისკენ მიდრეკილ ბავშვს ძიუდოზე შეიყვანენ და ბოლოს მისგან კლასიკური მოჭიდავე ან სულაც რაგბისტი გამოდის.

ვფიქრობ, მომავალი მწერალიც ხშირად ასე ეთამაშება მისთვის საინტერესო თუ საყვარელ სიტყვას და კალამს (კლავიატურას), ვიდრე დაადგენდეს, პოეტია, პროზაიკოსი, დრამატურგი, თუ ყველა ერთად...

მე, მაგალითად, ლექსი გამომდის (ყოველ შემთხვევაში, ასე მგონია), თორემ მგონი, პროზის სიღრმეები უფრო მიზიდავს (სერიოზულ პროზას ვგულისხმობ. მსუბუქში კი ვცადე რაღაც)...

ხშირად ვეკითხები ავტორებს, რატო ეწერებათ და რას უნაცვლებს მათ ეს პროცესი, რას ჰგავს წერა და რა ემოცია მოაქვს ყველა წერტილის დასმას?

ბოლო დრომდე საკუთარ თავსაც ხშირად ვეკითხებოდი, რატომ ვწერ. ბოლოს შევეშვი – ან მომბეზრდა, ან დავრწმუნდი, რომ წყალგაუვალ პასუხს მაინც ვერ გავცემდი. ერთ-ერთი პასუხი შეიძლება სწორედ «შემიძლია» იყოს...

წერის შენეული რიტუალი როგორია ან როგორ შეიცვალა პირველი ლექსებიდან დღემდე – რაიმე განსაკუთრებული დრო და ადგილი და სიტუაცია და ნივთი და განწყობა თუა საჭირო იმისთვის, რომ ზაზა დაჯდეს და წეროს?

რა თქმა უნდა, ბევრი რამ შეიცვალა. ადრე წერისთვის აბსოლუტურ სიმყუდროვეს მოვითხოვდი, ერთი ლექსის დაწერა კი ერთჯერადი აქტი იყო (თუმცა დროში გაწელილი – ზოგჯერ მთელ დღეს ან მთელ ღამეს მოიცავდა; ხანდახან კი – მეტსაც). სხვათა შორის, სულ ადრე კატეგორიულად უარვყოფდი ჩასწორების პრაქტიკას – რაკი ასე დაიწერა, ეტყობა, ეგრე იყო-მეთქი საჭირო.

ახლა წერისთვის შენ მიერ ჩამოთვლილი პირობებიდან მხოლოდ განწყობა და დრო მჭირდება; განსაკუთრებული კი არა, უბრალოდ – დრო; უფრო სწორად, ის, რომ დრო და განწყობა ერთმანეთს დაემთხვეს.

სანდო წყარომ მითხრა, როცა პირველად გამოჩნდი და წერა დაიწყე, როგორ აიტაცეს უცებ გარშემო შენი ლექსები – იქიდან დღემდე რა შეიცვალა შენს ტექსტებში ან როგორ შეიცვალა შენი ტექსტები?

წერა, ალბათ, გაცილებით ადრე დავიწყე, ვიდრე «გამოვჩნდებოდი». თუმცა ამას წერა როდის დაერქვა, ვინ იცის. ფაქტი კია, 4 წლის ასაკიდან ზღაპრებს ვწერდი. 8 წლის ასაკში, რატომღაც, «ლექსებზე» გადავედი (თუმცა ერთი «ლექსი» 5 წლისამაც დავწერე). ვწერდი მოლაპარაკე ცხოველებზე, სამშობლოზე, დედაზე – რასაც ვკითხულობდი, იმის გამოძახილით. მერე ბუნებას ჩავუღრმავდი... მერე კი ცხოვრების (ასაკის) მოტანილმა მძაფრმა განცდა-ემოციებმა მოირგო ლექსის სხეული.

ახლა იმედების პერიოდიც ჩავლილია, იმედგაცრუებებისაც და ბევრი სხვა რამისაც. უკვე ვიცი, რომ ცხოვრება ადამიანთა განცხრომისთვის არ გამოუგონებიათ. და ისიც უკვე ვიცი, რომ ვერასოდეს გავიგებ, რისთვის «გამოიგონეს». მოკლედ, გაცილებით ბევრი რამ ვიცი, ვიდრე მაშინ ვიცოდი, როცა «გამოვჩნდი», და იმედია, ბევრად ნაკლები, ვიდრე მომავალში მეცოდინება.

რაღა გასაკვირია, რომ ჩემი ტექსტები შეიცვალა, კიდევ შეიცვალა, შეიცვლება და კიდევ შეიცვლება.

დედასთან ერთად

როგორ გგონია, პოეზიამ თუ შეიცვალა დანიშნულება 21-ე საუკუნეში?

დარწმუნებულიც კი არ ვარ, რომ დღეს პოეზიას რაიმე დანიშნულება აქვს; განსაკუთრებით, იმ პოეზიას, რომელმაც მკითხველთან გაუვალი საზღვარი ამოიშენა, მავთულხლართები გაივლო.

თუმცა, ყველაზე სარწმუნო თუ არა, ყველაზე მისაღები მაინც პოეზიის მცენარეებთან შედარება მეჩვენება: მათ შეიძლება ვერც კი ვამჩნევდეთ, მაგრამ ისინი ჟანგბადს - გამოყოფენ.

სადაც დაიბადე და იზრდებოდი, იქ პოეზია თუ არსებობდა? ან რა დოზით? იმ სახლში, იმ წიგნის თაროზე.

მოდი, გულწრფელად გეტყვი, რაც ამ კითხვაზე პირველად მომივიდა თავში: ყველაზე პოეტური იმ ადგილს, სადაც დავიბადე და გავიზარდე, სახელი ჰქონდა. თუმცა – შენ პოეტი თქვი, თორემ – პოეზია ყველგან მოიძებნება, და იქნებ უფრო მაინც – სოფელში.

ამ მხრივ გამონაკლისი არც კარალეთი იქნებ(ოდ)ა.

იმ სახლში კი, სადაც მე გავიზარდე, კარალეთის კვალობაზე საკმაოდ ბევრი თარო, ხოლო თაროებზე საკმაოდ ბევრი პოეტური კრებული იყო.

თუმცა, პოეზიის რეალური ასავალ-დასავლის გაგება მას შემდეგ დავიწყე, რაც, 11 წლის ასაკში, მწერალთა კავშირის გორის განყოფილებასთან არსებულ ახალგაზრდა ლიტერატორთა სექციაში აღმოვჩნდი.

ბარემ აქვე დავამატებ:

საოცარი ადამიანები, არაჩვეულებრივი ადამიანები – არ მინდა ასე ბანალურად მოვიხსენიო ჯემალ ინჯია, ვაჟა დადიანიძე, პაატა ჩხეიძე და კიდევ ახალგაზრდა მწერლები, რომლებიც ხსენებულ სექციაში დამხვდნენ. ამ ადამიანებზე და იმ გარემოზე უფრო ვრცლად მერე ვილაპარაკებ – მაგალითად, წერილში, რომლის დაწერასაც უახლოეს მომავალში ვაპირებ და რომელსაც, სავარაუდოდ, «ვაჟა დადიანიძის ფანტასტიკური სამყარო» ერქმევა.

როგორი იყო ის გარემო, სახლი, უბანი, დედა, მამა და და სხვები, სადაც ზაზა იზრდებოდა? რა ხდებოდა, რა თავგადასავლები და ამბები იყო, რაც სულ თავს გახსენებს დღესაც? ამ წამს რა გახსენდება იმ დროიდან, სულ სულ ბავშვობიდან?

არ მიყვარს საკუთარ თავზე ლაპარაკი, მთლად «პირადი თავგადასავლების» მოყოლა, მით უფრო – საჯაროდ. «არ მიყვარს» რბილად ნათქვამიცაა. ახლა როგორც ვატყობ, ამ ყველაფერზე პასუხის გაცემა თითქმის არ შემიძლია, და ძალიან რომ მოვინდომო, საჭირო ინფორმაციის გასახსენებლად ბევრი უნდა ვიფიქრო.

შევეცდები, ავხსნა: საკუთარი ყრმობის ამბებსა და მსგავს რამეებზე ყურადღების შეჩერება გამართლებულად მხატვრული ტექსტის ქარგაში თუ მეჩვენება. სხვა შემთხვევაში, ჩემი ზრდა-განვითარების გარემო თუ პროცესი – უმნიშვნელო, მასზე საუბარი კი უხერხული მგონია... თუნდაც (პათეტიკადაც რომ ჩამომართვა) იმ ფონზე, ქვეყნის შიგნით თუ გარეთ, შიმშილით თუ ბომბებით, უამრავი ადამიანი რომ იხოცება – ისე, სულიერ მდგომარეობას რომ არავინ ეკითხება და ვერანაირი ნიჭის გაფურჩქვნას რომ ვერ ასწრებს.

შენ და წიგნი ერთმანეთს როდის შეხვდით? ის წიგნი თუ გახსოვს რა იყო, კითხვა რომ დაასრულე, დადე და გაიფიქრე, რომ აღარაფერი აღარ იქნებოდა ისე, როგორც იმ წუთამდე იყო?

შეუძლებელია წიგნთან ჩემი პირველი შეხვედრის გახსენება. შეიძლება პირველი ტექსტები საკუთარი

თვალით ჟურნალ «დილაში» ამოვიკითხე – რაკი, ვიდრე სკოლაში მივიდოდი, დედაჩემი ჩემთვის იწერდა ამ ჟურნალს. მაინცდამაინც წიგნზე თუა ლაპარაკი, მსოფლიოს რომელიმე ხალხის ზღაპრები იქნებოდა.

და შენ და ფურცელი როდისღა დაუახლოვდით ერთმანეთს, როდის და რა და რატომ დაწერე და რომ დაწერე, რა შეგრძნება იყო და ვის წააკითხე და მან რა გითხრა და საერთოდ, დასაწყისზე გეკითხები.

ჩემს გარშემო წერა-კითხვა თითქმის ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენა იყო, როგორიც კვება, ლაპარაკი ან სიარული. ოჯახში ყველა რაღაცას წერდა და მე რატომ არ უნდა მეწერა, ალბათ, ვერაფრით მივხვდებოდი.

თუმცა სულ თავისით ვერც ჭამას სწავლობენ, ვერც ლაპარაკს და ვერც სიარულს.

ჩემი და, მარინა ხუმრობდა ხოლმე – დიდი კაცი რომ გახდები, შენს ბიოგრაფიაში ჩაწერენ – წერა-კითხვა ოთხი წლისას დამ შეასწავლაო. ალბათ, ასეც იყო.

მეც, რაც თავი მახსოვს, ვწერდი და ვწერდი.

დღეს უფრო პრეტენზიული ხარ საკუთარი თავის (და შემოქმედების) მიმართ თუ ათი წლის წინ?

პრეტენზიული – განსაკუთრებით საკუთარი თავისა და შემოქმედების მიმართ, ყოველთვის ვიყავი. შეიძლება (და სავარაუდოდ), ახლა გემოვნება უფრო დამეხვეწა.

შენ როდის ხვდები ხოლმე, რომ რაც დაწერე, კარგად დაწერე? ეს განცდა – რაღაც რომ გამოგივა, ხშირად გაქვს ხოლმე?

უფრო მძაფრი ემოციები ადრინდელ ლექსებში და ადრინდელ ლექსებთან დაკავშირებით მქონდა. იმედი

მაქვს, ემოციური «დაშოშმინება» გაზრდას ნიშნავს და არა იმას, რომ ადრე უფრო ხშირად გამომდიოდა რამე.

სკოლაში სად სწავლობდი და მაშინ რა იყო შენი მთავარი გატაცება? და მერე, როცა სკოლაც მორჩა – რაო, რა გაიფიქრე, რა გამოვალო და რა გამოხვედი?

ყველაზე დიდხანს ჟურნალისტობა მინდოდა. იყო პერიოდი, მსახიობობაზე ვფიქრობდი. ბოლოს ფილოლოგობა დავაპირე. მაგრამ მაინც ისე მოხდა, რომ ჟურნალისტიკაზე ჩავაბარე.

რაღაც პერიოდი ვჟურნალისტობდი. ოღონდ – შეიძლება იმიტომაც, რომ კომუნიკაცია ჩემი უძლიერესი მახასიათებელი არ არის – პუბლიცისტიკისკენ ვიხრებოდი.

არაკომუნიკაციურობა ამ მიმართულებით ერთადერთი წინაღობა არ აღმოჩნდა. როგორც მალე გაირკვა, შენი ობიექტურობა და ჟურნალისტიკის სხვა თეორიული პრინციპები პრაქტიკულ სინამდვილეში არავის სჭირდებოდა.

კიდევ კარგი, ქვეყანაზე იუმორი (თავისი ქვეჟანრებით) არსებობდა და დღემდე არსებობს. ყოველ შემთხვევაში, მე რომ დღემდე ვარსებობ და, თანაც, ასეთი, დიდწილად სწორედ იუმორის დამსახურებაა.

შენი თავი რა დოზით არის შენს ლექსებში?

ჩემი თავი იმდენად არის ჩემს ლექსში, რამდენადაც ის ახალი პოეტური «აღმოჩენა», ის სინამდვილე, რაც ამ ლექსის საფუძველია, ლექსად გადაქცევამდე ჩემი «აღმოჩენილია» და სწორედ ჩემშია გამოტარებული. სხვანაირად დაწერილი ტექსტი ღირებული მხატვრული ნაწარმოები ვერ იქნება.

თუმცა, ამას გარდა, ღირებული მხატვრული ნაწარმოების მისაღებად ჯერ ის «სინამდვილე» თუ «აღმოჩენა» უნდა იყოს საინტერესო და მნიშვნელოვანი, და მერე – იმ «აღმომჩენისა» თუ მედიუმის შინაგანი სამყარო და მსოფლაღქმა.

ის კი, უბრალოდ, საშინელებაა, თუკი ვინმეს ფრჩხილი წამოსტკივდება და მთელი მისი ტექსტი, ან უარესი – მთელი მისი შემოქმედება, ამ ტკივილით არის გაჟღენთილი.

შენი აზრით, რა არის თანამედროვე ქართული პოეზიის ყველაზე დიდი ნაკლი და პირიქით ის, რაც მხოლოდ მას ახასიათებს?

რაღაცების გახსენება და დასახელება შეიძლებოდა. მაგრამ ყველაზე დიდი პრობლემა თვითონ ის ლიტერატურული გარემოა, რომელიც (როგორიც) ახლა გვაქვს. მღვრიე წყლის დაწმენდას საშველი არ დაადგა და არც იმის პირი ჩანს, უახლოეს მომავალში დაადგეს. ე. წ. ვირტუალური სამყარო კი, რამაც თავის დროზე ჩვენი ლიტერატურული ცხოვრება გამოაცოცხლა, ახლა მისი სერიოზული განსაცდელია.

კითხვის მეორე ნაწილზე: ვერ ვიტყვი, მხოლოდ ქართულ პოეზიას რა ახასიათებს. ამის თქმა რომ შევძლო, ყველა სხვა პოეზიას უნდა ვიცნობდე. ენობრივი ინსტრუმენტები და გამოცდილება რომ მის დიდ შესაძლებლობებს ადასტურებს, ფაქტია.

როგორ გგონია, ის ლიტერატურული კონკურსები, რაც დღეს საქართველოში არსებობს, რა ზეგავლენას ახდენს ზოგადად ლიტერატურულ პროცესებზე?

არის ამქვეყნად რაღაცები, რაც არ მომწონს, მაგრამ იმასაც ვაღიარებ, რომ იმავე სფეროში მათზე უკეთესი არაფერი გამოუგონებიათ. დაახლოებით ეს დამოკიდებულება მაქვს ლიტერატურული კონკურსებისადმი.

წარმოუდგენელია, სხვამ რამ უნდა გაუწიოს დღეს ლიტერატურას ისეთი პოპულარიზაცია, როგორსაც კონკურსები ახერხებენ. თუმცა ვფიქრობ, ლიტერატურული კონკურსი იდეურად გაცილებით კარგი რამაა, ვიდრე ჩვენს რეალობაში ხორციელდება ხოლმე.

შენი აზრით, თუნდაც თარგმნის შემთხვევაში ქართულ ლიტერატურას აქვს რაიმე მომავალი, რომ ასე ლოკალური აღარ იყოს და საზღვრებს გასცდეს?

ამისთვის საკმარისი რომ იყოს წმინდა წყლის ლიტერატურული კრიტერიუმები, და მასობრივ და ხარისხიან თარგმანსაც თუ შესაძლებლად მივიჩნევთ, მგონია, რომ აქვს.

მაგრამ რეალობა ცოტა სხვაგვარია: მსოფლიოს ჯერ ქვეყანა უნდა აინტერესებდეს, ამ ქვეყნის ლიტერატურით რომ დაინტერესდეს. ამისთვის კი ქვეყანა ან დიდი უნდა იყოს, ან – სხვანაირად მნიშვნელოვანი. ამ დროს, სამყარო, მგონი, იმასაც ვერ შეეჩვია, რომ საქართველო არსებობს.

მეორე დიდი (და თითქმის უსაშველო) პრობლემა თარგმნაა. განსაკუთრებით ცუდ დღეში, ამ მხრივ, რა თქმა უნდა, პოეზია, მით უმეტეს, ზოგი ტიპის პოეზიაა.

რა არის ის, რაც ლიტერატურაში გიყვარს და გხიბლავს და პირიქით, რასაც გაურბიხარ?

პირველი, რამაც ტექსტთან შეხვედრისას უნდა მოგხიბლოს, კარგი სტილი, იმის შეგრძნებაა, რომ მწერალმა იცის საქმე, რომლისთვისაც ხელი მოუკიდებია.

ავტორმა წერა თუ იცის, სისულელესაც წამაკითხებს. უფრო სწორად, კარგი სტილი უკვე ღირებულებაა და შესაბამისად, ტექსტი სისულელე ვეღარ იქნება.

აღარ გაგიკვირდება, თუ გავურბივარ ავტორს, რომელმაც წერა არ იცის. თუმცა ამ ავტორის ნაწერი, ალბათ, ლიტერატურა არც არის. ამიტომ დამატებით იმასაც ვიტყვი, რომ გავურბივარ ნარცისიზმს ლიტერატურაში.

წიგნი თუ არ მოგეწონა, მიატოვებ ხოლმე თუ მაინც ბოლომდე კითხულობ?

სამწუხაროდ, ბოლომდე ვკითხულობ – თუ, რა თქმა უნდა, ლიტერატურასთან რამე კავშირი აქვს. სულ რამდენიმე წიგნია, რომელიც გადავდე. თუმცა გულისგულში ჯერ კიდევ ვფიქრობ, რომ არა – სამუდამოდ. არ ვიცი, ამას რა ჰქვია. ფაქტია, კარგი არაფერია და დროს ფუჭად მახარჯვინებს.

ვინმესთვის წერდი ან წერ ხოლმე დღეს? ვისაც გინდოდა, რომ აუცილებლად წაეკითხა?

თუ კარგად მახსოვს, ასეთი განცდა არასდროს მქონია. მაშინაც კი არა, როცა გორის მწერალთა კავშირის ლიტერატურის სექციაში დავდიოდი და ორ კვირაში ერთხელ კონკრეტული ჯგუფის წინაშე მიწევდა ჩემი ნამუშევრების წარდგენა. თუმცა, რა თქმა უნდა, მანამდე – წერისას – ვცდილობდი, რომ ამავე ჯგუფში მიღებული გამოცდილება გამეთვალისწინებინა.

ერთ დღეს რომ წერა ვეღარ შეძლო, როგორ გგონია, რით ჩაანაცვლებ მას? წერა-კითხვის გარდა რა არის ის, რაც

ყველაზე მეტ სიამოვნებას განიჭებს და სიამოვნებით გადაერთვებოდი?

ცეკვას მე ვეღარ ვისწავლი და არქიტექტურას. ისევ იუმორისტულ პროექტებზე დავიხარჯებოდი – თუ, რა თქმა უნდა, კითხვაში ნახსენები «წერა» ყველანაირ წერას და მათ შორის, სცენარისტობას, ან იუმორისტული ტექსტების რედაქტირებასაც არ გულისხმობს.

ზაალ სულაკაურის კარიკატურა

იუმორისტულ პროდუქტზე, თუნდაც ახალი ანეკდოტის შექმნაზე მუშაობა. თუკი ამას დაახლოებით თანაბარი პროფესიული დონისა და მენტალობის ადამიანების ჯგუფი აკეთებს, პროცესიც სასიამოვნოა და მისი დასასრულიც, ხოლო შედეგი კარგიცაა და შემოქმედებითი სიხარულის მომტანიც. თუმცა გამოცდილებამ მიჩვენა, რომ ასეთი ჯგუფის შეკრება, სამწუხაროდ, არც ისე ხშირი სიამოვნებაა.

წიგნების ამოჩემება თუ გჩვევია? ავტორების?

წიგნების გადაკითხვა უფრო ბავშვობაში მჩვეოდა. არის წიგნები, ათჯერ ან იქნებ ოცჯერაც რომ წამიკითხავს. ბოლოს ყველაზე მეტჯერ, ალბათ, «თამაში ჭვავის ყანაში» წავიკითხე.

ზოგ ავტორს, რა თქმა უნდა, პერიოდულად ვუბრუნდები. თუმცა თუ ისინი საკუთარ თავს იმეორებენ (რაც არც თუ

იშვიათად ხდება), რასაკვირველია, უფრო დიდი ინტერვალებით.

თანამედროვე ქართულ ლიტერატურას რამდენად ხშირად კითხულობ? და თუ კი, რას ფიქრობ ამ ავტორების შესახებ?

ასე თუ ისე, ვკითხულობ. რაღაცები მომწონს, რაღაცები – არა. აღფრთოვანებით ადვილად არაფერი აღმაფრთოვანებს. ზოგადად, როგორც ჩემს თავს შევატყვე, კარგი რაც არის, ბუნებრივი მგონია, ცუდი – არაბუნებრივი.

რუსთაველის ძეგლთან

როგორ გგონია, ათი წლის მერე სად ხარ?

ისეთი ოპტიმისტი არ ვარ, ამ კითხვაზე სახარბიელო პასუხი მქონდეს. ამიტომ პასუხისგან, უბრალოდ, თავს შევიკავებ – საკუთარ თავს რატომ დავჩხავლო?

ზაზა ბიბილაშვილი

ნიშნი ერთი პირობით

მაინც გაჯობე, ცხოვრებავ:

აი, თვალებში გიყურებ,
სწორად და საღად აღგიქვამ,
მით უფრო – გიჟი არა ვარ,
ვარ – მით უმეტეს – ცოცხალი.

თუკი რამე არ მეშლება:

თუკი თვალი არ მატყუებს,
თუკი მრუდედ არ აღგიქვამ,
სულაც გიჟი თუ არა ვარ,
საერთოდ, თუ ვარ ცოცხალი.

არ ვიცოდი

მე რა ვიცოდი –
გულს მალავდი ქანდაკი მკერდით,
ოქროს ბუდეში მტრედივით ძგერდი –
მე რა ვიცოდი, თუ იყავი,
ეს თუ იყავი.

უძვირფასესი
კი არ გესვა კენჭი ან მინა –
თვალებს ეკავა თვალების ბინა –
მე რა ვიცოდი, თუ იყავი,
ეს თუ იყავი.

მე რომ მცოდნოდა,
რომ იყავი, ეს რომ იყავი –
გარეთ – არაკი, შიგნით – იგავი,
მე რომ მცოდნოდა,
მზეს იტევდი
მთვარის სპეკალი –

უკლებლივ ყველა
გზას, რომელმაც შენ აგიარა,
ზურგს შევაქცევდი –
რომ სხვას კი არა –
უსასტიკესი სიყვარულით –
შენ მოგეკალი.

ფაზლი

ზეცის ეკრანი
გაანათა
ძველმა მესიჯმა:
«ისევ მიყვარხართ».
•
ედემი. გველი, ადამი, ევა.
დრო, როცა ყველა ცოცხალი იყო.
•
სულ უფრო მეტი ნატვრა ირჩევს
ჭუპრად დარჩენას.
გენმა ისწავლა –
მხოლოდ სამ დღეს ცოცხლობს პეპელა.
•
ბოდიში, ცუდი პერიოდი მაქვს –
სხვა ცხოვრებაში გამოიარეთ.
•
მწიფე ხარ –
თითი მოგაკარო –
წვენი გაგივა.
•
ისევ აქა ხარ –
ჩემს სიზმარში.
შენს ქმარს რა სჭირს, რომ
ვერაფერს ხვდება?

სახელის გატეხა

რით დამიმტკიცებ,
რომ არ გიყვარვარ?

მწირი ასორტიმენტი

ყოფნა, არყოფნა.

სამოთხე

ეგრეა:
შეჭამ –
ტანსაცმელი მოგინდება.

ეპიტაფია

«მართალი ყოფილა,
ამის დედას შევეცი!»

სამი ერთზე

1

ან კი როგორ გადავურჩი, მით უმეტეს – დავუძვერი? –
აკი ტანზე ხშირად ესხა ჩაჩქან-აბჯარ-მაუზერი...

არც ჯაშუში დაინანა – გულგონჯი და სახეტურფა –
ვინც მიგრეხდა თოკს და ბაწარს – ამ ყელზე რომ
გაეყულფა...

განა წყენას არ ვუვიწყებ არავის და არასოდეს –
იმად მახსოვს – თვითონ იმას არ უნდა, რომ არ მახსოვდეს;
–

ვისი მადლით მარად უნდა დევნილობის ფუთა ვფუთო –
რაკი ვიცი – კვალში მიდგას ფეხმალი და უთავქუდო; –

რათა ზოგჯერ – იმის ნაცვლად, თავის დროზე რაც ჩავუთქვი
–
დამაწიოს ავი თვალი, ყიჟინა და ბათქაბუთქი...

ერთი კია – ვეღარ მომკლას – უნდა, ჯავრი ჭამოს პეშვით, –
ეგ თუ სურდა – იქა ვყავდი – აქ არ უნდა გამოვეშვი...

2

ესეც კი არ მიკრუტუნებს, როგორც ჭრელი კატუნია,
მხოლოდ უფრო დახვეწილი, უფრო დელიკატურია.

იქნებ გაძვრეს თითებშუაც – მოვინდომო ვახლო ხელი –
მაინც სხვაზე ახლოა და მგონი, უფრო ახლობელი.

აქაც, სადაც პირველისგან დევნილები შევიკრიბეთ,
ეს მეორე დამდგომია ბარმენად თუ მერიქიფედ.

დიდი საქმე აბარია – ალბათ სულ ეგ ებარება –
ჭიქაში თუ ფიალაში შხამს მიმატებს ნება-ნება.

მეც მივირთმევ საწრუპით ან მოსმებით ან მიძალებით,
ოღონდ იმას ვეღარ ვატყობ – ვეჩვევი თუ ვიწამლები.

ასე გავა ხან საათი, ხან დღე და ხან ღამე გავა.
მერე რა, რომ თვითონ თვალის ერთი დახამხამებაა;

წამია და არც წამია, თუ სულია – რა სულია –
მომავალი არ მგონია, როცა უკვე წასულია...

ვეღარც ამას გადავყვები – კიდევ დავახანებ მაშინ... –
მეტისმეტი თუ არ ვყლაპე ერთ-ერთ დახამხამებაში.

3

კიდევ არი ერთი შარი, ბეჯითად რომ მოვიზიდავ,
მომავალი ისე შორი ან არც ისე შორი გზიდან.

რაა, ზუსტად კი არ ვიცი, რომ იზამს და რომ არ იზამს –
წასულისას ვერ გაიგებ – რას გაიგებ მომავლისას?

აბა, მიდი, გამოიცან – თარსია თუ თარსზე ნავსი;
რა აქვს გულში, რა აქვს თავში, ჯიბეში ან არსენალში;

მაგას რაღა დავუშავე – რა უნდა, რომ დამიშავოს;
სულის სხეულს ეტანება თუ სხეულის ტანისამოსს...

ერთი ვიცი: მართლა მოდის, სულ მოდის და რახან მოდის,
როცა მოვა – დილით მოვა, საღამოს თუ საღამომდის,

მაშინ, როცა ხვალ იქნება, თუ იქნება ნახვალარი –
ემაგას რომ გადავურჩე, ვარიანტი აღარ არი.

ცხოვრების პერიოდული სისტემა

ყოველთვის ასე იყო:
ხანდახან არ ცხოვრობდი –
და – საკმაოდ შედეგიანად –

იმ ხანდახანებში ბევრჯერ გადარჩი:

რამდენჯერმე არ მოკვდი.
რამდენჯერმე არ მოგკლეს.
რამდენჯერმე არ მოიკალი.

თითოჯერ მოშუშდი. გამოშუშდი.

მართლა ყოველთვის ასე იყო:
ხანდახან მართლა არ ცხოვრობდი, –

ხანდახან რომ გეცხოვრა,
ვითომ.

ვითომშანსონი

თუნდაც ცოტა მუქი ცა,
მიწაც – ერთი მოკეცვა –
მუქთად როცა მოგეცა –
იცი – შანსი მოგეცა.
ძირს ნარი და ხავსია,
მაღლაც რაღაც მსგავსია –
ლამის ყველა შარზეა –
მაგრამ მაინც შანსია!

ამიტომაც – იტყვი, არა უშავსო,
გულში თუნდაც ურჯუკო და უხამსო –
რაკი გემცნო – ლეგიონთა ლეგიონს
გულისნაცვალს ყოფნის ნატვრა უჭამსო –
ვერ დაუძვრა ვინც მებაჟე-გუშაგსო –
ვერც აქამდე, აღარც პირი უჩანსო,
და დარდიან დაუბადებლობაში
ჩარჩენილა უსასოდ და უშანსოდ.

თუნდაც ცოტა მუქი ცა,
მიწაც – ერთი მოკეცვა –
მუქთად როცა მოგეცა –
იცი – შანსი მოგეცა. –
რომ აკლიხარ ნავსიან
უშანსოთა შავ სიას –
უკვე ეგეც შანსია!
თუმცა მაინც შანსია...

ის მითხარი: უქონელს და ოხერსა,
შენც არყოფნის არაფერი რომ გეცვა,
და უეცრად უკვდავების ფართლიდან
მოგიზომეს ყოფნა – ერთი მოკვეცა,

მოაყოლეს თხელი – არა ორკეცა –
ცა და მიწა, ეზო-კარი-ღობეცა –
ანუ მაშინ, როცა შანსი მოგეცა,
ის თუ იცი – რისი შანსი მოგეცა?

თუნდაც ცოტა მუქი ცა,
მიწაც – ერთი მოკეცვა –
მუქთად როცა მოგეცა,
მხოლოდ შანსი მოგეცა –
არც ავსულის თავში ქვას,
არც მომტვრევას ხელების –
შანსი ნიშნავს: შანსი გაქვს
შანსის გამოყენების.

მაგრამ კი არ დაუკარგავ ავში კარგს
სააქაოს გველეშაპის შავ შიგანს, –
შანსი რომ გაქვს და იცი, რომ შანსი გაქვს –
აღიარებ – უფრო მეტი შანსი გაქვს.
და ვინ იცის, მაგ ლაზერის მფლობელსა
უბედობის ბოლო ბუდეც მოგეწვა –
მიგეღწია, რისი შანსიც მოგეცა –
რომ იცოდე, რისი შანსი მოგეცა.

თუნდაც ცოტა მუქი ცა,
მიწაც – ერთი მოკეცვა –
მუქთად როცა მოგეცა,
აკი შანსი მოგეცა. –
მაშ, გაიძრობ ხან სიქას,
ხან გაიცლი არაქათს –
მაგრამ, რისი შანსი გაქვს,
მიხვდე, შანსი არა გაქვს.

თუნდაც ცოტა მუქი ცა...
მიწაც – ერთი მოკეცვა,

როცა მუქთად მოგეცა –

.....

სამი დიდი კომბინაცია

I

– გავიგე, მამა –
ყველა პატარამ არ იცის,
როგორ და რატომ უნდა მოიქცეს კარგად,
ცუდი რომ არის, სიტყვა გატეხოს თავისი,
თავის გატეხა რომ არავისი ვარგა;

როგორც ცუდია, ჩატეხოს სხვისი ფანჯარა,
იყოს უხამსი, განსაკუთრებით – გარეთ,
კიდევ – დაჩაგროს თავისზე უფრო პატარა,
ანდა – დასცინოს უფრო დაჩაგრულს მწარედ.

გავიგე, მამა – ზოგი ძალიან განიცდის,
გადაირევა, ისე მიიტანს გულთან –
სხვისი რაც არის, თუ არ აიღო თავისთვის –
რაკი – სხვისია, მაგრამ – თავისთვის უნდა.

ზოგმა ისმინა: ყოჩაღი თუ ხარ – გადარჩი –
შენ ნუ მოგხვდება მუჯლუგუნი და მუშტი –
სუსტი ძმაკაცი იქვე გაცვალე მაგარში,
სადაც გამოდგეს მაგარზე უფრო სუსტი!..

გავიგე, მამა – დღეს შეიძლება, მეტკინოს
ლოყა, ცხვირი და გული მეტკინოს სულაც,
რამე ერთი-ორს კიდევ გამოვრჩე ერთი-ორს –
ვის სიკარგეზეც თურმე არავინ ზრუნავს... –

მაგრამ ეს წყლები – რაშიც ბავშვობა კიდია –
წავლენ-წამოვლენ-აორთქლდებიან ხელად,
და ნატკენებიც ისეთი დროებითია,
რომ ქორწილამდე დამავიწყდება ყველა.

ხოლო პატარებს – გადაქცეულებს დიდებად –
თუ მოაგონებ იმ საქციელებს, ავებს –
სირცხვილისაგან ლოყები აუწითლდებათ,
სინანულისგან შემოიტყეპენ თავებს... –

ასეა, როცა წესრიგი არის დიდების, –
მაშინ მართალი მხოლოდ ის არის ცამდის,
ვინც არასოდეს, არაფრით, არასდიდებით
უწესობას და უნამუსობას სჩადის;

მაშინ სამყარო სამართლის სამართავია,
ნულის ტოლია უსამართლობის რისკი,
რაც მთავარია, მთავარი სამართალია:
კარგად იქნება, კარგი იქნება ვინც კი!

მაშინ საკვეხნი თუკი რამეა – სიკეთე,
უხერხულია ოღონდ სიკეთით კვეხნაც...
ჟამი იდგება – სულით და ხორცით ვილხენდე –
როცა დიდების ჟამი იდგება ქვეყნად!..

ხოლო თუ ვინმე თავის ისეთი მტერია,
ძველი ცოდვებით შემოებედა დიდებს,
მტერს არ ეწეროს, იმ ვინმეს რომ უწერია:
დედამიწაზე დაწყევლილივით ვლიდეს –

შეუსვენებლად, უსასრულოდ და ვერსაით,
ზურგი აქციონ, სადაც კი თვალი ჰკიდონ...
ამ დროს, რა კარგად ყოფნა შეეძლო – ჩემსავით,
ცუდად ყოფნა რომ არ აერჩია თვითონ.

II

– რასაც გვარიგებს დიდი გონი და გამრიგე –
შენგან აქამდე ათასჯერ განაგონი –
მესმის, მამაო –

ოღონდ მაშინღა გავიგე,
როცა გაგიღე გული და არა – გონი.

მესმის – სხვა საგნის გადამიღეჭავს ბილეთი,
და აღარ ვიცი, ჩალა ვღეჭე თუ ცოდნა –
რაკი დიდეთი, მე რომ მეგონა, ისეთი
სულ არ გამოდგა, ან თუ გამოდგა – ოდნავ.

წატეხილია ყველა მოკლე და ცრუფეხი,
როცა ცხადია – ზოგ დიდსაც სული მისდის –
ფიცი გატეხოს – საშინელი და უტეხი,
თუკი გატეხა უკეთესია მისთვის;

ზოგი დიდია – განა დიდივით განიცდის –
პატარასავით მიაქვს პატარა გულთან –
თუ მოეწონა და ვერ იგულა თავისთვის,
რაც მოეწონა ანუ თავისთვის უნდა;

ზოგს შეუძლია – ბითუმად ანდა საცალოდ –
ძმაკაცი რაა – სამშობლო, როგორც ჩუსტი,
გაყიდოს ანდა სხვა სამშობლოზე გაცვალოს,
თუ გამოადგა სხვა სამშობლოზე სუსტი;

ზოგი გაიდებს ვინმე ხათრიანს ხიდივით,
ზოგი შეიბჯენს, როგორც ჯოხსა თუ ჭიგოს...
ზოგი დიდია – როდი იქცევა დიდივით –
მოგეჩვენება, ზოგი პატარა იყოს.

და თუ ასეთი მოჩვენებები მოხვავდა,
რაღად გაცუდდეს ან ეს საცდური მსუყე –
რად არ მეტკინოს ლოყა, მეორე ლოყა და
ერთადერთ გულზე არაფერს ვამბობ უკვე...

ღორი ის არის, მარგალიტითაც გამოძღეს –
არც დაუყარო – სადმე გამოთხრის ღორი...

მესმის, მამაო – ყოფა არ ჰქვია სამოთხეს –
ყოფა, ჰა და ჰა, იყოს სამოთხის ჰოლი.

თანაც, მონადენს თუკი ვენდობით ოხშივარს,
რომელიც არის, ყველაზე ცოტა, მყრალი –
უეჭველია, აქვე – სამოთხის ჰოლშივე –
ანტისამოთხის – არის მეორე კარი.

და ვიდრე აქეთ გამოსაცდელი იცდება,
იმ ორ კარს უკან ორი იღბალი იცდის –
რათა ერთისთვის ერთი გამოდგეს მისწრება,
ხოლო მეორე – ზედგამოჭრილი სხვისთვის...

და თუ ხანდახან ხარობს ავსულის გილდია,
თუკი ხეირის დახლი დაუდგამს ბოროტს –
მესმის, მამაო – წუთივით დროებითია,
და გაიხარებს, ვინც გაიხარებს ბოლოს, –

როცა კოცონზე შემოგვაწყობენ ქოთნებად,
დაფაცურდება გულთამხილავი ციცხვი, –
შავგულიანი შავსულეთს მიეკუთვნება,
ნათელქვეყანას – გულნათელია ვინც კი;

კუპრით გაძღება მანამდე სისხლის მწოველი,
აიმწვერვალებს, ხრამში ვინც გადაყრილა...
და გასწორდება უსწორმასწორო ყოველი,
როცა ყოველი დადგება თავდაყირა, –

რომ იმკებოდეს სიკეთისაგან სიკეთე,
რომ სამართალი ქვამარილს აღარ ხრავდეს...
მედგას დროება: სული ვიყო და ვილხენდე –
სალხინებლიდან – უსასრულობის ზღვრამდე!..

ხოლო მავანი, აქეთ ავსულის მესავი,
იქით ავსულის ნაშიერებმა კვნიტონ... –

როცა შეეძლო, ცხონებულიყო – ჩემსავით –
ოღონდ წაწყმედა არ აერჩია თვითონ!

III

ამ სტრიქონების ოქრომჭედლის თუ მლამბავის –
აწ სულ ერთია – გაწაფულის თუ ხამის –
გასრულებულა სიცოცხლის მთელი ამბავიც,
როგორც ბავშვობა, ანდა სიზმარი ღამის.

რომ იფიქრებდი – ბედის ბორბალი დანდგარა
არ დადგებოდა, იგუგუნებდა ჰოპლას –
ისე დამდგარა, იმის კვალდაკვალ დამდგარა
ყოფნის არყოფნა ანუ არყოფნის ყოფნაც.

ოღონდ კადრები თუკი არ შემოგთავაზეთ
ამა ქვეყნიდან – ზენა არის თუ ქვენა,
საერთოდ ენაც არ მომიბრუნდა ამაზე –
საერთოდ კიდევ თუ მომიბრუნდა ენა –

იქნებ როგორმე ეს შეცოდებაც შემინდოთ; –
მაინც ვენდობით საყოველთაო სახადს –
ერთი დრო მოვა და როცა მოვა თქვენი დროც –
მოხვალთ და ნახავთ, თუკი რაიმეს ნახავთ;

მით უფრო, თქვენთან რაღა ხელი მაქვს აბა მე;
და უფრო მეტსაც გეტყოდათ პირში მთქმელი –
თქვენთან, თქვენი ცის როცა მეხურა საბანი,
მგონი, მაშინაც არა მქონია ხელი...

აკი წარსულმაც – კიდობნიანმა პანდორამ –
უკვე მიიპყრო ზურგი, საჯდომი, კეფა, –
აქ რას მარგებდა – იქითობისას მარგო რა –
ან მაშიმშილა, ან ცრუიმედით მკვება...

მგონია, კიდეც გადაურა ბალახმა,
ვინ იცის, უკვე ჭიაღუები ჭამენ...
რაც იყო, იყო – თუ რამე იყო გადაღმა –
აწ თუ იქნება – აქ თუ იქნება რამე.

იქნებ ამიტომ – წამოვშოტილვარ დამჯერად,
იქნებ უხმოდაც – ამოვიძახი მალ-მალ:
ვისი ჯერია – ვინ მომატყუებ ამჯერად –
მამა... მამაო... მამა... მამაო... მამა...

ok

რომ სამყაროს აქანავებს ბოროტების ქართა ქარი –
ვინ იკადრა – ვინ იცრუა, ვინ იხუმრა მწარედ ასე? –
მაშინ, როცა ზუსტად ვიცი – ყველაფერი კარგად არი
რომელიღაც გალაქტიკის რომელიმე პლანეტაზე.

ბარეორი გადამდგარა ამ საქმეზე გადამდგარი,
ვისაც უნდა ავი ენით ავეგდე და დავეთარსე –
რაკი ვიცი – ყველაფერი ზედმიწევნით კარგად არი,
მე რომ ვიცი, იმ შორეულ, იმ მშობლიურ პლანეტაზე.

სხვა რამეა – იმის მერე ბოდიალით კარდაკარით
თუ ვერავინ ვიმსგავსე და თუ ვერავის დავემსგავსე –
მთავარია, ყველაფერი ნანატრივით კარგად არი
ჩემგან ერთხელ შუა ცაში მიტოვებულ პლანეტაზე...

შენ კი, ასე ვინც აბუქებ შენი ჭიქის ქარაშოტებს,
რაკი ვეღარ გამაოცებ, რომ დაეცე იმ დონემდეც –
წამოროშო – თითქოს ჩემი წარმოსახვა თამაშობდეს –
თავისივე გამოგონილ ცრუპლანეტას იგონებდეს –

საბუთებიც წამოგიღე – სამუდამო ჯადოს ფარდი –
აი მზერა, აი ლექსი, სხვა მრავალი აი დამღაც...
და ესენიც რომ არ იყოს – ციდან თუ არ ჩამოვვარდი –
ციდან ხომ არ ჩამოვვარდი – ხომ მოვედი საიდანღაც?

. . .

ვინ მოჭორა, ვინ იცრუა, ვინ იხუმრა მწარედ ასე –
რომ სამყაროს აქანავებს ბოროტების ქართა ქარი? –
რომელიღაც გალაქტიკის რომელიმე პლანეტაზე
ყველაფერი კარგად არი. ყველაფერი კარგად არი.

* * *

იშვიათად წამიკითხავს ჩემი თაობის (თაობა პირობითი ცნებაა, მაგრამ ახლა ზუსტად იმას ვგულისხმობ, რაც ამ ცნების ზედაპირზე ძევს) პოეტებში ასეთი გულწრფელობით დაწერილი ლექსები. გულწრფელობა ხომ, ზოგადად, ხელოვანის თვისებაა, მაგრამ ათასი რამით შეგიძლია იგი დაფარო – თამაშით, ინტელექტით, მისტიკით. ვერავის მოსთხოვ, საჩვენებელი თითი სამართებლით გადაიხსნას და იქიდან დაღვრილი სისხლით დაწეროს სათქმელი, თუნდაც ცხოვრების ყველაზე საბედისწერო და დრამატულ წუთებში. ვერავის აიძულებ, იყოს გულწრფელი და შენც დაგაჯეროს ამაში. ჩემი თაობის პოეტებმა ათასი გზა მოსინჯეს, თამაშის ყველა ხერხი სცადეს და წარმატებებიც არ აყოვნებს ხოლმე, მაგრამ ის, რაც ზაზა ბიბილაშვილის ლექსებში შემხვდა, იყო გამაოგნებელი, თავხედური გულწრფელობა. და ალბათ ეს ის ენერგიაა, რომელიც თავს მოიკლავს და, აუცილებლად შეგეხება, შეგაზანზარებს. ეს ალბათ ძველისძველი, ადამიანის გაჩენის დღიდან ნაგუბარი ენერგიაა, გულწრფელობის დიდი ძალა, რომელსაც იგრძნობ მხოლოდ მაშინ, როცა სამყაროს გამჭვირვალე ტალღებში საკუთარ თავს შეეხები.

გულწრფელობა და უბრალოება, თუმცა სარკაზმიანი, თვითირონიული – ასეთია ზაზას პოეზიის თვისება. ეს თვითირონიაც საკუთარი თავის ბოლომდე სამხელად სჭირდება, უკანასკნელ წვეთამდე დასაცლელად, გამოსააშკარავებლად.

ნინო სადღობელაშვილი

პოეზია, დანარჩენი ლიტერატურა, და დანარჩენი (ფრაგმენტები)

*

ხელოვნება თითქოს ერთადერთი ადგილია, სადაც შეგიძლია, იცხოვრო და არ ითვალთმაქცო; კი – იარტისტო, იმასკარადო, იზიზილპიპილო და ასე შემდეგ, მაგრამ არ ითვალთმაქცო.

სამწუხაროდ, ეტყობა, შეგიძლია, ითვალთმაქცო კიდეც.

*

ლექსის წერა არ უნდა იყოს სინამდვილის თარგმნა მკვდარ ენაზე, რომელიც მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო წრემ იცის. პოეზია არ უნდა იყოს მკვდარი ენა. მერე – ძალით არ უნდა მოკლა.

*

პოეზია ღვთიურ ფაზაშია: გწამს – არის, არ გწამს – არ არის.

ცოტას სწამს.

*

თქვენ გაქვთ არწაკითხვის უფლება. თქვენ მიერ წაკითხული ყოველი სიტყვა შეიძლება გამოყენებული იქნას თქვენ წინააღმდეგ.

*

მამას არ უნდა ვაგინოთ; მით უფრო, არ უნდა ვცემოთ; მეტიც, პატივით უნდა მოვეპყრათ. მაგრამ თაყვანი ვცეთ იმისთვის, რომ გაგვაკეთა? სულ ცოტა, სასაცილო არ არის?

*

ჭიაყელაც ზოგჯერ, მაგრამ ამება განსაკუთრებით – სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი.

*

კატეგორიულად არაფერი ვიცი.

არც ეს.

*

სულზე ზრუნვა რატომ არის ნაკლები მერკანტილიზმი, ვიდრე ზრუნვა ხორცზე? შეიძლება, მეტიც იყოს. თუ რამე უპირატესობაზეა საუბარი, მხოლოდ – უფრო მეტ წინდახედულებაზე, უფრო შორს ყურებაზე, მეტ პრაგმატიზმზე თუნდაც.

*

არცერთი წამი არ არის დაკარგული და ყველაფერი სასარგებლო გამოცდილებაა, თუკი უკვდავი ხარ.

მაგრამ – ამ გადასახედიდან, სამწუხაროდ – ეს ასე არ არის.

*

სიბრძნის თქმა კიდევ შეიძლება.

ბრძნულად თქმა აფუჭებს ხოლმე ყველაფერს.

*

ლოგინს მიჯაჭვული მხნეობდე – ბევრი ვერაფერი მხნეობაა – არაფერი შეგიძლია და ლიტონი მხნეობაც მხნეობად გეთვლება. ფეხზე მყოფისა და ჯანმრთელის მხნეობაა ძნელი – როცა მხოლოდ მხნეობა სასაცილო ფახიფუხია – იმდენი რამ მოგეთხოვება...

*

რაც სასაცილო არ არის, ყველაფერი ძალიან სასაცილოა.

*

ჩემი მეგობარი ჭეშმარიტება გამუდმებით ცდილობს, ჩემი ერთადერთი მეგობარი იყოს. არადა, რაღა დაგიმალოთ, ბევრი ვერაფერი მეგობარია.

*

«მიყვარხარ» – შეიძლება, ერთადერთი სიტყვაა, რომელსაც წინ ჩამატებული «ძალიან» ხარისხს არ უმატებს. მეტიც, მისგან თითქმის აღარაფერს ტოვებს.

*

შეუცნობელია გზანი უფლისანი: ჩემი ცხოვრების დასაწყისში ლამის სახიფათო იყო ღვთის რწმენა. ახლა თანდათან ლამის სახიფათო ხდება ათეიზმი. და ეს ხიფათი სულაც არ მოდიოდა და არ მოდის ღვთისგან.

*

სამოთხის ვაშლი ზუსტად ისე ეკიდა ხეზე, როგორც მოგვიანებით – თოფი კედელზე პიესაში ჩეხოვის თეორიიდან.

*

იყო დრო, როცა შეკითხვა, «რატომ, რისთვის წერ?» ყველა დროის ყველაზე ბრიყვულ შეკითხვად მიმაჩნდა – არ ვიცი, ასაკის თუ იმ საერთო გარემოს წყალობით, რომელშიც მაშინ ვცხოვრობდით ჩვენ, მწერლები, ლიტერატურა. დღეს მგონია, რომ კითხვას – რატომ ვწერ? – თავის თავს «კალმოსანთა» მხოლოდ ორი კატეგორია არ უსვამს პერიოდულად – გრაფომანები და გენიოსები. ეტყობა, საბედნიეროდ, არც ერთი ვარ, და სამწუხაროდ, არც მეორე.

*

მედროვე ეპატაჟისტ ლუზერებს (მგონი, შეიძლება ასეთი ტერმინის შედგენა) – შესაბამისად (ტერმინის არსის შესაბამისად) – ისტორია არ იმახსოვრებს, ანუ არ იმახსოვრებს მათ, როგორც მაგალითებს. შესაბამისადვე, დღევანდელ ასეთებს ვერავის შეადარებ წარსულიდან, ისინი ყოფილს არავის გაგახსენებენ. ამიტომაც ზოგჯერ შეიძლება გეგონოს, რომ ესენი მედროვე ეპატაჟისტი ლუზერები არ არიან, რომ – სულ პირიქით.

*

ვამბობთ, რომ ნიჭი თავის გზას არ დაკარგავს, რომ წლების მერე ყველა და ყველაფერი შეფასდება და დაფასდება და ა. შ. ამას ვამბობთ, ალბათ, იმ მაგალითების საფუძველზე, ნიჭი რომ არ დაიკარგა, შეფასდა და დაფასდა. იმიტომ, რომ ვიცით ეს მაგალითები. მაგრამ ის, აბა, ვინ იცის, რამდენი ნიჭი და ნიჭიერი ადამიანი დაიკარგა და არასოდეს შეფასებულ-დაფასებულა; და რომ დაიკარგა, სწორედ ამიტომ არ ვიცით ეს მაგალითები.

*

თუ ადამიანებთან ურთიერთობებით ვერ დაიტრაბახებ, თვითრეკლამა საერთოდ არ გამოგდის, გათვლებსა და ანგარებებზე ლამის გული გერევა... მაშინ, მით უმეტეს, სხვა რაღა გზა გაქვს – კარგად უნდა წერო.

მარიანა კიანოვსკა

„ინტრიგები ლიტერატურაშიც მყოფნის“ (ინტერვიუ)

თარგმნა თამარ კოტრიკაძემ

მარიანა კიანოვსკა უკრაინელი პოეტი, პროზაიკოსი, კრიტიკოსი და მთარგმნელია. დაიბადა 1973 წელს ლვოვის ოლქის ქალაქ

ჟოვკვაში. დაამთავრა ლვოვის ი. ფრანკოს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. ამჟამად ლვოვში ცხოვრობს და მუშაობს. ავტორია პოეტური კრებულების: «ინკარნაცია» (1997), «სონეტთა გვირგვინები» (1999), «მითშემოქმედება» (2000), «სიყვარული და ომი» (მარიანა სავკასთან თანაავტორობით, 2002), «ადამის წიგნი» (2004), «ჩვეულებრივი ენა» (2005), «373» (2014), მოთხრობების წიგნისა «მდინარისპირა ბილიკი» (2008) და სხვათა. თარგმნის პოეზიას პოლონურიდან და რუსულიდან. მისი ლექსები თარგმნილია ინგლისურ, პოლონურ, სერბულ, სლოვენურ, რუსულ და ბელარუსულ ენებზე. ლაურეატია ნესტორ ჟამთააღმწერლის სახელობის ლიტერატურული პრემიისა (2006) და პოეტური ფესტივალის «კიევსკიე ლავრი» (2012).

– პანი მარიანა, როდის იგრძენით წერისაკენ, როგორც თვითგამოხატვისაკენ სწრაფვა?

– ძნელი სათქმელია. წერისკენ სწრაფვა, გარკვეულწილად, უკვე მანამდე შევიგრძენი, ვიდრე წერას ვისწავლიდი: ჩემი ბავშვობის, ასე ვთქვათ, ჯერ კიდევ «უანბანო» წიგნებს ჩემ მიერ დატოვებული პასტის კვალი ამჩნევია. ზუსტად მახსოვს, რომ «К» და «Я» რატომღაც სარკისებურად შებრუნებული გამომდიოდა. ხოლო რაც შეეხება თვითგამოხატვას... ოთხი წლის ასაკში უკვე დამოუკიდებლად ვკითხულობდი. კარგად მახსოვს, სკოლაში რომ წავედი, სტივენსონის «განძთა კუნძულით» ფრიად გატაცებული ვიყავი და მარკ ტვენის ერთგვარი გავლენის ქვეშ ვიმყოფებოდი. მეორე კლასში დავიწყე დღიურის წერა და მალულად ვკითხულობდი «ათას ერთი ღამის» ჩემთვის აკრძალულ რვატომეულს. ვფიქრობ, ოცდახუთი წლის გადასახედიდან შემიძლია, დანამდვილებით ვთქვა, რომ ჩემზე ამ ზღაპრების კითხვამ

გაცილებით უფრო დიდი გავლენა მოახდინა, ვიდრე დღიურის წერამ (იცინის). გარდა ამისა, იმ შორეულ დროს, დაწყებითი სკოლის ეპოქაში, ჯერ კიდევ კარგად ვერ ვასხვავებდი რეალურ მოვლენებს ლიტერატურული სიუჟეტებისაგან. მიყვარდა ლიტერატურული გმირების ბიოგრაფიების ისე განცდა, როგორც საკუთარი ცხოვრებისა, და მათი ახალ-ახალი დეტალებით შევსება. ხომ დიდი უსამართლობა გახლდათ ის, რომ უოლტერ სკოტმა ასე ცოტა გვიამბო ავენჰოს სარაცინთა შორეულ მიწებში მოგზაურობის შესახებ. მახსენდება, რომ ჩემი პირველი კლასგარეშე დღიური იმის რამდენიმე ვერსიას შეიცავდა, თუ როგორ იქცეოდა აივენჰო მუსლიმურ სამყაროში – ეს სწორედ «ათას ერთი ღამის» სტილში მქონდა აღწერილი.

გარდა ამისა, ჩემს მაშინდელ დროით სივრცეში აბსოლუტურ რეალობას შეადგენდნენ ზაპოროჟიელი კაზაკები, რომელთა შესახებაც პაპასაგან ბევრი მსმენოდა, თუმცა ისინიც გვარიანად გადავასხვაფერე. კიდევ, დაახლოებით ექვსი წლის ასაკიდან ძალიან ცუდად ვარ განწყობილი იმპერატრიცა ეკატერინე II-სა და რუსეთის იმპერიის, როგორც ასეთის მიმართ. გარკვეული დროის განმავლობაში ვცდილობდი, ისტორიის ალტერნატიული ვარიანტები გამომეგონა და ბევრს ვფიქრობი იმის თაობაზე, თუ რა მოხდებოდა, ეკატერინეს ზაპოროჟიეს «სეჩი» რომ არ გაეუქმებინა.

– როგორია თქვენი ლიტერატურულ-კულტურული აურა, ვინ გესახებათ ავტორიტეტად, ანდა – რა მიგაჩნიათ ავტორიტეტულად?

– მზრდიდნენ, პირველ ყოვლისა, პაპა (ი. ფრანკოს სახელობის უნივერსიტეტის დოცენტი) და ჩემი

სკოლამდელი და სკოლისდროინდელი სიმარტოვე. ხშირად ვავადმყოფობდი, ამიტომ კითხვისა და წაკითხულის გასააზრებლად დრო საკმაოდ მქონდა. მე რომ ჯანმრთელი ბავშვი ვყოფილიყავი, ჩემს ცხოვრებაში რაღაც-რაღაცები, ალბათ, სხვაგვარად წარიმართებოდა. ინტენსიურად განვიცადე ძველი საბერძნეთისა და რომის ისტორიის პოპულარული ვერსიები, ცოტა რამ ძველი ეგვიპტეს შესახებაც ვიცოდი, სენკევიჩისა და დიუმას წყალობით საკმაოდ ადრეულ ასაკში შემექმნა წარმოდგენა პოლონეთისა და საფრანგეთის წარსულის შესახებ. ძალიან მიყვარდა შევჩენკო, რომლის არაჩვეულებრივად ჰარმონიულ რიტმომელოდიკაში, უკრაინული ენისთვისაც რომ თითქმის წარმოუდგენელია, გარკვეულ მეტაფიზიკურ ჟღერდობასაც შევიგრძნობდი. მაგრამ მისი ზეპირად სწავლა არ მიყვარდა და სრულებით ვერ აღვიქვამდი ლესია უკრაინკასა და ივან ფრანკოს ლექსებს, ვიდრე ლესიას დრამატურგიასა და ფრანკოს «მჭკნარ ფოთლებსა» და «ჩემს ზურმუხტს» არ გავეცანი (უბრალოდ, მათ წვდომას გარკვეული ასაკი სჭირდებოდა).

ჩემი სკოლის წლების ტრაგედიას ის შეადგენდა, რომ უფლება არ მქონდა, ხმამაღლა გამომეთქვა, თუ როგორ მაღიზიანებდა უკრაინული ლიტერატურის სახელმძღვანელოში დაბეჭდილი ტექსტების უმრავლესობა, – იმდენად თვით ქრესტომათიული ნაწარმოებებიც კი არა, რამდენადაც – სახელმძღვანელოს მასალა. შესაძლოა, სწორედ ეს იყოს მთავარი მიზეზი

იმისა, რომ არასოდეს მისწავლებია სკოლაში და არც მომავალში ვაპირებ ამას. უკრაინული ლიტერატურის სასწავლო კურსის მიუღებლობა ჩემში იმდენად ძლიერი იყო, რომ ფილოლოგიაზე არც კი მიფიქრია. უფროს კლასებში ორნიტოლოგობას ვაპირებდი. მაგრამ ჯერ კიდევ ფრინველთა ლათინური სახელწოდებების შესწავლისას ოვიდიუსისა და მთელი ანტიკური სამყაროსადმი უდიდესი სწრაფვა გამოვავლინე. ჯერ კიდევ ივან ფრანკოს სახელობის უნივერსიტეტში ჩაბარებამდე ბედმა შემახვედრა ოლგა სტანისლავოვნა ფედიკს – არაჩვეულებრივ ადამიანს, გამოჩენილ ლინგვისტს, ენის ფილოსოფოსს. მასთან ურთიერთობამ ჩემზე კოლოსალური გავლენა მოახდინა. შეიძლება ითქვას, ის ორი ადამიანი, ვინც ახალგაზრდობაში ჩემი პიროვნება გამოძერწა, ჩემი პაპა და ოლგა სტანისლავოვნა გახლდნენ.

დღეს ოცდაათ წელს ცოტათი გადავაცილე, თუმცა «ლიტერატურულ-კულტურული აურა» დიდად არ შემცვლია. ეს იმ ვითარებას ჰგავს, როდესაც ადამიანი (ვთქვათ, იაპონელი) ბრინჯს ანიჭებს უპირატესობას და, აქედან გამომდინარე, ცდილობს, მაკარონის, კარტოფილისა თუ შვრიის მირთმევისაგან თავი შეიკავოს. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ პრიმიტიულ ბელეტრისტიკას სულ არ ვკითხულობ, მაგრამ, ჩემი აზრით, ბევრად უფრო საინტერესოა შოდერლო დე ლაკლოსთან საქმის დაჭერა: ევროპელ მეფეთა თანამედროვენი ინტრიგებშიც კი ბევრად უფრო გაწაფულნი იყვნენ. სხვათა შორის, ალბათ, იმის გამო, რომ ინტრიგები ლიტერატურაშიც მყოფნის, რეალური ინტრიგების ატმოსფერო ჩემთვის სხვა ყველაფერზე უფრო მიუღებელია.

– თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია მწერლისათვის ფილოლოგიური განათლება? ფილოლოგი მწერალი – ეს ტენდენციაა, თუ ყველაფერი კონკრეტულ პიროვნებაზეა დამოკიდებული?

– მე მირჩევნია, «ფილოლოგის» ცნება «ჰუმანიტარის» ფარგლებამდე გავაფართოვო. არაჰუმანიტარ მწერლებს საერთოდაც ვერ დაგისახელებდით, თუმცა, ვვარაუდობ, ასეთებიც არსებობენ. ფილოლოგი თავისი არსით, პირველ რიგში, სიტყვის მოყვარულია. სხვა მხრივ, ეს სახელდობრ განათლების საკითხია. ხოლო რა არის განათლება? ბულგაკოვი მედიკოსი იყო, ივან ეფრემოვი – ანთროპოლოგი, ერთ-ერთი სტრუგაცკი – ასტრონომი... ბოლოს და ბოლოს, მეც, ოლგა სტანისლავოვნას რომ არ შევხვედროდი, უკრაინულ ფილოლოგიას ბედნიერად ავიცილებდი და ბიოლოგიის ფაკულტეტზე ჩავაბარებდი.

– თქვენთვის მნიშვნელოვანია მუდმივი ურთიერთობა თუ შემოქმედებისათვის აუცილებელ მასალას საკუთარი თავიდან იღებთ – ან იქნებ ამ ორი მომენტის სინთეზს ახდენთ?

– ლიტერატურული ტექსტი ვერ დაიწერება, თუკი ავტორი მას საკუთარი პიროვნების პრიზმაში არ გაატარებს. ამასთან, დარწმუნებული ვარ, რომ მსოფლიო ლიტერატურის მწვერვალებად აღიარებული ნაწარმოებების შექმნისას მათი ავტორები მხოლოდ თანაშემოქმედნი იყვნენ. სწორედ ამიტომაა, რომ დანტეს «კომედიასთან» ოდნავ მაინც მიახლოებული სხვა არაფერი დაუწერია. თუმცა, «ავტორისეული პრიზმის» გარდუვალობის მიუხედავად, იმას, რითაც ავტორი ცხოვრობს, რასაც ის ფიქრობს და განიცდის, არანაირი ან თითქმის არანაირი ფასი არ აქვს. რადგან განა ყოველი

ადამიანი არ ცხოვრობს, არ ფიქრობს, არ განიცდის?.. მაგრამ, აი, იყო ასეთი რემბო, სულმთლად ჭაბუკობაში, ჯერ რომ არც ეცხოვრა, ისე რომ დაიწყო გენიალური ლექსების წერა, მერე კი უეცრად შეწყვიტა, თუმცა იმ დროისათვის აზრებისა და გამოცდილების ბევრად უფრო მდიდარი მარაგი ჰქონდა დაგროვილი. სიტყვები აღარ მოსდიოდა... დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას გიორგი ჩუბაიზე. ამის მტკიცება რისკია, მაგრამ როდესაც პოეტის სიტყვასთან ურთიერთმიმართებაზეა საუბარი, მუდამ მისტიკოსი ვხდები.

გვიანი ბროდსკი, გვიანი პავლიჩკო – ფრიად გამოცდილნი, მაგრამ ნაკლებსაინტერესონი არიან. ეს მეორე სუნთქვა ყველას როდი ეხსნება. საერთოდ, საიდან მოდის ის და რას წარმოადგენს? დავეთანხმები სულმთლად ახალგაზრდა პოლონელი პოეტის, იაცეკ ფონ დენელის სულმთლად ახალგაზრდა მეგობარი ქალის მიერ გამოთქმულ აზრს: «ლექსები თავიდან, ანუ არასაიდან ჩნდება», ჩემის მხრივ კი დავძენ, რომ პოეზია მხოლოდ მაშინაა ჭეშმარიტი პოეზია, როდესაც ის უშუალო გამოცდილებიდან არ გამომდინარეობს. სხვაგვარად ის რეპორტიორობად, მეტ-ნაკლებად კარგად ათვისებულ უნარად იქცევა. დიდი იმედი მაქვს, რომ ლექსების წერისას მასალას საკუთარ შინაგან არსს არ ვესესხები. ადამიანი თავისი შინაგანი არსით მეტისმეტად წააგავს სხვა დანარჩენ თბილსისხლიან არსებებს. მისი «შინაგანი არსი» ფიზიოლოგიურია. მაგრამ პოეზიის წყარო ხომ სულ სხვა რამაა.

წერას არანაირად არ უწყობს ხელს არც პოეტის კონკრეტული ცოდნა, არც მისი უნარები თუ კეთილი ნება. ჯერაც არ ვიცი, პოეტი ვარ თუ არა, მაგრამ გაოცებით ვკითხულობ ჩემ მიერ ოდესღაც, რამდენიმე თვის

განმავლობაში დაწერილი სონეტების თვრამეტ გვირგვინს. როგორიც არ უნდა იყოს მათი ლიტერატურული ფასეულობა, ერთი რამ დანამდვილებით ვიცი: დღეს სონეტთა თუნდაც ერთი გვირგვინი თუ შემიკვეთეს, თანაც, კარგი ჰონორარის ფასად, თანაც, მისი დაწერის პერიოდისათვის უამრავი მიმდინარე მოვალეობისაგან გათავისუფლებასაც თუ დამპირდნენ, ალბათ, მხოლოდ იმას თუ მოვახერხებ, ჩემი «შინაგანიდან» ნასესხები უბადრუკი რამ შევთხზა.

– რით ხელმძღვანელობთ ლექსის მეტრიკის შერჩევისას? რას ნიშნავს თქვენთვის ვერლიბრი და სილაბურ-ტონური – ორი ურთიერთგამომრიცხავი საწყისი, გამოხატვის განსხვავებული საშუალებები?..

– ლექსის ჩაფიქრება, დაგეგმვა და, მით უმეტეს, მის დასაწერად პოეტური საზომის შერჩევა ჩემთვის იგივეა, რაც სიზმრის ჩაფიქრება და დაგეგმვა. თქვენ შეგიძლიათ, ისე გააკეთოთ, რომ დღეს, ვთქვათ, ვერცხლისფერი ცხენები დაგესიზმროთ, ანდა – ფერდობზე იარუსებად შეფენილი ტყე, ან, უბრალოდ, კონკრეტული ადამიანი? მე არ შემიძლია. მე შემიძლია, მხოლოდ დავჯდე და რაიმეს დაწერა მოვინდომო, როგორც შეიძლება ჩაძინება მოგინდეს. წინასწარ არასოდეს იცი, რა დაგესიზმრება. ცხადია, შემიძლია, გარკვეული ფორმით ორგანიზებული გარითმული ტექსტები ვაწარმოო. მაგალითად, არსებობს ასეთი თავშესაქცევი, რომელიც მართობს: ვწერ აკროსტიხებს ვინმეს გვარ-სახელზე ან რაიმე არცთუ ისე გრძელ სენტენციაზე, რომელიც ვერტიკალურად იწერება. ასეთ შემთხვევებში, ცხადია, ვუფიქრდები სტრიქონის ზომასაც, ასონანსებსაც, მამრობით თუ მდედრობით რითმებსაც და ლიტერატურული კრიტიკოსისათვის (თუ ლიტერატურათმცოდნესათვის) საინტერესო სხვა

მომენტებსაც. მაგრამ არ მიმაჩნია, რომ ამგვარად დაწერილ ტექსტებს რაიმე აქვთ საერთო სახელდობრ პოეზიასთან, ქმნადობის მაგიასთან... ეს გარკვეული საქმიანობაა, მზადება, დიდოსტატთა წინაშე ქედის მოდრეკის საშუალება. მაგრამ ეს პოეზია არ არის. ყოველ შემთხვევაში, მირჩევნია, ცნებების ჩანაცვლებისაგან თავი შევიკავო.

– პოეზიის ანთოლოგიაში, «მე და ის», შესული თქვენი ლექსების შესავალში რატომ საუბრობთ გრაფომანიაზე?

– რადგან იმაზე ბევრად მეტს ვწერ, ვიდრე ვაქვეყნებ. იმ ადამიანებს, ვინც გონივრულზე უფრო მეტს წერენ, გრაფომანებს უწოდებენ. საბედნიეროდ, საკმაოდ თვითკრიტიკული ვარ, ამიტომაც, ლიტერატურის იმ მკვლევარს, ოდესმე ჩემი შემოქმედებით რომ დაინტერესდება, ვურჩევდი, მარიანა კიანოვსკას პოეზიის კითხვას დიდი დრო არ დაუთმოს. დამატებით შეიძლება ჩემმა თარგმანებმა დააინტერესოს.

– თქვენი აზრით, რას წარმოადგენს პოსტმოდერნიზმი? მიზანშეწონილი თუა, ვილაპარაკოთ უკანასკნელი ოცწლეულის უკრაინულ ლიტერატურაზე როგორც პოსტმოდერნიზმზე? არსებობს თუ არა კავშირი სერიოზულ, ფილოსოფიურ, თეორიულ პოსტმოდერნიზმსა და თანამედროვე უკრაინულ ლიტერატურას შორის?

– სერიოზულ, ფილოსოფიურ, თეორიულ პოსტმოდერნიზმსა და თანამედროვე უკრაინულ ლიტერატურას შორის კავშირი უეჭველად არის. თუნდაც იმიტომ, რომ გარკვეული დროიდან მოყოლებული, უკრაინაში ხელმისაწვდომი გახდა შესაბამისი ტექსტები (პირველ ყოვლისა, მხატვრული). ანუ, გაჩნდა შესაბამისი დისკურსი. მაგრამ იმისათვის, რომ სერიოზულად ვილაპარაკოთ

პოსტმოდერნიზმის უკრაინულ ვარიანტზე, სულ ცოტა, ტერმინოლოგიისა და მეთოდოლოგიის დონეზე მაინც უნდა შევთანხმდეთ. ყოველ შემთხვევაში, ეს ცალკე საუბრის თემაა.

ვიტყოდი ასევე, რომ გარკვეული მოდელების გამოყენებისას პროზის წერა უფრო ადვილია. პოეზია უპირატესად უფრო სპონტანურია. პოეზიაში თამაშის გარკვეულწილად სხვა ბუნება და ციტატის უპირატესად განსხვავებული ბუნება და სტრუქტურაა. განა გერასიმიუკი, რიმარუკი, ბილოცერკივეცი და მალკოვიჩი პოსტმოდერისტები არ არიან? ანდა – ივან ანდრუსიაკი? გალინა კრუკი? სლივინსკი? ხოლო პოსტმოდერნისტი ანდრეი ბონდარი ვითომ მართლაც პოსტმოდერნისტია? პასუხს კი არ გცემთ, კითხვითვე გპასუხობთ. ჯეიმს ჯოისს კანონიკურ პოსტმოდერნიზმს მივაკუთვნებდით (თუმცა კანონიკის ცნება ვითომდა პოსტმოდერნიზმზე წარმოდგენებს ეწინააღმდეგება, მაგრამ რაღაც კრიტერიუმები მაინც ხომ უნდა არსებობდეს), მას რომ რამდენიმე ათწლეულით ადრე არ ეწერა. ანდრუხოვიჩი, შესაძლოა, კლასიკური პოსტმოდერნისტიც ყოფილიყო, გერმანიაში, იტალიაში ან აშშ-ში ცოტა უფრო ადრე რომ დაბადებულიყო. დერეში, იზდრიკი, სნიადანკო, ტარას პროხასკო – თითოეულ შემთხვევაში ხომ ძალზე ბევრია დამოკიდებული კონკრეტულ მიდგომაზე! ეს მართლაც ცალკე საუბრის თემაა. არაერთი ცალკე საუბრისა.

– უკრაინულ ლიტერატურასთან მიმართებაში მართებულად თუ მიგაჩნიათ ივან ფრანკოს თეზისი ლიტერატურის, როგორც თაობათა მოვლენის შესახებ?

– თან ჰო, თან არა. უფრო მართებულად მივიჩნევდი, – თუმცა ამაში სავსებით სუბიექტური ვარ, – თაობებზე კი არა,

კონკრეტულ ტრადიციებზე ლაპარაკს. თანამედროვე უკრაინულ ლიტერატურაში გვყავს ტრადიციის მიმდევრები როგორც პოეზიაში, ისე პროზაშიც. ვთქვათ, იზდრიკისა და პროციუკის პროზა, ანდრუხოვიჩისა და იგორ პავლიუკის პოეტური ტექსტები განხვავებულ დონეზე არსებობს და სრულიად სხვადასხვა აუდიტორიისადმია მიმართული... მაშინ, როდესაც, ვასილ გერასიმიუკისა და გალინა კრუკის პოეზია (მათ შორის კი ოცი წელია სხვაობა), ვალერი შევჩუკისა და ქსენია ხარჩენკოს პროზა (ამ შემთხვევაში სხვაობა ორმოც წელს შეადგენს) სრულებით არ შედის ერთურთთან დისონანსში. საერთოდ, ამის თაობაზე ლაპარაკს რატომღაც ერიდებიან. შესაძლოა, იმიტომ, რომ ამ საკითხებში ძნელია რაიმეს მტკიცება, ვიდრე დროის დისტანცია არ არსებობს. შესაბამისად, კრიტიკოსი, – რამეთუ ლიტერატურათცოდნისათვის ეს ჯერ ნაადრევია, – რაიმე კონკრეტულის მტკიცებისას ძალიან დიდ რისკზე მიდის. ვეცდები, ცნებათა ჩანაცვლებას მოვერიდო, ამიტომაც შეკითხვას შემდეგნაირად ვუპასუხებ: უკრაინულ ლიტერატურასთან მიმართებაში ივან ფრანკოს თეზისი ლიტერატურის, როგორც თაობათა მოვლენის შესახებ, პირველ ყოვლისა, რაოდენობრივადაა მართებული: უფროსი თაობის მწერლების უმრავლესობა ათასწლეულთა მიჯნაზე ახალგაზრდების უმრავლესობისაგან განსხვავებულად წერს. ხოლო თუ ხარისხობრივ ჭრილზე ვილაპარაკებთ, ამჟამად უკრაინულ ლიტერატურაში ვხედავთ განსხვავებული ტრადიციების თანაარსებობას, რომელთაგან თითოეული, სულ ცოტა, ორი-სამი მნიშვნელოვანი სახელითაა წარმოდგენილი. მაგრამ ჩვენს კრიტიკოსებს ნაკლებად აინტერესებთ ის თეორიული საკითხები, ფრანკოსა და ელიოტს რომ აღელვებდათ. შესაძლოა, ეჩვენებათ, რომ ეს საკითხები უკვე დიდი ხანია, რაც გადაჭრილია.

გაზეთი «ZN,UA”, 2007 წელი.
თარგმნა თამარ კოტრიკაძემ

ლექსები

თარგმნეს შოთა იათაშვილმა და რაულ ჩილაჩავამ

* * * (მძივი გაწყვიტა სიკვდილმა და...)

მძივი გაწყვიტა სიკვდილმა და
გაფანტულ მარცვლებს
ისე აგროვებს
როგორც თავებს
გახვრეტილს ტყვიით

ორი ლექსი, მიძღვნილი მილოშისადმი

1.

საწყისი ალაგი რომ ყოფილიყო
მხოლოდ ალაგი

არა რუკაზე აღნიშნული –
თავისთავადი

და არა ათასი ფოტოსურათი
სახეებით თუ მათ გარეშე

და ის რაც წიგნების შუაგულშია
ქარი და თოვლი
ზეთისხილი და ლიმონი
ყავა და ღვინო
რომ არ ტოვებდეს
ლაქებს ვთქვათ კანზე
ან ჩრდილივით
ქვაფენილზე არ ეცემოდეს

და წარსული რომ ყოფილიყო
მხოლოდ წარსული
ანდა არამხოლოდ წარსული

შეძლებდა პოეტი ყოფილიყო
მხოლოდ პოეტი
ანდა არამხოლოდ პოეტი

2.

ამოდის ჩადის
ამოდის ჩადის
ამოდის ჩადის

გაუთავებლად

სიკვდილი ვით მზე
ლექსებშიც და ლექსების მიღმაც

გონის ჩიტი კი

არც ბუდეშია არც გალიაში

არც ყურშია არც თვალშია და არც ხელშია

შუაშია
სადღაც შუაში
ძალზედ შუაში

და დადის დადის
არ ძალუძს ფრენა
წამოიწევა ისევ ჩაჯდება

გაუთავებლად

* * * (პალატაში ისეა როგორც ჩიტის ბუდეში...)

პალატაში ისეა როგორც ჩიტის ბუდეში
სიმყუდროვეა არ ქრის ქარი ბნელა ხის წებოს
სუნი ტრიალებს
ანგელოზთა ფრთებით მჟღავნდება
სახლში ნივთების ხასიათი მოულოდნელი
ხელის ტკივილი კვამლისაგან ყელის ტკივილი
ტკბილიც და მლაშეც როგორც სისხლი
გაჟონა შუქმა კოცონისა
ჯერ ქსოვილში მერე კი კანში
ვისაც არ სძინავს ცდილობს ისუნთქოს
იკუმშება ფილტვების ფრთები

ხვალე ვიღაცას
მიეყინება შუქი ტუჩებზე
თვალის გუგებზე

ახლა კი ქვათა მოგროვების ჟამი დამდგარა –
მკვდარი ცოცხალმა
თავისი ტანით უნდა გაათბოს

ასწავლოს ფრენა

* * * (უდაბნო, მშიერი თავებით ქვიშის....)

უდაბნო, მშიერი თავებით ქვიშის.

დამშეული თავებით, მოსეს ზურგსუკან რომ მიგორავენ

ისე დიდხანს, რომ
უკვე ბავშვები
და ამ ბავშვების ბავშვებიც კი იბადებიან,
გამხმარ პურთან დაწყობილი
თევზი კი ხმება.

ხოლო ცის ქვეშ, ზედ მზის გულზე
რომ დაიყარა,
იმ გამხმარი ძვლების ფიჩხისგან
ტყე იზრდება უზარმაზარი.

ვინაიდან უფლისაა ეს უდაბნო

ის არ უშვებს
და ეშვება

ზოგიერთ თავზე,
გამომხმარი
რომ მიგორავს
ცის კაბადონზე

ოქროს ქვიშა
ცოცხლადაა
გაფანტული.

აღთქმული უდაბნო
შიშვლების არის და
დამშეულების.

* * * (ცული ვარ ხეს რომ ჩეხს...)

ცული ვარ ხეს რომ ჩეხს

რამეთუ ხეცა ვარ მე და რკინაცა ვარ

ვისაც ვკლავ
ხორცი ვარ იმისი ხორცისა

იქნება იარაღი?
იქნება ქაღალდიც

და ლექსი ქაღალდზე
რკინა და ხე

და ხე
და ცული ლექსისა

* * * (ზღაპარს მოგითხრობ გოგონაზე...)

ზღაპარს მოგითხრობ გოგონაზე
საქორწინო ბეჭდით ხელზე – მარცხენაზე –
რომ დადიოდა და ტიროდა დროგამოშვებით
უფრო ხშირად კი უბრალოდ დადიოდა
სახურავებით ვიადუკებით
ამოსუნთქვებით
ხელისგულებზე გაცილებით აბრეშუმივით ზედაპირებით

სწორეთი და კონუსისებრით
და ამოთქვამდა მზეს

მოგიყვები
რათა შენ მას არ აწყენინო

ჩამარხულო იმ ამფორასავით
მოცეკვავე გოგოს ფიგურა რომ ახატია

უკრაინელ ჯარისკაცებთან ერთად

* * * (ეს პირველად გალისიური...)

ეს პირველად გალისიური
პატარა ქალაქის კიდეზე მოხდა
მეტისმეტად დატკბილული
აღმოჩნდა ყავა

შენ შემეკითხე
რომელ საათზე
აყვავილდა

ეს ვაშლის ხე
მე არ ვიცოდი

ამის მერე ზოგჯერ
კვლავ და კვლავ
მეკითხებოდი

რომელ საათზე
ხოლო მე კი ვიფიცებდი

რომ არ ვიცოდი

არაფერი
გარდა ყავისა იმ საღამოთი

ავტორისეული პწკარედებიდან
თარგმნა შოთა იათაშვილმა

* * * (ეს მტკივა. მტკივა სისხლის დენამდე...)

ეს მტკივა. მტკივა სისხლის დენამდე.
ჩემს ყოველ სიტყვას ტკივილი მსჭვალავს.
მხოლოდ ენაში მე ვითმენ ამდენს –
მკვდრეთით აღმდგარი კვლავ ვიკრებ ძალას.

ო, წარმავლობავ, უთავბოლოდ მდევ
და გულში მიკრავს შენი სტიქია.
მე ვიფერფლები მაშინ ბოლომდე
და რა მახარებს, ვერ გამიგია!

* * * (ვართ სანუკვარნი...)

ვართ სანუკვარნი – ამ სიზმარს და იმ სიზმარს შორის.
მე ბაგეებზე დამეწაფა ბაგენი შენი.
გავერთსხეულდით. და ცის შიშველ კუნძულებს ორის
მაგიერ კენტად ვეჩვენებით, ცის მადლი გვშვენის.

შვიდი ბეჭდიდან სხეულს გვიწვავს ბეჭედი ერთი,
გვანაცარტუტებს. დაგვიფერფლა უკვე მკლავები
და შორი ექო უსასრულო სივრცეებს ერთვის,
ცის კუნძულები ციმციმებენ, ვით ვარსკვლავები.

* * * (სიშიშვლე შენი სახლის...)

სიშიშვლე შენი სახლის, სადაც წყვილ-წყვილად არის
არსი ყოველი, სიშიშვლეა პირადად ჩემი.
ჩვენ ღრუბელ-ღრუბელ მიგვაფრენდა ფრთამალი ქარი,
და მერე ზეცას შეეზარდა ღრუბელი მრწემი.

და დარჩა მისი ტოტები და მტევანი მუქი.
დავლიეთ ღვინო, აღარა ვართ ვინმეს მგმობელი.
მადლობას გეტყვი, შენს შავ კაცთან გაამხელ თუკი,
რომ თვითონ შავი, სხივფენილი მყავს ღვთისმშობელი.

* * * (ქვა, წყალზე მძიმე...)

ქვა, წყალზე მძიმე, ამოვზიდე ფსკერიდან ნელა.
იგი გაშრება და მიმწუხრად იქცევა მალე.
ის მარცვალს ჰგავს და უძველესი ფერებით ელავს
და ნირვანიდან ეს-ესაა აახელს თვალებს.

მე მინდა იმ ქვას მოვეფერო, მოვბანო წყლული,
რომელშიც თითქოს მდუმარების უფსკრულებს ჩატევ.
მერე კი გულში ჩავისვა და გაჩერდეს გული.
ქვა წყალზე უფრო მძიმეა და ყვავილზე მჩატე.

* * * (დავიწყებათა ტილოები ეხება მზერას...)

დავიწყებათა ტილოები ეხება მზერას,
რიჟრაჟის შუქში იქარგება ჰორიზონტები.
შენა ხარ ჩემთვის სიყვარულის ცეცხლის მომდები.
მიყვარხარ! შენ ხარ ჩემთვის სიტყვა, რომლისაც მჯერა.

გარდასახვაა ესეც. დაწვი ხელნაწერები,
რომლებიც ბედის განჩინებას ამხედრებიან.
ცად გაჩორკნილი მაგიდები მივლენ ცერებით
და შორ ღრუბლებში შეუმჩნევლად, ჩუმად დნებიან.

* * * (მალე მოვკვდები...)

მალე მოვკვდები. მე სულ მალე მოვკვდები, მჯერა,
წავალ იქ, სადაც უდაბნოა უსაზღვრო, მწველი.
შენთვის მიძღვნია ეს ცდუნება, მძიმე და ძველი,
რომელშიც ჩემი სიყმაწვილე სულს ითქვამს ჯერაც.

მიიღე იგი, ვით თმის ღერი თითოეული,
თუმცა ვერაფრით გიხსნის მისი შეძლება მწირი.
ის ჰგავს შორიდან ძეს შეცთომილს, როცა ეული
შინ უცაბედად ბრუნდება და გულწრფელად ტირის.

* * * (მიყვარხარ, როგორც შორეული ჭეშმარიტება...)

მიყვარხარ, როგორც შორეული ჭეშმარიტება,
რომლის შეცნობა მე გამომდის არც თუ ადვილად.
დღეს დავინახე, საფრთხის ცეცხლი როგორ ინთება, –
ნათქვამს ახდენა უწერია. დგება სხვა დილა –

ყეფენ ძაღლები, ცახცახებენ მთიები, მთები,
შენზე ლოცვების ნაღვერდალი მკერდზე მაჩნია.
და ჩემს სიზმრებში იმარჯვებენ ძლიერი ფრთები,
როდესაც უკვე ხმა საერთოდ არ გამაჩნია.

უკრაინულიდან თარგმნა რაულ ჩილაჩავამ

იური ვოლოდარსკი – ნაიადას ჩანაწერები

თარგმნა თამარ კოტრიკაძემ

მარიანა კიანოვსკას მოთხრობები გაჭრილი ვაშლივით ჰგავს თავიანთ პატრონს. ეს მოთხრობები ნოტიო ჩურჩულით გვესაუბრებიან. იმ მორევებივით ღრმა და ჩუმია, სადაც, რუსული ანდაზისა არ იყოს, ქალური ჭინკების ბატალიონები ჩასაფრებულან. ისინი დიდრონი მუქი თვალებით გიმზერენ, გაჯადოებენ და ზღაპრული ქალთევზებივით სიღრმეში გითრევენ. ამ პროზაში გამოყენებული მეტაფორები მთლიანად წყლის სტიქიიდანაა ნასესხები. თვით სიტყვა «სტიქია», რომელსაც თან მოჰყვება სიტყვა «стихи» ანუ «ლექსები», აქ შემთხვევით როდი ჩნდება. კიანოვსკას პირველი პროზაული წიგნი იმ შემჭიდროებულობით, დენადობითა და რეფლექსიური პოტენციალით გამოირჩევა, რომელიც,

ზოგადად, პოეზიას ახასიათებს. ამ არქეტიპული ტექსტების შემაშფოთებელი სიჩუმის, წყლის ტლაშუნის, შრიალისა და შარიშურისაგან შექმნილ ქსოვილში დაძაბული დრამატურგია გამოსჭვივის. ყდაზე შემთხვევით როდია გამოსახული მდინარის ბუნდოვანი პეიზაჟი, რომელსაც ძველისძველი დანით ჯვარედინად აქვს ხაზი გადასმული. ეს დანა წიგნის პირველი ნოველიდანაა, რომელსაც «ის და ბავშვები» ეწოდება, თუმცა ამ დანის სიახლოვე რაღაცნაირად დანარჩენებშიც შეიგრძნობა. მამობის საიდუმლო. სიყვარულის მოლოდინი. ბედის შეცვლა. დავა სიკვდილთან. ტკივილი, როგორც არსებობის წინაპირობა. წიგნში მოთავსებული ხუთივე მოთხრობა ყოფიერების ძირეულ სიუჟეტებს მიმართავს და, ამასთან, ყველას გარდასახვის გამჭოლი თემა აერთიანებს. კიანოვსკას გმირი ჭუპრია, რომლიდანაც, საცაა, პეპელა გამოფრინდება. ეს პეპელა, შესაძლოა, ცხოვრება იყოს. ანდა სიკვდილი. ზოგჯერ უცნაური განცდა გვეუფლება, თითქოს მოქმედება პარალელურ სამყაროში მიმდინარეობს. თითქოს ბიბლიური და ზოგადადამიანური სახელების მატარებელი მთელი ეს პერსონაჟები, ლოგოსის ძალით კაფკასეული ზედროულობის წყვდიადიდან გამოხმობილნი, ან ჯერაც არ დაბადებულან, ან უკვე დაიხოცნენ. იმ მდინარეებსაც, წიგნის ნოველებში უხვად რომ გაედინება, სინამდვილეში თითქოს სტიქსი, კოკიტოსი, აქერონტი ჰქვიათ. წიგნი იმ დებიუტების რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც ჩვენში შეკითხვას ბადებს: ამის შემდეგ რაღა იქნება? კიანოვსკას მიერ შერჩეული ესთეტიკა მისი შემოქმედების იმანენტურ თვისებას წარმოადგენს თუ მას გარდასახვაც შეუძლია? მზადაა თუ არა ავტორი, საკუთარ გმირებს გაჰყვეს და მომავალში სრულებით ახალი სახით მოგვევლინოს?

თარგმნა თამარ კოტრიკაძემ

2. პოეზია

ზვიად რატიანი

* * * (დაიმსხვრა შენი თანდაყოლილი სარკე...)

დაიმსხვრა შენი თანდაყოლილი სარკე.
ყველა ნამსხვრევში შენი სახის სხვადასხვა დროს
არეკლილი ნამცეცი ჩარჩა.
დაჩერებიხარ შუშის გუბეს. ვერაფრით არკვევ,
თუ როგორ უნდა გამოხშირო აქედან ტანჯვა
და სიხარული მოხვეტო ცალკე.

ყველა ნამსხვრევში როცა შენა ხარ,
მაგრამ არცერთი, არც ფერით და არც წახნაგით, არ უდგება
ნებისმიერ მეორეს, რათა
ფრაგმენტი მაინც გაამთელო, როცა შეახმათ
ანარეკლებიც, უნდა მიხვდე, რომ უკვე მართლა
საშიში არის მათი შენახვა.

უფრო საშიშიც, ვიდრე გადაყრა.
თუმცა, რაც გინდა დიდხანს ხვეტო, საეჭვოა, არსად
დარჩეს ბასრი და წვრილი
ნაწიბური, და შეგესოს ფეხისგულში, თუკი ხანდახან
მძინარეს ისევ წამოგაგდებს ოდესღაც ტკბილი,
დღეს კი ყველაზე მწარე «სადა ხარ»

და ფეხშიშველი ეცემი სარკმელს...
ჩამიჩუმი არ იქნება ბნელ ქუჩაში. შრიალიც კი (ზამთარია!)
– არათუ გმინვა.
ცრემლი მოწყდება და აშრება როგორღაც ცალკე:
ლოყა ვერ იგრძნობს. ვერც არეკვლას მოასწრებს მინა –
შეძენილი, ახალი სარკე.

გიორგი ლობჟანიძე

ერთი მათგანი

ეს – ქარშხალში – ვიცი – ჩემი ბოლო ცეკვაა,
თავგანწირული დერვიშების ბუქნი და ყირა,
შორი ენძელის ზანზალაკი დაურეკავად
წკრიალებს, თითქოს, უდაბნოში მიაფრთხობს მირაჟს.
მეც მოგიხმობდი, როგორც ბევრი: «სადა ხარ, ღმერთო!» –
როს წელში მწყვეტდა წუთისოფლის ღალა-ბეგარა,
პასუხად, თვალწინ მხოლოდ ზანტი უდაბნო მენთო,
ტანზე აქა-იქ მირაჟების ხორკლი ეყარა.
და მეც უდაბნო საბანივით შემომიკეცე,
თითქოს ყმაწვილი ვარ, მბორგავი, თითქოს სიცხე მაქვს,
ქვიშის მარცვლების ბორიაყით მომდევ და მეძებ
და ქვიშასავით წრეზე ბრუნავს თავდავიწყება...
უკანასკნელი როკვა არის! მშვენივრად მესმის! –
ორის ცეკვაა სამაია, სამად ნათქვამი,
ორი კი ცეკვავს, მაგრამ ისე სწრაფად როკავენ,
რომ ამ ბზრიალში აღარა ჩანს ერთი მათგანი...

დავით რობაქიძე

ჰინენი

ტურისტი ეძებს სინაგოგას, გაშალა რუკა,
ქაღალდზე თითით მიუყვება გამოვლილ მანძილს,
ჩიხიდან შარა უპოვნია, შარადან შუკა,
სეფიროტივით დაკარგვია მთავარი ხაზი.

ვუხსნი, პირდაპირ სიონიდან როგორ გადავა,
პატარა სკვერით, ჯვარისმამის მოპირდაპირედ
სინაგოგასთან. ყურადღება სხვაგან გადამაქვს,
ვემშვიდობები, მაგრამ წასვლას სულ არ აპირებს.

ამბობს, რომ აღარ უხარია საფლავის გახსნა,
ხანძარი გაჩნდა, ჰეიფაში დაეწვა სახლი,
მაინც ვერავინ ვერ იპოვნეს, არავინ დახვდათ,
ცეცხლის გადმოსვლაც გამოსცადა საკუთარ თავზე.

შევწუხდი, ცოტა გავარიდე ბუნკერის ძაღლებს,
გვერდიგვერდ, ახლო, ნაპირ-ნაპირ ვიარეთ ერთხანს,
მოხუცი ქალი ტროტუარზე – ფისუნებს აძღებს,
მოხუცი ქალი აივანზე – ხალიჩას ფერთხავს.

ეკა ქევანიშვილი

ყოფილი პარლამენტარი პოლიტიკაში ბრუნდება

დასვენება საკმარისია.
და პენსიაც პარლამენტარის, ამ ბოლო დროს დაცოტავდა,
მალე ორთქლდება.
ხოლო ქამრის შემოჭერა ცოტა მომბეზრდა.
მომენატრნენ აბეზარი ჟურნალისტებიც –
ფერად-ფერადი მიკროფონი-მამალოების პირში ჩაჩრაც
მესიზმრა წუხელ:
რაც უნდა მკითხონ, საბოლოოდ მაინც ტკბილია
ტელევიზორში თავის დანახვა.
თუ არავინ გიყურებს – მაშინ განსაკუთრებით.
სასიამოვნო ჟრუანტელი რომ დაგივლის, თუ წარმოიდგენ,
ახლა შენ გისმენს მთელი ქვეყანა.
საკმარისია ჩირგვში ჯდომა და ლოდინი –
რომელიმე ყვითელ გაზეთს შემთხვევით თუ გაახსენდები.
გკითხავს რამე უინტერესოს, სახლზე თუ ბაღზე თუ
მანქანაზე, რომელიც,
კარგად გამახსენდა, უკვე მოძველდა.
დროა, ახალში გადავინაცვლო.
საკუთარი ფულის ხარჯვაც მოსაწყენია
სამოგზაურო ბილეთებში, ტელეფონში, საწვავში, მძღოლის
გამოძახებაც, ვაღიაროთ, იყო უფრო კომფორტული და
მოხერხებული.
საკმარისია, ვიყო ყოფილი პარლამენტარი.
გავაპრიალებ წვეტიან შავ ფეხსაცმელებს,
გახამებული პერანგების ჯარსაც დავრაზმავ. მძაფრი
სუნამოც – ხალხში შესვლისას
მხოლოდ მისი სუნი რომ ვიგრძნო, საჭიროა მოვიმარაგო.
რამე სლოგანიც მოვიფიქროთ – საყველასო, მაგალითად,
ყველზე და პურზე

– ყველას რაც უყვარს და რაზეც ყველა წამოეგება,
როგორც მატლიან კაუჭზე თევზი. ვახსენოთ ღმერთი.
და სამშობლოც კარგი იქნება, ჩავაკვეხოთ.
გამოვჩნდეთ ხალხში რომელიმე დიდ ეკლესიაში,
აჯობებს – დიდ დღესასწაულზე.
ღიმილიანი საარჩევნო პლაკატებით მოვედოთ ქუჩებს,
სოფლებს, ქალაქებს.
წინ რომელიმე პარტიისკენ, სულერთია! ოღონდ
დავბრუნდეთ,
სჯობს, რომელიც გაიმარჯვებს, იქ ჩავდგათ ფეხი, თუ
ჩაგვეტევა,
მერე უფრო ადვილია სადმე გადასვლა.
დროა, დავბრუნდე პოლიტიკაში!
დროა, მეტროში დღეს ჩავიდე და კორპუსთან
შეკრებილების სულელური
დარდი ვისმინო – დღეს მათთან ასე მიახლოება
ნიშნავს ხვალ მათგან შორს ყოფნას და დასვენებას,
პოლიტიკოსის მოუცლელობას.
დასვენება საკმარისია.
დროა, ჩრდილიდან ნელა-ნელა გამოვიძურწოთ.

გიო საჯაია

ოდა ვიზალიბერალიზაციას

ეს ქვა, უფრო სწორად – ბეტონის ნაჭერი,
რომელიც სახლში, სალოცავად განკუთვნილ კუთხეში
მიდევს,
სულაც არ არის გოდების კედლის ფრაგმენტი,
ის, «Deutsche Grundstuecksauktionen AG»-ის აუქციონზე,
7800 ევროდ ნაყიდი, ბერლინის კედლის ფრაგმენტია.
ყოველ დილით, სახლიდან გასვლის წინ,
ხელით ვეხები და ეს არის ჩემი ლოცვა,
ლოცვა მიზნისთვის, რომელსაც სახლიდან გასულმა უნდა
მივაღწიო.
დღესაც, ამ სხვებისგან არაფრით გამორჩეულ,
გრიგორიანულ კალენდარზე 2016 წლის
19 დეკემბრით აღნიშნულ დღეს,
ვეხები ისტორიის ამ უმნიშვნელო ფრაგმენტს
და ვიწყებ სვლას ნათელი მომავლისკენ,
რომელსაც ვიზალიბერალიზაცია მიქადნის.
პირველი, ვინც კარის ზღურბლზე გადაბიჯებისთანავე
მახსენებს,
რომ ერთი გრადუსითაც არ უნდა გადავუხვიო
აღებული კურსიდან, შუახნის მამაკაცია –
დგას სადარბაზოს კიბეზე და შარდავს.
ჩვენი თვალები ერთმანეთს ხვდებიან
და მე ვკითხულობ ზიზღს, მისაში
და ის კითხულობს უხერხულობას, ჩემსაში
და მე მინდა მივიდე მასთან,
მამაკაცური ღირსება დავუჭირო,
კარგად დავუფერთხო მოსაქმების შემდეგ,
შარვალში მოწიწებით ჩავუბრუნო,
ზონარი საგულდაგულოდ შევუკრა,

მხარზე ხელი დავარტყა მეგობრულად,
ყოჩაღ-მეთქი, ვუთხრა და უკანმოუხედავად გავშორდე,
მაგრამ ჩვენ შორის სავიზო რეჟიმის რუბიკონია – შარდის მდინარე,
რომლის გადალახვის ძალაც არ შემწევს
და ვერ მივდივარ.
სადარბაზოდან გასულს,
თვალში მშიერი მოხუცი მხვდება,
არც – ქალი, არც – კაცი, უბრალოდ – მოხუცი,
რომელმაც, სულ ახლახან, სანაგვე ყუთში, ვიღაც მაძღარის,
არც ქალის, არც – კაცის, უბრალოდ – მაძღარის მიერ
გადაგდებული პურის მოზრდილი ნაჭერი იპოვა
და თავისი, დრო-ჟამისგან დანაოჭებული,
ცხოვრების უკუღმართობით გაუხეშებული
და თავად ცხოვრებასავით დეფორმირებული,
მაგრამ უსაშველოდ მშობლიური
და აუტანლად სევდისმომგვრელი,
აცახცახებული ხელებით გულში იხუტებს
და შეშინებული თვალებით უცქერს ვიღაც გამვლელ მოქალაქეს,
არც ქალს, არც კაცს, უბრალოდ მოქალაქეს,
რომელიც უშვერი სიტყვებით ლანძღავს იმის გამო,
რომ შემთხვევით, ნაგვის ყუთიდან, პურს,
ვიღაცის უკანალში ამოსმული ქაღალდი ამოაყოლა,
რომელიც ქარმა სახეზე ააფარა,
ამ არაქალს, თუ არაკაცს, მაგრამ – მოქალაქეს,
როგორც უტყუარი საბუთი წუთისოფლის ამაოებისა.
და მე მინდა, მივიდე მათთან და ვთხოვო მოხუცს,
მიწილადოს პური, რამეთუ მეც დიდ მარხვაზე ვარ,
ანუ სულიერად ვშიმშილობ,
ჩემი წილიდან კი გაცხარებულ მოქალაქეს ვუწილადო

ლუკმა –
ნატეხი ქრისტეს ხორცისა,
რომ იქნებ, ერთხანს მაინც გაჩუმდეს
და დაფიქრდეს ჯვარცმის თანმხლებ ტკივილზე,
მაგრამ ჩვენ შორის სავიზო რეჟიმის მწუხარების გზაა – Via Dolorosa,
რომლის გავლის ძალაც არ შემწევს
და ვერ მივდივარ.
მივიწევ წინ, ნათელი მომავლისკენ.
აი, უსახლკარო ბავშვი,
არც – ბიჭი, არც – გოგო, უბრალოდ – ბავშვი,
რომელიც, ეს-ესაა, გაიყინება და მოკვდება.
არც გარდაიცვლება, არც სულს განუტევებს, უბრალოდ, მოკვდება.
ტროტუარის გაყინულ ბორდიურზე ჩამომჯდარა და არაფერს ითხოვს,
საერთოდ არაფერს,
ზის და გარდაუვალ სიკვდილს ელის,
როგორც მისი თანატოლები ელიან საახალწლოდ სანტას.
და მახსენდება საკუთარი თავი ამ ასაკში,
როგორ ვმალავდი ხიზილალიან პურს კარადაში,
ძვირფას სერვიზში, რადგან მშობლებმა, რამდენჯერმე,
საჭმლის ფანჯრიდან გადაყრის ფაქტზე წამასწრეს
და სხვა გზა არ მქონდა, სადმე უნდა დამემალა...
როგორ ვიპარებოდი სკოლიდან, როცა უნდა მესწავლა,
როგორ ვიმიზეზებდი ათას სისულელეს,
ოღონდ კი წიგნი არ გადამეშალა
და რამე არ ამომეკითხა მასში ისეთი,
რასაც, შემდგომში, ადამიანად უნდა ვექციე.
და მე მინდა მივიდე ამ ბავშვთან,
ბოდიში მოვუხადო ჩემი არასწორი ბავშვობის გამო და ვუთხრა,

რომ ჩემი ბრალია მისი გალურჯებული ტუჩები,
მისი დიდი, შეშინებული თვალები,
მისი პატარა, გაყინული სხეული,
რომელშიც, ეს-ესაა, სისხლიც გაიყინება –
ყველაფერი ჩემი ბრალია,
მაგრამ ჩვენ შორის სავიზო რეჟიმის მარადიული თოვლის სამყოფელია,
საიდანაც მასთან სანტა არ მოვა, სულ რაღაც 12 დღეში,
როცა საათი 12-ჯერ ჩამოჰკრავს,
მის ნაცვლად მოვა ყინულის დედოფალი,
რომელიც აკოცებს, მოეფერება და ყველაფერს
დაავიწყებს:
ამ სიცივეს, ამ შიმშილს, ამ გულგრილობას, ამ
უსამართლობას,
ამ ქვეყანას, ამ ქალაქს, ამ ქუჩას, ამ ტროტუარს, ამ ხალხს,
ამ ჩემს თავს, რომელიც მასთან ვერ მივდივარ
და განვაგრძობ სვლას ნათელი მომავლისკენ.
წინ ქალაქის მთავარი გამზირია,
რომლის ერთ მხარეს, სექსუალური უმცირესობა,
საკუთარი უფლებების დაცვის მიზნით,
მშვიდობიან აქცია-პერფორმანსს მართავს
(ხვალ, მათ ადგილს,
რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლები დაიკავებენ,
რადგან გუშინ, ფანატიკოს მუსლიმებს,
ჩვენ, ღვთისმოსავმა ქრისტიანებმა,
მედრესეს კარზე, ღორის მოჭრილი თავი მივუჭედეთ).
გამზირის მეორე მხარეს, ასი ათასი წმინდა მოწამის
ზომბებად ქცეული სამასი ათასი შთამომავალი დგას,
რომელთა უმრავლესობა, ცოტა ხნის წინ, ომიდან გაიქცა,
როცა სამშობლოს კარგავდნენ,
ახლა კი აქ დგანან, მკერდზე მჯიღის კვრით,
საბრძოლო შეძახილებით,

ამ ათიოდე არც კაცის, არც ქალის,
უბრალოდ – თავისუფალი ადამიანის ჩასაქოლად
მომართულნი,
წინ კი, «Dolce & Gabbana”-ს მარკის კაბაში გამოწყობილი,
«Prado”-ს მარკის ჯიპზე ამხედრებული მამაო მოუძღვით.
და მე მინდა მივიდე ამ მამაოსთან
და ვეამბორო «Breguet”-ის მარკის საათზე
და ვთხოვო, შეინდოს მისი ყოვლის მომხვეჭელი ხელით
ეს ათიოდე ადამიანი, რამეთუ ისინიც ღვთის შვილები
არიან,
მაგრამ არ მივდივარ,
რადგან ჩვენ შორის სავიზო რეჟიმის უკუნი სიბნელეა
და სინათლე არ მყოფნის ავის და კარგის გასარჩევად.
სამაგიეროდ, მივდივარ ნათელი მომავლისკენ,
რომელსაც ვიზალიბერალიზაცია მიქადნის.
და ვხედავ ქუჩაში გამოსული პოეტს,
რომელსაც ჩინოვნიკებმა სხვა გზა არ დაუტოვეს, გარდა
იმისა,
რომ მისი სამსახურიდან უსამართლოდ გათავისუფლების
ფაქტი,
მინუს უსასრულობა სიცივეში,
სახელმწიფო კანცელარიის წინ
ღამეების თენებით გაეპროტესტებინა,
რადგან ოჯახი ჰყავს შესანახი და სიმსივნიანი დედა,
რომლებსაც საუკეთესო ლექსების წერითაც კი ვერ
შეინახავს.
და მე მინდა მივიდე მასთან და ვუთხრა,
რომ როცა მე მის ადგილას ვიდექი, მას ჩემი არ ესმოდა,
და მივდივარ და ვეუბნები,
მაშინ, როცა ახლა ჩემი უპირობო მხარდაჭერა სჭირდება,
როცა არ არის ამის თქმის დრო და ადგილი,
როცა ის თანადგომას მოელის ჩემგან,

მაგრამ ჩემი ამპარტავნება არ მაძლევს იმის საშუალებას,
ეს ყველაფერი ახლა და აქ არ ვთქვა ან საერთოდ
დავივიწყო
და მე მივდივარ და გულს ვტკენ და ვტკბები იმ ტკივილით,
რომელიც მას ხერხემალში ხრის
ჩემი უადგილო სიმართლის წინაშე,
რადგან ასეთია ჩემი ბუნება,
რადგან არაფრით ვარ ვინმეზე უკეთესი,
მაგრამ საკმარისია, ჩემსა და სხვა ერთმანეთზე უარესებს
შორის
არსებული სავიზო რეჟიმის უფსკრული ამოივსოს
შურითა და ზიზღით,
ბოღმითა და ცოდვის ტრიალით,
მშიერი მოხუცების,
უპატრონო ბავშვების,
უფლებაახდილი ადამიანების გვამებით,
მარგალიტს დახარბებულ ღორებად ქცეული,
უხრწნელი ღვთისმსახურებით,
ქვეყნის გამყიდველი, გახრწნილი ერისკაცებით,
გაუმაძღარი სახელმწიფო და
ფარისეველი საზოგადო მოღვაწეებით,
უბრალო გაბოროტებული ადამიანებით,
ჩემით, ბოლოს და ბოლოს,
რომელსაც შემიძლია, ეს ყველაფერი დავწერო
და შემდგომ ამისა, თავი არ მოვიკლა,
და სხვა, ამ ლექსით გამოწვეული ნგრევის ნარჩენებით,
საკმარისია, ეს უძირო უფსკრული ამოივსოს
და მიზანი მიღწეული იქნება –
ჩვენ აღარ დაგვჭირდება ვიზა
ამ ჩვენი წილხვედრი ჯოჯოხეთის დასატოვებლად,
რომელსაც საქართველოს ვეძახით
და ჩვენი ჭეშმარიტი სახით

იმ სამოთხეში შესასვლელად, რომელსაც ევროპა ჰქვია.
ამდენად, წინ, უკეთესი მომავლისკენ!
წინ, მედგრად და ურყევად, ვიზალიბერალიზაციისკენ!
წინ, «ჩემო კარგო ქვეყანა», სულ წინ!

პაატა შამუგია

ბრძანება

დაე, მიეცეთ უსახლკაროებს სახლები,
უფულოებს – მილიონები,
პოეტებს – შთაგონება,
ენას – ძვალი,
უძილოებს – ერთი ცხვარი, ორი ცხვარი, სამი ცხვარი...
შეყვარებულებს მიეცეთ ძალა,
გაიფანტონ ერთმანეთში.
ბავშვებს მიეცეთ სათამაშოები,
დიქტატორებსაც.
ფანტაზიას მიეცეს გასაქანი,
მშივრებს – საკვები,
ქარებს მიეცეთ ხეები,
რომ ტოტებზე ჩამოისვენონ.

პოლიტიკოსებს არ მიეცეთ არაფერი.

დათო ქარდავა

ძაღლი ქალაქში

ეძებენ ზღმარტლისფერ სეტერს –
სევდიანსა და ჭკვიანი მზერით.
ფოტო გაუკრავთ ელექტრობოძზე,
სადაც ოთხ წელიწადში ერთხელ,
ისე აკრავენ პოლიტიკოსებს,
როგორც ძველ დროში ქალებს
სამარცხვინო ბოძზე,
მაგრამ ამჯერად ეძებდნენ მეძებარს,
დაკარგულს დიდი ქალაქის ხმაურიან ქუჩებში,
გაზრდილს, დაგეშილს სოფლად,
შიდა ქართლის ტრიალ მინდვრებში,
სტუმრად ჩამოსულს, წალკამოვლილს,
იხვების რისხვას, ახალდაკარგულს.
ჯილდოს სანაცვლოდ ითხოვდნენ შველას,
ის კი დარბოდა შიშისაგან ოფლში დამბალი,
ერთ ძველ ქუჩაზე აწყდებოდა სადარბაზოებს,
სუნს ვერ იღებდა, წკმუტუნებდა, ყველას უყეფდა,
ეძებდა პატრონს, ვერ ჩერდებოდა.
მას არ შეეძლო არ ეძებნა, არ ენადირა
ასეთი იყო – დაგეშილი და მეძებარი,
შეშინებული, მაგრამ მაინც თავის ამბავში
ის შეუყეფდა მწყერივით გოგოს,
მოხუცებს მორთულთ ხოხბის კუდივით,
პენსიონერ კაცს, დათვივით მძიმეს, დინჯი ნაბიჯით,
გამგელებულ ბიჭს,
ქალებს შაშვის შავი კონტურით,
არ იღლებოდა, სველი დინგით ასფალტს ყნოსავდა,
ქვაფენილს თხრიდა, სდიოდა სისხლი,
მაგრამ მაინც ვერ ჩერდებოდა,

პატრონს ეძებდა!
მე რომ ის ვნახე,
ორივე ფერდზე ამობდღვნილი ჰქონდა ბეწვები,
და აღარ ყეფდა, არ ეძებდა, ნაგავს ქექავდა,
თუმცა ის იყო, ზღმარტლისფერი ხვადი სეტერი,
მაგრამ აღარ იყო მეძებარი, სუნის ამღები,
აღარ ეძებდა აღარც პატრონს, აღარც ფრინველებს,
და არ უყეფდა, არ დასდევდა ველოსიპედებს,
აღარ აფრთხობდა აღარც ავტო და სხვა მობილი,
ქალაქელ ძაღლად ქცეულიყო, ბრაჰმანის სიბრძნით
(სანიასინი რომ ყარიბობს თავისუფალი),
თავისთვის იყო, არ დარბოდა ფეთიანივით,
ჩრდილში ეძინა, მზეზე თვლემდა, წვიმას უფრთხოდა,
ნარჩენებს ჭამდა, არ დასდევდა კატებს, ბეღურებს,
სეტერი იყო ძებნისაგან თავისუფალი,
ბოლოს რომ ვნახე, შუქნიშანზე გადადიოდა,
დინჯად ელოდა, მოთმინებით მწვანის ანთებას
და მერე ზებრას რომ შეუყვა ნელი ნაბიჯით,
საყვირის ხმაზე წამიერად გამოიხედა,
პირში მოეგდო ერთჯერადი ჩაის პაკეტი,
და მომეჩვენა რომ ის იყო სხვა სამყაროში,
სადაც არ კლავენ, არ ეძებენ სხვისი სურვილით,
სადაც თვითონ წყვეტ, აზრიანად როგორ იცხოვრო,
სადაც ძაღლსაც კი აღარ ახსოვს სიტყვა «პატრონი».

სოსო მეშველიანი

* * * (ასეთი გაზაფხული იცის აქ...)

თემურ ჩხეტიანს

ასეთი გაზაფხული იცის აქ, –
ისე მოგაწვება ყელში, თვალის გუგებს გიფართოებს
და არა მხოლოდ კვირტსა და კოკორს,
ხის კანსაც ბერავს, გასკდომამდე, ამ ყველაფერში
ვერდატეული.
მაგრამ რად გინდა? –
სულ მცირედი ჩქამი და მორჩა...
სახურავიდან, თუ, ტოტიდან მომწყდარი თოვლის,
რაღაცნაირი ყრუ ხმა (ხმები) რბილად დაცემის,
რომ მოგწვდება და უცებ მოგწყვეტს იმ ყველაფრისგან,
გაწბილებული წევხარ, ფიქრობ, ხვდები იმას,
რომ არც სიზმარია ყოვლისშემძლე მდგომარეობა.

3.პროზა

თეა თოფურია

ერთი სიკვდილი ორისათვის

სასწაულად თოვდა, მსხვილი, ბარაქიანი ფანტელებით, ისეთებით, ერთ ფიფქს მეორესგან რომ გაარჩევ და თვალს გააყოლებ. ასე არასდროს უთოვია ამ ქალაქში, მხოლოდ თოვლ-ჭყაპი და წვიმა იცოდა, ისიც, მოკლე, ვერც ასწრებდი სევდიან ხასიათზე დამდგარიყავი.

იმ დღის თოვლი ნამდვილი იყო, მისწრება თოვლი... ანას უნდოდა, მთელი დღე ფანჯარასთან მჯდარიყო, მაგრამ ლიზიმ, როგორც ყოველთვის, ცხვირი აიბზუა, ცვალებად მოღრუბლულობაში საინტერესოს ვერაფერს ვხედავო. ანას კამათის თავი არ ჰქონდა. დასთან ოცწლიანი ურთიერთობის შედეგად უკვე იცოდა, რომ თავისას მხოლოდ ეშმაკობით თუ გაიტანდა. ერთი შეცდომა უკვე დაუშვა, წამოსცდა, რომ თოვა მოსწონს. ახლა ლიზი ყველაფერს გააკეთებდა, ფანჯარასთან რომ არ მისულიყო. მაგრამ, სხვანაირადაც შეიძლებოდა შეექმნა თოვლიანი დღის განწყობა, მაგალითად, მურაბიანი ჩაი დაელია.

– ვერ გავიგე, რა გეწყინა? – ლიზი აშკარად გაბრაზებული იყო.

– არაფერი. მე რამე ვთქვი?!

– და რამის თქმა სავალდებულოა? შენი სისულელეები მალე საფლავში ჩამაწვენს. მთელ სხეულში სპაზმმა დამიარა. ხომ არ გგონია, ჩემ გარეშე დიდხანს იცოცხლებ?

– მე შენს მოკვლას არ ვაპირებ, ლიზი.

– ზუსტად მაგას შვრები! არ გათენებულა და უკვე დაიწყე. თურმე, სანამ გვეძინა, მოუთოვია. არ გადამრიო! ჩვენს

მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს ცოტა მეტი სერიოზულობა არ აწყენდათ.

– ახლა ისევ ის არ «ჩართო», სამსახური ვიშოვოთო.

– არც ეგ იქნებოდა ცუდი, სოციალური დახმარება რაშიც გვყოფნის, კი ხედავ.

– და ვინ არის ახლა ჩვენ ორ შორის რომანტიკული?

– ეგ შენ ფიქრობ, რომ სამსახურის შოვნა შეუძლებელია. მე ასე არ მგონია. უბრალოდ, სპეციფიკურად უნდა მივუდგეთ საქმეს და ვიშოვით.

– ჰოდა, იშოვე!

ლიზი ცოტა ხანს ჩუმად უყურებდა.

– კარგი, გაჩერდი, თორემ მართლა ყველაფერი ამტკივდა.

* * *

ვიქტორია რომ მოვიდა, დები სამზარეულოში ისხდნენ და მურაბიან ჩაის სვამდნენ. ვერ შეთანხმდნენ, რომელი მურაბა ეჭამათ და ბოლოს ორივე ქილა ჩამოიღეს, კომშის და მაყვლის. ლიზი ფანჯრისკენ ზურგშექცევით იყო, ანა – პირიქით, თოვლს უყურებდა და ჩაის ნელა წრუპავდა.

ვიქტორიამ ბაზრიდან ამოტანილი სანოვაგე ჯერ მაგიდაზე დააწყო, მერე მაცივარსა და კარადებში შელაგებას შეუდგა.

– საჭმელი გაქვთ რამე?

– ჯერ არა, მაგრამ გავაკეთებთ, კვერცხს მაინც შევიწვავთ.

– კიდევ კარგი, ეგ კვერცხი მაინც ორივეს გიყვართ.

– როგორაა?

ვიქტორიამ ამოიოხრა და თავი გააქნია.

– ისევ ისე, არ ინძრევა. გონზე მაინც თუ მოვიდა, სამკურნალოდ საზღვარგარეთ წავიყვანდით.

– იქ უშველიან?

– არ ვიცი... თქვენკენ რა არის ახალი?

– დაგვცინი? რა უნდა იყოს? სახლში ვზივართ გამოკეტილები და ანა ნერვებს მიშლის.

– რა ვერ გაიყავით?

– ფანჯარა, – გაიცინა ანამ, – და სპაზმები.

– ახლა იმდენ ჩაის სვამს, მთელი ღამე არ დამაძინებს, ცხრაჯერ ადგება ტუალეტში გასასვლელად.

– ცხელი ჩაი კარგია. ნეტავ, ჩემს შვილსაც შეეძლოს.

– რა შეეძლოს?

– ჩაის დალევა, ჩაის დალევა მაინც, – ვიქტორიამ ამოიოხრა, – ვერ წარმოვიდგენდი, ეს თუ სანატრელი გამიხდებოდა.

– გამოჯანმრთელდება, ნუ გეშინია.

– ნუგეში უფასოა.

– ავი სიტყვა კიდევ უფრო იაფი.

ვიქტორიამ ხელი ჩაიქნია და წამოდგა. ლიზიმ შეამჩნია, რომ თხელი პალტო ეცვა, ასეთი თოვლისთვის საკმაოდ მოუხერხებელი.

– არ გცივა?

– ალბათ ჰო, მაგრამ ვერ ვგრძნობ. თქვენც რას ზიხართ სახლში?! ცოტა ხნით მაინც გადით გარეთ, სუფთა ჰაერს ჩაყლაპავდით. ასე დეპრესია დაგემართებათ.

ვიქტორიამ კარი გაიხურა და როგორც ჩანს, ლიფტი გამოიძახა. სადარბაზოდან ლითონის მავთულების ჭრიალი მოისმა.

ლიზიმ ანას შეხედა.

– სულ მგონია, რომ დეიდაჩემს ჩვენი არ ესმის.

– გიკვირს?

– არა? მთელი ცხოვრებაა გვიცნობს.

– ხანდახან მეც არ მესმის ლიზი შენი. დილით გაღვიძებული საღამომდე შენს გაგებას ვცდილობ.

– მერე?

– მერე ვიძინებ.

ლიზის ჯერ ჩუმად გაეცინა, მერე თავი ვერ შეიკავა და ახარხარდა.

* * *

ერთ მშვენიერ დღეს ანამ ლოცვა დაიწყო. ეს ისეთივე მოულოდნელი იყო, როგორც თოვლი მსხვილი ფანტელებით. ლიზიმ ვერ გაიგო, როგორ გამოეპარა დის ასეთი მკვეთრი ცვლილება. რა თქმა უნდა, ანა ყოველთვის სენტიმენტალური იყო და, რა თქმა უნდა, წაუშტერებდა კიდეც (ლიზი ამას ყოველთვის ფიქრობდა და ხანდახან ხმამაღლაც ამბობდა), მაგრამ ღმერთი? თან, ასე სერიოზულად? ლიზიმ ჯერ გაიცინა, მერე აღშფოთდა, მერე უფრო აღშფოთდა, მაგრამ ანა, როგორც ყოველთვის, არაფერს პასუხობდა. ჩუმად ყოფნა მისი თანდაყოლილი

და ძალიან ნერვებისმომშლელი თვისება იყო. ანა უბრალოდ ჩუმდებოდა და იმაზე ფიქრს იწყებდა, სხვა-ნაირად როგორ გაეტანა თავისი. ლიზი კარგა ხანი წიოკობდა, ღმერთი რომ არსებობდეს, ასეთი საწყლები კი არ ვიქნებოდით, სხვანაირი ცხოვრებით ვიცხოვრებდითო.

– ღმერთი რომ ყოფილიყო, შენთან კი არა, სადმე ძალიან მაგარ კურორტზე ვიქნებოდი, შეყვარებულთან ერთად, ქმართან ერთად, ქმართან და შვილებთან ერთად, ზღვაში ვიცურავებდი, ვირბენდი, თხილამურებით ვისრიალებდი...

– ზამთრის კურორტზე ლაპარაკობ თუ ზაფხულის?

– ცივ ზღვაშიც კი შევიდოდი, შტერო!

ლიზი დიდხანს ჯაჯღანებდა, მაგრამ ანი თავის ყურსასმენებს ყურებში გაირჭობდა და ტაბლეტში ჩატვირთულ ქადაგებებს უსმენდა ხოლმე.

– თუ ბევრს იყვირებ და ხელს შემიშლი, აღარ ვიბანავებ. ჩემთვის სულ ერთია, – დაემუქრა ლიზის.

ლიზის ხელი აღარ შეუშლია. ყოველ შემთხვევაში თვითონ ასე ფიქრობდა, მაგრამ ანასთვის რომ გეკითხა, ლიზი ნამდვილი განსაცდელი იყო. იმდენად არ უნდოდა მასთან კონტაქტი, რომ ძილსაც კი გადაეჩვია. ღამე, როცა ლიზი დაიძინებდა, თვითონ თვალებგახელი იწვა და ათას რამეს ფიქრობდა, ან უბრალოდ ტკბებოდა იმით, რომ გათენებამდე ანგარიშის ჩაბარება არავისთვის მოუწევდა. მაღვიძარაც კი ჰქონდა დაყენებული, ოღონდ პირიქით, იმისთვის, რომ დაძინების დრო არ გამოპარვოდა ოცნებაში. ხმა გამორთული ჰქონდა, უბრალოდ, მობილურის ეკრანი ცისფრად აინთებოდა და ანაც თვალებს მილულავდა ხოლმე...

* * *

ელიზას სუნთქვა უჭირდა, ისე ტიროდა.

– რამენაირად უნდა დაწყნარდე. შენს ხმაზე მეზობლები შეიკრიბებიან. ალბათ, უკვე ფიქრობენ, რომ როგორც იქნა, დავიხოცეთ.

ანას გაუკვირდა. ლიზის ტირილზე ისეთი რეაქცია ჰქონდა, როგორც კაცების უმეტესობას აქვს ხოლმე ქალის ტირილზე. ატირებულის დაწყნარებას კი არ იწყებდა, არამედ ღიზიანდებოდა. ანა ელიზასკენ გადაიხარა და მხრებზე ხელი მოხვია. ეშინოდა, რამე სისულელის თქმით კიდევ უფრო არ გაენერვიულებინა, ამიტომ უბრალოდ ეფერებოდა და ოდნავ არწევდა.

– თავი ამტკივდა, – არ ჩერდებოდა ლიზი.

– ცოტა ხნით რომ გაჩუმდე, ვერა? – შეუღრინა ანამ.

– და სადამდე უნდა იღრიალოს? მონახა, რა, ტრაგედია!

– შენთან არ მოვსულვარ, ანასთან მოვედი, – ამოისლუკუნა ელიზამ.

ლიზის გულიანად გაეცინა.

– არ იცოდი, მეც რომ აქ ვიყავი?

– ანასთან მოვედი.

ანა ისევ ზურგზე ეფერებოდა და დაძაბული ფიქრობდა. დროდადრო ლიზის გახედავდა გამგმირავი მზერით. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ელიზა მათი ერთადერთი მეგობარი იყო და ასე მოქცევა, სულ ცოტა, უმადურობას ნიშნავდა, მაგრამ ლიზის, როგორც ჩანს, უკვე აღარც ეს აწუხებდა. ყველაფერი ფეხებზე ეკიდა, როგორც ეს იმ მოხუცებმა იციან, ცხოვრება რომ უკან მოიტოვეს. ლიზი ოცი წლის იყო, თან ყოველთვის გაცილებით უფრო

აქტიური და მობილიზებული, ვიდრე ანა. ანას ეს ცუდად ენიშნა, ძალიან ცუდად, მაგრამ ხმა აღარ ამოუღია. არც ჰქონდა ამის საშუალება, ყველას ნაცვლად ლიზი ლაპარაკობდა.

– ორი წელია დასდევ ბიჭს, რომელსაც ფეხებზე კიდიხარ! ორივე ფეხზე! ოთხი ფეხი რომ ჰქონდეს, ოთხივეზე დაგიკიდებდა! ბაჭიასავით კანკალებ, ცანცარებ, თვალებად და ნერვებად ხარ ქცეული. მოხვედი და ბღავილით აგვიკელი. რატომ გიყვარს? რამე განსაკუთრებული გააკეთა? მარსზე გაფრინდა და ახლაც იქ ზის?

– ჩვეულებრივი ბიჭია, ლიზი.

– მაშინ, ალბათ, ძალიან უყვარხარ? – ლიზის ირონიას საზღვარი არ უჩანდა.

– პირიქით, ძალიან არ ვუყვარვარ.

– და რატომ არ შორდები, შეგიძლია ამიხსნა? რატომ არ დაანებებ თავს და რატომ არ წახვალ შენი გზით და იმასაც არ გაუშვებ სადმე კლდის პირას, ციცაბოზე და გადასავარდნზე?

– არ შემიძლია.

– არ შეუძლია! – ლიზიმ თეატრალურად გაიმეორა. ანამ თვალი აარიდა და როგორც ყოველთვის, ფანჯარას გახედა. წინა კორპუსში მაგიდასთან ისხდნენ და მობილურებს ჩასცქეროდნენ. ერთმა თავი ასწია და რაღაც თქვა. «ნეტავ, რა თქვა», გაიფიქრა ანამ. ბავშვობაში, ის და ლიზი ხშირად იდგნენ ფანჯარასთან და ცდილობდნენ, გამოეცნოთ, ვინ რას ლაპარაკობდა. ოთახებში ხალხი გარკვევით ჩანდა, განსაკუთრებით ღამით, როცა ნათურებს აანთებდნენ.

როლებს ინაწილებდნენ და მთელი საღამო შეეძლოთ ეთვალთვალათ სხვა სახლებში მოტრიალე ადამიანებისთვის. ასე იყო, სანამ ერთხელ ლიზიმ არ განაცხადა: «მომბეზრდა ეს თამაში. ცხრასართულიანი კორპუსია და არსად არ ხდება ისეთი საინტერესო ამბები, როგორც ჩვენთან...»

– არ უნდა იცოდეს, სად და ვისთან იტიროს? – თქვა ლიზიმ, როცა ელიზამ კარი გაიხურა, – ახლა ჰგონია, ყველაზე უბედურია დედამიწის ზურგზე.

– ალბათ არის კიდეც.

– მოიცა, რა. თუ მაგას ფიქრობ, რომ მარტო ყოფნა ძნელია, მაშინ რა ისტერიკა დაიმართე, ის ბიჭი შეხვედრას რომ გვთავაზობდა?

– ხუმრობ?

– არანაირად.

– არ მჯერა.

– მართლა არ ვხუმრობ და რა ვქნა.

ორიოდე თვის წინ ლიზიმ ინტერნეტით ვიღაც გაიცნო. მაშინ დებმა სერიოზულად იჩხუბეს.

– ორ ქალთან ერთად უნდა სექსი? ავადმყოფი!

– და რითი არ გაწყობს?

– ლიზი, გაჩუმდი!

– შენი მონაზვნული მორალის გამო მე უნდა დავიტანჯო.

– კარგი, ნუ დაიტანჯები, – ხანდახან ანა საკუთარ დაზე ულმობელი იყო, – წადი და შეხვდი იმ ბიჭს, გამოიპრანჭე.

სადმე კაფეში დაგპატიჟებს, ყავას დალევთ. მერე სადაც გინდა წაყევი და რაც გინდა ის, აკეთე, ოღონდ ჩემ გარეშე.

მერე ის ბიჭი აღარ გამოჩენილა. ანას ეჭვი ჰქონდა, რომ ლიზის, ცოტა არ იყოს, შეუყვარდა კიდეც, თუმცა ვერ გაეგო, როგორ უნდა შეგყვარებოდა ინტერნეტით გაცნობილი კაცი, თან თითქმის შეურაცხადი. მაგრამ ისიც ფაქტი იყო, რომ ახლა ლიზიც ხშირად იწვა თვალებდაჭყეტილი და მაშინაც, როცა თვალდახუჭული იწვა, ანა დარწმუნებული არ იყო, რომ ეძინა. თვითონაც ხშირად მოუმძინარებია ასე თავი, უაზრო კითხვა-პასუხის თავიდან ასაცილებლად.

– არ უნდა იცოდეს, სად და ვისთან იტიროს? – გაიმეორა ლიზიმ და გაბოროტებული იმ კარს მიაჩერდა, საიდანაც რამდენიმე წუთის წინ ელიზა გავიდა. მერე მაისური გადაიძრო და მოისროლა – კაი, ჰო, დავიძინოთ.

– პიჟამო ჩაიცვი, შიშველი ნუ წვები.

– ვითომ რატომ?

– არ მსიამოვნებს შიშველი ხალხის ყურება.

ლიზამ ეშმაკურად გაიღიმა.

– შენ, შემთხვევით, ლესბოსელი ხომ არ ხარ?

– წადი შენი!

იმ ღამეს ანამ ინტერნეტით ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია მოძებნა, რომელიც ხალხს ოცდაოთხსაათიან უფასო ფსიქოლოგიურ დახმარებას სთავაზობდა. ლიზი რომ არ გაეღვიძებინა, ფსიქოლოგისთვის ტელეფონით არ დაურეკავს, წერილი მისწერა. ბევრი ილაპარაკა იმაზე, რომ ის და მისი ტყუპისცალი სულ სხვადასხვა ადამიანები არიან და ერთ ჭერქვეშ ცხოვრება ძალიან უჭირთ; რომ დებს ერთმანეთი თავისებურად კი უყვართ, მაგრამ ცალ-

ცალკე გაცილებით ბედნიერები იქნებოდნენ; რომ მდგომარეობა განსაკუთრებით მას შემდეგ გართულდა, რაც ანა მორწმუნე გახდა – თუკი ადრე კიდევ რამე ჰქონდათ საერთო, ახლა უკვე აღარაფერი. როდესაც ანას ლოცვა უნდოდა, ლიზი სიმღერის ხასიათზე იდგა, როდესაც ანა მარხულობდა, ლიზი ნამცხვრებს ღეჭავდა. ანა ცდილობდა, რამე კარგზე ეფიქრა, მაგრამ ლიზი სულ ვიღაცის ლანძღვის ხასიათზე იყო, ყველაზე ხშირად კი ისევ ანასი, ან, კიდევ უარესი – მამა ღმერთის. ანა წერდა, რომ ძალიან დაიღალა: «ხანდახან მგონია, რომ დიდხანს ვეღარ ვიცოცხლებ. ამის არ მეშინია, მაგრამ არ მინდა ასეთი დაბოღმილი მოვკვდე და იქაც ჯოჯოხეთში ვიყო».

ანამ წერილი გაგზავნა და დაიძინა. დილით ფოსტაზე პასუხი დახვდა.

«ძვირფასო ანა,

ახლო ნათესაობა არცერთ შემთხვევაში არ ნიშნავს ორ ერთნაირ ადამიანს. თქვენი წერილიდან ირკვევა, რომ თქვენ და თქვენი და სრულიად სხვადასხვა ხასიათისა და ინტერესების პიროვნებები ხართ. ამიტომ გირჩევდით, ცხოვრება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განაგრძოთ. თუმცა, ეს არ გულისხმობს იმას, რომ ერთმანეთთან კავშირი აღარ უნდა გქონდეთ. თუ გარკვეული პირობების გამო ვერ ახერხებთ ცალკე ბინაში ცხოვრებას, მოიწყეთ საკუთარი ოთახი და ეცადეთ, დასთან (პირველ ეტაპზე მაინც) მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში იქონიოთ ურთიერთობა».

ანამ პასუხი წაიკითხა, შემდეგ წაშალა, ფოსტიდან გამოვიდა და სასწრაფოდ სხვა ვებ-გვერდი გახსნა, რომ ლიზის ვერაფერი შეემჩნია.

* * *

– როგორ ხართ? – ვიქტორიამ ისევ ჩანთის ამოლაგება დაიწყო: რძე, პური, კვერცხები, ხუთი შეკვრა საპონი... ანას შემჩნეული ჰქონდა, რომ რაც შვილი მოუკვდა, ვიქტორიას ბევრი რამე ავიწყდებოდა. ახლაც, როგორც ჩანს, ოთხჯერ დაავიწყდა, რომ საპონი უკვე ნაყიდი ჰქონდა. ანამ წარმოიდგინა კიდეც, როგორ ბრუნდება დეიდამისი პროდუქტების განყოფილებიდან ქიმიური ნაწარმის განყოფილებაში და ხან ერთ საპონს იღებს, ხან – მეორეს.

– ჩვეულებრივად, უბრალოდ, ლიზი ბოლო დროს ძალიან გაღიზიანებულია.

ვიქტორიას ყურადღება არ მიუქცევია. ნაჭრის ჩანთა დაკეცა და ფანჯრის რაფაზე დადო. ისევ ის თხელი პალტო ეცვა, თუმცა, უკვე ლამის ზაფხული იყო.

– არ გცხელა?

– ალბათ მცხელა, მაგრამ ვერ ვგრძნობ.

ტყავის ჩანთა გახსნა და იქიდან ჩარჩოში ჩასმული ფოტო ამოიღო.

– ალექსანდრეს ფოტოები რომ გავადიდებინე, ესეც - მივაყოლე.

ფოტოზე დედა, მამა, ლიზი და ანა იყვნენ. მშობლებს, როგორც ყოველთვის, გატანჯული სახეები ჰქონდათ. ლიზის და ანას ერთი დიდი თოჯინა ჩაებღუჯათ და იცინოდნენ. რაც გარდაიცვალნენ, მას მერე მშობლების ფოტოები ყველა ოთახში ეკიდა. ჯერ მამის სურათი, მერე – დედის. ცოტა უცნაური იყო, დეიდამ ამ ფოტოს გადიდებაც რომ გადაწყვიტა, ის და ლიზი ხომ ცოცხლები და ახალგაზრდები იყვნენ, მაგრამ ალექსანდრეს სიკვდილის

შემდეგ ქალს იმდენი უცნაურობა დასჩემდა, რომ ანა და ლიზი უკვე შემჩნევასაც ვეღარ აუდიოდნენ.

ანამ ფოტო გვერდზე გადადო და ვიქტორიას გაუღიმა. მას არ დაუნახავს, მაგიდასთან იჯდა და თავი ხელებზე ჰქონდა დაყრდნობილი.

– ამ მაგიდას ადრე სხვა გადასაფარებელი ეფარა, ძაღლებიანი. ლურჯი და წითელი ძაღლები ეხატა. სისულელე არ არის? ვის უნახავს ლურჯი ძაღლი? ალექსანდრეს მოსწონდა. უჭმელი ბავშვი იყო და ამ მაგიდასთან ძაღლების ხათრით ჭამდა. დედაშენმა გადააძრო და სახლში გამატანა. ზოლებიანი მაისური მოდაშია? – იკითხა უცებ.

– კოკო შანელის შემდეგ ზოლები ყოველთვის მოდაშია, – თქვა ლიზიმ.

– ალექსანდრეს ჰქონდა ზოლებიანი მაისური. ყოველთვის ვეუბნებოდი: «შვილო, ნუ იცმევ როგორც ყველა, შენი სტილი გქონდეს». ის კიდევ ჩაიცვამდა ჯინსს, იმ მაისურს და გავარდებოდა. ქუჩაში იმდენი ბიჭია ასე ჩაცმული, სულ ქვევით ვიყურები, მაგრამ მაინც თვალში მეჩხირებიან.

ლიზიმ განზე გაიხედა, ანამ იგრძნო, რომ ლიზი ბრაზდებოდა და შეეშინდა, ვიქტორიასთვისაც იგივე დღე არ დაეთენებინა, რაც ელიზას დაათენა. მას შემდეგ, რაც ალექსანდრე გარდაიცვალა, ვიქტორია ჩვეულებრივზე ხშირად ამოდიოდა და გაუთავებლად თავის მკვდარ შვილზე ლაპარაკობდა. ხან პირიქით, ჩუმდებოდა და დებს სთხოვდა, მასზე რამე მოეყოლათ. ლიზი, ანა და ალექსანდრე ბავშვობის მერე დიდად არ მეგობრობდნენ, თანაც, ალექსანდრე მხოლოდ ოცდაორი წლის იყო, ამიტომ მოსაყოლი ამბები პირველსავე დღესვე გამოილია.

მერე და მერე ანი რაღაცებს თვითონაც კი იგონებდა, მაგრამ დიდად არც ამას უშველია საქმისთვის.

– ხანდახან რას ვფიქრობ, იცით, ჩემი ბიჭი იმდენ ადამიანს იცნობდა... ვზივარ ფანჯარასთან, ვუყურებ, ხალხი როგორ დადის და ვფიქრობ, იქნებ, აი, ის რომ გავაჩერო და ვკითხო, იქნებ ისიც იცნობდა ალექსანდრეს და რამე მომიყვეს. ხომ შეიძლება?

– თეორიულად შეიძლება, – მშრალად დაუდასტურა ლიზიმ.

– დღეს ანალიზების პასუხები გამოვიტანე, – ვიქტორიამ ჩანთიდან ორად გაკეცილი ბლანკიანი ქაღალდები ამოიღო.

– ავად ხარ? – შეშფოთდა ანა.

– მე? მე არა, ალექსანდრეს ანალიზებია, სრული ჰორმონალური გამოკვლევა, – ვიქტორია უხერხულად სრესდა ქაღალდს, – სანამ რეანიმაციულში იწვა, ანალიზებისთვის სისხლი აუღეს. ექიმმა მითხრა, შრატს შევინახავთ, თუ კიდევ რამე ანალიზი დასჭირდა, ხელახლა სისხლის აღება აღარ მოუხდებაო. ჰოდა, გამახსენდა, რომ შრატი შენახულია, მივედი და ვუთხარი, ჰორმონალური ანალიზი გაეკეთებინათ.

ლიზიმ ჩუმად დაუსტვინა და თვალები გადაატრიალა, ანა დაიძაბა.

– დეიდა, რად გინდა მიცვალებულის ჰორმონალური ანალიზი?

– რაღაც ახალი ამბავი მინდოდა გამეგო ჩემს შვილზე. თან ამას რომ კითხულობ – ლეპტინი ამდენი, გასტრინი ამდენი... ისეთი გრძობა გაქვს, თითქოს ისევ ცოცხალია. ვგიჟდები არა?

– არ ვიცი, ალბათ არა.

ვიქტორიამ ხელები კალთაში ჩაიწყო და თითებს დააჩერდა.

– მიცვალებულის ჰორმონები... ჰმ, თქვენ არ იცით, ეს რა არის. რასაც არ უნდა აკეთებდე, მაგაზე ფიქრობ. სადაც არ უნდა წახვიდე, თან დაგყვება. ყველაფერი მაგის თავს გახსენებს, ქუჩაში გამვლელით დაწყებული, კედლის ბზარით დამთავრებული. ბზარი არაფერ შუაშია, მაგრამ მაინც გახსენებს, იმიტომ რომ ყველაფერი მაგას გახსენებს... ის კი არა, ტუალეტში, უნიტაზზე რომ ზიხარ, მაშინაც შენს მკვდარ შვილზე ფიქრობ და კიდევ იმაზე, ეს რატომ დაგემართა.

– ყველას თავის უბედურება აქვს, დეიდა, მარტო შენ ხომ არ ხარ?!

– იცით, რა არის, ბავშვებო, ჯოჯოხეთი? აი, ეს არის, ყველა იტანჯება, მაგრამ ერთის ტანჯვა მეორეს არ შველის. ცოცხალი ხარ და მკვდარს დაათრევ. ერთი ადამიანი მუდმივად სხვა ადამიანს დაათრევ და ეს არ მთავრდება.

ლიზიმ გაიღიმა.

– როგორც იქნა, გაგვიგო, – გადაულაპარაკა ანას.

* * *

ანა მობილურს დაწვდა და კონტაქტებში ნომრის ძებნას შეუდგა. ეს მობილური რამდენიმე წლის წინ მას და ლიზის ვიქტორიამ აჩუქა, ორ კაცს ერთი ტელეფონი. მაშინ ლიზი კარგა ხანს ილანძღებოდა. ახლა აპარატი ანას ეკავა ხელში და უცებ გააცნობიერა, რომ ტელეფონი პირველად იყო მხოლოდ მისი.

ყურმილი კლინიკის ადმინისტრატორმა აიღო.

– პროფესორს დამალაპარაკეთ!

– იცით, უნდა ჩაეწეროთ, პროფესორი დაკავებულია...

– ანა ვარ. ლიზი და ანა...

– ახლავე.

ხმაური და მერე მობილურში მამაკაცის ხმა გაისმა.

– ჰო, ანა, ლიზი უარესადაა?

– მოკვდა.

– ლიზი? სახლში ვინმე არის?

– არა, არავინ.

– ახლავე წამოვალ, კარები ღიაა?

– არ, მაგრამ გავაღებ.

– დარწმუნებული ხარ, რომ კარამდე მიხვალ?

– კი, დარწმუნებული ვარ.

– ანა, არ შეგეშინდეს. ახლავე მოვალთ და კლინიკაში გადაგიყვანთ, ახლავე.

– დიახ, გელოდებით.

* * *

პროფესორმა ყურმილი დააგდო და ადმინისტრატორს მიუბრუდა.

– სასწრაფო დახმარების ბრიგადას უთხარი, რომ - გავდივართ. სიამის ტყუპებიდან ერთი მოკვდა.

* * *

ანა ძლივს წამოდგა საწოლიდან, ლიზის ხელი მოხვია და ნელა დაიძრა კარისკენ. «მთელი დღეები მკვდარს დავატარებ» – გაახსენდა ვიქტორიას ნათქვამი. კარამდე მიაღწია, საკეტი გადაატრიალა და ისევ უკან გამობრუნდა, თან უსიცოცხლო ლიზის მოათრევდა. საწოლზე დაწვა და ისიც ამოიტანა. სასტიკად შიოდა, მაგრამ ითმენდა, არ უნდოდა მერე უნიტაზზე მჯდარიყო მიცვალებულთან - ერთად.

სანიტრებმა კარი ლამის შემოგლიჯეს და თავზე წაადგნენ. პროფესორმა ჯერ გაყინული ლიზი გასინჯა, მერე ანას - მიუბრუნდა.

– შენ როგორ ხარ?

ანამ მხრები აიჩეჩა.

– ვერ ვიცოცხლებ, ჰო?

პროფესორმა არაფერი უთხრა, ისევ ლიზიზე გადაიტანა - მზერა, კარგად დააკვირდა.

– დღეს არ მომკვდარა, არა?

– გუშინწინ.

– მერე აქამდე რატომ არ დარეკე?

– მინდოდა, ცოტა ხანი მარტო ვყოფილიყავი.

* * *

პალატაში, სადაც ანა და ლიზი გადაიყვანეს ტევა არ იყო. ყველას უნდოდა თავისი თვალით ენახა ერთმანეთს შეზრდილი სიამის ტყუპები, რომელთაგან ერთი უკვე მკვდარი იყო, მეორე კი უკანასკნელ წუთებს ითვლიდა. მორიგე ექიმი ბევრს ეცადა, ზედმეტი ხალხი ოთახიდან გაეყარა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

– რისგან მოკვდა? – ჰკითხა ერთ-ერთმა პროფესორს.

– რისგან მოკვდა? ნამდვილი სასწაულია, რომ ოცი წელი იცოცხლეს. როდესაც დაიბადნენ, მშობლებს ვუთხარი, მაინც დაიხოცებიან და სახელმწიფოს მზრუნველობის ქვეშ დატოვეთ-მეთქი. მეგონა, დიდი-დიდი, სამ თვეს გაატანდნენ. თითქმის ყველა ძირითადი ორგანო საერთო ჰქონდათ, ტვინის და გულის გარდა.

– რა საცოდაობაა!

– საშინელება!

ანამ ოდნავ გაახილა თვალები და გალურჯებული ლიზისკენ გაიხედა. გარეგნულად ყოველთვის ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს. «მეც ასეთი მკვდარი ვიქნები» – გაიფიქრა და თავი უკანვე მოატრიალა, ზაფხული იყო, ლიზი უკვე ყარდა... ანას გაახსენდა, როგორ იდგნენ საღამოობით ფანჯარასთან და წინა კორპუსში მცხოვრებლებს აკვირდებოდნენ. ლიზი კაცს ახმოვანებდა, ანა – ქალს. ცოლ-ქმარი რაღაცაზე გამწარებული ჩხუბობდა. მერე ქალმა შუშის თასს წამოავლო ხელი და გაუქანა, კაცმა აიცდინა.

ლიზი უცებ ძალიან დასერიოზულდა.

– თუ ასე ვერ იტანენ ერთმანეთს, რატომ არ შორდებიან? მე რომ ჯანმრთელი ვიყო, გავიჯახუნებდი კარს და მეორედ ვეღარავინ მნახავდა.

ანამ მხრები აიჩეჩა.

– არ ვიცი, ალბათ სხვა კორპუსიდან ყველაფერი ადვილი ჩანს.

ლიზი ფანჯარას მოშორდა და ანაც თან წაითრია.

– ნელა! გადავყირავდებით!

– წამოდი, აღარ მინდა ეს თამაში!

– რატომ?

– ჩვენზე უფრო საინტერესო მანდ არასდროს არაფერი ხდება.

რატი რატიანი

ლიტვური დღიური

არ მახსოვდა როდის მოხდა ეს ამბები და ვერც გავიხსენებდი, ჩემი ძველი ბლოკნოტი რომ არა. ბლოკნოტი ლინამ მაჩუქა ლიტვაში შეკრებისას და იქვე, ავტობუსში დავიწყე წერა. ყდაზე დაისის ვარდისფერ სინათლეზე მეოცე საუკუნის 30-იანი წლების ყაიდაზე გამოწყობილი შლაპიანი კაცია გამოსახული დაცემის მომენტში. გადაჭრილი ორლულიანი თოფი ხელიდან უვარდება. მრუმე, მოცისფრო-მომწვანო ტყიდან მისკენ გასროლილი საფანტის კვამლი იჭრება. კვამლის ეს თეთრი ლაქა ხიდივითაა გადებული მრუმე ტყესა და ვარდისფერ დაისს შორის. ყდა წიგნისას ჰგავს და არის კიდეც – გასული საუკუნის 30-იან წლებში, სტოკჰოლმში გამოცემული, იოსტა პეტერსონის კრიმინალური რომანის ყდის რეპლიკაა.

ლიტვა, სადღაც გზაზე

ვილნიუსში დილით ჩავფრინდი. ცხელოდა. ავტობუსში ვსხედვართ და პალანგაში მივემგზავრებით. გავიარეთ ქალაქი, სახელად კრეტინგა.

ცა ორადაა გაყოფილი – ფსკერზე მოთუხთუხე ღრუბლების ფაფას სპირალის თუ დე-ენ-ემის ფორმის ღრუბელი გამოეყოფა და ზედა, უღრუბლო ნახევარში სოლივით შეიჭრება. ცოტა ხანში ღრუბლის კლაკნილი სვეტი დაძარღვულ მუშტად თუ დიასახლისის გაუხეშებულ ხელად იქცევა, ცომს რომ ზელს. მზე ცის ღრუბლიან მხარეს გადაგორდება და ავსულის შავი ნიღბიდან მოელვარე, ბოროტად ანთებულ, ყვითელ თვალს დაემსგავსება.

უკანა სკამზე ჩემ გვერდით ორი მოუქნელი მოზარდი ქირქილებს. ამ ასაკში ადამიანები ყოველთვის პოულობენ რამეს სასაცილოს, თუნდაც მეოცნებესავით ფანჯარას მიშტერებულ დეიდას, ბლოკნოტში უცნობ ენაზე რომ წერს. ახლა ვერაფრით ვიხსენებ, რა მაცინებდა ასე უთავბოლოდ მათ ასაკში.

თითქმის ორი ღამეა, არ მიძინია. გაღიზიანებულ თვალებსა და მტკივან თავს მარტო ეს მონოტონური ხედები მიმშვიდებს. მგზავრობისას ფანჯრიდან დანახული ხედები ყველაზე უწყინარი რამეა ამ ქვეყანაზე – მინის მიღმაა და მალე ქრება. აქ ყველგან ერთი და იგივე პეიზაჟია, მარტო ორად გაყოფილი ცაა ლიტვური ზღაპარივით ავისმომასწავებელი – ფსკერზე სქელი კვამლივით მოფუთფუთე ღრუბლები, თავზე კი კრიალა ცისფერი, რომელსაც ეს დაძარღვული, დამუშტული ხელი კვეთს. ფანჯრის მინაზე კიდევ ერთი ხელი ირეკლება – პატარა, დონდლო და რძესავით თეთრი. პატრონის სიტყვების მუსიკაზე ხელი ჭიაყელასავით იწმახნება. თვალის მორიდებას ვცდილობ, მაგრამ დაკლაკნილი, თითქოს უძვლო კიდური სინამდვილეში რკინასავით მტკიცეა და სიამოვნებით ამომკორტნიდა თვალებს, ოცდამეერთე საუკუნის სულელური კანონები რომ არა. ამ ხელის შემხედვარე უნებურად ვფიქრობ, ალბათ ამიტომ დაიწესეს ამდენი კანონი და ბიუროკრატიული წესი, ამიტომ იცავენ ასე მკაცრად, რომ სისხლში გამჯდარ პაგანიზმს გამოსავალი არ მისცენ.

თეთრი ხელის პატრონი ბევრს გვიამბობდა ლიტვურ მითოლოგიაზე. მერე ვილნიუსის უნივერსიტეტში პეტრას რეპსის ფრესკები დაგვათვალიერებინა. ფრესკები თოთხმეტი წლის წინაა დახატული. მანამდე არასოდეს მენახა ასეთი გულუბრყვილო სიშიშვლე, სისასტიკე,

წმინდა წყლის სიგიჟე, რაც ამ პატარა, თაღებიანი დარბაზის კედლებზეა. ამ ფრესკებთან შედარებით ბოსხის და დიქსის ტილოები საბავშვო ილუსტრაციებად მომეჩვენა – ხეებში ჩასახლებული, გატყავებული ჯადოქრები, შიშველი, დაძაგრული სხეულები, უფოთლო ხეები, ყველა ცოდვა, რასაც ცივილიზაციის დაბადებამდე ჩადიოდნენ ადამიანები, სანამ ცოდვა არ არსებობდა. ამ პატარა, თითქოს უძვლო ხელსაც ალბათ ცივილიზაციამ შესძინა ასეთი რძისფერი, რბილი კანი. სინამდვილეში ფოლადის ძარღვებისგანაა ნაქსოვი და რომ მოინდომოს, იოლად ამოგთხრის თვალს ცალი თითით.

სინდისი მქენჯნის – თეთრი ხელის პატრონს ჩემთვის არაფერი დაუშავებია. პირიქით, მეტისმეტად თავაზიანია, მეტისმეტად. იქნებ ორდღიანმა ლოთობამ და უძილობამ აღქმა გამიმრუდა და შარზე ვარ? არა, ფაქტია – მეტისმეტად თავაზიანია.

სამშაბათია, ადრიანი დილა. ახალ თარიღს აღარ ვწერ. მეორე დღეა. «რამიბეს» წინ, ღია ვერანდაზე ვზივარ და ვეწევი. «რამიბე» ტურისტებისთვის განკუთვნილი პატარა სასტუმროა, საღამოობით ხმაურიანი, დილაობით – წყნარი. ვერანდაზე ვზივარ და ვეწევი. წესით, უნდა ვმუშაობდე – სამსახურიდან ამ პირობით გამომიშვეს – იუთუბზე ფანჯრის გისოსებში გაჭედილი ჩინელი ბავშვების ვიდეოებს ვეძებდე და ათასჯერ დაწერილ ხუმრობებს ვწერდე, მშობლიური სახლიდან თავის დაღწევის ასეთი გზა სპორტად გაიხადეს-მეთქი; ან პიესას ვთარგმნიდე, თვითონ რომ შევთითხნე ამ შეკრებისთვის. ამ პროექტში, შეიძლება ითქვას, ფორმალურად ვარ – ქვეყნის წარმომადგენლის როლს ვასრულებ დონორების ანგარიშისთვის. დანარჩენები იმდენად თავაზიანები არიან, რომ სერიოზულად განიხილავენ ნაგავს, რომელსაც

პროექტისთვის ვწერ. უხეირო ინგლისურ თარგმანში მაინც ყველაფერი იკარგება. აქ ყველანი მაინც გულმოდგინედ ვთამაშობთ დრამატურგების როლებს – მგონი, სხვებიც ჩემსავით თაღლითობენ.

ამ დილით გულს ვერც თარგმანს ვუდებ და ვერც სამუშაოს. სანამ სხვებს სძინავთ, ბლოკნოტში ვწერ – თავისუფალ დროს ამ ტექსტს ავკრეფ და წითურს გავუგზავნი. იქნებ ცოტათი ხასიათზე მოვიდეს, თორემ ძალიან ჩამოუშვა ცხვირი.

ვფიქრობ, რა შთაბეჭდილება დავტოვე წითურზე მაშინ, იმ ჩახუთულ ოთახში რომ შემოვარდა და მე დავხვდი. «მაშინვე მივხვდი, რა გიჟიც იყავიო», მერე მითხრა, როცა ჩვენი ერთკვირიანი რომანი დასრულდა და თავის ცხოვრებას დაუბრუნდა. რა იგულისხმა ამ გიჟში, დღესაც არ ვიცი – პენსიონერივით მეცვა და ორთოგრაფიულ შეცდომებს ხმალამოღებული ვებრძოდი. რაღაც ხანი არ ველაპარაკებოდი, მერე მომბეზრდა – ოთახში მარტო ჩვენ ორნი ვმუშაობდით – და შევურიგდი. უკაცრიელ კუნძულზე გარიყულებივით ვიყავით იმ უზარმაზარ კომბინატში. მერე გავიგე, რომ წითურს სხვა კუნძულებიც ჰქონია, ოღონდ იქიდან თავის დაღწევას ცდილობდა.

ზღვასთან ჩამოვედი. იქნებ ზღვას ჩაეხშო ჩემს დაწყლულებულ ტვინში მოგრიალე ხმაური. გამოსვლამდე დიდხანს, თვალისდაუხამხამებლად ვუყურებდი სარკეში საკუთარ თავს. მერე გავქრი. ვიბრაციად, მფეთქავ წყლულად ვიქეცი – შაკიკის შეტევა მეწყებოდა.

ნესტიან ქვიშაზე დაგდებული სიგარეტი მაშინვე ქრება. ამ ცივი, მოყვითალო-მომწვანო ზღვიდან ქარვას იღებენ. სანაპიროს ორნამენტივით გასდევს ნესტიან ქვიშაზე მკაფიოდ აღბეჭდილი თოლიების და სანდლების

ნაკვალევი. ფეხები გამეყინა. რა იქნებოდა, ცოტაოდენი მზე ყოფილიყო. სანაპიროს გაყოლებაზე დიდი, უკაცური ტყე-პარკია. უკაცური იმიტომ კი არა, რომ წლის ამ დროს იშვიათად სეირნობს ვინმე – სიცივის, უმზეობის ვაკუუმის გამო.

არადა, ჩემი ბრალია. თბილი ტანსაცმელი თან არ დამაქვს. კაცმა რომ თქვას, საერთოდ არ მაქვს თბილი ტანსაცმელი – ზამთარს ორიოდე ძველი ჯემპრით და გაქუცული ქურთუკით ვატარებ.

საუზმეზე ნაჭამი მსუყე ომლეტი ყელზე მადგას. როგორ ინელებენ ამდენ მსუყე საჭმელს? და მაინც სულ შიათ. ფული თუ გვაქვს, ტელევიზიაში მე და წითური საცხობში ხორცის ღვეზელებზე გადავდივართ ხოლმე. სადღაც ოთხისკენ ვიყორავთ მუცელს. ლუდსაც თუ ვაყოლებთ, ბედნიერი დღეა. ტელევიზიის სასადილოში არცერთი არ ჩავდივართ. ჯერ კიდევ ჩემს მოსვლამდე წითურს მოლარესთან უჩხუბია – მთელი თვე ნისიად ჭამდა და უზარმაზარი ანგარიში დაახვედრეს. მე სასადილოს ფული არასოდეს მაქვს. ჰოდა, სკვერში ვსხდებით ხოლმე პარკებში გამოხვეული ღვეზელებით და ლუდით. ხანდახან თონის ხაჭაპურსაც ვყიდულობთ.

საშინელი ადგილია. გაფუყული, ჯიბესქელი ტურისტებით სავსე. დღე და ღამე დასუნსულებენ, «ლამაზ ადგილებზე», კარგ რესტორნებსა და ღირსშესანიშნაობებზე ნადირობენ. დღეში ათჯერ იყორავენ მუცელს და მაინც სულ ნერწყვს ყლაპავენ. «რამიბეს» ვერანდაზე ემილიასთან ერთად ვსაუზმობ და ვიღრინები, თუ ამ ხალხის ყურება მოგვიწევს, სულ ცოტა, სპირტიანი მაინც უფასო უნდა იყოს-მეთქი. ემილია თანაგრძნობით მიყურებს. შავბნელი მელანქოლიის მოზღვავება გამოუცდია და ჩემს

შემხედვარეს თავისივე გამოცდილება ანაღვლიანებს. აუცილებლად შეეცდება, «დამეხმაროს», ნაღვლის მკურნალ უებარ საშუალებასაც მაჩუქებს. საუზმეს სასწრაფოდ ვყლაპავ და ვდგები. ახლა ომლეტთან ერთად ყელზე დამდგარი თანაგრძობის მონელებაც მომიწევს.

საზიზღარი ადგილია. რა გაეწყობა – ტელევიზიაში მესამე სართულის იმ საგიჟეთს სჯობია, სადაც უნაყოფო დღეებს ვაღამებ.

კარგი იქნებოდა, ფიქრი თავისით გადმოდიოდეს ქაღალდზე.

ადრიანი დილა. ნისლი

მესამე დღეა, აქ ვარ. პირველ დღეს ცხელოდა. მეორე დღეს წვიმდა. დღესაც წვიმას აპირებს და ქუჩებში თხელი ნისლი დგას. კვირის ბოლოს ალბათ სიცივისგან გახევებულს თვითმფრინავის საბარგო განყოფილებაში ჩამდებენ და თბილისის აეროპორტში ჩამომაგდებენ. იქიდან მიკა წამიყვანს საბარგო ურიკით – ტაქსის ფული ალბათ არ ექნება, – რომელიმე მაღაზიიდან არაყს «ისესხებს» და შეკრულ კრიჭაში ჩამასხამს. მერე კი დაუთვლელ საათებს გავატარებ ჩამოგდებული მეფის პაიკთან ერთად ლოთობაში.

თეთრხელიანის გეგმის მიხედვით, დღეს კიდევ ერთი ქალაქის მონახულება გვიწევს. უარის თქმა უხერხულია – წინა ორ ექსკურსიას შაკიკის მიზეზით უკვე დავუძვერი.

ნერვები თუ გყოფნის, დასაკვირვებლად საინტერესო კომპანიაა. ოღონდ ჰომოსექსუალობის გამო მეტისმეტად გამომწვევად ყოფენ თავს დანარჩენი სამყაროსგან. გუშინ, სადილის წინ საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია ამბავმა, რომ ვიღაც ცნობილი ლექტორი გეი ყოფილა.

–ჩვენი ადამიანია – ამბობს ლინა.

აზრები მეფანტება. საინტერესოა, როდემდე მეყოფა ერთი შეკვრა თამბაქო. მარტოობა მინდა. პირველყოფილი თემური წყობილების მერე საუკუნეები გავიდა და რატომ აქვთ ადამიანებს ჯგუფებში გაერთიანების მაინც ასეთი ძლიერი მოთხოვნილება?

ავტობუსში ვსხედვართ და კლაიპედაში მივდივართ. ვცდილობ, ყურადღება არ მივიქციო, ლაპარაკში რომ არ ჩამითრიონ (ვისი ბაბუა რამდენი წლის მოკვდა). უკეთესი იქნებოდა, ამ ავტობუსში ჩემს შვილთან ერთად ვმჯდარიყავი.

დროის გასაყვანად თამბაქოს გახვევა დავიწყე. ღრუბლები აქ თავისი ცხოვრებით ცხოვრობენ. უმეთაურო ჯარივით ირევიან. ზოგი ლეგიონი ერთ რიგზეა გამწკრივებული.

პალანგას ტყე-პარკი

მყუდრო ადგილი გუბურასთან არც ისე მყუდრო გამოდგა. სადღაც პარკის სიღრმეში ხეს ჭრიდნენ და ელექტროხერხის ზუზუნი ისმოდა. თამბაქო გავახვიე და ზღვასთან ჩამოვედი. პარკიდან სანაპიროზე რამდენიმე პატარა ხის კიბე ჩამოდის.

ორი დღეა, არაფერი დამიწერია. ჩემს გაყინულ ზღვაში გადავეშვი, სადაც ურჩხულები ბინადრობენ. მიკას მივწერე. დაგხვდებიო. დამხვდება, აეროპოტისკენ გზაზე სადმე თხრილში თუ არ ჩაეძინა. საინტერესო ექსპონატია ადამიანების ნამსხვრევების კოლექციისთვის. მეფის გადაგდების მერე არც ცოცხლებში წერია და არც მკვდრებში – საინტერესოა, რატომ. იმიტომ რომ, ზოგადად ნეხვში ვართ, თუ იმიტომ რომ, ახლა თვითონაც აღმოჩნდა ამ ნეხვში.

ამ დილით ქარვის მაძიებლები ზარმაცობენ. ჩვეულებრივ, ტურისტები მშიერი წეროებივით თავდახრილები დაძრწიან ხოლმე სანაპიროზე – ქარვას ეძებენ. იმ ქარვას, აქაურ ფარდულებში მუჭი კაპიკად რომ იყიდება, დამუშავებული თუ დაუმუშავებელი.

გუშინწინ კლაიპედაში ვიყავით. გაბრიელემ ბაბუამისი – მუმიფიცირებული ენციკლოპედია მოპარა ტირან ბებიას და ჩვენი გიდობა დააკისრა. სახლში წლობით გამოკეტილმა ბებერმა თავისუფლების სუნი იყნოსა თუ არა, ლოკომოტივივით გავარდა წინ. გზაში მოულოდნელად, ყალყზე შემდგარი ცხენივით ჩერდებოდა ხოლმე რომელიმე შენობასთან და გაუჩერებლად ტარტარებდა.

ქალაქის სახელი, კლაიპედა, თურმე «მრუდე ფეხს» ნიშნავს. ამ ადგილების ახალმოსახლეებს საკუთარი ნაკვალევისთვის დაუხედავთ, არ მოსწონებიათ და აქაურობისთვის «ცუდი ფეხის» ქალაქი დაურქმევიათ. ასე გავიგე ბებრის ლაყაფიდან და ვიფიქრე, იმ ახალმოსახლეებს ბრტყელტერფიანობა ჰქონიათ-მეთქი (მეორე დღეს სანაპიროს ქვიშაზე საკუთარ ნაკვალევს ვაკვირდებოდი – ცერა თითი სხვებთან შედარებით დრაკონის კლანჭივით წაგრძელებული მქონია, არადა, ზემოდან რომ ვუყურებ, თითქოს მშვენიერი, დაწყობილი თითები მაქვს. ათი ნაბიჯი გადავდგი – ხან ისე, ხან ასე, ხან ერთი ფეხით, ხან მეორეთი. ცერა თითის აწევაც კი ვცადე, მაგრამ კლანჭი კიდევ უფრო დაგრძელდა და დაუშნოვდა).

ძველ კლაიპედაში, მოედნის ცალ მხარეს ოპერის თეატრის ორსართულიანი, ძველი შენობა გადმოჰყურებს. მეორე მსოფლიო ომის დროს ამ თეატრის აივნიდან თვით ჰიტლერს მიუმართავს მოედანზე შეკრებილი ხალხისთვის.

ენა წინ მისწრებს და ვეკითხები, თვითონაც იმ ხალხში ხომ არ ერია (ადამის ხნისაა, გასული საუკუნის 20-იან წლებში დაიბადა). ბებერი რამდენიმე წამს თვალებმოწკურული მომჩერებია, მერე კი შვილიშვილის პირით მპასუხობს, სხვა ქალაქში დავიბადეო. იმ დროს აქ არ ყოფილა და ჰიტლერი თვალით არ უნახავს. ცოტა ხანში დაგვემშვიდობა და თავისუფლების ჟინით ატაცებული სასწრაფოდ გაცუხცუხდა, თითქოს უკან ტირანი ცოლი მისდევდა. ალბათ კიდევ კარგა ხანს იძუნძულებს ასე «მრუდე ფეხის» ქუჩებში, ვიდრე გაფანტული სკლეროზის მიზეზით სიკვდილამდე არ გამოკეტავენ საბჭოთა კორპუსის ბინაში, რომელსაც ჩვენი წყალობით დააღწია თავი.

ჩემ გვერდით მომავალმა ემილიამ ცრემლი მოიწმინდა, ამ საყვარელი მოხუცის შემხედვარე, მეტირებაო.

ემილია

კარადასავით ზორბა ემილია ნერვიული და მგრძნობიარეა. სიტყვებს ტყვიასავით ისვრის და ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ჩქარ-ჩქარა ლაპარაკობს, ლაპარაკისას ხელებს იშველიებს. რამდენი წლისაა, ვერ გავიგე. ორმოცს გადაბიჯებული იქნება. გრძელ, თავის ტკივილივით გაწელილ და ბუნდოვან ტექსტებს თხზავს, მის გარდა ვერავინ რომ ვერ იგებს. რაც ყველაზე უარესია, ძალიან აინტერესებს (ან თავს გვაჩვენებს რომ აინტერესებს, რაც ამ შემთხვევაში არაფერს ცვლის), სხვისი აზრი თავის ნაწარმოებებზე, საუბედუროდ – ჩემიც.

პროექტის «ოფიციალური მხარე» – გაწერილი გრაფიკი, დისკუსიები და დაგეგმილი ღონისძიებები სავალდებულო სამხედრო სამსახურივით აუტანელია. დარწმუნებული ვარ, ამ ყველაფერში რძისფერი ხელი ურევია. უცხო

თვალისთვის ალბათ სასაცილოდ და სულელურად გამოვიყურებით.

როდის დავიწყებ იმის კეთებას, რაც მინდა?

ამ დისკუსიების დროს დაწყლულებული ტვინის მარჯვენა ნახევარსფეროში ჭიასავით დაბუდებული ხელშესახები ფიზიკური ტკივილი ცეკვას იწყებს, აფრიკულ ტამტამებზე უკრავს, კიბორჩახალასავით მეჭიდება ცალ საფეთქელში და ფეხებს აბაკუნებს – ცხადია, თუ წარმოვიდგენთ, რომ ტკივილს ფეხები აქვს, მრუდე ფეხები ან დრაკონისკლანჭიანი ფეხები.

ერთადერთი გამოსავალი ყურის წაყრუებაა, ან თავისებურ ექსტაზში ჩავარდნა – როგორც თეატრში, როცა იცი, რომ პერსონაჟი იტყუება, მაგრამ არც მწვადს წვავს, არც შამფურს. ჯგუფის წევრების მხნეობა, რომ ოდესმე მწერლები გახდებიან, მეტისმეტად უმწიფარი და გულისამაჩუყებელი მეჩვენება. პირველი ორი დღე მოთმინება არ მყოფნიდა, მერე კი დაკვირვებამ გამიტაცა. გულის სიღრმეში ყველამ ვიცით, რომ არავითარი მწერლები და მითუმეტეს, დრამატურგები არ ვართ. მაგრამ ამას რომ ხმამაღლა ვამბობდეთ, მაშინ აქაც არ უნდა ვიყოთ და «უცხო ქვეყნების» უფასოდ ნახვის და «ცოტაოდენი განტვირთვის» შანსი დავკარგოთ. ჩვენი ამ უწყინარი თავის მოკატუნებით არავის არაფერი აკლდება, ამიტომ...

ემილია ქარვის სამაჯურს მჩუქნის, დეპრესიისგან კურნავსო. წითურს ვაჩუქებ, ან მიკას. მე თილისმების არ მჯერა. იმათ კი უფრო სჭირდებათ. სუვენირების ფულსაც დავზოგავ.

«ზღვა წყლულებს კურნავს»

«ზღვა წყლულებს კურნავს» – მთელი აქ ყოფნის განმავლობაში სადღაც წაკითხული თუ გაგონილი ეს სიტყვები მაქვს აკვიატებული. წითურსაც მივწერე, ვურჩიე, შვებულება ზღვაზე გაატარე-მეთქი, მაგრამ თავს ვერ მოაბამს, დარწმუნებული ვარ. დისკუსიის მერე ზღვასთან ჩამოვედი და ერთი ქილა ლუდი დავლიე. ქარვის მაძიებლები არაფრად აგდებენ ურჩხული ზღვის მოტანილ სიმშვიდეს და წელში გაზნექილი ვირებივით, თავდახრილები ეძებენ ქარვის უწვრილეს ნაკუწებს.

სანაპიროზე, ძელსკამზე ვზივარ და ვფიქრობ. წითური მირჩევს, ნაკლები იფიქრეო. ახლა სწორედ წითურზე ვფიქრობ. ვფიქრობ, რომ წითური ჩემ შიგნით არსებული ერთი დიდი განზომილებაა, ერთი ადამიანი კი არა. ადრე, მაგალითად, წითური სულ არ ყოფილა. შავი, ჭაღარაშერეული თმა ჰქონდა, მაღალი შუბლი და პატარა ყურები. კისერზე სანდალოზის კრიალოსანი ეკეთა და შესვენების დროს კი არ გამოვრბოდით მოსაწევად, სექსი გვქონდა და ღამეებს ლაპარაკში ვათენებდით. დრო გაივლის და კომუფლაჟი შეიცვლება.

რა არის რეალობა? იჯდე ბალტიის ზღვის სანაპიროზე ამ იშვიათ მზიან დღეს. ხედავდე პატარა ფიგურებს, თავთხელში რომ მიტოპავენ და ცივი მზის სხივებს ეფიცხებიან; ხახაში ცრემლის უზარმაზარი ბურთი გეჩხირებოდეს და ყველასგან გაქცევას ცდილობდე; შიშველი იყო ადამიანებს შორის, როცა ჩაცმული ხარ და თავისუფლად სუნთქავდე ტანსაცმლის გარეშე, როცა ათასი უცხო თვალი გიყურებს.

დილით ზღვაში ორმოცდაათს გადაცილებული შიშველი ქალი ბანაობდა. საშუალო სიმაღლის, ტანზე ფენებად ქონის ნაკეცები ედო. თითოეული ნაკეციდან სიმშვიდე და

თავდაჯერება ასხივებდა. წყლიდან რომ ამოვიდა, ვარჯიში დაიწყო.

თავის ტკივილი არ მეშვება. ლუდი არ მეყო. ფული ცოტა მაქვს, წესიერ სასმელს ვერ გავწვდები.

აქ, წყალთან, ძალიან ბევრი ჩიტია. ძირითადად, თოლიები. მტრედები და ჭილყვავებიც არიან. ადამიანებს დიდად არ უფრთხიან. მხოლოდ მაშინ, როცა ერთად არიან, აუცილებლად აიშლებიან ხოლმე, ვინმე თუ მიუახლოვდა.

კლაიპედაში ნაყიდი ქარვის გულის ყელსაბამი მიკეთია, ნაღვლის მკურნალი.

პალანგა, «რამიბეს» ვერანდა

ისევ აცივდა. ქარი ძვლებში ატანს. დილით ზღვასთან არ ჩავსულვარ. ოთახში ყავა გამითავდა და აქაური ბარის ერთ ყლუპ ყავას უნდა ველოდო. არ მიყვარს ასეთი გაუგებარი დღეები, ქარიანი დღეები კი ყოველთვის გაუგებარია. როდის მომიტანენ ყავას? თამბაქომ მარჯვენა ხელის საჩვენებელი და შუა თითი გამიყვითლა.

არის დღეები, როცა არ იცი, რას ელოდო.

შუადღე, ზღვის ნაპირზე

გადავწყვიტე. პროექტს ვტოვებ. თავაზიანობის გამო დარჩენას აუცილებლად შემომთავაზებენ, მაგრამ გულის სიღრმეში შვებით ამოისუნთქავენ. ლინასაც კი ვეღარ ვცნობ, რაც აქ ჩამოვედით, ერთხელაც არ დავრჩენილვართ მარტო, ერთმანეთისთვის ადამიანურად სიტყვაც არ გვითქვამს. ალბათ თვითონაც ვეღარ მცნობს. იმ წყეულ პაგანზე აღარაფერს ვამბობ. კეფაზე შეკრულ, თხელ, აფუებულ თმაში, თავის კანზე წითელი მუწუკები თუ წყლულები მოუჩანს. პატარა, რძისფერ ხელებს

ლაპარაკისას ისეთი წარმოუდგენელი ტრაექტორიით ატრიალებს, მართლა მეპარება ეჭვი, უძვლო ხომ არ აქვს. ხანდახან უაზროდ ღიღინებს ხოლმე და გველივით მომნუსხავი გამოხედვა აქვს. იქნებ შარზე ვარ და მეჩვენება. იქნებ მართლაც თავშესაფრის ბავშვივით უმანკოა? თანაც ზომაზე მეტად თავაზიანი, ურია ჰიპივით. მარტო ლაპარაკისას კი არა, სიარულის დროსაც იკლაკნება. ბოლო დღეებია, ჩემი თანდასწრებით თვალთმაქცობას თავი დაანება და მარტოები როცა ვართ, თავაზიანობით თავს აღარ იწუხებს, ისეთია, როგორიც არის – სასტიკი.

ერთ კვირაში გაბრიელე თხოვდება. «ჭკვიანი, ცბიერი და მტკიცე ნებისყოფის ქალია», ზუსტად თავისი ბებიასავით. მომავალმა ქმარმა წინასწარ უნდა ილოცოს, სიბერეში გაფანტული სკლეროზი არ დაემართოს. საპატარძლოს მრუდე ტერფები აქვს და ბაჯბაჯით დადის.

ბოლო დღე

უმზეობის გადამკიდეს აქაურობა უცნაურად მეჩვენება, მგონია, აქ რომ მეცხოვრა, აუცილებლად ბრმა ვიქნებოდი. რატომ ბრმა და არა, მაგალითად, ყრუ? ვერ გეტყვით.

გუშინ საღამოს ფორმალობისთვის მაღაზიებისკენ გავისეირნე. ქუჩის კუთხეში, სუვენირების მყვირალა, ყვითელი საღებავით გადაღებილ დახლებთან ვიღაც საქსოფონით ყალბ ბგერებს გამოსცემდა («ერთხელ ამერიკაში», «ვარდისფერი პანტერა»). ფეხის აჩქარება დამეზარა.

გრძნობენ, მათ საზოგადოებას რომ გავურბივარ და თვითონაც მერიდებიან.

მიკა აეროპორტში ვერ დამხვდება. ორშაბათს შვილი პირველად მიჰყავს სკოლაში. თვითონ უნდა მოვახერხო რამე. ჩემი გოგო მომენატრა. სულ მენატრება. იქნებ რამდენიმე წელიწადში მაინც შევძლოთ მზიან ქვეყანაში გადასახლება. ახალ ცხოვრებას დავიწყებდით. ჩემს გოგოს ბევრი მზე, ზღვა და ყველა ის სიკეთე ექნებოდა, რაც ასე აკლია. ძალიან მომენატრა.

აივორასი

ხვალ მივდივართ და გადავწყვიტე, ჩემი და აივორასის კეთილი ნაცნობობის სამახსოვროდ ნომრიდან ჭიქა ავწაპნო. აივორასი «რამიბეს» მიმტანია – ყოველთვის უზადოდ გამოწკეპილი, წკეპლასავით მოქნილი, დანისპირივით თხელი და ბასრი. დიდი მწვანე თვალები გომბეშოსას მიუგავს, ცხვირი კი – მოგრძო კარტოფილს. სწრაფად დადის და სიარულისას ტანს გრაციოზულად არხევს. პირველ დღეს ღვინის გასახსნელი ვთხოვე. თურმე, ინგლისური არ სცოდნია. უფრო მეტიც, ჩვევად ჰქონია ყურის მოყრუება, ვინმე გაუგებარ ენაზე თუ დაელაპარაკებოდა. ვიდრე ძვირფასი აივორასის ამ საიდუმლოს ჩავწვდებოდი, კარგა ხანს ვიყურყუტე ბართან. მერე რუსულად მივმართე და სახე გაუნათდა, ღვინის გასახსნელი კი მაინც უხალისოდ მომაწოდა. უაღრესად თავდაჯერებულს, თავი დახვეწილ არისტოკრატად წარმოუდგენია. ტურისტებს, ცხადია, ვერ იტანს, გასხიპული თავაზიანობით ემსახურება.

მე ის მწყინს, მეც უსაქმური ტურისტების რიგებს რომ მიმათვალა. შეიძლება, ისიც აბრაზებს, დღეში სამჯერ რომ ვჭამთ და ჩაის არ ვუტოვებთ. აივორასს კოჭებში ეტყობა, რომ ჩემსავით არ მოსწონს დაგეგმილი ცხოვრება. მაშ, რატომ ვერ ამოიცნო მონათესავე სული?

ეჰ, აივორას!

ჩემსა და აივორასს შორის ხიდი (თუ ოდესმე არსებობდა) მაინც მაშინ ჩატყდა, სადილის მოტანა რომ ვთხოვე და აბეზარი ბუზივით ამიქნია ხელი. აქამდე სულ დანარჩენებთან ერთად ვსადილობდი ხოლმე და ვერ მიხვდა, რას ვთხოვდი. ყურის წაყრუება ჰო, მაგრამ ხელის აქნევა მეტისმეტი იყო. გაცოფებული ვერანდაზე დავბრუნდი და აივორასისთვის სასჯელის მოფიქრებით გავერთე. სავსე ლანგრით ხელში, ტანის რხევით რომ გამოექანება, ფეხქვეშ ბანანის ქერქს დავუგდებ. სიკვდილის ეს ბანალური ხერხი ერთ კომედიაში გამოვიყენე. მაგრამ პიესა პიესაა და აივორასისთვის განგებ ქერქის დაგდება თითქმის შეუძლებელია. დღეს კინაღამ კარი მომარტყა ცხვირში, მართალია – უნებურად. მერე თვალები აატრიალა და გულზე ხელი დაიდო, აქაოდა, არაფერი შენ არ გეშველებაო.

ჰოდა, შენს სამახსოვროდ ამ ჭიქას წავაცუნცულებ, აივორას. იმედია, ხელფასიდან დაგიქვითავენ.

ხოჭო ქვიშაში

სანაპიროზე უამრავი ხოჭოა. აქა-იქ კუნძულებად ხოჭოების საძმო სამარხებსაც წააწყდები. პირველად მაშინ შევნიშნე, შიშველი ფეხი რაღაცაზე რომ გავიკაწრე. მანამდე მეგონა, თვითონ ქვიშა იტალღებოდა ასე. მკვდარი ხოჭოების ტანს, ეტყობა, ჭიანჭველები ჭამენ, ან ჩიტები. მონაცრისფრო ქვიშიდან მხოლოდ დიდი, ფხაჭნია საცეცებია ამოჩრილი. მერე ამ საცეცებსაც ქვიშა ფარავს და მხოლოდ უცნაური, კუთხოვანი ფორმები მიანიშნებს საცეცების საძმო საფლავზე.

ქალი ქვიშაში, კაცი ქვიშაში, საცეცები ქვიშაში.

ქრისტინა

ლატვიის საზღვარი გადმოვკვეთეთ. ნიდა. სადღაც აქ უნდა ცხოვრობდნენ ქრისტინა და მისი დენდროლოგი ქმარი. ქრისტინა მთელი სამყაროა, ქრისტინა ბედნიერების გახვრეტილი ქვაა, ფეხსაცმლის ზონრით რომ მაქვს მაჯაზე შებმული. ზონარი უკვე გაიძენძა და ფერი გადაუვიდა – ერთი წელი გავიდა. ერთი წლის წინ მე, ქრისტინა და ვლადიმერი ვისბიუში ზღვის ნაპირზე ვსეირნობდით, უფრო სწორად, დავეხეტებოდით. ვლადიმერზე კიდევ შეიძლებოდა გეთქვა, სეირნობსო, ვლადიმერისთვის ზედგამოჭრილია სიტყვა «სეირნობა». თეთრთმიანი, ფერხორციანი და სოლიდური ვლადიმერისთვის, რომელიც გულის სიღრმეში ბავშვივით წყენიაა.

ავტობუსი ლატვიის გზებზე, დამუშავებულ მინდვრებზე აქა-იქ ამოჩრილ ხეების კუნძულებს შორის მიდის, მე კი ვმკითხაობ, ამ კუნძულებზე, ვაშლის ხეებში შეყუჟული სახლებიდან რომელში ცხოვრობენ ქრისტინა და მისი დენდროლოგი ქმარი, ქრისტინას პატარა შვილთან ერთად. მშვიდი და ჭკვიანი ბიჭი, ასაკისთვის შეუფერებლად პრაქტიკული. სახარჯო ფულით, სათამაშოს ნაცვლად, კარტოფილის სათლელი უყიდია, ქრისტინა ჰყვებოდა. საზამთრო მურაბებისთვის ტყეში კენკრის შეგროვება უყვარსო.

ვენსპილსი. ახლა გამახსენდა, ქრისტინა და მისი დენდროლოგი ქმარი, ბაბუად რომ ეკუთვნის, ვენსპილსში ცხოვრობენ. ქრისტინა რამდენიმე ბესტსელერის ავტორი იყო. ყველა სიკეთესთან ერთად, სარფიანად გათხოვილი, სანამ სმას დაიწყებდა. მერე ბიზნესმენ ქმარს გაშორდა და ვენსპილსის ლიტერატორების რეზიდენციაში დაიწყო მუშაობა. ერთ მშვენიერ დღეს იქ იპოვა მეგობრის მამამ

იატაკზე უსულოდ დაგდებული. თვითონ მეგობარს მამამისი დიდი ხანია, არ ენახა. მოკლედ, ჩახლართული ამბავია და კარგად აღარც მახსოვს. ქრისტინა თავის მხსნელს – მეგობრის მამას, პროვინციელ დენდროლოგს ცოლად გაჰყვა და სოფელში გადასახლდა.

ამ ბაიკერებიდან რომელიმე ქრისტინას ქმარი ხომ არ არის? იქნებ ზურგსუკან ქრისტინაც უზის? მაგრამ არა – ყველანი ახალგაზრდები არიან. და ეგეც არ იყოს, ქრისტინა უკვე გაშორდა დენდროლოგ ქმარს. ახლა სადღაც ციურიხში უნდა იყოს.

გული მერევა. რიგის აეროპორტში ვარ, ფული არ მაქვს, დრო – ბევრი. საჩუქრად ნაყიდი 50 გრადუსიანი ლიტვური ბალზამი გამოვცალე. სიგარეტიც მითავდება.

ისევ Baltic-ი. თავი მისკდება. წითურმა მომწერა, ხვალ გადაცემა შენ უნდა გაიყვანოო და ფეისბუქიდან წავშალე. თუ შეიძლებაო, არ უთქვამს, უნდა გაიყვანოო, რომ ჩამოხვალ, მიხვდებიო. ვერაფერსაც ვერ ვხვდები. ვერ ვხვდები, ჩემგან რა უნდა. კარგი დღეებიც გვქონდა. დრო ისე გავიდა, თითქოს არც არსებულა. არც არსებულა. დრო ჩვენ გამოვიგონეთ. გამოვიგონეთ წლები, დღეები და საათები.

ნეტავ დამეძინოს. Baltic Air-ის სავარძლებიც კი ადამიანის საწამებლადაა მოწყობილი.

დაბრუნება

აეროპორტში მიკა დამხვდა. არ ველოდი. თითქმის კმაყოფილმა მაცნობა, შენს არყოფნაში კიდევ ხუთი მკვლელობა მოხდაო. მგონი ჩამოგდებული მეფის მხედრიონს ცოტათი ახარებს კიდეც, უმათოდ სამეფოში წესრიგი რომ დაირღვა. აეროპორტამდე ტაქსისტს უფასოდ

წამოუყვანია. დავპირდი, მერე გადაგიხდი და მაშინვე დამთანხმდაო. დალოდებაც კი შემომთავაზა, მაგრამ უარი ვუთხარიო. არ გამკვირვებია – თვითონ ვიყავი ტაქსისტებთან მიკას ისტორიების მოწმე.

48 საათია, არ მძინებია. ჯერ ისევ ღამეა.

ლუდის დასალევად სოლოლაკში, რომელიღაც ჰოსტელის პატარა, 24-საათიან კაფეში შევედით. მაგიდებთან თევზებიანი აკვარიუმები დგას. ჩვენს მაგიდასთან აკვარიუმი ხმაურობს. მიკამ ცოტა ხანი უტრიალა, მერე წყლის გამწმენდი გამორთო, რაღაც უჩხიკინა და ისევ ჩართო. უხმაუროდ ამუშავდა. ასეა – თავს ყველგან ისე გრძნობს, როგორც საკუთარ სახლში.

ლუდი დავლიეთ და კიდევ ერთხელ მოვისმინე მეფისდროინდელი აღმშენებლობის ამბები. მერე სარდაფში წავედით. იქვე, იმ უბანში მის ოჯახს ბინა ჰქონია, სარდაფით. ბინა გაუქირავებიათ, სარდაფში კი მიკას პატარა ბუნაგი აქვს მოწყობილი. ოჯახის უზარმაზარი ბიბლიოთეკა, რომელიც აქ ინახებოდა, კაპიკებად მიუყიდია ბუკინისტისთვის. მერე, ეტყობა, სინდისმა შეაწუხა და აქაურობა ცოტა მიალაგა. ბეტონის შიშველი კედლებიდან ზოგან დაჟანგული რკინებია გამოჩრილი. ჭერის ერთ კუთხეში მსხვილ, დაკლაკნილ მილებს გამოუყვია თავი. კედელზე ერთგან წყალი ჟონავს. სარდაფის ნახევარზე მეტი უზარმაზარ საწოლს უჭირავს. სმა სარდაფში გავაგრძელეთ. მიკა ლუდის უძირო კასრია, არყის როფი, მოკლეთითებიანი ხელებით. ხელი რამეს თუ მოკიდა, აუცილებლად იდეალურად გააკეთებს, ოღონდ ეს იშვიათად, შემთხვევით და სიფხიზლის იშვიათ მომენტებში ხდება.

სახლში დილის ცხრაზე მოვედი. ათზე სამსახურში უნდა ვიყო. ჩემს გოგოს დიდის ამბით გადავეცი საჩუქარი – კუდიანი დედაბერი. თოჯინა ელემენტებზე მუშაობს, თვალები წითლად ენთება და საზარლად ჩხავის. მგონი, ახალგამოღვიძებულზე არ უნდა მიმეცა, ბავშვს გულს შემოეყარა, ვერ იჯერებდა, ბარბის მაგივრად ეს უმსგავსობა რომ ჩამოვუტანე.

* * *

წითური არ დამხვდა. მთვრალი და გაბრაზებული ვიყავი. ჯერ კიდევ რიგის აეროპორტში მომწერა, შენ უნდა შემცვალოო. თითქოს ის არ მეყოფა, უძინარი და დაღლილი რომ ვარ, ახლა შუაღამემდე ტელევიზიაში ყურყუტიც მომიწევს.

რომ მოვა, ზედაც არ შევხედავ. ვეტყვი, რომ უსირცხვილოა და მიყენებს. არ ვიცი, რა მიზეზი აქვს ასეთი და არც მაინტერესებს.

დააგვიანა. მოვიდა. მხრებში მოხრილს ტანსაცმელი პირდაპირ ძვლებზე ეკიდა და ფეხზე ძლივს იდგა. ამ რამდენიმე დღეში წარმოუდგენლად გამხდარა. გაფითრებულ სახეზე წითური წვერი შავად უჩანდა და პირიდან საფუარის სუნი ამოსდიოდა. ვერაფერი ვერ ვუთხარი, მარტო ხელი შევაშველე, რომ არ წაქცეულიყო და მოსაწევად გარეთ გავედით. მაღაზიაში წამომყევიო. ლუდი იყიდა და კორპუსებთან, სკვერში დავსხედით.

ავიღებ, დავგრეხ ბაწარსა, ჩამოვკიდებ სახრჩობელასა... წამლებს სვამ, წითურო? დღეში ორჯერ აბები თუ არ დალია, იმუნიტეტი საბოლოოდ დაუსუსტდება და მოკვდება.

ვსვამ, ბევრ წამალს ვსვამ. მაგალითად, გუშინ დედამისის დატოვებული აბების მთელი კოლოფი გამოუცლია და იაფი

არაყი მიუყოლებია. სანამ ჩაეძინებოდა, ჩემთვის მოუწერია, შემცვალეო. ეგონა, მოკვდებოდა. დილით ოფლში გაღვრილს გაღვიძებია, ფეხზე ვერ დგებოდა. ახლა ჩემ გვერდით ზის ტროტუარზე. მობუზული. ლუდს სვამს, ხელები უკანკალებს და სიკვდილი აქვს გადაწყვეტილი. მეუბნება, გადავწყვიტეო. ყველასთვის კარგი იქნებაო. თავს არავის ვაცოდებ, მტკიცედ გადავწყვიტე და ყველაზე მეტად იმით დამეხმარები, ჩემ მაგივრად გადაცემას თუ გაიყვანო.

გამაცინე, წითურო. სიკვდილი არ უნდა. შველას ითხოვს. ვისაც სიკვდილი უნდა, უსიტყვოდ მიდის, ხელი რომ არ შეუშალონ. შენ კი სიცოცხლეს ებღაუჭები, როგორც ახლა მე გებღაუჭები ტანსაცმელზე, რომ არ წახვიდე და ისევ ის წყეული დასაძინებელი აბები არ დალიო. რატომ გებღაუჭები? იმიტომ, რომ ჩემთან მოხვედი, თითი დამადე და მითხარი, გადამარჩინეო. სხვა გზა არ დამიტოვე. ესეც შენი არჩევანი იყო. ისევ გამაბრიყვე. ისღა დამრჩენია, დედობრივი ღიმილით გიყურო, როგორ ივლი ფსიქიატრებთან, ეს დღეები რომ ჩაივლის და კბილი კბილს დავაჭირო, იმიტომ, რომ სინამდვილეში შენი გადარჩენა ვერ შევძელი.

ჯაბა ზარქუა

ვადაგასული ნაწერი

ეს უკვე მეტისმეტია – დედასაც ვადა გაუვიდა! აგერ, ვუყურებ ახლა, უეჭველად ეგაა, ზის გაუნძრევლად სავარძელში, მოღიმარი სახე აქვს და კედელში იყურება. კედელში კი არა, უფრო ალბათ კედელს მიღმა, ზუსტად ისე, როგორც ყველა ვადაგასული ადამიანი. დედა! დეე!!! არანაირი რეაქცია. სახეზე ვუთათუნებ ხელს, მტკივნეულად კი არა, ისე, უბრალოდ, საგრძნობლად, თუმცა რეაქცია – 0! რა საშინელებაა. ხომ პირველად არ ვარ ასეთ სიტუაციაში და მაინც რა მძიმედ აღვიქვამ ამ ამბავს, ვერაფრით შევეჩვიე. ფარ-ხმალს ვყრი, დედის წინ ვჯდები, დიდ დივანზე და სიგარეტს ვუკიდებ. ვაშტერდები კოლოფზე დატანილ წარწერას, რომელიც მაფრთხილებს, რომ მოწევა მავნებელია ჩემი ჯანმრთელობისთვის და ხელს უწყობს ჩემი ვარგისიანობის პერიოდის დამოკლებას. წადით, თქვენიც... იქნება და ასეც სჯობდეს? იქნებ, ასე ერჩივნა მამაჩემსაც?

სადღაც, ასე, 10 წლის ვიქნებოდი, როცა მამას ვადა გაუვიდა და, რა თქმა უნდა, ამ ფაქტის მომსწრეც გავხდი. მე ხომ აურა მაქვს ასეთი თუ რაღაც ჯანდაბა – მაინცდამაინც ყველა ახლო ადამიანის ვარგისიანობის ამოწურვა ჩემ თვალწინ უნდა მოხდეს. ზუსტად მახსოვს ის დღე. რომელი დღე იყო, ნამდვილად არ მახსოვს, მაგრამ რა მოხდა – დეტალურად. ეზოში ბურთს მეთამაშებოდა. სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ ხშირად ვთამაშობდით ბურთს ჩვენი სახლის ეზოში. ერთი ბავშვი ვიყავი ოჯახში და ყურადღებასაც შესაბამისად მაქცევდნენ, ისე კი არა, საცოდავი ფარნაოზის სახელი მამამისმა ძლივს რომ დაიხსომა მეათასე ჯერზე. საწყალი, მეცამეტე ბავშვი იყო

ოჯახში, აღნაგობა და უნარები არაფრით გამორჩეული არ ჰქონია და მამამისს ყოველთვის სხვა ძმებში ერეოდა. ზუსტად მახსოვს, პირველად როცა ზუსტად დაუძახა სახელი შვილს, ან, იქნებ, გაარტყა კიდეც შემთხვევით, მიდი და გაიგე ახლა, რა გახარებული მოვარდა ფარნა ჩემთან და მთელი საღამო როგორი აღტყინებული მიყვებოდა ამ ამბავს. მე კიდევ გულის სიღრმეში მეცინებოდა იმიტომ, რომ ამ ფონზე სახლში ნამდვილი ნებიერა ვიყავი. საღამოობით ბურთის თამაში, დედის გამზადებული საჭმელი სპეციალურად ჩემთვის, ბებიას გამომცხვარი ტკბილეულობა, ბაბუას მოყოლილი ზღაპრები, რა გინდა, სულო და გულო. ერთი ცუდი ის იყო, რომ ყველა ეწეოდა. საშინელი მწეველები იყვნენ დედაც, მამაც, ბებიაცა და ბაბუაც. სულ მეშინოდა ამისი და მთელი ბავშვობა სიგარეტი დასანახად მეჯავრებოდა, მაგრამ ვერაფერს გავხდი. ვერაფრით ვაიძულე ოჯახის ვერცერთი წევრი, რომ მოწევისთვის თავი დაენებებინათ. ახლა კი ვზივარ სავარძელში, ვუყურებ მწყობრიდან გამოსულ დედას და ერთი კითხვა მიჩნდება – იქნებ ეს არის ერთადერთი გამოსავალი? პფფფ.... ერთი ღრმა მოქაჩვაც და ეგაა, ეს ღერიც დამთავრდა. ჰო, იმას ვამბობდი, რომ მამა ჩემ თვალწინ გამოვიდა მწყობრიდან-მეთქი. ასე პირდაპირ და უცერემონიოდ – ვითამაშეთ ბურთი, შევედით სახლში და ის-ის იყო, რომელიღაც კომპიუტერული თამაშის ჩართვას და მამასთვის შეთავაზებას ვაპირებდი, რომ გავხედე და არ ინძრეოდა. მაშინ არ მქონდა ნანახი ვადაგასული ადამიანი და ვერ მივხვდი, რა ხდებოდა. ზუსტად ასე გამოიყურებოდა, როგორც ახლა – დედა. იჯდა ტელევიზორის წინ დადგმულ სავარძელში, იღიმოდა და კედელში იყურებოდა, თითქოს მის მიღმა ხედავდა სამზარეულოში მიმდინარე ფუსფუსს. როცა ჯანჯღარმა შედეგი არ გამოიღო, ტირილი მოვრთე და ოთახში

უფროსები შემოცვივდნენ. დედის რეპლიკები მახსოვს ალაგ-ალაგ: «დარეკეთ დეპარტამენტში»... «ბავშვი მოაშორეთ აქაურობას»... მას შემდეგ სულ ვეკითხებოდი დედას, რა მოხდა იმ საღამოს, ის კი თავიდან მიშორებდა და მპასუხობდა, რომ აზრი არ ჰქონდა ახსნას, მაინც ყველაფერს თავად გავიგებდი.

გამოხდა ხანი და მართლაც, ჩემით გავიგე, რომ თურმე ყოფილა ოდესღაც დრო, როდესაც ადამიანები საშუალოდ 75 წელიწადს ცხოვრობდნენ. დღევანდელი გადმოსახედიდან ეს სასაცილოდაც ჩანდა, მაგრამ ისტორიის წიგნები და ყველა სანდო წყარო სწორედ ამას მეტყველებდა. 75 წელს დღეს ის ადამიანებიც კი ცხოვრობენ, რომლებსაც ფილტვის კიბო ემართებათ. ნუ, ყოფილა შემთხვევები, როცა მანამდეც დაღუპულან, მაგრამ ეს ალბათ უფრო იმ ქვეყნებში, სადაც მედიცინა ძალიან ცუდად არის განვითარებული. ისე, საშუალოდ, 120-130 წლამდე ისე არ გასდით ვადა ადამიანებს, როგორც არაფერი. ჰო, ერთი რამ დამავიწყდა მეთქვა. თურმე ნუ იტყვით და, ადრე ყოფილა ასეთი ცნებაც – «სიკვდილი». მთელი ბავშვობა შევალიე ამ ჩემთვის სრულად გაუგებარი ცნების გარკვევას. რომ არ დაგაბნიოთ, ჩემი თანმიმდევრულად გავყვები – ადამიანები ხომ ცხოვრობდნენ საშუალოდ 75 წელიწადს, მერე ვადა გასდიოდათ და «კვდებოდნენ», როგორც ამას ადრე ეძახდნენ. თქვენ წარმოიდგინეთ და ასეთ დროს თურმე ზოგან ადამიანებს მარხავდნენ, ანუ ჩაფლავდნენ მიწის ქვეშ სპეციალურ ჭურჭლებში მოთავსებულებს ან კრემაციას უკეთებდნენ, ანუ წვავდნენ და მერე ნეშტს ფანტავდნენ, ან კიდევ, შეიძლება, საერთოდ, ხეებზეც კი ჩამოეკონწიალებინათ. რა უცნაურია, არა? ჩვენთვის ხომ გაუგებარია, რას ნიშნავს «მკვდარი» ადამიანი? ჩვენ ვიცით,

რომ როდესაც ადამიანს გასდის ვადა და გამოდის მწყობრიდან, პირველივე საათებში კეთდება შეტყობინება სოციალური მომსახურების სააგენტოში, საიდანაც ოპერატიულად მოდიან წარმომადგენლები და ვადაგასული ადამიანი მიჰყავთ ვადაგასულ ადამიანთა რეცირკულაციის ცენტრში, სადაც ახდენენ მათ გადამუშავებას ხელმეორე გამოყენებისთვის და გიბრუნებენ უკანვე ფოსტის მეშვეობით, გააჩნია, მასალა რის საშუალებას მისცემთ. აი, მაგალითად, მამას ორგანოები დაავადებულ ადამიანებს გადაუნერგეს, ხოლო რაც მორჩა, იმით უზარმაზარი ბლოკნოტი მიიღეს, რომელიც თავად მოგვიტანეს სახლში და, სხვათა შორის, რომელშიც ახლა ამ ნაწერს ვწერ. ჰოდა, წარმოიდგინეთ, რომ ადამიანებს გასდიოდათ ვადა და ამხელა რესურსს უბრალოდ კარგავდნენ და ყრიდნენ! საოცარი იყო, ვერაფრით ვხვდებოდი ამ ქმედების არსს მთელი ბავშვობის განმავლობაში, სანამ ბაბუამ არ განმანათლა ერთ დღესაც:

– ბაბუ, ადრე ადამიანებს იცი, რისი სჯეროდათ?

– რისი?

– სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის.

– ანუ?

– ანუ ვადის გასვლის შემდეგ ისინი გადასამუშავებლად კი არ მიჰყავდათ რეცირკულაციის ცენტრებში, არამედ პატივს მიაგებდნენ და პირიქით – არ აწუხებდნენ. სასაფლაოები ყოველთვის მყუდრო და წყნარ ადგილებში იყო გაშენებული იმიტომ, რომ ადამიანის სული მშვიდად ყოფილიყო. ადამიანის სული იყო ის, რაც ამოძრავებდა მის სხეულს და რაც მისი სიკვდილის შემდეგ

თავისუფლდებოდა და მიდიოდა ზეცაში. ზეცაში კი გადაწყვეტდნენ, ის იქ დარჩენას იმსახურებდა თუ ქვესკნელში უნდა განემწესებინათ.

– ქვესკნელში რატომ უშვებდნენ?

– იმიტომ, რომ ბოროტად იქცეოდა მთელი ცხოვრება და არ იმსახურებდა სამუდამო დასვენებას და კარგად ყოფნას.

– და მერე ეს ყველაფერი შეიცვალა?

– უფრო სწორად – ეს ყველაფერი არც არასდროს არსებულა სინამდვილეში, უბრალოდ ხალხს ატყუებდნენ ასე. მერე ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა და ადამიანებსაც ასეთი სისულელეების აღარ სჯერათ. ძალიან სახიფათო იყო ამ რაღაცების რწმენა, ბაბუ. ადამიანები ხშირად არ მუშაობდნენ იმიტომ, რომ ტვინი ამ ამბებით ჰქონდათ გამოლაყებული. წესიერად ვერ ვითარდებოდნენ. მას შემდეგ კი, რაც ეს ყველაფერი ერთი ხელის მოსმით შეიცვალა, ადამიანებმა ყაირათიანად მუშაობაც დავიწყეთ, შიშიც გავაგდეთ ჩვენი ტვინიდან და ცხოვრებაც გაგვიხანგრძლივდა.

– ბაბუ, ვადის გასვლა და სიკვდილი ერთი და იგივეა?

– თითქმის კი, მაგრამ დიდწილად – არა. სიკვდილის შემდეგ გადაგაგდებდნენ, ვერაფერში ვერასდროს გამოგიყენებდნენ. ვადის გასვლის შემდეგ კი გარდა იმისა, რომ გადაგამუშავებენ და რამე პრაქტიკულ დანიშნულებას მოგიძებნიან, ასევე შენს ტვინს შეინახავენ სანდო პირობებში და როცა ამის დრო მოვა, შენი ტვინიდან შენს თავს ისევ გამოძერწავენ მეცნიერები.

– ეგ როდისღა იქნება, ბაბუ?

– როცა მეცნიერება განვითარდება მაგ დონეზე. ჯერ არ ვიცი, აბა, დაიძინე ახლა. დაიძინე. შენ აუცილებლად მოგისწრებს ეგ დრო.

ბაბუა კი მიყვებოდა ამასდა კი ჩანდა საღად მოაზროვნე ადამიანი, მაგრამ ცოცხალი თავით არ მეუნებოდა, რატომ ეთამაშებოდა ცეცხლს და რატომ იმოკლებდა ვარგისიანობის ვადას. ჩვენს დროებაში ხომ ადამიანი თითქმის გარანტირებულად ცხოვრობდა 120 წლამდე და იყო ქმედუნარიანი, თუ რაიმე ექსტრემალური არ შეემთხვევოდა და ვინმე მის სიცოცხლეს შეგნებულად არ ხელყოფდა, ან თავად არ მოისწრაფებდა სიცოცხლეს? თავად ეს შეეძლო ორი გზით გაეკეთებინა – სწრაფი და ნელი სუიციდის გზით. ეს ყველაფერი ხომ სკოლაში ვისწავლეთ, მთელი გაკვეთილი არ ჰქონდა ამ თემას დათმობილი განა? იქიდან მახსოვს სიტყვასიტყვით: «სწრაფი სუიციდი არის საკუთარი სიცოცხლის შესაძლო გეგმიური ხანგრძლივობის ხელყოფის იმგვარი მეთოდი, რაც ითვალისწინებს მის დაუყოვნებლივ შეწყვეტას. მაგალითად, თავის დახრჩობა, ჩამოხრჩობა, ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღით სიცოცხლესთან შეუსაბამო ჭრილობის მიყენება და ა.შ. ნელი სუიციდი კი გახლავთ საკუთარი სიცოცხლის შესაძლო გეგმიური ხანგრძლივობის ხელყოფის იმგვარი მეთოდი, რაც ითვალისწინებს მის დროში გახანგრძლივებულ შეწყვეტას. აღნიშნული ქმედების ერთადერთი მაგალითია თამბაქოს შემცველი პროდუქტების მოხმარება». უჰ, ეს იყო ზუსტად, ყოველთვის მახსოვს ზეპირად. ასევე მახსოვს, რომ ქვემოთ მინაწერიც ჰქონდა ამ აბზაცს, სადაც განმარტებული გახლდათ, რომ ყოველთვის ასე არ ყოფილა. ანუ ყოველთვის მხოლოდ თამბაქოს პროდუქტების მოხმარება არ ყოფილა ნელი სუიციდის

მიზეზი. იყო სხვა რისკებიც, როგორიცაა სიმსუქნე, მჯდომარე ცხოვრების წესი, ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება, თუმცა ეს ყველაფერი დიდი ტექნოკრატიული რევოლუციის შემდეგ წარსულს ჩაბარებია. მხოლოდ თამბაქოს შემცველი პროდუქტების მოხმარება დარჩენილა ერთადერთ რისკად ნელი სუიციდისა, რადგან თამბაქოს მწარმოებელი კომპანიები და მათ მიერ გამომუშავებული კაპიტალი ყოფილა ყველა იმ ტექნოლოგიური სიახლის და განვითარების ქვაკუთხედი, რამაც საზოგადოების ტრანსფორმაციას დაუდო საფუძველი. ამიტომ თამბაქოს წარმოება არ გაჩერებულა საზოგადოების განვითარებაში შეტანილი მატერიალური წვლილის დასაფასებლად. მომხმარებელთა რაოდენობა კი შემცირებულა მნიშვნელოვნად, მაგრამ ბიზნესი მაინც მომგებიანად რჩებოდა და დარჩებოდა კიდეც, თამბაქოს ყოველთვის ეყოლებოდა თავისი მუშტარი. აგერ, ერთ ხუთსულიან ოჯახში ოთხი მომხმარებელი იყო, რაღაზე ვსაუბრობთ საერთოდ. ერთი ეგაა, რომ კომპანიებისთვის დაუვალებიათ მომხმარებლებისთვის რისკების უფრო თვალსაჩინო განმარტება. ეს ასეც მოხდა. სკოლიდანვე ვიცოდით, რომ სიგარეტი ისეთივე საშიში იყო ადამიანისთვის, როგორც ტყეში მოულოდნელად შემოფეთებული მშიერი დათვი ან ავიაკატასტროფა. სკოლიდან სახლში მოსულს, როცა ყველაფერი გაბუღული მხვდებოდა, ძალიან ვბრაზდებოდი და უკვე მერამდენედ, უშედეგოდ ვითხოვდი ოჯახის წევრებისგან ახსნა-განმარტებებს, მაგრამ ამ საკითხზე ყველა დუმილს ამჯობინებდა. ასე მეუბნებოდნენ, გაიზრდები და მიხვდებიო და მგონი, ვხვდები კიდეც ახლა. ვხვდები, რომ ეს ერთადერთი გამოსავალია.

მთელი ოჯახი თავჩაუხრელად მუშაობდა. მე ვსწავლობდი, როცა სწავლა დავამთავრე, მეც ავტომატურად მუშაობა დავიწყე. დედაჩემი და მამაჩემი ერთ კომპანიაში მუშაობდნენ, რომელიც სამედიცინო აპარატურას ყიდიდა. ბაბუა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სტადიონების მოვლა-პატრონობაზე იყო ერთ-ერთი პასუხისმგებელი პირი. ბებია კი ხარისხის კონტროლის სააგენტოში იყო ექსპერტი. მნიშვნელობა არ აქვს, რა საქმით იყვნენ დაკავებულები, არსი ერთი იყო. ყველა მათგანი იღვიძებდა დილის შვიდ საათზე და იწყებოდა ტრადიციული, სამსახურში გასვლის წინა ფუსფუსი. იქ ვიღაცა საპირფარეშოში გამოიკეტებოდა იმაზე დიდხანს, ვიდრე ეკუთვნოდა. იქ ვიღაც სამზარეულოში დაიწყებდა საუზმის მომზადებას. იქ ვიღაც პერანგს ვერ პოულობდა (ეს ძირითადად ბაბუა იყო ყოველთვის, თუმცა ხდებოდა ისე, რომ მამაც ვერ პოულობდა პერანგებს). მე საწოლიდან ვიზლაზნებოდი და ზანტად ვერთვებოდი საერთო სახალხო ორომ-ტრიალში. დაახლოებით 40 წუთში, მიუხედავად ერთი შეხედვით დიდი არეულობისა, ყველანი მაგიდასთან ვისხედით. აქ იწყებოდა პირველი ღერის მოკიდება. ამ მოკიდებას რაღაც რიტუალური სახე ჰქონდა – მოუკიდებდა ბაბუა და მოკიდებულ ღერს გადააწოდებდა გვერდით მჯდომ მამას. ანთებული ღერიდან გადაუკიდებდა მამა და გადააწვდიდა დედას. დედაც იგივეს იზამდა და მისცემდა ბებიას. ბებია კი ბაბუას დაუბრუნებდა და მაგიური წრეც იკვრებოდა. მე მტოვებდნენ, ცხადია. მე ხომ ჯერ კიდევ არ ვეწეოდი. ჩემს მოჯღანულ სახეს ყურადღებას არ აქცევდნენ. ურღვევი წრე იყო, რომელსაც მე კი არა, მთელი სამყარო ვერ გაარღვევდა. მოწევის შემდეგ ვიწყებდით ჭამას, მაგარი და შავი ყავის დალევას და საუბარს, რასაც დაახლოებით ნახევარ საათს ვანდომებდით და ბოლოს ყველანი ერთად

გავდიოდით სახლიდან. ზუსტად ცხრა საათზე უკვე ყველანი ჩვენ-ჩვენს ადგილას ვიყავით. მე – სკოლაში, დანარჩენები სამუშაოზე. ორი მანქანა გვყავდა. დედას და მამას მე მივყავდი სკოლაში, ბებია და ბაბუა ერთად მიდიოდნენ. საღამოს რვა საათზე ყველანი ისევ სახლში ვბრუნდებოდით. მე და მამა ან ვთამაშობდით ფეხბურთს და ან – არა, დამოკიდებული იყო ამინდზე. ბაბუა ან მიყვებოდა ძილის წინ ზღაპრებს და ან – არა, დამოკიდებული იყო სატელევიზიო პროგრამაზე. ბებია ან აკეთებდა გემრიელ სასუსნავებს, ან – არა, დამოკიდებული იყო ბაბუაზე და დედა ან დამჩხაოდა თავზე ან არა, დამოკიდებული იყო სკოლის ამბებზე. მე ან მიხაროდა ან არა, დამოკიდებული იყო ყველა ზემოთ ჩამოთვლილზე. ერთად ყოფნისთვის დაახლოებით 2-3 საათი გვქონდა, არაუმეტეს. ღამის 11-12 საათისთვის უკვე ლოგინებში უნდა ვყოფილიყავით და წესიერად გამოგვეძინა. მეორე დღეს სამუშაო გველოდა. ბაბუამ მითხრა ერთხელ, რომ ადრე ადამიანები ყოველ კვირაში ორ დღეს ისვენებდნენო. ახლა ცოტა სხვანაირად გამოდის ეს ამბავი. დასვენება ეკუთვნის ყველა ადამიანს, მაგრამ ასე, ყოველ კვირაში – არა. უფრო – წლიურად. ვის – როგორ, გააჩნია სამსახურს, გააჩნია მოვალეობებს და ა.შ. ყოველ კვირაში ორი დღის ჩაგდებით და ე.წ. «რვასაათიანი» სამუშაო გრაფიკით, რომელიც ასევე ბაბუასგან შევიტყვე, შორს ვერ წავიდოდით, ცხადია. აქამდეც როგორ მოვედით, ძალიან გამიკვირდა.

ეს ყველაფერი იმიტომ მოვყევი, რომ ახლა უკვე ზუსტად ვხვდები, რატომ ეწეოდნენ სიგარეტს ჩემები. იმიტომ, რომ გამოუსწორებელი ზარმაცები იყვნენ და ვარგისიანობის ვადის შემცირება უნდოდათ, არა, დე? დე, თავი დამიქნიე, რა. გაშტერებული და ვადაგასული კი დევხარ სავარძელში,

მაგრამ დარწმუნებული ვარ, ძალიან გიხარია ეს ყველაფერი და ბედნიერი ხარ ასეთი დასასრულით, არა? 120 წელს რა გაძლებდა საშუალოდ და მეტიც – შენს ტვინს შეინახავენ, მეცნიერება განვითარდება და აღგადგენენ ახლიდან. რისთვის? ცხადია, იგივე ციკლის გასავლელად! აქედან გამოსავალი არაა. სიგარეტის მოწევაც კი არაა გამოსავალი იმიტომ, რომ აღდგენის მერე სად დაიმალები? ისევ მოკვდები და ისევ აღგადგენენ. და მერე? მე ვიცი, როგორც უნდა გიშველო, დე. თუ უახლოეს 4 საათში შეტყობინებას არ გავაკეთებ სოციალური მომსახურების სააგენტოში, ისინი თავად მოვლენ იმიტომ, რომ შენი სხეულიდან იმპულსები გაიგზავნება ავტომატურად. უფრო სწორად, იმპულსები მანამ იგზავნებოდა, სანამ ვარგისიანი იყავი. ვადის გასვლის შემდეგ იმპულსების გზავნა წყდება და სწორედ ასე აგნებენ ობიექტს. არც დამეკითხებიან, ისე წამართმევენ შენს თავს და წაგიყვანენ რეცირკულაციის ცენტრში. მერე კი ვინ იცის, რამდენიმე დღეში შენს თავს ისევ მომგვრიან ლეპტოპის ჩასადების ან სულაც საწოლის სახით, შენს ტვინს კი შეინახავენ შესაბამის პირობებში, რომ მეცნიერების შესაბამისად განვითარების შემდეგ აღგადგინონ იგივე სახით, რა სახითაც არსებობდი ოდესღაც. მეცნიერება კი ძააალიან სწრაფად ვითარდება დე, ძალიან სწრაფად! მგონი, ეს მდგომარეობაა შენთვის, ჭეშმარიტად გამოუსწორებელი ზარმაცისთვის, ის ადგილი, სადაც ადამიანის სულებს სატანჯველად ამწესებდნენ, როგორც ბაბუა მიყვებოდა. ჰოდა, უნდა გიხსნა აქედან. სხვები ვერ გადავარჩინე იმიტომ, რომ ამ თემებზე მაშინ არ მიფიქრია. ძალიან პატარა ვიყავი საამისოდ. მაგრამ ახლა ხომ ვხვდები ყველაფერს და შენ მაინც გადაგარჩენ, აუცილებლად გადაგარჩენ!

დედას ხელს ვკიდებ და ზურგზე ვიგდებ. მძიმე არაა, მე ათლეტური ვარ და, მით უმეტეს, არ მემძიმება. წინააღმდეგობას არ მიწევს, ცხადია. შევდივართ ლიფტში და ველით, როდის ჩავა ორმოცდამესამე სართულიდან პირველზე. კარგა სამ წუთს ანდომებს იმიტომ, რომ გზად ვიღაცები გადიან და შემოდიან. მე და დედა კუთხეში ვართ ატუზულები და მისი უსიცოცხლო სუნთქვა კისერში ერთ წერტილს მიხურებს. დიდ ყურადღებას არავინ გვაქცევს. არავის სცხელა მეზობლისთვის, რომელსაც ვადაგასული დედა ჰყავს ზურგზე მოგდებული და უხერხულად გიღიმის. ჯერ ისედაც, ლიფტში საუბარი ყოველთვის მოუხერხებელია იმიტომ, რომ თანამოსაუბრე ძალიან ახლოს დგას შენთან და მერე ისედაც, როცა ვადაგასული ახლობელი ადამიანი ახლავს თან და დიდი ალბათობით, სოციალური მუშაკის დასახვედრად მიემართება, იქ ყოველთვის ცდილობ, რომ ზედმეტი კითხვები არ დაუსვა, მეტიც – საერთოდ არც შეიმჩნიო.

ჩავდივართ ქვემოთ. ბნელა უკვე. ერთი პირობა ისიც მომდის თავში, რომ ჩვენს ძველ სახლში წავიდე, მაგრამ იქ ახლა სულაც არაა სახლი, გასართობი ცენტრია, დაცული და შემოღობილი, კაციშვილი იქ შესვლის ნებას არ მოგვცემს. ამიტომ ვჯერდები ამ ჩვენი უსიცოცხლო კორპუსის მცირე ეზოს, რომელიც დედას დასანახად ეჯავრებოდა. არა, დე? გახსოვს, რამდენი ხანი ვიფიქრეთ, სანამ აქეთ გადმოსვლას გადავწყვეტდით? თან გინდოდა იმ სახლის დატოვება იმიტომ, რომ ყველაფერი ვადაგასულ ბებიას, ბაბუას და მამას გაგონებდა და თან არ გინდოდა იმიტომ, რომ ყველაფერი ვადაგასულ ბებიას, ბაბუას და მამას გაგონებდა. საბოლოოდ მაინც გადმოვედით იმიტომ, რომ სახლი მიწისძვრამ მნიშვნელოვნად დააზიანა და კომპენსაციაც კარგად

გადაგვიხადა იმ კომპანიამ, რომელმაც ის ტერიტორია იყიდა. ისე, კაცმა არ იცის, ის მართლა მიწისძვრა იყო თუ კომპანიის რამე ფანდი ჩვენს გამოსასახლებლად, ასეა თუ ისე, გახსოვს, აქ გადმოსვლის შემდეგ როგორ გაგიჭირდა ეზოსთან შეგუება? სახლთან კი არა, არც აბაზანასთან, არც სამზარეულოსთან და მაღალ სართულთან, არამედ კონკრეტულად ეზოსთან, რომელიც იყო ერთი ციცქნა, ხალხმრავალი, ხმაურიანი და მახინჯი? საშინლად გაღიზიანებდა ეს გარემო. მეზობლებსაც ვერ შეეწყვე. ჰოდა, ბედის ირონიია, მაგრამ აგერ, ხის ქვეშ დაგმარხავ. ხო, სხვა გზა არა მაქვს. სწორედ აქ დაგმარხავ, ბაბუასგან ვიცი, ეს როგორც ხდება. დაგმარხავ რაც შეიძლება ღრმად, ისე, რომ ვერასდროს მოგაგნოს სოციალურმა მუშაკმა. იმედი მაქვს, მიწის ქვეშ ყოფნის გამო შენს ადგილმდებარეობას ვერ დაადგენენ, ან თუ მაინცდამაინც, აქამდე კი მოვლენ, მაგრამ კონკრეტულად სად ხარ, ვერ მიხვდებიან. თავშიც არ მოუვათ აზრად, რომ ვინმემ მსგავსი რამ გააკეთა და ადამიანი «დამარხა». არც ეცოდინებათ საერთოდ, ეს რას ნიშნავს. ყველას კი არ ჰყავდა ბაბუა, რომელიც უცნაურ ისტორიებს უყვებოდა ძილის წინ. ხო კარგი იდეაა, დე?

რაც შემეხება მე, აუცილებლად გავაგრძელებ მოწევას - მანამ, სანამ ვადა არ გამივა. მერე ჩემს ტვინსაც შეინახავენ ალბათ იმიტომ, რომ მე არავინ დამმარხავს შენგან განსხვავებით. ასეა, ყველას კი არ უმართლებს. ალბათ მომაგნებს სოციალური მუშაკი, საბუთებს გააფორმებს (ვისთან – მეზობელთან? როგორ წერია კოდექსში?) და წამიღებს რეცირკულაციის ცენტრში. გადამუშავების შემდეგ კი გავხდები საპონი ან მუყაოს ქაღალდი, რისგანაც სიგარეტის კოლოფებს დაამზადებენ. ჩემი ტვინი კი იქნება შენახული საიმედო ადგილას. რა

მოხდება მერე, როცა ხელახლა აღმადგენენ? ეგ აღარ ვიცი, იმედია, სიგარეტი საკმარისი მექნება და უფრო ადრიდანვე გავაცნობიერებ მოწევის საჭიროებას. ნეტა მეხსიერება თუ შემინარჩუნდება? შორს წამიყვანს ამაზე ფიქრი. უნდა ვიჩქარო. მალე მოვა სოციალური მუშაკი. ამ ნაწერს რა ვუყო, რომელიც ბლოკნოტად გადამუშავებულ მამაზე დავწერე? მოდი, ამასაც დავმარხავ შენთან ერთად, საწინააღმდეგო ხომ არაფერი გაქვს? როგორ გიყვარდათ ერთმანეთი, ეჰ... მამას არ გაუმართლა ისე, მას ისევ აღადგენენ. იმედია, მეხსიერება არ ექნება შენარჩუნებული, რომ უშენობით არ გაიტანჯოს. ან, შეიძლება, პირიქითაც – როცა ნახავს, რომ თავი დაიძვრინე ამ ჩაკეტილი წრიდან, იქნება და გულის სიღრმეში ესიამოვნოს კიდეც. მგონი, ასე მოხდება. მე ვეტყვი, რომ ეს ყველაფერი ჩემი დამსახურებაა. და იცი, კიდევ რა? როცა აღმადგენენ, აუცილებლად მოვალ ამ ადგილას, ამოვთხრი შენს სხეულს, რომელიც სავარაუდოდ აღარ დამხვდება, ვიპოვნი ბლოკნოტს, რომელიც დამხვდება, იმიტომ რომ ისეთ დაუზიანებელ მატერიაში ვდებ, რომელიც მილიონ წელს გაძლებს და წავიკითხავ ამ ყველაფერს. როგორ დავიმახსოვრებ ამ ადგილს? ამას წლებს დავუთმობ. ვეცდები, რომ ამ ქალაქში ყველა კუთხეში მინიშნება დავტოვო და ყველა ადგილიდან გავიკვალო გზა ამ ადგილამდე, რომ სადაც არ უნდა აღმადგინონ, სულ რომ მეხსიერების ნატამალი არ მქონდეს, რაიმე მაინც გამახსენდეს შემთხვევით, ასოციაციურად. და თუ ეს მართლა ასე მოხდა, მაშინ უკვე გილოცავ, ძვირფასო მკითხველო, შენ კითხულობ ვადაგასულ ნაწერს, რომელსაც ბევრი ასწლეულის წინ გაუვიდა ვარგისიანობის ვადა! ამ ნაწერის ავტორი არ იღებს პასუხისმგებლობას მოსალოდნელ გვერდით მოვლენებზე, რომელიც, შეიძლება, აღნიშნულმა ნაწერმა გამოიწვიოს და

გამოვლინდეს რეფლექსიის გაძლიერებაში, არასწორი დასკვნების გაკეთებაში და მცდარ მოქმედებაში, რაც, საბოლოო ჯამში, გაზრდის ვარგისიანობის ვადის დამოკლების რისკს! აღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია კითხვის შეწყვეტა ამ ადგილიდანვე და ნაწერის ერთხელ და სამუდამოდ მივიწყება. ჰო.

ახლა კი თვალები დაგეხუჭება, დე. შენს უსიცოცხლო სუნთქვასაც შეწყვეტ ერთხელ და სამუდამოდ. ამას ეძახდნენ სიკვდილს, ალბათ. ნუ გეშინია. ყველაფერი მოგვარებულია ერთხელ და სამუდამოდ.

ანდრო ბუაჩიძე

ეს იყო უდაბნო

ეს იყო უდაბნო, არც მთლად ხრიოკი და გადატრუსული, მაგრამ მაინც უდაბნო, – ახალციხის მთებში მიკარგული სამხედრო ბანაკი, სადაც უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მომიწია რამდენიმე ხანს ყოფნა. საქართველოში მაშინ ჯერ კიდევ რუსეთის ჯარი იდგა, რუსი ოფიცრები გვასწავლიდნენ იარაღის ხმარებას. ეს იყო უდაბნო, რომელიც მაშინდელი ჩემი წარმოდგენით, ისევე შორს იყო დანარჩენი ქვეყნიერებისგან, როგორც რომელიმე უდაბური კუნძული ან ღვთისგან დავიწყებული მხარე.

თბილისიდან რომ მატარებელი გავიდა, იქ სხვადასხვა ჯურის და სპეციალობის სტუდენტები ვისხედით. რწევა-რწევით დაძრულები ნელა მივუყვებოდით სრული გაურკვევლობისაკენ მიმავალ გზას. გავშორდით ქალაქის შემოგარეებს, უბადრუკი ნასახლარები გავიარეთ, ერთხანს დიდუბეს და ჩემს სამოსახლო დიღმის მასივსაც გავუსწორდით, მერე კი ისევ ტაატით განვაგრძეთ გზა. მასივში ჩემი საწოლი ოთახის ფანჯრიდან მაღალი ალვის ხეები მოჩანდა, მათ მიღმა «დინამოს» ფეხბურთელების ბაზა იყო, შორს კი, მტკვარგაღმა რუხი, დაბალი კორპუსები გეცემოდათ თვალში. სარკინიგზო ხაზი სწორედ მტკვარგაღმა გადიოდა. ღამღამობით ოთახში შუქ-ჩრდილები თრთოდა და შორიდან სატვირთო ვაგონების გრუხუნი აღწევდა. მასივს რომ ჩავუარეთ, ეს გამახსენდა, მაგრამ მალევე მიმავიწყდა. სახლი შორს იყო.

ჯერ კიდევ ბარაკებს და ელსაამქროებს არ ვიყავით გაცდენილი, რომ ვაგონში კინკლაობა ატყდა. სხვა ვაგონიდან შემოსული ერთი კურსანტი სკამზე შედგა და თავი სარკმელში გაყო. «სკამზე ფეხსაცმელებით ნუ

დგები», – უთხრა ხოტივარმა. უცნობმა შეიცხადა. მათ შორის ხანმოკლე ლაპარაკი გაიმართა, რასაც ჩხუბი მოჰყვა. სკამებს შორის იდგნენ, ვიწრო ადგილას, ფეხს ვერ გაიქნევდი, ამიტომ მხოლოდ ხელებით ურტყამდნენ ერთმანეთს. უცნობი დაბალი იყო და გრძელი ხელები ჰქონდა, არავინ ჩარეულა, ერთხანს ურტყეს ერთმანეთს, მერე კი შეწყვიტეს და სხვადასხვა მხარეს წავიდ-წამოვიდნენ. ხოტივარი ტამბურისკენ გამოვიდა, სკამზე ჩამოჯდა და სიგარეტი გააბოლა. უცნობი სხვა ვაგონისკენ წავიდა ლასლასით, სხვა ტამბურში გაძვრა და გაუჩინარდა. «სიფათი მივუნგრიე», – თქვა ხოტივარმა და ღრმა ნაფაზი დაარტყა. ხოტივარი ჩვენსავით ჟურნალისტიკაზე სწავლობდა, მაგრამ ჯარმოვლილთა ჯგუფში ირიცხებოდა. აქ ისინი ირიცხებოდნენ, ვისაც რუსული სკოლა ჰქონდა დამთავრებული. ჯარში ნამყოფი იყო და კიდევ ჯარში მიდიოდა. ამის გამო ნირსაც არ იხდენდა. ეტყობა, ეხალისებოდა სამხედრო სამსახური. ბიჭები ამბობდნენ, ცოტა თუ დალია, მაშინვე ურევსო. როგორც ჩანს, ახლაც დალეული იყო.

«რომ ჩავალთ, იქ გავურჩიოთ საქმე», – უთხრა ხოტივარს რობინზონამ. მერე ბიჭები ერთ ადგილას მოგროვდნენ, სადაც სკამებს შორის მაგიდა იდგა, მაგიდაზე ხორაგეული და არყის ნახევარლიტრიანი ბოთლები დააწყეს. შუაღამემდე სვამდნენ, მერე კი დაიძინეს. ვაგონებში სინათლე სულ ოდნავ ბჟუტავდა, ტამბურიდან კი უფრო მკვეთრი შუქი გამოდიოდა. გამთენიისას გამეღვიძა და შევნიშნე, ვაგონს ჟღალი შუქი ეფინა, შუქი ადგათ ჩაძინებულებსაც; ზოგ მათგანს ეტყობოდა, რომ ნამთვრალევი იყო.

დილით მატარებელი ახალციხის სადგურში გაჩერდა. სადგურის ბაქანზე სამხედრო სასულე ორკესტრი უკრავდა.

მუსიკის ხმა ჯერ კიდევ მანამდე შემოგვესმა, ვიდრე მატარებელი ბაქანს მიუახლოვდებოდა. მივუახლოვდით თუ არა სადგურს, სამხედრო სასულე ორკესტრის დახვედრის თაობაზე გვამცნო ერთმა კურსანტმა. როგორც ჩანს, ის უფროსებისგან იყო გაფრთხილებული, ჩვენ თადარიგი უნდა დაგვეჭირა და საჭირო წესების დაცვით მიგვეღო ის პატივი, რომელსაც გარნიზონი მოგვაგებდა. ეს პატივი განრიგით იყო ნაკარნახევი და ფორმალურად სრულდებოდა. დამთავრდა თუ არა მუსიკა, ბრძანებების კორიანტელი დაგვატყდა თავს. ყოველი ბრძანება დაუყოვნებლივ შესრულებას მოითხოვდა.

ტრიალი ადგილები გავიარეთ და მთაში ავედით, სადაც ყაზარმის ოთხკუთხედი შენობა იდგა. ყაზარმას რატომღაც ირგვლივ შემოვუარეთ და მერე შიგნით შევედით. წინ პოლკოვნიკი ხალუხაევი მიგვიძღვოდა. «პოლკოვნიკი ხალუხაევი», – ასე გაგვეცნო ჯერ კიდევ ახალციხის ბაქანზე, მერე კი მთელი გზა ერთად გამოვიარეთ. ყაზარმაში შესულებმა ერთ ოთახში სამოქალაქო ტანსაცმელი ჩავაბარეთ და შესაფერისი სამხედრო ფორმა და ჩექმები მოვირგეთ. მე ყაზარმის მეორე სართულზე ავედი, დიდ დარბაზში მდგარი ორსართულიანი საწოლები შევათვალიერე და მერე ფანჯრებიდან გავაგრძელე ჯერ ერთ, მერე მეორე მხარეს ყურება. ერთი ფანჯრიდან ეზოსწინა ფერდობი მოჩანდა, იმის მიღმა, ზემოთ კი უკვე სხვა ყაზარმა იყო. მეორე მხარეს ბინდისფერი სივრცე გაშლილიყო და შორს მთების კლაკნილი ხაზი იკვეთებოდა.

საღამოს სამზარეულოში ჩავედით, იქვე იყო სასადილო, სადაც გრძელი მაგიდები იდგა. სამზარეულოდან მოხარშული კარტოფილის და შემწვარი თევზის სუნი გამოდიოდა. ოფიცერმა ბრძანება გასცა და სამზარეულოს

მორიგეებმა ჭუჭყიან მაგიდებზე თეფშები დააწყეს, დიდი ჯამებით კი სადილი გამოიტანეს. ჯამებს მაგიდის თავში დგამდნენ და ჩამორიგებით უნაწილებდნენ ჯარისკაცებს. ჩემს პირდაპირ ვოვა ხანუმიანი იჯდა, იცინოდა და კერძის თაობაზე რაღაცას მახვილსიტყვაობდა. ეტყობა, დამშეული იყო და სადილობის სამზადისი სასიამოვნო მოლოდინის გრძნობას აღუძრავდა. გამოცოცხლება სხვებსაც დაეტყოთ. ცოტა ხანში თეფშების და კოვზების ჩხარუნი ატყდა, მერე კი უკვე თავჩახრილები უხმოდ შეექცეოდნენ სადილს. სადილი მალე დამთავრდა. ვინაიდან ვახშამი აღარ ესწრებოდა, ვახშმის ნაცვლად ჯარისკაცებს ჩაი დაუსხეს. «ახლა ალბათ ჟოზეფინას შემოიტანენ», – თქვა ხანუმიანმა. ჯარისკაცებმა გაიცინეს, მერე ნელ-ნელა წამოიშალნენ ისე, რომ ჩაის არც კი მიჰკარებიან, ჯიბიდან სიგარეტის კოლოფები გააძრეს, ერთმანეთს უკიდებდნენ. «აქეთ ჩაი, იქით ჩაი, კოლექტივში ფეხით ჩაი,» – იხუმრა ერთმა გურულმა ჯარისკაცმა. ისევ გაიცინეს. სასადილოში მოწევა აკრძალულია», – თქვა სამზარეულოში გამწესებულმა რუსმა ოფიცერმა. ჯარისკაცებმა ჩექმების ფრატუნით დატოვეს სასადილო, სადაც დამპალი კარტოფილის სუნი იდგა, ყაზარმის წინა ფერდობზე დასხდნენ და გააბოლეს. ზოგი ყვინთავდა კიდეც.

მზე ჩადიოდა. ფერდობზე ვიჯექი და «პრიმას» ვეწეოდი. ჩამავალი მზის შუქი ყაზარმის განაპირა კედელზე და ფანჯრებში ირეკლებოდა. ჯარისკაცებმა რეიტუზები და კედები გადაიცვეს, საიდანღაც ბურთიც გაჩნდა და ერთმა ჯგუფმა ფეხბურთის თამაში წამოიწყო. სხვები უხალისოდ უყურებდნენ თამაშს, მაგრამ ხალისმა თანდათან იმატა და სპორტულებში გამოწყობილებიც გაჩნდნენ. «პოლკოვნიკი ხალუხაევი არ გეიჩითოს», – თქვა ერთმა ჯარისკაცმა და თამაში განაგრძო. აზარტმა იმატა. ორ გუნდად გაყოფილი

მოთამაშეები უფრო მეტი მონდომებით ათამაშდნენ. ნამგზავრებს დაღლილობაც არ ეტყობოდათ.

* * *

იმ ღამეს ყაზარმის დიდ დარბაზში ორსართულიანი საწოლის პირველ სართულზე მკვდარივით მეძინა. სიზმარიც ვნახე, ცხადი სიზმარი, რომელიც დიდი ხნით დამახსომდა. უნივერსიტეტის მდუმარე ფართო დერეფნებში მოკრძალებით დავაბიჯებდი. რაღაცნაირი სიუცხოვის განცდა მქონდა. დროდადრო მაღალ ფანჯარასთან მივდიოდი და ეზოში ვიყურებოდი. იქ ე.წ. სტუდენტურ დღეებთან დაკავშირებით გასართობი ღონისძიება იმართებოდა და ხალხი იყო თავმოყრილი. ეზოს შუაგულში ფეხმორთხმით ისხდნენ მსაჯები – ჟურნალისტიკის რუსული სექტორის სტუდენტები – ხომასურიძე და ყანდაუროვი, პირში სასტვენი ჰქონდათ გაჩრილი და ორივე ჭიდაობას ადევნებდა თვალს. მაყურებლები ქვაფენილზე გაშლილი საჭიდაო ხალიჩის გარშემო მოგროვილიყვნენ, ხმაურობდნენ და ხანგამოშვებით შეძახილებით იკლებდნენ იქაურობას. დერეფანი გავიარე და ერთ-ერთ აუდიტორიაში შევედი. აუდიტორია სტუდენტებით იყო სავსე. საერთო ლექცია ტარდებოდა. აქა-იქ ნაცნობი სახეები შევიცანი. ისინი მიმზერდნენ და ირონიულად იღიმებოდნენ. რაზე მეტყველებდა ეს ირონია, ძნელი სათქმელი იყო. სტუდენტებს შორის ისიც შევნიშნე, ვისი დანახვაც მაბნევდა და გუნებას მიცვლიდა. ეს იყო ნანა. უძრავი სახით შემომცქეროდა სხვებთან ერთად და თითქოს მსაყვედურობდა კიდეც რაღაცას. რას გამოთქვამდა მისი მზერა, ვერაფრით ამეხსნა, თუმცა ამაზე დიდხანს აღარ მიფიქრია. ნანა უნივერსიტეტში სწავლის დაწყებისთანავე გავიცანი. მაშინაც საერთო ლექცია გვიტარდებოდა,

ჩემთვის ვიჯექი და გარშემო ატეხილ გნიასს ყურადღებას არ ვაქცევდი. სტუდენტები ლექტორს არ უსმენდნენ და თავისას მიერეკებოდნენ. რატომღაც მკვეთრად შემოვბრუნდი და ჩემ ზურგსუკან მსხდომებს შევხედე. ნანა მათ შორის იჯდა და თავისი წყნარი გამომეტყველებით შემომცქეროდა. ეს გამოხედვა ღრმად შემოიჭრა ჩემში, შემოიჭრა და რაღაც ყველაზე მტკივნეულს შეეხო. ამის შემდეგ ეს უცნაური გამოხედვის და ნატიფი აღნაგობის გოგონა ავტობუსის გაჩერებაზე შემხვდა. ავტობუსში ერთად ავედით და, ვიდრე მის სახლამდე მივიდოდით, საუბარი არ შეგვიწყვეტია. ის ახლაც წყნარი გამომეტყველებით მიცქერდა, მაგრამ ახლა გამომეტყველებას ერთი ახალი შტრიხი შერეოდა – ცნობისმოყვარეობის. ნანა თავისი დიდი, მოწყენილი თვალებით ცნობისმოყვარეობას მაფენდა. ალბათ აინტერესებდა, ვინ ვიყავი, საერთოდ რა მსურდა და უშუალოდ მისგან რა მინდოდა. არადა, ეს ყოველივე ჩემთვის რომ ეკითხა, პასუხს ვერც მე გავცემდი, რადგან თვითონაც არ ვიცოდი, რა მინდოდა. რაღაც უხილავი ძალა მაიძულებდა მასთან ერთად ავსულიყავი ავტობუსში, მესაუბრა და მერე შინ გამოვბრუნებულიყავი. მეორე დღესაც ამ უხილავმა ძალამ წამომაყენა საწოლიდან, ჩემი კორპუსის სიახლოვეს «დინამოს» ფეხბურთელთა ბაზის რეპროდუქტორიდან საესტრადო სიმღერების მელოდიები იღვრებოდა. წუთით ვჩერდებოდი და გარინდებული ვუსმენდი იმ ხმას, რომელიც შორიდან მიხმობდა და უნივერსიტეტისკენ მიბიძგებდა. მაგონდებოდა სკოლისდროინდელი მღელვარება, როცა შინმობრუნებული ფანჯრიდან ვხედავდი ალვების მიღმა «დინამოს» მწვანე მინდორს, სადაც სათადარიგო შემადგენლობის ოფიციალური მატჩი იმართებოდა. ჩემს უღიმღამო ცხოვრებაში ეს ერთადერთი ნათელი მოვლენა

იყო, რომელიც დროდადრო მეორდებოდა. მე ვესწრებოდი ამ ოფიციალურ, მაგრამ მაინც სასინჯ მატჩებს, სადაც ფეხბურთელები თავიანთი ნიჭის გამოვლენას ცდილობდნენ, თუმცა მეტწილად ეს მაინც უმწეო ცდა იყო. ახლა კი საფეხბურთო მატჩების ნაცვლად მე უკვე უნივერსიტეტი მიხმობდა. ჩუმი მღელვარება მეუფლებოდა და ამ მღელვარებით ატანილი ჯერ ბაღში დავიარებოდი, მერე კი პირველი კორპუსის მდუმარე დერეფნებში დავაბიჯებდი. ამ დროს მარტო ვიყავი, არავინ იყო ჩემ გარშემო ისეთი, ჩემი მღელვარება რომ გაეზიარებინა. იმ სიზმარშიც, ჯარში ყოფნის პირველ ღამეს რომ დამესიზმრა, ვღელავდი და ღელვა არამარტო უნივერსიტეტის იდუმალებით მოსილი დერეფნებისა და აუდიტორიების სიუცხოვით იყო გამოწვეული, არამედ უპირველესად იმით, რომ ამ სინათლით სავსე შენობაში მოულოდნელად ნანა შეიძლებოდა გამოჩენილიყო. ის ან ბაღში გამოჩნდებოდა, ან დერეფანში, ან აუდიტორიაში. ამ გამოჩენას ყოველთვის მოულოდნელობა ახლდა.

ბაღში ქარი უბერავდა და ყვითელ ფოთლებს მიაფრიალებდა. სიზმარშიც ამ ბაღის ბოლოს ვიჯექი და სივრცეს გავყურებდი. შემოდგომა წყნარ ნათელს აფენდა ბილიკებს, ხეებს, გრძელ სკამებს. მერე ეზოში გადავინაცვლე, სადაც ჭიდაობა იმართებოდა და სრული უაზრობის განცდა დამეუფლა. ამ ვითარებას ვერაფრით ვაკავშირებდი ნანასთან, რომელიც თავის მოხდენილი ნაბიჯებით დააბიჯებდა სინათლით სავსე დერეფნებში. ეზოში საიდანღაც არობელიძე გაჩნდა და გადავწყვიტეთ ერთად გავცლოდით იქაურობას. ასე ხშირად ხდებოდა. უნივერსიტეტში მისულს რაღაც მეუცხოებოდა, ჩვეული მღელვარება ამიტანდა და რომელიმე მეგობართან ერთად ვტოვებდი ამ მოჯადოებულ წრეს. სიზმარში კადრი

შეიცვალა, მე და არობელიძე უკვე კუს ტბაზე ვიყავით. ტბის ზემოთ, ხშირ ტყეში პატარა სუფრა გავშალეთ და ფეხმორთხმით შემოვუსხედით. ასე დიდხანს ვისხედით, ვსაუბრობდით და ვსვამდით, მერე კი არობელიძემ ხეზე ციყვი შენიშნა და გაედევნა. ციყვი ხიდან ხეზე ხტოდა, არობელიძე კი მისდევდა, ბოლოს დაიღალა და მიწაზე დავარდა...

ნაშუაღამევს გამომეღვიძა. ყაზარმის დიდ დარბაზში ქარი უბერავდა და შუქ-ჩრდილები დაქროდა. ჯერ ვერ მივხვდი, სად ვიყავი, მერე უეცრად გონება გამინათდა და სიზმრის გახსენება დავიწყე. ყველაფერი აღარ გამახსენდა, ნაწყვეტები მაგონდებოდა, მერე კი სულ მიმავიწყდა. გარშემო მძინარე ადამიანების სხვადასხვანაირი ფშვინვა ისმოდა. ერთი მათგანი კი არ ფშვინავდა, უსტვენდა. სტვენა დიდხანს აღარ გაგრძელებულა, შეწყდა, მაგრამ ახლა ბოდვა გაისმა, ვიღაც სრულიად დაუკავშირებელ სიტყვებს წარმოთქვამდა, მერე ისიც შეწყდა. ლეიბქვეშ ხელი შევყავი და «პრიმას» კოლოფი გამოვაძვრინე. გავაბოლე და შვება ვიგრძენი. ათას რამეზე ვფიქრობდი და თანდათან ძილი მომერია.

* * *

ეს იყო უდაბნო, არც მთლად ხრიოკი და გადატრუსული, მაგრამ მაინც უდაბნო – ჯავახეთის მთებში მიკარგული სამხედრო ბანაკი. სამხედრო მოედანზე, სადაც საღამოობით ჯარისკაცები ფეხბურთს თამაშობდნენ, პოლკოვნიკი ხალუხაევი სამხედრო-საწვრთნელი ვარჯიშების მონაწილეთა საკმაოდ ვრცელ სიას კითხულობდა, ამის შემდეგ კი იწყებოდა საწვრთნელი ოპერაციები. საამისოდ ტერიტორიის გარეთ, მთებში უნდა გავსულიყავით. ასეც ხდებოდა. ბატალიონი ტოვებდა

ბანაკის ტერიტორიას და მთებისკენ იღებდა გეზს. მთებში გათხრილი იყო სანგრები, ზუსტად იყო მონიშნული ორმხრივი შეტაკებებისთვის განკუთვნილი ფართობი. ხალუხაევი სამეთვალყურეო ბორცვზე იჯდა და იქიდან აკვირდებოდა «საომარ მოქმედებათა» მსვლელობას. ტაქტიკა და სტრატეგია არამარტო ზუსტად უნდა ყოფილიყო სივრცეში გათვლილი, არამედ დროშიც უნდა ჩაწერილიყო. ხალუხაევს ხელში წამზომი ეჭირა და შემაღლებული ადგილიდან შენიშვნებს და მითითებებს აძლევდა სანგრებში გამაგრებულ ჯარისკაცებს. მე პირველი დღიდანვე ვიღებდი მონაწილეობას სამხედრო ოპერაციებში, ერთხელ კი სიის ამოკითხვის შემდეგ ბანაკის გარეთ ტრიალ მინდვრებს ჩავყევი, სადაც რამდენიმე ხმელი თივის ზვინი იყო წამომართული, სამხედრო ბანაკის ტერიტორია უკანმოუხედავად დავტოვე და კიდევ უფრო ქვემოთ გზისპირას მდგარ თივის ზვინში შევტენე სამხედრო უნიფორმა. მერე საკმაოდ შელახულ ტანსაცმელში გამოწყობილი თავქვე სწრაფად დავექანე.

ნაშუადღევს უკვე ქალაქში დავეხეტებოდი. დრო თავზესაყრელი მქონდა, საღამომდე შემეძლო მეხეტიალა. შემოდგომის მოთენთილი მზე მთელ ქალაქზე იყო გადაწოლილი და მის კიდეებსაც ანათებდა. მე ძალიან მსიამოვნებდა უცნობ გარემოში ნელი ნაბიჯით ხეტიალი. სიამოვნებას მანიჭებდა იმის შეგრძნება, რომ არავის არ ვიცნობდი და არავინ არ მიცნობდა, არავის შეეძლო დაეძახა ჩემთვის, მეც არავის შევეჩეხებოდი და არ მომიწევდა ნაძალადევი საუბრის გაბმა. მხოლოდ ერთი რამ მირღვევდა ამ განწყობას: ქალაქში ოფიცრები პატრულირებდნენ და შესაძლებელი იყო ჩემ მიმართ ეჭვი გასჩენოდათ. რამდენჯერმე კიდევაც გადავაწყდი მათ, მაგრამ შევეცადე არაფერი შემტყობოდა, უდარდელი და

დაუძაბავი გამომეტყველება შემენარჩუნებინა. ალბათ მოვახერხე კიდეც ყოველივე ეს, ვინაიდან გზა როცა განაგრძეს, თვალი კი შემავლეს, მაგრამ ეჭვი არ შეჰპარვიათ, ჩაიარეს, გამშორდნენ და მეც მოგონებებს მივეცი თავი.

სახლი ხშირად მახსენდებოდა. თვალწინ მედგა ჩემი ოთახი, კედელთან მიდგმული საწერი მაგიდა და საწოლი, რომელსაც საღამოობით ჩამავალი მზის ზოლი ეფინა. მახსენდებოდა ხედი ჩემი საწოლი ოთახის ფანჯრიდან – მაღალი ალვის ხეები და ამ ხეების მიღმა «დინამოს» მწვანე მინდორი. დანანებით ვიხსენებდი, გამომგზავრებისას როგორ ჩავუარე მატარებლით დიღმის მასივს, მტკვარგაღმა კორპუსები ჩანდა და ერთ-ერთ ხუთსართულიან კორპუსში ჩემი მყუდრო ოთახი მეგულებოდა, შუქჩამქრალი და ღამის სინათლეებით განათებული. დედაჩემი ალბათ შუშაბანდში ან სამზარეულოში ფუსფუსებდა.

მახსენდებოდა უნივერსიტეტის ერთ-ერთი დიდი აუდიტორია, რომლის დაცარიელების შემდეგ ფანჯარასთან ვდგებოდი და სივრცეს გავყურებდი. შორიდან თითქოს ქალაქის ყრუ გუგუნი აღწევდა. ვგრძნობდი, ეს დღე უკვე დამთავრებული იყო, რადგან ვის გამოჩენასაც ველოდი, ის უკვე შინ მიეშურებოდა, მსუბუქი და მოხდენილი ნაბიჯით დაუყვებოდა ვარაზისხევს და ხალხის ნაკადს უერთდებოდა. შინ წასვლა კი იმას ნიშნავდა, რომ ის დღე უკვე დამთავრებული იყო და მეც უნდა გავცლოდი უნივერსიტეტს.

* * *

ასე დავეხეტებოდი დღისით ახალციხის ქუჩებში, საღამოთი კი ყაზარმაში ვბრუნდებოდი. დაკვირვებული

თვალი შეამჩნევდა, რომ ქალაქის წყნარ ქუჩებში გამოჩნდა მაწანწალა, რომელსაც დაკონკილი ტანსაცმელი ეცვა და დამშეული კაცის გამოხედვა ჰქონდა. დავეხეტებოდი არამარტო ქალაქის შუაგულში, არამედ მის შემოგარენშიც. აგურის მყუდრო სახლების ფანჯრებში ვიყურებოდი და ვხედავდი კეთილმოწყობილ კერას, სადაც დღისით ხავერდოვანი შუქ-ჩრდილები ეფინა და საღამოობით ფარდებში ჩამავალი მზის სინათლე გამოსჭვიოდა. თუმცა მე საღამოხანს უხმაუროდ ვეცლებოდი ქალაქს. ჩემი მადევარი თვალი (თუ იყო სადმე ასეთი) შეამჩნევდა, რომ ადამიანი-აჩრდილი სინათლის ნარჩენივით იძურწებოდა ქალაქის ქვაფენილებიდან და შეუმჩნევლად ქრებოდა. საღამოხანს რომელიმე სატვირთო მანქანის ძარაზე ვიდექი და სამხედრო ბანაკისკენ მივექანებოდი, ღამე კი ყარაულში წასვლამდე ყაზარმისწინა ფერდობზე პირაღმა ვწვებოდი და ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ავყურებდი. ღამე ყარაულში ვიდექი, მერე გათენებას ველოდი და ისევ ქალაქში დავეხეტებოდი.

ქალაქის შემოგარენში ხეტიალისას ერთი პატარა ფუნდუკი შევნიშნე, დიდი ცაცხვის ჩეროში იდგა და თითქოს შემთხვევით გამვლელებს უღებდა კარს. ასეთი აზრი იმიტომ დამებადა, რომ კარი მართლაც მუდამ მოხურული იყო და, როცა ოთახში შევიდოდი, შიგნით არავინ მხვდებოდა. ერთხანს უხმოდ ვიჯექი ხოლმე მუშამბაგადაფარებულ უბრალო მაგიდასთან, მერე კი მზარეული გამოდიოდა და ერთი მათლაფა წვნიანი და დაჭრილი პური გამოჰქონდა. მე მახსენდებოდა ჩემი სახლი, შუშაბანდი, სადაც ასეთივე უბრალო მაგიდა იდგა, ასეთივე კოპლებიანი მუშამბაგადაფარებული. ალბათ

ყოველივე ეს შინაურულ სიმყუდროვეს მიქმნიდა და სიმშვიდეს მგვრიდა.

მოგვიანებით ამ სასადილოში დამლაგებელი ქალი გამოჩნდა, რომელმაც რამდენჯერმე რომ მნახა, უკვე ნაცნობივით მოურიდებლად მკითხა: «ჯარისკაცი ხარ?» ამ შეკითხვამ ერთდროულად დამაბნია და შემაკრთო კიდეც. თითქოს ვიღაცამ ნიღაბი ჩამომხსნა და შემიბრალა. რატომ უნდა შევბრალებოდი ვინმეს, ბოლომდე არ მესმოდა, მაგრამ როცა დამლაგებელმა ჩემი მათლაფა აიღო და მაგიდა გადაწმინდა, ისეთი ნაღვლიანი თვალებით შემომხედა, ვიგრძენი, რომ ვებრალებოდი. ამის შემდეგ რამდენიმე დღე აღარ დამიტოვებია სამხედრო ბანაკის ტერიტორია, აღარც სურვილი მქონდა და აღარც მცირეოდენი ფული, რომელსაც დედაჩემი მიგზავნიდა. ყარაულში ღამით რამდენჯერმე მიწევდა გასვლა, დილით კი ჯანგატეხილი და დაღლილი საველე-სამხედრო წვრთნებს განვაგრძობდი. ყარაულში დგომისას ზოგჯერ წვიმდა და გარშემო არაფერი მოჩანდა... ბანაკის ტერიტორიაზე უპატრონო ძაღლები დაწანწალებდნენ. ერთი ძაღლი შემომეჩვია და აღარ მშორდებოდა. ბეწვაბურძგნული, სველი, ძაგძაგებდა და შემომყურებდა. შორს, პროჟექტორების თვალისმომჭრელ შუქზე, ბანაკის ტერიტორიის სხვა მხარე ჩანდა, სადაც სატვირთო მანქანების და ბეტეერების სადგომი იყო. მე მაგონდებოდა ახალციხის ქუჩებში ჩემი ხეტიალი, მყუდრო ფუნდუკი და დამლაგებელი ქალის ნაღვლიანი მზერა, მერე კი ჩემს სიზმრებს ვიხსენებდი, სადაც უნივერსიტეტის ფართო დერეფნებში დავაბიჯებდი.

* * *

ზედიზედ ორი დღე სასროლეთზე ვიარეთ. სასროლეთი შორს იყო და ფეხით გვიხდებოდა წასვლა. არავითარი წინასწარი განრიგი არ არსებობდა, რომელიმე პოლკოვნიკს ან ოფიცერს მოეხუშტურებოდა და ჩვენც დავადგებოდით სასროლეთის გზას. გზაში მდინარე იყო გადასალახი. ვინც ცურვა არ იცოდა ან ვისაც დასველება არ სურდა, ის ფონს ეძებდა, დანარჩენები კი სულმოუთქმელად ეშვებოდნენ მდინარეში, მერე კი ნაპირზე ისხდნენ და ჩექმებიდან წყალს ღვრიდნენ. გზაში თანაბარი და ზოგჯერ მწყობრი ნაბიჯითაც უნდა გვევლო. ასეთი იყო მოთხოვნა. სასროლეთზე მცირე ხანს ვჩერდებოდით, მთელი დრო წასვლას და უკან დაბრუნებას ვუნდებოდით, გზად რომელიღაც ყველასგან დაბრიყვებული ოფიცერი გვაცილებდა, სხვა ოფიცრები კი თავიანთ ბარაკებში სასტიკად ლოთობდნენ.

ერთხანს შევწყვიტე, მერე კი კვლავ განვაახლე ქალაქში ხეტიალი. მზიანი ამინდი იდგა და თითქმის ყველა კუთხე-კუნჭული მოვიარე. რამდენჯერმე პატრულის მუშაკებსაც გადავაწყდი, მაგრამ რადგან მათ ჩემთვის ყურადღება ოდნავადაც არ მოუქცევიათ, გზა სრულიად მშვიდად განვაგრძე. თეატრის შენობას ჩავუარე, საიდანაც ბავშვები გამოეფინნენ, ეტყობა, უქმე დღეს საბავშვო წარმოდგენა იმართებოდა. შემდეგ სადაზღვევო კანტორას ავუქციე გვერდი. იქ კვირა დღესაც კი ირეოდნენ თანამშრომლები, თან ჩვეულებრივზე უფრო ცხოველი გამოცოცხლება იგრძნობოდა, ალბათ რაღაც ღირსშესანიშნავ თარიღს აღნიშნავდნენ, მერე კი წვეულება გაიმართებოდა. ყოველივე ეს საკვირველი იყო ჩემთვის, რადგან არ მეგონა, თუ აქაც არსებობდა ჩვეულებრივი ცხოვრებისეული ორომტრიალი. არადა, რა იყო გასაკვირი, ყველა ქალაქში თუ ქალაქის შემოგარენში დგას

გარნიზონი, ყველა სამხედრო-საველე ტერიტორია უდაბნოს წააგავს. და მაინც, საკვირველი იყო, რომ ამ უდაბნოს გამოღწეული, სრულიად უცხო გარემოში ასევე უცხო სიცოცხლისმიერ დინებას მივყვებოდი. ლუდხანასაც ჩავუარე, შესვლაც კი დავაპირე, მაგრამ გარემოსადმი სიუცხოვის გრძნობა მინის ტიხარივით აღიმართა ჩემ წინაშე. ეს ტიხარი ყველგან დამყვებოდა და, შეიძლება ითქვას, მის მიღმა ვხედავდი ქვეყნიერებას. მე აქ უცხო ვიყავი და ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ ვერც კი მამჩნევდნენ.

საღამოთი ისევ ქალაქის განაპირა მხარეს ვეწვიე. ამასობაში გვარიანად მომშივდა და ნაცნობი ფუნდუკი შეუფერხებლად მოვძებნე. კარი შევაღე და მაშინვე სიმშვიდე დამეუფლა. ეს ერთადერთი ადგილი იყო, სადაც ფორიაქი მთლიანად მტოვებდა.

ახლაც ჩამესმის დამლაგებელი ქალის შეკითხვა: «ჯარისკაცი ხარ?» და ცხადია, მაშინაც ჩამესმოდა, როცა პატარა ფუნდუკის კარს შევაღებდი ხოლმე. ახლაც შევაღე ეს კარი. «ამალია!» – გაისმა სამზარეულოდან მზარეული ქალის ხმა, – «ვიღაც შემოვიდა!» ამალია, დამლაგებელი ქალი, ზურგშექცევით იდგა და მაშინვე არ დავუნახივარ, მერე კი შემამჩნია თუ არა, თვალებში სითბო ჩაეღვარა და ერთხანს გარინდებული მიმზერდა. მერე კერძი გამომიტანა, კვლავ სახელოები დაიკაპიწა და დალაგება განაგრძო. ფანჯრების წმენდისას ამალია ფლოსტებს წაიძრობდა, ფეხშიშველი შედგებოდა ხოლმე ტაბურეტზე, ხელებს მაღლა აიწვდენდა, აიწვართებოდა და ფეხისწვერებზე შემდგარი ფანჯრის უკიდურეს წერტილს გადაწვდებოდა. ასეთ დროს მისი, წითელკოპლებიან კაბაში გამოკვართული ჩასხმული მომცრო სხეული უჩვეულო მოქნილობას იძენდა, ოდნავ განიერი ტერფები

კი თავისებურ სინატიფეს ასხივებდა. ამალია თითქოს სრულებით ვეღარ მამჩნევდა, არადა, მის სიახლოვეს ვიყავი და აივანზე გადამტყდარი, მერე კი ფანჯარაში შემოჭრილი მზის მკვეთრი ხაზი ჯერ ამალიას კვეთდა, მერე კი მე დამნათოდა.

ცოტა ხნის შემდეგ, როცა უკვე სადილობა დავამთავრე, ამალიამ მზარეულის ვიწრო ოთახიდან გამომძახა: «ჯარისკაცო, თეფში გამოიტანე!» მე თეფში გავიტანე, ამალიას ხმა არ გაუღია, მაგრამ სიტყვის უთქმელადაც მივხვდი, რომ ჩემი მოვალეობა ამით ჯერ კიდევ არ იყო ამოწურული. იქვე ვტრიალებდი და ხელის წაშველებას ვცდილობდი, ეს ამალიას არ უთაკილია, პირიქით, დუმილით მპასუხობდა და ჩემს მცირეოდენ გარჯას ჩუმი თანაგრძნობით ეკიდებოდა. ბოლოს საქმე მოათავა, წინსაფარი მოიხსნა, ასე იდგა და ვგრძნობდი, რაღაცას ელოდა. ხელები გადაიბანა, ამის მერე კი ზურგშექცევით დადგა ფანჯარასთან. მე ზურგსუკან ვედექი, მივუახლოვდი, დავიხარე და ყელში ვაკოცე. ის ცოტა ხანს გარინდებული იდგა, მერე კი შემობრუნდა და თვალებში დაჟინებით ჩამაცქერდა. მე ვხედავდი მის ჩანისლულ მზერას, რომელშიც ჩუმი თხოვნა იყო განფენილი. ხელმეორედ დავიხარე, ოღონდ ახლა უკვე ტუჩებში ვაკოცე. კოცნა ხანგრძლივი გამოდგა. ვკოცნიდი და ფანჯრისკენ მიპყრობილი მზერა ფოთლების სიყვითლეს ირეკლავდა. თითქოს ფოთლებს ფორმა ჰქონდა დაკარგული და მინის ტიხარში ერთი მთლიანი ოქროსფერი ფარდაგის შუქი გამოსჭვიოდა. უეცრად ჩემი ოთახის ფანჯარა გამახსენდა. იქაც ასე იყო: იყურებოდი და ჭვრეტდი სიყვითლეს, რომლის მიღმაც სამანქანო ვიწრო ტრასა ჩანდა, იმის იქით სკვერი ილანდებოდა, ცოტა უფრო შორს კი – ალვის მაღალი ხეების რიგი და «დინამოს» ბაზა. ასე დახრილს და

ტუჩებშეწებებულს კვლავ გამახსენდა უნივერსიტეტის იდუმალებით მოსილი ფართო დერეფანი, ერთ-ერთი დიდი და დაცარიელებული აუდიტორია, რომლის ფანჯრიდან ქალაქის ყრუ გუგუნი აღწევდა და ნანა, რომელიც მოხდენილი ნაბიჯებით ეშვებოდა ვარაზისხევიდან ქვემოთ და მტოვებდა ჩემს მეგობრებთან ერთად უნივერსიტეტის ბაღში მარტო. ისეთი განცდა მქონდა, რომ მთელი ქვეყანა ცარიელდებოდა.

ხანგრძლივი კოცნის შემდეგ თავი ავიღე და ამალიას თვალებში ჩავხედე. მის მიბნედილ მზერაში მადლიერების სხივი კიაფობდა, მერე ნელ-ნელა ჩაქრა, რადგან გამჭოლმა სიცივემ დაისადგურა. მე გამიკვირდა ეს ნაუცბათევი ფერისცვალება, რომელმაც ჩემ თვალწინ გაიელვა. იმ საღამოს მე და ამალია ფუნდუკიდან ერთად გამოვედით. იმავე ღამეს მე მასთან შინ დავრჩი და დილითვე დავბრუნდი სამხედრო ბანაკში.

* * *

ეს უდაბნო იყო, უდაბნო, არცთუ ხრიოკი და გადატრუსული, მაგრამ მაინც უდაბნო. უდაბნო იყო მთებში გახლართული ყაზარმა, ჯარისკაცები კი მექარავნეები იყვნენ. უდაბნო იყო ახალციხეც და მჭიდრო ქუჩებში მოსიარულე ადამიანებიც მექარავნეებს წააგავდნენ. ამალია კი ოაზისი იყო, ოაზისი, რომელიც შუა უდაბნოში აღმოვაჩინე. მე ვფიქრობდი, რომ ადამიანის ცხოვრება უდაბნოში სიარული და ოაზისის ძებნაა, ვფიქრობდი და ამიხდა კიდეც ეს საფიქრალი.

მე ხომ ღამე ამალიასთან დავრჩი. ამალიას ოთახში საღამო ირიბად შემოდიოდა. ეს ოთახი სხვა, მომცრო ოთახებთან ერთად, ვიწრო, აგურის გალავნით შემოკავებულ ეზოიან სახლში იყო განთავსებული. ამ

ოთახში შესვლისთანავე გარესამყაროს მთლიანად სწყდებოდი. მეც ასე დამემართა: მთლიანად მოვწყდი ქვეყნიერებას, თავი რაღაც უცნაურ ნირვანაში ვიგრძენი. მიკვირდა, ასე ნაუცბათევად როგორ დამიახლოვდა ამალია, როგორ მენდო და მეც როგორ მიმიჩინა ის ადგილი, რომელიც ზუსტად ჩემთვის იყო განკუთვნილი. მან თითქოს უცდომელი ქალური ალღოთი მიაგნო იმას, რაც მე მსურდა და მაკლდა. ეს იყო ნდობა. ის თვითონ მენდო და მეც მყისიერად მიმინდო. ყოველივე თითქოს თავისთავად ხდებოდა, უნებლიეთ; ყოველ შემთხვევაში, ამალიას საამისოდ ტვინის ჭყლეტა არ დასჭირვებია. ჩვენი ურთიერთობა უხმო იყო, უხმო და უსიტყვო. სამზარეულოში ყავა დავლიეთ. მერე გაწვიმდა და სახლის უკან გასაშრობად გატანილი ხალიჩები შემოვზიდეთ. ამალია კანტიკუნტად მიყვებოდა თავის ცხოვრებას; ქმარს ადრევე გასცილდა, შვილები სხვა ქალაქში დროებით დედამისთან ცხოვრობდნენ. დღისით ფუნდუკში მუშაობდა, საღამოობით კი ახალციხის საგანმანათლებლო ცენტრში თეატრალური წარმოდგენებისთვის აუცილებელ რეკვიზიტს აგროვებდა. მერე თვითონვე ესწრებოდა ამ თეატრალურ წარმოდგენებს. შუა წარმოდგენის დროს მოუსვენრობა იპყრობდა, ტოვებდა დარბაზს და ქალაქში გადიოდა. ეს დეპრესია იყო, რომელიც შუაღამისას გამოღვიძებულსაც გარეთ გასასვლელად უბიძგებდა. ამალია ზოგჯერ ზამთარ-ზაფხულ, ღამითაც კი თავის ეზოში დაბორიალობდა. ეს პირველსავე ღამეს მენიშნა. სამზარეულოში განმეორებით ყავა რომ დავლიეთ და ჩავაქრეთ სინათლე, მისი ხშირი სუნთქვა ჩამესმა. ამალიას შილიფად ეცვა და სამოსელქვეშ მისივე მკერდის სიმკვრივეს ვგრძნობდი, მერე კი ფართო ტახტზე მწოლი უფრო მკვეთრი მოძრაობით შემომეხვია და გაიხსნა კიდეც, გაიშალა. თავგადაწეული იწვა, სახეზე კი მოლოდინი

ჰქონდა აღბეჭდილი. სახეს გარედან შემოსული სინათლე უნათებდა. ეს რაღაცნაირი მკაცრი მოლოდინი იყო, რომელიც დიდხანს არ გაგრძელებულა და ვნებად გადაიქცა. ვნებად იმიტომ გადაიქცა, რომ მეც გამოვიღე ხელი. უკვე ერთად ვიყავით, ეს ვნება უკვე ორმხრივი და განუყოფელი იყო, მერე კი, როცა ყოველივე გაგრძელდა, განათდა და დამთავრდა, ამალია შფოთმა მოიცვა. მისუსტებულმა გაუხდელი ტანსაცმელი მოიწესრიგა და ხელში შერჩენილი ქვედასამოსის ამარა ოთახიდან გავიდა. უთენია წამომდგარს იქვე, ტახტზე ჩამეძინა. შუაღამისას კვლავ ამალიას შეხება ვიგრძენი. თვალი ავახილე და სახეზე გაკვირვება გამომეხატა, რამაც ამალიას ღიმილი გამოიწვია. ჯერ ერთი, ახალგამოღვიძებული უეცრად ვერ მივხვდი, სად ვიყავი და, მეორეც, ამალიას სითამამემ გამაკვირვა: ჩემ გვერდით იწვა, მეტმასნებოდა და მოღიავებული ღამის პერანგი ეცვა. იმ წუთიდან ჩვენს ურთიერთობას ქალის უთქმელი უპირატესობა შეეპარა. ამალია იღიმებოდა და ეს უკვე თამაში იყო, რაც მანამდე არ შემინიშნავს. ეს ჩვენი მეორე სიღრმისეული შეხება უფრო მტკივნეული და უფრო ხანგრძლივი გამოდგა, მაგრამ როცა ყოველივე დამთავრდა, ამალიას დახურული სივრცის შიში დაეუფლა და გარეთ გასვლა მთხოვა. გარეთ ეზოში დადგმულ მოწნულ მაგიდასთან ვისხედით და ვდუმდით. მე ჩემს განუყრელ «პრიმას» ვეწეოდი, ამალიას კი თავი ცალ მხარეს ედო მაგიდაზე და ჭიშკრისკენ ეზოს გაჰყურებდა. გამთენიისას მე სამხედრო ბანაკში დავბრუნდი, სადაც ჩემი არყოფნა არავის არ შეუნიშნავს. ყველა ფიქრობდა, რომ ღამის ყარაულში ვიყავი და ალიონზე დავბრუნდებოდი. ამიტომ დაბრუნებაც არ გაჰკვირვებიათ. შაბათი იყო და თბილისიდან ჩამომსვლელებს კურსანტებისთვის გამზადებული კერძები და ხილი

ჩამოჰქონდათ. ნაშუაღამევს ყაზარმის ერთ განცალკევებულ, ყველას და ყველაფერს განრიდებულ ოთახში გაიშალა სუფრა. ამ დღეს ყაზარმისგან ერთი კილომეტრის დაშორებით თავიანთ საცხოვრებელ ბარაკებში გამოკეტილი რუსი ოფიცრები არაყში იხრჩობოდნენ. ამიტომ არცერთ მათგანს აღარ ჰქონდა იმის თავი, ყაზარმამდე მიეღწია. ამჯერადაც ეს ამბავი კურსანტებს არ გამოჰპარვიათ და თბილისიდან ჩამოტანილ სანოვაგეს კუთვნილი ადგილი მიუჩინეს. ეს ადგილი სუფრა იყო. სუფრა გააწყეს და ტრადიციული ლხინი გაიმართა. ღვინოც იყო და კურსანტები სადღეგრძელოებსაც წარმოთქვამდნენ.

«რაია, იცი», – ამბობდა გურული ჯარისკაცი – «მაი ხალუხაევია თუ ვინცხა, კაი დასაბეგვია, მგონია». «რაის ხალუხაევი, ბიჭო, – პასუხობს სხვა, – ხალუხაევი კიდო მის უარესს სჯობია, შენ ჩაიკინი თქვი, რაფერი ნაძირალაა». ამ ლაპარაკში დრო გადის, კიდეში მჯდომი ერთი ჯარისკაცი კანისტრას სახელურით იღებს, მეორე ხელს აშველებს და ღვინოს ყველანაირ ჭურჭელში ასხამს. ათიოდე კაცი მუსრს ავლებს სანოვაგეს და, თუმცა უკვე სასმელი საკმაოდ დაილია, მაინც რჩება დასალევი. ისმება ყველანაირი მოცულობის სასმისი – დიდი, პატარა, უფრო დიდი ან უფრო პატარა. «ჩემი დედა ვატირე, თუ აქანე ვინმეს ერთი ზედმეტი სიტყვა ვაპატიო», – ამბობს რომელიღაცა, – «აქ იმიტომ ჩამოვედით, რომ ერთმანეთს გავუგოთ, ვისაც გაგება არა აქვს, იმგენს სხვანაირად დაველაპარიკებით». ოთახში მწუხრი წვება და სინათლეს ვანთებთ. უკვე ყველა ერთად ლაპარაკობს და ყველას ერთი სათქმელი აქვს. ვიღაც ძალიან დათვრა და მაგიდაზე ჩამოდო თავი. გარშემო ხმები ირევა, ამ არეულ ხმებში სიმღერა გაისმის. სიმღერა სასოწარკვეთილია და ყაზარმის ფანჯრიდან

ეზოში იღვრება. ეზოში შეკრებილი ჯარისკაცები იცინიან, ქირქილებენ, აჯავრებენ ხმაჩახრინწულ ჯარისკაცს, რომელიც ვეღარ ჩერდება, ვინაიდან დარდი აწვება და არ აძლევს მოსვენებას. ყაზარმის ფანჯრიდან გადმოღვრილ ამ გაბმულ სიმღერას ზოგიერთები სულ არ აქცევენ ყურადღებას, სხვები კი უსმენენ და სახეზე ეტყობათ, რომ სიმღერაში მათი დარდიც არის გამჟღავნებული. ჯარისკაცები ყაზარმისწინა ფერდობზე წვებიან, მავთულებით დასერილ ცას აჰყურებენ, ფიქრობენ, მაგრამ მერე ფიქრიც ბეზრდებათ.

* * *

ღამით დიდხანს არ დამეძინა. ყაზარმის დიდ დარბაზში, სადაც ორსართულიანი საწოლები იდგა, ორპირი ქარი ფანჯრებს აჯახუნებდა. თავიდანვე შევნიშნე, რომ ვიღაც დადიოდა ოთახში და ბოდავდა, ერთ-ერთ მძინარეს დაადგა თავზე და ჩასძახა: «ქალი ხარ?» მძინარემ თავი წამოსწია და შეუბღვირა: «წაი, ბიჭო, აქედან, თუ არა...» მერე ლაპარაკი შეწყდა. სილუეტი ხელისცეცებით მოძრაობდა და თავის ჰალუცინაციებს ახმოვანებდა, საწოლებთან ჩერდებოდა, გაშტერებულს ყველა მძინარე ჯარისკაცი ქალი ეგონა. ორპირი ქარი აჯახუნებდა ფანჯრებს და გარედან შემოჭრილ სინათლეს აბრეშუმის ნაჭერივით აქეთ-იქით აფრიალებდა. მოსიარულეს არ დასცემია სახეზე, თორემ შევიცნობდი, ვინ იყო. როგორც ჩანს, ზედმეტი დოზა მიეღო და წამალი უფრო და უფრო ითრევდა.

* * *

გვიანი შემოდგომა დადგა და ყველაფერი გადაყვითლდა. ნამდვილი შემოდგომა დადგა, როცა ფოთლები ქარში ფრიალებს, მერე კი უმწეოდ ეცემა მიწაზე. ყვითელი ფერი

უდაბნოს ფერია და უდაბნოსფერი გახდა ქვეყნიერება. მე მოთმინების ფიალა ამევსო, დავტოვე ბანაკი, დავტოვე სასროლეთი, მივაგდე ყარაული, სადაც იარაღის საწყობს ვდარაჯობდი და წავედი. მაგრამ სად წავიდოდი? ისევ ახალციხის ქუჩებში ვეხეტე. უკვე ნოემბერი იწურებოდა, მეექვსე თვე ღაფავდა სულს, რაც ჯარისკაცის ჭაპანს ვეწეოდი. სიზმრებიც შემეცვლა, აღარც დიღმის მასივის ფანჯრიდან დანახული «დინამოს» ბაზა მესიზმრებოდა, აღარც ნანა და უნივერსიტეტის იდუმალებით მოსილი ფართო დერეფნები. ახალციხის ხრიოკი შემოგარეები ჩასახლდა ჩემს სიზმრებში. თითქოს ავდიოდი ამ ხრიოკ აღმართებზე, ავდიოდი და ეს შემაღლება არსად თავდებოდა. გარშემო უკაცრიელი ნანგრევები და ქვის სამოსახლოები იყო, ადამიანი კი არ ჭაჭანებდა. «რა მინდა აქ?» – ვფიქრობდი ჩემთვის, მაგრამ პასუხისთვის ვერ მიმეკვლია.

გვიანი შემოდგომა დადგა და ბანაკში ყოფნა მართლაც გაუსაძლისი შეიქნა. ზოგიერთები ქალაქში გარბოდნენ, სხვები – სოფლებში. უმეტესობა, რა თქმა უნდა, ყაზარმაში რჩებოდა, ოღონდ დანარჩენები უფრო ხშირად სვამდნენ და დებოშიორობდნენ. იყო სიმულაციის მცდელობებიც: ვინ ხელის გაბზარვას ჩიოდა, ვინ კუჭქვეშა ჯირკვლის ანთებას. ყაზარმის ვეება დარბაზის ორსართულიან საწოლებში თვალისმოხუჭვისთანავე გინება და ბათქაბუთქი ისმოდა. «მურადა, შენ მე ობლობით გაზრდილი ბოვში შემიგინე? ვინ ხარ შენ?» – და ისმოდა ყრუ დარტყმების ხმა და ნერვული ფორიაქი. გამშველებლებსაც მობეზრებული ჰქონდათ ლაპარაკი, რაღაცას ჩაიბურტყუნებდნენ და ჩერდებოდნენ. არადა, ბათქაბუთქი გრძელდებოდა.

* * *

მე დავეხეტებოდი ახალციხის უკვე შეციებულ შუკებში და მეგონა, მთელი ცხოვრება ასე ვიხეტიალებდი. ჩემი ხეტიალი ყოველგვარ ზღვარს გასცდა, ახალციხის შემოგარეებში საკვამურებიდან უკვე კვამლი ამოდიოდა. ვიღაცები უკვე მამჩნევდნენ, რომ საათობით ვიკარგებოდი ბანაკის ტერიტორიიდან და ეჭვიან მზერას მადევნებდნენ. ხალუხაევს სამხედრო-საველე წვრთნების ყოველგვარი ხალისი დაეკარგა, ლოთობისგან სახე გაბიჟვინებული ჰქონდა, ჯარისკაცები გაჰყავდა მინდორში და წამოწოლილი გაუთავებლად ელაზღანდარებოდა.

ნანა ისევ დამესიზმრა – უნივერსიტეტის წინ ჭავჭავაძის გამზირზე მიაბიჯებდა, ალბათ მეორე კორპუსში ჰქონდა ლექცია. მოპირდაპირე ქუჩიდან ვუმზერდი და ვხედავდი – ჩამავალი მზის ნათელში იყო გახვეული; მთელი ქუჩა გაიარა და შენობაში შევიდა, საქმიანად და ლამაზად მიაბიჯებდა. უნივერსიტეტის მეორე კორპუსში რომ შევიდა, ვიგრძენი, ის დღე დამთავრებული იყო. იქნებ დაველოდო-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ მივხვდი, ლოდინს აზრი არ ჰქონდა, წამიერად გამოჩნდებოდა და მერე ისევ გაქრებოდა. ეს უარესიც იყო. წამოვედი. ვარაზისხევთან რობინზონა შემხვდა. «გრემში ჩავიდეთ», – შევთავაზე რობინზონას. ჩავედით. «გრემში», როგორც ყოველთვის, ბინდბუნდი იდგა, თითქმის ბნელოდა, მხოლოდ მაგიდები გაენათებინათ.

ოფიციანტმა რამდენიმე ბოთლი ღვინო მოიტანა, სუფრა გააწყო. მე ვლაპარაკობდი. მინდოდა ნანაზე მელაპარაკა. ვუყვებოდი რობინზონას, როგორ მიდიოდა დღის ბოლოს, ლექციების შემდეგ ნანა სახლში და როგორ მთავრდებოდა ის დღე ჩემთვის. «შენც ნუ გაუშვებ, დაელაპარაკე», – მეუბნებოდა რობინზონა. მე ვგრძნობდი, რომ მას ჩემი არ ესმოდა, მაგრამ მაინც ვუყვებოდი, რადგან არ შემეძლო,

რომ არ მომეყოლა. რესტორანი ცარიელდებოდა, უკვე გვიანი იყო. «ერთი ბოთლიც მოგვივა», – ამბობდა რობინზონა, ოფიციანტს უკვეთავდა და ოფიციანტსაც მოჰქონდა ღვინო და ყველაფერი თავიდან იწყებოდა. სარდაფიდან ყველაზე ბოლოს ჩვენ ამოვდიოდით.

* * *

ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ დავდივარ ავტომატგადაკიდებული მავთულხლართებში. ხლართების შიგნით იარაღის საწყობია, გარშემო კი ორ მავთულხლართს შორის გატკეპნილი გზაა, ანუ საგუშაგო ბილიკი. წვიმს. სამხედრო ლაბადა მაქვს მოსხმული და დინჯი ნაბიჯით ვუვლი ირგვლივ საწყობს. უკან უპატრონო ძაღლი მედევნება. ამ ძაღლის გარდა ბანაკის მთელ ტერიტორიაზე კაციშვილი არ ჭაჭანებს. დავდივარ და თანდათან ღამდება, აქა-იქ ინთება სინათლეები. ეს ბანაკის სიახლოვეს გაბნეული სახლებია, შორს კი რომელიღაც სოფელი მოჩანს, სადაც შუქის წერტილები პარპალებს. მე ვფიქრობ იმაზე, რომ ბანაკის ტერიტორია სრულ უდაბნოდ გადაიქცა. შეპირება, რომ საწვრთნელ-საომარი განგაში მოულოდნელად დაგვატყდებოდა თავს, არ შესრულდა. რა თქმა უნდა, საამისო სურვილი არც ჯარისკაცებს ჰქონიათ, მაგრამ პირველ დღეებში საბრძოლო ვნებათაღელვა არსებობდა, რომელიც თანდათან მიინავლა და ბოლოს სულ გაქრა. არ გამქრალა მხოლოდ კონტროლი და თვალთვალი, რომელიც ყოველწამიერად ხორციელდებოდა და მე მიკვირდა, რომ აქამდე ვერ შემატყვეს, როგორ ვტოვებდი ბანაკის ტერიტორიას. მე ახლაც ვტოვებ ბანაკს, მივდივარ ამალიასთან, მერე ჩვენ ერთად მივეშურებით ქალაქგარეთ. აქ ამალიას პატარა მამისეული ნაკვეთი აქვს, რომლის ეზოც სავსეა ჩამოცვენილი ფოთლებით. ამალია

შეაღებს ფიცრული აგარაკის კარს და შეაბიჯებს ოთახში, მე ფეხდაფეხ მივყვები. საოცარია, ყველგან ფოთლებია, ოთახშიც კი ვეება ყვითელი ფოთლები ყრია. ბუხარში ფიჩხი ბოლავს, მე ოთახის ფანჯრიდან ვიყურები და ვხედავ ეზოს კუთხეს, მიწის მცირე მონაკვეთს და მოკრიალებულ ცის ნაგლეჯს, ვხედავ და თან ვფიქრობ, რომ ამ ოთახში მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე აღარასდროს მომიწევს ყოფნა. უცნაური კონტრასტია: სამხედრო ბანაკიდან, ფაქტობრივად უშველებელი უდაბნოდან, ტყიანი ფერდობების მხარეში მოვხვდი. აქ არავინ არ ცხოვრობს, არც შეიძლება ვინმე ცხოვრობდეს, ვინაიდან სრულიად უკაცრიელი ადგილია, ღამით თურმე ტურები აღწევენ ამ ფერდობებამდე. იქნებ მგლებიც დაძრწიან ამ ადგილ-სანახებში? მე ვთხოვ ამალიას, მოღიავებული დატოვოს კარი და ტყის კორომისკენ გამომყვეს. მინდა ტყეში შევრგო თავი და გავუჩინარდე. იქნებ დამავიწყდეს გაუთავებელი ბოლოდროინდელი ხეტიალი, იქნებ გადავდგა რამდენიმე ნაბიჯი და სხვა სივრცეში აღმოვჩნდე, სხვა სივრცეში ყოფნამ კი შეიძლება სხვა გრძნობები გააღვიძოს ჩემში. ამალია გაკვირვებული მიყურებს და თან იღიმება, როგორც ჩანს, ჩემგან ყოველგვარ უცნაურობას მოელის. ჩვენ ტყეში შევდივართ, ბილიკს მივუყვებით, მერე კი უფრო ღრმად ვიჭრებით ტყის წიაღში. აქ ყველაფერი ჩაყრუებულია, ჩაღამებული და ჩახავსებული. «რა გვინდა აქ?» – ვეკითხები ამალიას. ის არ მპასუხობს, რადგან იცის, პასუხს არავითარი აზრი არა აქვს. მეც აღარაფერს ვეკითხები. კვლავ განვაგრძობთ გზას. «რა გვინდა აქ?» – ახლა უკვე ამალია მეკითხება. მე არაფერს ვპასუხობ. მივდივართ. უკვე ფოთლების შვავში მივაბიჯებთ. შვავი მატულობს და მატულობს. მივდივართ და ხელებით ვიშორებთ აქეთ-იქით ჩამოყრილ ფოთლებს, ირგვლივ მხოლოდ და მხოლოდ თვალისმომჭრელი

სიყვითლეა, მეტი არაფერი. მოულოდნელად ჩამოშიშვლებულ ხეზე ფრთების ფართქუნით ვეება ფრინველი ჯდება. სულგანაბულები ვუმზერთ, მერე ერთმანეთს გადავხედავთ და გვეცინება. ფრინველი მჭახე კრიახს ამოუშვებს ნისკარტიდან, ერთი ფოთოლი კიდევ სწყდება ხეს.

* * *

ჰო, ეს იყო უდაბნო, არც მთლად ხრიოკი და გადატრუსული, მაგრამ მაინც უდაბნო. აქაც ისეთივე სიუცხოვე ეუფლებოდათ ადამიანებს ერთმანეთის მიმართ, როგორც უდაბნოში. აქაც ეძებდნენ ოაზისს და ვერ პოულობდნენ, რადგან ადამიანი ყოველთვის ეძებს ადგილს, რომელიც დაარწყულებს მას.

დადგა მექარავნეთა მსვლელობის ბოლო დღეც და ამ ბოლო დღესაც სასროლეთზე წავედით. ქედების ძირას გაკლაკნილი ბილიკები გავიარეთ, მერე კი უფრო ფართო გზაზე გავედით. აქ უკვე ყოველი კუთხე-კუნჭული ზეპირად ვიცოდი. ამჯერად მდინარეს საცალფეხო ხიდის გზით მივადექით. საცალფეხო ხიდი იმდენად ვიწრო და მორყეული იყო, რომ ჯარისკაცები არცთუ იშვიათად წყალში ცვიოდნენ. მე რატომღაც ახლაც გამიმართლა და გაღმა უხიფათოდ გავაღწიე. ჩემ შემდეგ რამდენიმე ჯარისკაცმა წყალში მოადინა ტყაპანი. ნაპირზე გამოღწეულები სამხედრო ფორმას იხდიდნენ და უშვერად იგინებოდნენ. ბოლოს ხანუმიანი და თავდგირიძე ჩაცვივდნენ. თავდგირიძე ვეღარ ამოდიოდა, რამდენჯერმე წამოდგა ფეხზე და წაიქცა. კინაღამ დინებამ წაიღო. პოლკოვნიკი ხალუხაევი ნაპირიდან დაძაბული უმზერდა მას, მერე ბრძანა, მიეშველენითო. ჯარისკაცებმა სამხედრო ფორმა წაიძრეს, განასკვეს და ისე გადააბეს

ერთმანეთს. თავდგირიძე მოებღაუჭა და რის ვაი-ვაგლახით ამობობღდა ნაპირზე. ვიღაცები იცინოდნენ, სხვებს გაცინების სურვილიც დაკარგული ჰქონდათ. როგორც იქნა, ჩავაღწიეთ სასროლეთის მიდამოებში. ვისროდით ავტომატიდან და ტყვიამფრქვევიდან, სამიზნე მოპირდაპირე მთის ფერდობზე იდგა. ტყვიამფრქვევიდან სამიზნეს მოვარტყი და წავაქციე. «უყურე შენ ამას, აი არ ყოფილა დასაკარგი კაცი,» – თქვა გურულმა ჯარისკაცმა. ნაშუადღევს ისევ უკან გამოვეშურეთ.

ბოლო დღე იყო. ყოველი ღონისძიების შემდეგ პირად მოწმობაში საგამოცდო შეფასება იწერებოდა. ბოლო ღამეს პირველი ღამის მსგავსად ცხადი სიზმარი დამესიზმრა, რომელიც დიდი ხნით ჩამრჩა მეხსიერებაში. ვითომ უნივერსიტეტის ფართო დერეფანში დავაბიჯებდი, მაგრამ აქ სრული სიცარიელე იყო, აუდიტორიებში შევიხედე და იქაც კაციშვილი არ ჩანდა, ბაღში გამოვედი და არც იქ იყო ვინმე. «რა ხდება, სად წავიდნენ?» ჭავჭავაძის პროსპექტზე მიწისქვეშა გასასვლელთან პირველი კორპუსის დარაჯს მოვკარი თვალი. «ძია არსენ, რა ხდება, სად არის ხალხი?» არსენამ სახე ამარიდა და ჩუმად ჩაილაპარაკა: «აბა, მე რა ვიცი». «რა ვქნა, სად წავიდე?» – ვფიქრობდი ჩემთვის და უეცრად გადავწყვიტე, ისევ უკან დავბრუნებულიყავი, სამხედრო ბანაკში, ახალციხეში, ამალიას მაინც ხომ ვნახავდი. «არა, სახლში წავალ, ჯერ შინ შევივლი», – ამის გაფიქრება იყო და გამომეღვიძა. და აი ახლა ამ სიზმრის გახსენებამ უსიამოვნო გრძნობა აღმიძრა, მაგრამ მოულოდნელად ბანაკის ტერიტორიაზე სასროლეთიდან ახალდაბრუნებულებს გამოგვიცხადეს, რომ უკვე ყველაფერი დამთავრებული იყო და შეგვეძლო შინ წავსულიყავით. არავინ არ აჩქარებულა, ყველამ აკრიფა

კომისრის ოთახში გადანახული ხელჩანთები და ზურგი აქცია ყაზარმას.

მეც, რა თქმა უნდა, იგივე გავაკეთე. ჩანთა ზურგზე მოვიგდე და მარტოდმარტო აუჩქარებლად გავუყევი ქალაქისაკენ მიმავალ გზას. ბანაკის ტერიტორიას რომ გამოვცდი, ერთხელ კიდევ მივიხედე უკან და დავინახე იარაღის საწყობი, რომელსაც მავთულხლართები ჰქონდა შემოვლებული. ამ მავთულხლართებს შორის ქარშიც და წვიმაშიც დავდიოდი, დავდიოდი დღისითაც და ღამითაც...

* * *

ახლა მატარებლის ფანჯარასთან ვარ მიმჯდარი და ვხედავ, როგორ წვება ახალციხის შემოგარეებში საღამო. მატარებელი ნელა შორდება ქალაქს. მე მახსენდება, რომ რკინიგზის სადგურიდან სამხედრო-სასულე ორკესტრს უნდა გამოვეცილებინეთ, მაგრამ ამაზე აღარავის უფიქრია. ერთდროულად გამირბინა მეხსიერებაში ყაზარმის დიდმა დარბაზმა, სადაც ამდენ ადამიანს საღათას ძილით ეძინა, პოლკოვნიკმა ხალუხაევმა, სასროლეთმა, ახალციხის ქუჩებმა, ამალიამ და მთელმა იმ უდაბნომ, რომელსაც თავი დავაღწიე და რომლიდანაც შინისკენ მივისწრაფოდი, მაგრამ ნამდვილად იქ ჩავიდოდი თუ არა, საიდანაც წამოვედი, ეს დაბეჯითებით არ შემეძლო მეთქვა. არც იმის თქმა შემეძლო, ჯარში ყოფნამდე ვცხოვრობდი თუ არა საერთოდ ამ ქვეყანაზე. ასე გამოვეშურე შინისაკენ. მატარებელი აუჩქარებლად მიირწეოდა.

4. კრიტიკა

მანანა კვაჭანტირაძე

ვის ესმის მწერ(ლ)ის ძახილი?

სამყარო არის, დანამდვილებით
ნიკო სამადაშვილი

ერლომ ახვლედიანის რომანი «კოღო ქალაქში» კაფკასეული ფრაზით იწყება: შემზარავი უკუნი სიბნელე და რაღაც სინათლე შორიდან. ამ სინათლისაკენ მიმსწრაფი ადამიანი და იმედგაცრუება.

რომანი თავებად და ქვეთავებადაა დაყოფილი, რომელთაგან ზოგს აქვს სათაური, ზოგს არა. აქვს, სხვათა შორის, პროლოგიც და ეპილოგიც, მწერლის წინათქმაც. თუ კითხვის დაწყებამდე სარჩევში ჩაიხედავთ, რაც ბუნებრივია – აუცილებლად მოიხიბლებით ქვეთავების სახელწოდებებით: მიხვდებით, რომ საქმე, სულ ცოტა, არაორდინალურ ტექსტთან გაქვთ და რომ ერლომ ახვლედიანი, ჩვეულებისამებრ, რაღაც უცნაურობას გიმზადებთ. ასეცაა. ერლომი ერთი ლურჯთვალა კოლხი კოღოს (!) ამბავს გვიამბობს.

წერის დაწყების პროცესი შტორმივითაა: სამყაროს მოწესრიგების წინა დღე, როცა ქაოსი ეწინააღმდეგება კოსმოსს, შესაქმის ნებას. მწერალს მხოლოდ მასალა კი არ უწევს წინააღმდეგობას, არამედ ყველაფერი, რაც გარს აკრავს, სუნთქვაშეკრული, ჩასაფრებული ელოდება დაწყებას. ეს ბრძოლაა, თანაც ცოცხალ არსებებთან კი არა, ადამიანურ ნაკლოვანებებთან – ასე ვთქვათ, ეთიკურ «მოჩვენებებთან», «აჩრდილებთან». რაინდული სიტყვიერი ჟესტი ავლენს მწერლის მზაობას თავდაცვისა და შეტევისათვის: «სულმოუთქმელად გელით. თქვენით ისჯება კეთილი საქმე! მე აქ ვარ».

პირველი ნაბიჯი საბრძოლო იარაღის მომარჯვებაა: «მოვიმარჯვე კალამი, რომელიც ყველა კალამზე მეტად არ წერდა». როგორია კალამი, რომელიც არ წერს? იქნებ ეს კალმის არქეტიპია – არქეიარაღის თავდაპირველი სახეობა, არქიტექსტის ჩამწერი, რომელიც თუ დაიწყებს, სულ თავიდან უნდა დაიწყოს? თუ პირიქით, დასასრულის მაუწყებელი დაბლაგვებული, გაცვეთილი კალამია? ამას მოგვიანებით ვგებულობთ, ახლა კი მწერალი ემზადება და იწყებს. ბრძოლას თუ წერას? მაგრამ ვინ გაყო? ერლომი არ ყოფს. ოღონდ, საბრძოლო იარაღებიც საკუთარი აქვს და სათქმელის ფორმაც. ის საკუთარ პატიოსნებას და გულწრფელობას გამოცდის ჩვენზე, მკითხველზე და თითქოს გვეთამაშება, გვამოწმებს, მივხვდით თუ არა თამაშის არსს, რომ ჩვენ, თურმე, სულ სხვა რამეს ვკითხულობთ, სინამდვილეში კი ის, თურმე, «სულ სხვა რამეს წერს».

ერლომის განაცხადი წერით «შეპყრობილობაზე» იმავე პარადიგმის ნაწილია, რაც გურამ რჩეულიშვილის «მინდობა კალამზე». ის, რასაც ვკითხულობთ – ტექსტია, მაგრამ რას შეიძლება ნიშნავდეს ავტორისა და მკითხველის ეს შეუთავსებლობა? იქნებ, სულაც, მათ შორის დადებულ, იმთავითვე შეუსრულებელ ხელშეკრულებას, ანუ – ამოუკითხავ პალიმფსესტს, ნიშანს

მარადიული დილემისა ღმერთსა და ადამიანს შორის, შემოქმედსა და მის შექმნილს შორის; იქნებ ტექსტი სწორედ ამ ამოუხსნელობის სიმბოლოა და ამ ამოუხსნელობაშია მთელი მისი გემო და ხიბლი? იქნებ თამაშის ამოცნობის (ხელშეკრულების შესრულების) შემთხვევაში მხოლოდ იმედგაცრუება გველის?

ფრაზა «არაფერი მაქვს სათქმელი» და ცარიელი ფურცელი – თანამედროვე მწერლის სევდისმომგვრელი მდგომარეობის მეტაფორაა. მაგიდასთან მჯდარი, ხელებში თავჩარგული კაცი კი, რომელსაც «ძალიან ეძინება», პოსტმოდერნული, კრიზისული დროის მწერლისა და სავარუდოდ, თვით ავტორის პორტრეტია.

ღრმად სიმბოლურია, რომ «კოღო ქალაქში» დიდხანს იწერებოდა, ათწლე-ულები (გია არგანაშვილის ცნობით). 50-იან წლებიდან, ანუ სათავეებიდან და-წყებული, პოსტმოდერნული კრიზისული ეტაპით დამთავრებული მეგაპერიოდის გამაერთიანებელი ეს რომანი – თავისი ღრმა და სერიოზული ეგზისტენ-ციალური პრობლემატიკით, მოდერნული და პოსტმოდერნული კონცეპტებისა და ხედვების ინტეგრაციით, ახალი ტიპის ნარატივით ჟანრების საზღვარზე, ამოცნობის პოეტიკით, ტექსტური ბუნებითა და სამყაროს ახალ ხედვაზე ორიენტტირებულობით – თითქოს ამ პერიოდის ფინალსაც მონიშნავს და ფინალის მეორე დღესაც.

წერის, ტექსტის შექმნის რიტუალი ქვიშის საათის გადმობრუნებით იწყება. სიტუაცია ექსპერიმენტს ჰგავს. მწერალს წაართვეს ყველაფერი და დაუტოვეს «პირდაპირი მზერის უფლება» და «აგრეთვე, ერთი კალამმოუსმელი ფურცელი».

«სულ ერთია, რას ვწერ» – წერის სიმულაცია და საწყისი ფაზაა. ცვლილება მდგომარეობის გაცნობიერებით იწყება: «იმის უფლებაც კი არა მაქვს, რომ უაზრობა დავწერო» – მწერლის უფლების არქონა «უაზრობაზე» – მნიშვნელოვანია. ტრადიცია ისევ ცოცხალია, უფრო ზუსტად, ხსოვნაში შენახული, პროფესიული ეთიკური იმპერატიულობით. მართალია, «უაზრობაზე უფლება» დასრულდა, მაგრამ ახალი ჯერაც უფორმო არსებობის სტადიაზეა. არსებობს უამრავი განცდა, სიუჟეტი, აზრი, თემა, მაგრამ არც ერთში არ არის «სიტყვები, სასვენი ნიშნები, აბზაცები»... რა ჰქვია ასეთ მდგომარეობას? მზაობა ფორმის გარეშე, მხოლოდ ნება, მხოლოდ აზრი, მაგრამ სამოსელის გარეშე, ანუ სცენაზე გასვლის გაჭიანურებული მოლოდინი სასცენო კოსტუმის გარეშე («სიტყვაკაზმული» ხომ სწორედ ასეთ, სასაუბრო ენისგან განსხვავებულ, «მოკაზმულ» ანუ საგანგებო მხატვრულ მეტყველებაზე მიუთითებს).

ბაზარში წასვლისა და სანოვაგის ყიდვის მეტაფორა ძალზე დროულია. ყიდვა (ინტერტექსტი: «იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე») ან სესხება (მითვისებაც დაშვებულია) – სიტყვების, ემოციების, სასვენი ნიშნების, წინადადებების, ხაფანგის (ცხადია, სიუჟეტური ან ლინგვისტური), ცხენების და მწერების (ალბათ, მოქმედი პირების, პერსონაჟების) ახალი ტექსტისათვის (ოღონდ ამას ახლა ინტერტექსტუალობა ჰქვია) – ერთი თეთრი ფურცლის ასავსებად. დიახ, სანოვაგე, ყველაზე ზუსტი და იმავდროულად, მწერლო-ბისთვის შეუფერებლად გასტრონომიული სიტყვა. სამომხმარებლო-გასტრონო-მიული მწერლობა – თანამედროვე ინტელექტუალური ყოფის რეალობა და პარადოქსი.

სიმარტივემ შეიძლება დაგაბნიოთ და მაინც, არჩევანი სიმარტივეზე ჩერდება. აქ ავტორის დახმარებით უკვე მწერის ენიგმას თუ სიმბოლოს ამოვ-ხსნით. ეს მხოლოდ კოღო კი არ არის, არამედ მ-წერ-ია, ანუ და-მ-წერ-ი, ჩა-მ-წერ-ი და გადა-მ-წერ-ი, მოკლედ, ის, ვინც წერს – მათ შორის, სავარაუდოდ, ბედისა, სამყაროს ტექსტისა და და სიცოცხლის მ-წერ-ალიც. ერლომი იმასაც ამბობს, მწერი წამსაც ჰგავსო და ეჭვი არ მეპარება, მწერლობა მწერობიდან მოდის, მხოლოდ ლასი ამოაგდესო (მარტოოდენ ფონეტიკურ მსგავსებას რომ არ გულისხმობს, ამაზე მისი მეტაფორაც მიანიშნებს: «მწერები – ბუნების უცნაური გაფიქრებანი»). ამიტომაც იწყებს ლურჯთვალა კოღოთი. ლურჯთვალა კოღო და ლურჟთვალა ია, ვანო რომ მთელი ცხოვრება ჩასძახის («ვანო და ნიკო»), ბოლოს და ბოლოს მაინც (ა)მოდის, მაინც ცოცხლდება სურვილიდან, ძახილიდან, ოცნებიდან. ცოცხლდება და ასოციაციის გზით აღვიძებს იმ ყველაფერს, რაც რეალურად თუ წარმოსახვით უკავშირდება ზემოთა, მიღმურ, საოცნებო და მიუღწეველ სივრცეებს. ამიტომაა ამ ლურჯთვალა კოლხი კოღოს კონოტაციები მწერალიც, სიტყვაც, ენერგიის, სასიცოცხლო ულუფის გადამტანი და გამავრცელებელი არსება, პირველსაწყისი, ბიძგის მიმცემი, სიყვარულის ციებ-ცხელების გამომწვევი და სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი, რომლსაც, თავისი სიპატარავის მიუხედავად, თავიდან შეუძლია შექმნას სამყარო. ერლომი მას «ჩემს კოღოს» ეძახის.

ერლომ ახვლედიანი სიმცირის ამ პარადოქსს აკვირდება.

მიკროგანზომილებების დასანახად ლუპა აუცილებელია. ლუპა არაა ტრადიციული მწერლობის იარაღი, ის ახალია, ხედვის გამაძლიერებელი. ლუპის გარეშე სამყარო უკვე დანახულია (დაწერილია).

«ეს ჩემი ხელები არ არის. ადრე სხვა ხელები მქონდა. ხელები (შრომის იარაღები – მ.კ.) გამომიცვალეს.» მწერალი უარს ამბობს საკუთარ თავზე, იმ «მე»-ზე, საიდანაც უკვე გასულია და სადაც, კარგა ხანია, საკუთარ თავს ვეღარ პოულობს. მაგრამ ის უარს ვერ იტყვის კოღოს ნაკბენზე, და იმ ახალზე, რამაც ამ ნაკბენით შემოაღწია მასში. ეს პროცესის შეყოვნების წამია, ბიფურკაციის წერტილი – ახალი ფლუქტუაციის, მუხტის გაჩენის ქრონოტოპი. ციებ-ცხელება, გათიშვა, შეერთება, ამოძრავება ამ სიახლის ნიშნებია. ამ წერტილში სიკვდილი და სიცოცხლე ძალიან ემგვანებიან ერთმანეთს, და «ვინ»-იც იმგვანებს «არავინ»-ს, «მე» – «სხვა»-ს. რაღაც ახალი იკვრება მის შიგნით – ახალი თვისებრიობა, რომელიც კოღოს ნაკბენით შემოტანილი სიყვარულის გარსშია გახვეული – ახალი კომბინაცია, «მე»-ს ახალი ნივთიერება. რისგან შედგება იგი და რას წინასწარმეტყველებს მწერალი?

თავდაპირველად მწერალი ცოდნაზე სოკრატეს კლასიკურ თეზას ამოწმებს, თანაც, მნიშვნელოვანი შესწორებით: «მე ისიც არ ვიცი, რომ რამე ვიცი». ეს სენტენცია აქ მთხრობელს ეხება, რომელმაც ისიც კი არ იცის, რამდენი პერსონაჟი ჰყავს – ხუთი თუ ექვსი. მაგრამ რა იცის საერთოდ მწერალმა, თუკი ესეც არ იცის? ეს წერის ნულოვანი დონეა და სავარაუდოდ, მწერალი პოსტმოდერნისტი უნდა იყოს (ყველა ნიშანი სახეზეა: რეალობის, იდენტობისა და მნიშვნელობის (ენის, აზროვნების) კრიზისი, ნების არქონა, საბოლოო გადაწყვეტილების უარყოფა, ქაოსი და შემოქმედებითი ძალების ნაკლებობა, თვითირონია). თხრობა რეგისტრს იცვლის და ხუმრობისა და სერიოზულობის საზღვარზე განთავსდება. მთხრობელი ისე ყვება, თითქოს დისკურსი

მას არ ეკუთვნის და რაკი არ ეკუთვნის, ამიტომ არც იმის ცოდნა მოეთხოვება, პერსონაჟი ხუთია თუ ექვსი. მ. მამარდაშვილისთვის აზროვნება სხვა არაფერია, თუ არა ჩუმი, გაუხმოვანებელი საუბრები ღმერთთან წარსული შეხვედრების შესახებ, ასე რომ, სავარაუდოდ, აზროვნება მარტო ჩვენი არსებობის არგუმენტი კი არ არის, არამედ ჩვენი ღმერთთან ყოფნისაც. ერლომის დახატულ სიტუაციებში კი საუბარი ამინდზე და ტემპერატურაზეა დამოკიდებული. სერიოზულობის ხარისხსაც ეს გარემოებები განსაზღვრავს. სახეცვლილი სოკრატე უკვე ერლომია – მწერალი, რომელმაც ის ცოდნაც დაკარგა, რომელიც არ ქონდა (სოკრატე: «მე ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი»), მასთან ერთად კი საკუთარ «მე»-ზე ცოდნაც, საკუთარი შეფასებების რწმენაც («მე ისიც არ ვიცი...»). მისი აზროვნება აღარც ღმერთთან დიალოგია და აღარც წარსული შეხვედრების გახსენება. ის გარეთაა, მათ შორის საკუთარი თავის, ნებისა და ცოდნის გარეთაც, რაც შინ, საკუთარ «მე»-ში დაბრუნებით უნდა გადაილახოს.

ერლომი უცნაური მწერალია, ავტორი, რომელიც, ჭკვიანი ბავშვივით, უცნაურობებს გვეუბნება... ის კი, რასაც ამბობს, თითქოს ნაცნობია, უსაზღვროდ ძველი, რაღაც სახარებისეული, და თანაც ახალი. მწერალი, რომელიც ხედავს ზედაპირის სიღრმეს და სიღრმის ზედაპირს, სამყაროს მტვერს და მტვრულ ბუნებას; აღქმის სიმცდარეს და მცდარობის ყოვლადობას, მცდარობის სიმშვენიერეს; ხედავს სამყაროს ხედვის ახალ პოტენციას, ხედვის განახლების შესაძლებლობებს, ამ ხედვების ამოუწურავ მრავალფეროვნებას.

პერსონაჟ გოგონაზე ერთგან ამბობს, ყველაფერს ისე უცქერის, თითქოს პირველად ხედავსო და იქვე, ფრჩხილებში დაწერს: «ასეთი მზერა აახლებს სამყაროს,

თითქოს ის ეს-ესაა შეიქმნა». ადამიანში ყოველთვის თვლემს მისი წარსულის ყველაზე ღრმა გამოცდილება, როცა იგი სამყაროს პირველ-აღმომჩენის მზერით უცქერდა და რომელსაც არ სჭირდებოდა «თითქოს». ერლომისთვის ეს ხედვა პოეტურია და შესაბამისად – ცნობისმოყვარეც, გაკვირვებულიც, გულუბრყვილოც, ბავშვურიც. რობაქიძისეულად თუ ვიტყვით, ეს თაურხედვაა და შეკითხვის სახით ასე ჟღერს: «ვინ ხარ შენ, ცაო?» პოეტურობა პირველადი ხედვის ყველაზე ზუსტი აღმნიშვნელია, რადგან სამყაროსთან ადამიანის უმეშვეო, გაუბზარავი ერთიანობის აღქმიდან მოდის. მას არ სჭირდება რეალური მერცხალი, ან მზის ასვლა-ჩამოსვლა ცის შესაგ-რძნობად. პოეტური ხედვა თვითონვე ავსებს სი-ცა-რიელეს (და ცარიელ ფურცელსაც).

ანალიზი პარადოქსულია, დასკვნები – პოეტური, მაგალითად: «ზამთარია და არ თოვს. ეს იგივეა, გაზაფხულზე არავინ გიყვარდეს». ხედვის განახლება აუტანლად რთულია, ძნელია სამყაროთი თავიდან გაკვირვება, მისი ახლიდან აღმოჩენა; თითქმის შეუძლებელი – პოეტური ხედვა არაპოეტურ სამყაროში, ფრენის სურვილი მძიმე მატერიაში. მარტივი ჭეშმარიტებების შეხსენებით, რაღაცნაირი მშვიდი ირონიით ერლომი ჩვენი გახევებული ცოდნისა და ხედვის სხვა შესაძლებლობებზე მიგვანიშნებს, საიდანაც, როგორც კვერცხიდან, სამყაროს ახალი აღქმა უნდა აღმოცენდეს.

ერლომი არსებობის უცნაურობებზე გვესაუბრება:

«სუნი უცნაური რამ არის. ის არსებობს». რატომ შეგვახსენებს ამას? იმიტომ, რომ გაზაფხულის დავიწყებული სურნელი შევიგრძნოთ, ხელახლა ვისწავლოთ ყნოსვა. ვირწმუნოთ და გავიხსენოთ, რომ იგი

სამყაროს შესაგრძნობად გვებოძა. გაზაფხულის სურნელი სიცოცხლის, ყოფიერების სისავსის სუნია, რომელიც განსხვავდება ტექნიკური საგნების, ადამიანის ხელით შექმნილი ნივთების სუნისაგან. ის არც მხოლოდ ხეების სუნია და არც იმ ყვავილებისა, გაზაფ-ხულზე რომ ამოდიან. გაზაფხულის სურნელი პირველსურნელი, არქესუნი, ყველა მომავალ სურნელებათა უცნაური საწყისი, ანუ სურნელთა სურნელია.

ერლომი რეალობასთან ჩვენი თავდაპირველი, უმეშვეო შეხების ფანტომს აღვიძებს, ანუ სამყაროს თავიდან, ახლიდან შეგრძნებასა და ხედვას სწავლობს და ჩვენც, მკითხველსაც გვასწავლის. სუნი, ყნოსვა ჩვენი არაცნობიერის ყველაზე ღრმა ფენებთან დამაკავშირებელი უძველესი არხია, უფრო ძველიც, ვიდრე მხედველობა და სმენა. ერლომს ხილული ხატებით სურს შეგრძნებათა გამოსახვა, «შეგრძნების ანატომიის», «სუნის ანატომიის» გადმოცემა. მართალია, «გაზაფხულს ვერ შეეხები», მაგრამ ის თავად შეგეხება თავისი ფერად-ფერადი რაღაცებით, ჟრიამულით, დამათრობელი სიმწვანითა და სითბოთი, ბანგიანი სურნელითა და სიცოცხლის ხალისით. «სითბოც უცნაური რამ არის – ის არსებობს» – ასეთ რამეებს ერლომი რაღაც სხვანაირად ამბობს, უცნაურად, ერთდროულად ფრთხილად და გადაჭრით, სამყაროსა და ყოფიერების ახლადაღმომჩენის საიდუმლო ინტონაციით.

რას დაებადა ადამიანი? არა – რისთვის, რატომ, როგორ, არამედ რას. ერლომი გვახსენებს, რომ ადამიანი მზეს და მთვარეს დაებადა: «მზე დედაა ჩემი, მთვარე – მამაჩემი, მოციმციმე ვარსკვლავები და და ძმაა ჩემი». იგი პოეტური ინტერტექსტის ქსოვილით კრავს თხრობას უხილავ კავშირებზე ჩვენსა და სამყაროს შორის. ადამიანი

სამყაროს დაებადა – ღმერთის შემოქმედების, მისი ქმნილების სახილველად და შესაფასებლად, რათა ეთიკური და ესთეტიკური პრინციპი შეეტანა მასში, რათა საუკუნეები, ათასწლეულები ელაპარაკა მასზე აღფრთოვანებით – სიტყვით, ფუნჯით, საჭრეთელით. რათა სამყაროს ოჯახივით მოფრთხილებოდა, ეპატრონა და მოევლო, მისი მშვენიერებით დამტკბარიყო და სხვისთვისაც გაეზიარებინა სიხარული. რათა ეყნოსა, ემზირა, ესმინა, შეეგრძნო და შეყვარებოდა ყველაფერი, რაც მისთვის შეიქმნა, ღმერთის სიყვარულისთვის სიყვარულითვე ეპასუხა, სამყაროს სილამაზისთვის – საკუთარი სულის სიმაღლით (ინტერტექსტი: «ცაც მაღალია, მთაც მაღალია / და კაციც უნდა იყოს მაღალი»).

ერლომს მიაჩნია, რომ ადამიანი საკუთარ თავში ერთი კი არ არის, ორია («ვანოს და ნიკოს» თემა), შესაძლოა, სამი ან მეტიც იყოს. ამის დასტურია, სხვათა შორის, დაბნეულობაც – პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, და საკუთარ თავთან შინაგანი დიალოგიც. ძნელ კითხვებზე პასუხების ძიებისას საკუთარი თავი ისე შეიძლება გაგებნეს, რომ «ვეღარც აგკრიფონ». ერლომისთვის ჩრდილის არსებობაც «მე»-ს პრობლემის ნაწილია. ჩრდილების სიმრავლე მხოლოდ ხელოვნური განათებისას იბადება, მზის სინათლეზე ჩრდილიც ნამდვილია, მაგრამ ერლომი ამას პირდაპირ არ გვეუბნება, გამოცანა-ამოხსნის თამაშს გვეთამაშება, გამოცანაში გვიტყუებს და თვითონ ახალ კითხვაზე ანუ ახალ გამოცანაზე გადადის. გადამერისა არ იყოს, მას სურს ყოფიერებაში მზა აზრი კი არა, გააზრებულობა შეიტანოს, ჩვენი არსებობის იდუმალება გვაგრძნობინოს. რომელია ამ დაბნეულ «მე»-თაგან ნამდვილი? ან ცოტა სხვაგვარად და ერლომისებურად: რომელია ადამიანის ნამდვილი ჩრდილი? პასუხი

უნიკალურია: «ის, რომელსაც სიკვდილის წამს დაენარცხები».

შეიძლება თუ არა «უჩემოდ მოვკვდე»? განა შეიძლება სიკვდილი ისე, რომ არ ვიცოდე, ვინ ვარ, «ჩემი ვინ ვარ?» «იქნებ ჩვენ მხოლოდ სხვისთვის ვკვდებით, ხოლო ჩვენთვის ვრჩებით?» – უამრავი კითხვა სიკვდილზე, მის კავშირზე აწმყოსთან, მზესთან და მზერასთან, წამთან, სამყაროსთან. შეკითხვა, თუნდაც უპასუხო, ერლომის სტიქიაა. მტკიცებითფორმიან წინადადებაშიც კი შეკითხვის ფანტომია ჩამალული. შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ზოგჯერ მისი შეკითხვა ბანალურია, მაგალითად, რატომ არის ცა ლაჟ-ვარდისფერი. სამაგიეროდ, პასუხის პოეტური დიალექტიკაა ძალზე უჩვეულო და მომხიბვლელი: ცა, შესაძლოა, იმიტომაა ლაჟვარდისფერი, რომ მას კოღო ლურჯი თვალებით უმზერს. თუკი კოღოს მიღმა სამყაროს შემოქმედს ვიგუ-ლისხმებთ, ეს შესაძლებლობა დასაშვებია, მაგრამ რა მოხდება, თუკი რეალობას სუბიექტური ცდის ნაყოფად ვაღიარებთ? ერლომი უცნაურ დასკვნას გვთავაზობს: «ვაკვირდები, რაც ბევრია ცის ქვეშ, ამ ფერს ირჩევს. ეს გასაგებიცაა – სიმრავლეს სურს, უსასრულობას დაემსგავსოს» – ეს უკვე პოეტური თეოლოგია ან თეოლოგიის პოეტიზაციაა და ძალზე საინტერესოც: ყველაფერი რაღაც სიმრავლისაკენ, ერთიანობისაკენ ისწრაფვის და მარადისობაც სხვა არაფერია, თუ არა წუთების, საათების, დღეების უსასრულო სიმრავლე და ერთობლიობა. ფერები სამყაროს ძირითადი მატერიალური სუბსტანციების აღმნიშვნელებია: მტრედი მტრედისფერია, ვარდი – ვარდისფერი. ლურჯიც მარადისობის, სიმრავლის სუბსტანციაა ისევე, როგორც კოღოს ლურჯი თვალი. აქ სამყაროზე წარმართი ლაპარაკობს, როცა ფერი მატერიის

ფაქტურას აღნიშნავდა. ერლომი ყველა ცოდნის წინარეცოდნას გვიმხელს და ამ ცოდნის ჭეშმარიტების არგუმენტს თვით სამყაროში ეძებს (პოულობს კიდეც): კოღოს ლურჯი თვალი სილურჯის დამბადებელი მზე-რაა, ძირითადი მატერიის (წყალი, ჰაერი) შემქმნელი მზერა (კოღოს მზაობა, «აბჯარი აისხას და შეებრძოლოს ამ ფერის ყველა სხვა მნიშვნელობას», შემოქმედის მიერ თავდაპირველი წესრიგის დაცვისა და პატრონობის ნების გამოხატულებაა). ერლომი აქ შემოქმედისა და შექმნის იდეას უტრიალებს და ღრმა და მოულოდნელი ასოციაციური ბმებით ქმნის კიდეც მის სახეს ბუნდოვანი სენსორულობის დონეზე.

ერლომი ახერხებს ფიქრის მოძრაობის შესაბამისი ფორმის – ტალღური რხევის სტრუქტურის შექმნას თხრობაში, თუმცა, როგორც მოსალოდნელიც იყო, ამ ფორმის მისეული აღქმა მნიშვნელობაზე პასუხს არ იძლევა: «სულ სხვა რაღაც მინდოდა მეთქვა», გადახვევა («გადავუხვიე»), «აღიარება» (უკანდახევის მოდუსი), კითხვა/პასუხის დიქოტომია – აზრის თვისებაა ისევე, როგორც ციმციმი ვარსკვლავისთვის, რხევა ტალღისთვის. ერლომი აზრის ბუნებას, მის უხილავ მატერიას, ფიქრის პროცესის უჩვეულო ექსცესებს აკვირდება. განუწყვეტელი მოძრაობით, ცვლილებით, სიახლის ძიების ინტენციით აზრი სიცოცხლის ნამდვილი შვილია, მისივე ჰომოლოგიურია.

კაცი (პერსონაჟის სახელია ჯიმშერი) ქუჩაში, ქალაქში დაკარგულა, არ იცის, ვინაა, სადაა, ღმერთის (შემოქმედის, ავტორის) ძახილზე არ შეუძლია თქვას, «მე ვარ», ან «აქ ვარ». კაცის სიცოცხლის ნიშანი სიგარეტის მბჟუტავი ნათებაა, რადგან «ჩანს, რომ სუნთქავს». ადამიანური ყოფიერების ელემენტარული ფორმა – ვეწევი, მაშასადამე

ვარსებობ – სხვა არაფერია, თუ არა გადაძახილი დეკარტესთან: «ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ». აქ ყველაფერია: დაკარგულობა სამყაროში, საკუთარი თავის მიუგნებლობა – XX საუკუნის ადამიანის ავადმყოფობა, გადაზრდილი პოსტმოდერნისტულ იდენტობის კრიზისში; და ამ მიუგნებლობითა და კრიზისული ცნობიერებით გამოწვეული საშინელი დაღლილობა – უკვე XXI საუკუნის სიმპტომი.. ეს ის მეექვსეა, რომლის შესახებაც ავტორმა ისიც კი არ იცის, იცის თუ არა რამე. ეს უკვე არამხოლოდ პიროვნების, სუბიექტის, «მე»-ს კრიზისია, არამედ ავტორის კრიზისიც. ერთი ადამიანის (=მრავალთა) კოსმოსი დაუსახელებელია. მაშ, როგორ უნდა იცნოს ადამიანმა საკუთარი თავი? ნუთუ ის არავის აბარია? თუ ეს ის სიტუაციაა, როცა ამ ცოდნათა (ცნობათა) თანხვედრა არ ხდება, როცა ადამიანი და მისი შემოქმედი ერთმანეთს აცდნენ და ერთმანეთის ძახილი არ ესმით? სიტუაცია, როცა «სიცოცხლის ჩაკეტილობა საკუთარ თავში, საკუთარ შინაგან უსასრულობაში... აღმოაცენებს სასიცოცხლო ძალების ნაკლებობას, უნდობლობას ყოველგვარი გარეარსებობის მიმართ, ღმერთისა და რელიგიის ფსიქოლოგიზაციას» (ბახტინი), თეორიულ დონეზე კი – ლოგოცენტრიზმისა და და მეტაფიზიკის დეკონსტრუქციასა და დესტრუქციას (დერიდა).

«უეცრად გავეჩხირე აქ, ამ ადგილას» (ამ დროში – მ.კ.)... ანუ «აქ და ახლა»-ში.. (პლატონის სიტყვები სოკრატედან, რომ ჩვენი სხეული საფლავია – «გაჩხერილობის» უძლიერესი მეტაფორაა). «აქ და ახლა»-ს სხვა შესაძლებლობა კი ასეთია: «მინდა არ დავდიოდე, მინდა ადგილზე დგომა იყოს ჩემი გზა». ეს მარადიული «აქ და ახლაა», ანუ უძრაობა, უფრო ზუსტად, არაორგანული ბუნების სიცოცხლე. როგორია გზა, რომელიც არსად არ მიდის? ესაა

«მე», «ვარ»-ის გარეშე – მოძრაობა გზის გარეშე და პირიქით (შდრ: მამარდაშვილისთვის გზა და, სავარაუდოდ, დროც არის «მე-ს მიღწევა მე-მდე»). იქნებ, ადამიანი დაღალა ამდენმა სურვილმა, ამდენმა გზამ, ამდენმა «სხვაგან» ყოფნამ. კაცობრიობა სულ გზაშია. «აღარ მინდა სხვაგან ყოფნა, იქ მინდა ყოფნა, სადაც ვარ». ერლომი დასვენების შესაძლებლობას განიხილავს: მცენარე რომ იყოს, ან არწივისა და მუხის ნაჯვარი? რას ნიშნავს ეს სურვილი, რას ეუბნება, რას აგონებს, რას ჩააგონებს ადამიანს სამყაროს არაორგანული, ინერტული მატერია – მთები და კლდეები, წყლის სტიქიები და მიწა, რა არის მთელი ეს პოეტური დისკურსი (მაგ., წყაროები – «შესრულებული სურვილები»), თუ არა სამყაროსთან დაკარგული ერთიანობის, ადამიანის არსებობის პრეისტორიული მდგომარეობის მონატრება?

რატომ მოხდა ასე? როდიდან, როგორ? რატომ არის არსებობა ასეთი უცნაური? რატომ არის სამყაროზე ჩვენი ცოდნა ასეთი მწირი? «ისიც არ იცი, სად მიდიხარ, საიდან მოდიხარ, ისიც არ იცი. იცი მხოლოდ, რომ ხარ სადღაც სულ ახლოს, სადღაც სულ შიგნით, სიღრმეში და ხსნი ხის დიდ ბურთს, შემდეგ მასზე მცირეს.. ბოლოს აღმოაჩენ, რომ ყველაზე ბოლო, პატარა ბურთი ცარიელია»... ეს ტკივილიანი ფიქრი ჭეშმარიტების ალბათურობისაგან გამოწვეულ იმედგაცრუებაზეც მიგვანიშნებს და დროისა და საერთოდ, ყველა ტიპის ცოდნის ფარდობითობის შესახებ ქართული ზღაპრის სიბრძნესაც შეგვახსენებს: «და ასე მახსოვს, ქართულ ზღაპარში / კაცს უკვდავების ენახა წყალი, / მაგრამ როდესაც დაბრუნდა სახლში, / სურასთან მკვდარი დაწვა საწყალი» (ტიციან ტაბიძე). აწმყოზე ცოდნა ყოველთვის იგვიანებს... იქნებ იმიტომ კი არა, რომ ჩვენი ცნობიერებაა ნაკლოვანი, არამედ იმიტომ, რომ რეალობა არ ამხელს თავის საიდუმლოს...

«იმედი უცნაური რამ არის – ის არსებობს». იმედი, როგორც სინამდვილე, სწორედ თავისი უცნაურობის ძალით არსებობს, უცნაურობა მისი არსებობის ბუნება და ატრიბუტია. უ-ცნ-აური არის ის, რაც არ გვე-ცნ-ობა, ანუ რაზედაც ცოდნას არ ვფლობთ, რაც საიდუმლოა. ერლომი საიდუმლოებებზე გველაპარაკება და... საიდუმლოდ ტოვებს. ოდნავ შეარხევს აზრის კოსმოსს – ნოოსფეროს, ერთდროულად ფრთხილად და გაბედულად, როგორც ბავშვებს ჩვევიათ, ანუ პოეტივით და ფილოსოფოსივით ერთდროულად. ამ ბავშვისთვის უცნაურობა სიცოცხლის, არსებობის პირობაა, იგი ყოველთვის უცნაურობის ფორმით გვეცხადება. ამიტომაა, რომ თუკი არსებობას იღებ, მუდმივად გაკვირვებული ხარ მისით. აინშტაინის ცნობილი ფრაზა – ღმერთი კამათელს არ თამაშობსო, ამ უცნაურობით გამოწვეული იმ ადამიანის შეძახილია, სამყაროს შესახებ სხვებზე მეტი რომ გაეგება და მაინც გაოცებული რჩება მისი მოულოდნელი ქცევით...

გაკვირვება სამყაროს თავიდან დანახვის ნიჭია.

ერლომი, საგანთა «სხვა» მდგომარეობებზე, ხდომილებათა «სხვა» შესაძლებლობებზე, ჩვენი გრძნობათა ორგანოების მ-ცდ-ელობებზე, მ-ცდა-რობაზე და შე-ცდ-ომებზე გვესაუბრება, ყოფიერების სიმძიმის «აუტანელ სიმსუბუქეზე», უწონადობაზე, გაფანტულობაზე, გაფრქვევაზე და «განრთხულობაზე» (კვანტური ფიზიკის ტერმინია). «წვიმის წვეთი სველი წამია, /ციდან უკვდავი წამები წვიმს» – ეს ორტაეპედი სამყაროს ახალ, უჩვეულო პოეტურ საიდუმლოს გვიმხელს. განსხვავებულ რეალობებს, ყოფიერების ძველ და ახალ ხედვას შორის გარდამავალ დროსივრცეში ერლომი პოეტურ სამყაროს და პოეტურ ხედვას ათავსებს, მის შესაძლებლობას გვთავაზობს, როგორც შემავსებელ, დამაკავშირებელ

უხილავ და საიდუმლო მატერიას: წვიმის წვეთი, როგორც სველი დრო, წვიმის წვეთები, როგორც წამები. დროის წვიმა ციდან. წამები წვიმის მარტო ალტერაცია კი არ არის, არამედ იგივეობაა. ერლომი პოეტური ფორმის რეალობად გარდასახვის შესაძლებლობას განიხილავს: ცა მარადისობის სასუფეველია. მარადისობიდან გვეფინება (გვაწვიმს) დრო, სველი წამების ნაკადის სახით – ახალი ხედვა სამყაროს მთლიანობისა, დროისა და სივრცის, წარმავალობისა და მარადისობის «სველი» კავშირისა. პლატონი «ტიმეოსში» ამბობს, დრო მარადისობის თვითგამოცხადებაა. «მოცემული წამი და მარადისობა ერთი შემადგენლობისა არიანო» – ეს ერლომ ახვლედიანია. ასე რომ არ იყოს, ცხადია, თვითგამოცხადება ვერ მოხდება. აქ, ნებსით თუ უნებლიეთ, ადამიანში ღმერთის თვითგამოცხადების აზრსაც ვეხლებით და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აღმოჩენასაც მატერიის (სამყაროს) ფრაქტალური არსებობის შესახებ. პოეტური ხედვა, ყველაზე უფრო კი მეტაფორა სწორედ სამყაროს ამ ფრაქტალურობას იჭერს. არადა, ჩვეულებრივი მზერისთვის მატერიის ფორმათა ასეთი ღრმა ანალოგიურობა მიუწვდომელია.

ჩვენი ყოფიერების კიდევ ერთი მოულოდნელობა:

«სიყვარული უცნაური რამ არის. მას ვერ ხედავენ». ღმერთის ქმნილებაც (სიყვარული, როგორც მატერია/ ენერგია) ავტორს ჰგავს: იქ და იმ მდგომარეობაშიც კი არსებობს, სადაც ვერ ხედავენ. ერლომი არაფერს განმარტავს, ძირითად ეგზისტენციებზე იგი ყოველთვის მტკიცებით ფორმაში ლაპარაკობს (მადლობა მას ამისთვის). იგი იმას კი არ გვეუბნება, სიყვარული არსებობს, მაგრამ მას ვერ ხედავენო, არამედ: სიყვარული უცნაური იმიტომ არის, რომ მას ვერ ხედავენო. ამ ფრაზის

მიღმა ისევე, როგორც სხვა შემთხვევებში, შეკითხვაც იგულისხმება: განა უცნაური არ არის, რომ სიყვარულს ვერ ხედავენ? ერლომი თვითონვე პასუხობს ამ უხილავ კითხვას და უფრო გადაჭრითაც: «სიყვარული არამარტო უცნაურია, არამედ დიდებული რამ არისო». აქ, სწორედ სიყვარულზე საუბრისას, პირველად ვეჯახებით მისი აზროვნებისთვის ნაკლებად დამახასიათებელ შეფასების კატეგორიულობას.

ერლომის ენა ქმნის აზრის უჩვეულო ფორმებს, აზრის ცოცხალ მატერიას, რეალობის ხილული მატერიის «სხვა» ფორმას, როგორც დამატებით სტიქიას. აზრი, თუნდაც ყველაზე უჩვეულო, მოლოდინის ადგილას ჩნდება და ეს ერლომმა კარგად იცის. მოლოდინის ეს დაფარული ნაწილაკები, გაელვებები, ფანტომები თუ სულაც კენჭები, საიდუმლო ოკეანის პირას გაყურსულები, თავიანთ დროსა და მნახველს ელიან, მაგრამ მნახველი ცოტაა. ერლომი ერთი მათგანია და ხანდახან თავისიანებზე საუბრობს ხოლმე – «ასეთებზე», გაკვირვების ნიჭით რომ არიან დაჯილდოებულნი და ეზოში ჩასახლებული წვიმიანი დღის მიღმა ყოფიერების პოეზიას ხედავენ – რაღაც უჩვეულო შუალედურ მატერიას, რომელიც ყოფიერების ტექსტს კრავს, ამთლიანებს. ისინი ამბობენ: «რა კარგია წვიმა, რადგან გვასველებს». ეს ხომ ჩვენი დაკარგული შესაძლებლობების სივრცეა, რომელშიც ახლა ვიმყოფებით და რომელიც, ნაცვლად იმისა, სიხარულს გვანიჭებდეს, უსიცოცხლო სხეულივით გდია ჩვენი აუხდენელი სურვილების საზღვართან. რა იქნებოდა, ისე რომ არ ხდებოდეს, როგორც სინამდვილეში ხდება? რომ ჩვენ სხვა რეალობაში ვცხოვრობდეთ და ისეთი სინამდვილე გვენატრებოდეს, რომელშიც ვცხოვრობთ? ეს ერლომის საყვარელი კითხვაა – ჯერ კიდევ «ვანო და

ნიკოდან». ერლომს აინტერესებს სურვილის ბუნება, ოცნება/სინამდვილის ოპოზიციურობის საზღვრები. რა იქნებოდა, მზის ამოსვლა რომ სანატრელი გვქონდეს? მარტოობაში ვიყოთ და ცხოვრების ხმაურზე ვოცნებობდეთ, სიცარიელეში ვმოძრაობდეთ და სისავსის, დატვირთული, გადაჭედილი სივრცის სურვილი გვკლავდეს? საიდან, რომელი მდგომარეობიდან შეიძლება ადამიანმა ინატროს ის, რასაც ერლომი ნატრობს? მხოლოდ არყოფნიდან, ჯერარყოფნიდან, უმყოფობიდან, ან, ერლომის დაშვებით, ჩვენი ყოფიერების მეორე ნაპირიდან.



«ყველაფერი ყველაფერს გვაგონებს» – უსულო სულიერს, აბსტრაქტული კონკრეტულს, «ყველაფერი ერთმანეთში ირევა და ქაოსისკენ მიისწრაფვის». ეს «დეჟავუა» და რა უნდა ქნას მწერალმა, რომელსაც, სხვა თუ არაფერი, ენა აიძულებს, წესრიგი შეიტანოს ამ ქაოსში? ერლომის პოზიცია «მესამეა», ის ისევ «სხვაგანაა» და ამ «სხვა» ნაპირიდან უყურებს პრობლემას – ის ამაყობს თავისი გულმავიწყობით: «ეს ჩემი აუწონელი ნიჭია, ნამდვილი ღირსება! მავიწყდება ყველაფერი, გარდა იმისა, რომ ვარსებობ... როცა არა ვარ, ყველაფერი მაგონდება, ხოლო როცა ვარ, არაფერი მახსოვს.» ვარ-ისა (ყოფიერებისა) და მეხსიერების (დროის) კონფლიქტი თუ პოსტმოდერნისტული ამნეზია? თუ რაღაც სხვა მდგომარეობა, რომელსაც მწერალი რადიკალური თვითუარყოფით გამოხატავს: «ნეტავ არც ის მახსოვდეს, რომ ვარ, გავქრე დღის ნისლივით». ერთი შეხედვით, ასეთი

თვითაღქმაა სხვა არაფერია, თუ არა სამყაროსთან შერწყმის სურვილი, სხვა მატერიაში გადასვლის, საკუთარ თავზე, «მე»-ზე და სიცოცხლის ჩემთვის ბოძებულ ფორმაზე უარის თქმა. მაგრამ ერლომის პარადოქსული ცნობიერება სხვა მიზანს ისახავს. მას სურს სიკვდილის საიდუმლოს ჩასწვდეს და მატერიის «გაქრობის» პირობებში არსებულ სიცოცხლის ფორმებს აკვირდება: სიპატარავის განცდის უარყოფა, გადალახვა სიპატარავითვე, გაქრობით; თვითდამცირების მაქსიმალიზაცია სიკვდილის (გაქრობის) გზით; სიკვდილის განცდის შემოყვანა სიცოცხლის სივრცეში, სიცოცხლისავე გზებით. მწერალი იმ მდგომარეობის მოჩვენებითობას გვიმხელს, რომელსაც სიკვდილს ვეძახით და რომლის წინაშეც შიშით შეპყრობილები ვცახცახებთ. იგი საყოველთაო სიცოცხლის რწმენის აზრს ახმოვანებს, სადაც ადამიანის სიცოცხლე მხოლოდ ერთ-ერთია უამრავ სხვა ფორმას შორის. ერლომ ახვლედიანისთვის მიუღებელია მხოლოდ აზროვნების ფაქტორით არგუმენტირებული არსებობა და შესაბამისად, რაციონალიზმის კლასიკური გაგება «ვარსებობ, მასასადამე ვაზროვნებ». მას არ აკმაყოფილებს ასეთი «ვარ». იგი «მე»-ს მდგომარეობათა უსასრულო მრავალფეროვნების პოეტურ ალტერნატივას მიმართავს და სიცოცხლის მიზანს სიკვდილის მიზნით ცვლის. გზაც (კოღოს გზა) სიცოცხლის გზა კი არაა, არამედ სიკვდილისა («ვარდისფერ გზასთან» გადაძახილი). ერლომი ისე ლაპარაკობს სიკვდილზე, როგორც ყველა დანარჩენი საუბრობს სიცოცხლეზე. კოღო მის (სიკვდილის) «სუნთქვას ენდო», მის საიდუმლო გზებს და დინებებს გაჰყვაო» – ამბობს. ამ მოგზაურობაში ერლომი კოღოს კიდევ ერთ და მთავარ საიდუმლოს გვიმხელს: კოღოს რწმენა აქვს. რწმენა მის სავალ (საფრენ) გზას სიცხადეს, თვით მას კი თავდაჯერებულობას, ღირსებას ანიჭებს: «თავის თავში

მსხვერპლი გრძნობდა, რაც მთავარია, ესმოდა რისთვის სწირავდა თავს. ეს თავგანწირვა სიკვდილით იზომებოდა, მისი ტოლფასი იყო... ეს იყო ჰარმონია». ერთი პაწია არსების თავგანწირვით, სიკვდილით შექმნილი ჰარმონია...

ადამიანის რეალობა – მარტოობა და მიტოვებულობა – და ამ რეალობიდან გასვლის სურვილი, მისი ოცნება, ეკუთვნოდეს მთელ სამყაროს: მზე დედამისი იყოს, მთვარე – მამა, ვარსკვლავები – და-ძმები; ეს უჩვეულო სურვილები და ლტოლვები სხვადქცევისაკენ, კავშირებისკენ, გამთლიანებისკენ მთელი სამყაროს ხილული და უხილავი, ორგანული და არაორგანული მატერიის ინტენციაა სიცოცხლისა და ერთიანობისაკენ. ამავე ბუნებისაა პოეტური ენის ინტენცია, დაასახელოს ეს ლტოლვა მეტაფორაში, შედარებაში, სიმბოლოში. შეიძლებოდა, ქვა სიცოცხლის ამ აღუსრულებელი სურვილის მეტაფორად მიგვეჩნია, მაგრამ ერლომთან მდინარის პირას ნახევრად სილაში ჩაფლული ორი ქვაც თევზებად ქცევაზე და სიყვარულზე ოცნებობს. ერლომი აქ არ ფილოსოფოსობს. ის პოეტია და როგორც მოსალოდნელიც იყო, მისი მზერა გაფანტულია მთელ სამყაროში. აქ ენა თვითონაა სხვაგან, თვითონაა გასული სასაუბრო მეტყველებიდან. და თუკი სასაუბრო ენა ადამიანებს აერთიანებს, პოეტური ენის მისია და ინტუიცია სამყაროს ყველა მატერიის გაერთიანება და ამ ერთიანობის გახსენებაა.

ყველაფერი, მტვრის უჩინარი ნაწილაკიც კი ნამდვილდება ადამიანის მზერით და მზეც ამ მზერის წყალობითაა დედაჩემი... აი, აქ იბადება პირველაღმომჩენის სიხარული – სინამდვილისთვის უხილავი სეგმენტებისა და ზონების შემოერთების, შემომატების დროს. ამიტომაა ერლომი

დაკვირვებულიც, გაკვირვებულიც, ამიტომაც იკითხება მის მზერაში ზურაბ კიკნაძის მიერ შენიშნული გაოცება: ვინ ხარ? ასეთი მზერა აქვთ მათ, ვინც სიახლის, დაფარულის, საიდუმლოს მოლოდინით ცხოვრობს, ვისთვისაც ყოფიერების ჭვრეტა ძირითადი საქმიანობაა.

ერლომი ამ მზერის წყალობით აღმოჩენილ თავდაპირველ რეალობას კულ-ტურული ცნობიერების სქელი მტვრისგან ათავისუფლებს და ხელახლა დაგვანახებსმათ «პირველყოფილ მშვენიერებაში», სიმარტივეში, სიმშვიდეში, სიცხადეში.

ქარი – სუნთქვაა, «რომელიც ჯიუტად უბერავდა მზეს – მიმქრალ ნაღვერდალს, რათა როგორმე გაეღვივებინა იგი». აქედან ერთი ნაბიჯია იმის დაშვებამდე, რომ ჩვენი სუნთქვაც ჯიუტად უბერავს სამყაროს, რომ ძალა შთაბეროს, მასში სიცოცხლის ნიშანწყალი გააღვივოს. აი, ადამიანის ამქვეყნიური დანიშნულების ძლიერი და უბრალო არგუმენტი, რომელიც ერლომის ქარის ასოციაციით გზით ჩნდება. და ნიავის სიყვარულით გამოწვეული გარდასახვები? ნიავის სახეცვლილებები მარაოს ქნევად, კარის გაღება-გამოღებად, სულის შებერვად, ამოსუნთქვად... თითქოს სამყაროს სუბსტანციას ვეხებით, მის ნანოდონეს, მის ფრაქტალებს...

«ჩვენ ერთმანეთის გაფიქრებები ვართ» – ჩვენ ერთმანეთის ფიქრით ვიქმნებით და ვარსებობთ, ვკვდებით და ვუკვდავდებით. სამყარო მარადიული ხილული და უხილავი კავშირებითაა შეკრული და ფიქრი ერთი ფორმაა ამ კავშირისა, მატერიათაშორისი ნივთიერება, მისი ყველა ფორმის დამაკავშირებელი უხილავი ენერგია. ლიტერატურაც მკითხველის გაფიქრებაა, გარდა იმისა, რომ მწერალი თავადაა სხვაზე,

სამყაროზე, ყოფიერებაზე, ადამიანზე ფიქრი... «საიდან მოვდივარ?» – ეს უკვე მწერლის ფიქრით გაცოცხლებული მტვრის შინაგანი მონოლოგია. მოულოდნელად ჩვენც ვერთვებით მტვრის მონოლოგში და ფიქრის ამ საერთო ნაკადში: მართლაც, საიდან მოდის მტვერი? – პირველი კოსმიური აფეთქების წამიდან, როცა დამსხვრეული ქაოსი მტვრად გაიფანტა და ათასწლეულებში განაგრძო ხეტიალი...

ერლომი პროცესს აღწერს. პროცესი მოქმედებათა კონტინიუმია და აღიწერება ზმნებით: დაიძაბა, წავა, მიედინება, მიეტმასნება, ერთიანდებიან, შორდება, დაუპირისპირდება, შეუერთდება, მოსპობს, განხორციელდება, თავს იჩენს, აღმოჩნდება, ჩაიბუდებს, აამოძრავებს, დაწვავს, აღადგენს, დაანგრევს, დააქცევს, მოუმატებს, გამოაკლებს, გაამრავლებს, გაყოფს, მიიტანს, გამოიტანს, გაატანს, წაართმევს, მიიღებს, გასცემს, აღადგენს, დასცემს... საბოლოოდ კი მოგვევლინება ერთ მთლიანობად, სიცოცხლის უწყვეტ დინებად, მარადიულ გარდაქმნად და ცვალებადობად. მაგრამ პროცესის გაგებაში ერლომს კორექტივი შეაქვს: «ყველა პროცესი, ერთი შეხედვით, გარეგანიც კი, შიგნით მიმდინარეობს». ეს პროცესის უმთავრესი მახასიათებელია და, როგორც ჩანს, ერლომისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი. პროცესზე ჯერ არავის დაუწერიაო, რომ ამბობს, სწორედ ამ შინაგანს გულისხმობს (კაფკას გამოწვევა). სხვათა შორის, ამ რომანის ძირითადი სათქმელის გასაღებსაც, ვფიქრობ, სწორედ ეს ფრაზა იძლევა. «კოღო ქალაქში» სხვა არაფერია, თუ არა ახალი ხედვის, სამყაროს ხელახალი აღქმისა და განცდის, გაცნობიერებისა და მიღების პროცესის პოეტური ვერსია და ტრანსვერსია. შინაგანისა და გარეგანის ოპოზიციურობის ეს ხაზგასმაც სწორედ

შემოქმედებითი პროცესის შინაგან აქტიურობაზე ღრმა დაკვირვების ნაყოფია. მწერალი – მდუმარებით, შეუვალობით, სიჯიუტით, მარტოობით ფარ-ავს (ფარივით) სამყაროს გარეგან ხმაურს. მწერალი შიგნიდან ხმაურობს, შფოთავს. შიგნით არის, შიგნით ფიქრობს და შიგნითვე უმხედრდება იმას, რაც მიუღებელია. შიგნიდანვე იწამლება სიყვარულით, ანუ კოღოს ნაკბენით...

დაღლილმა კოღომ უკანასკნელი საქმე უნდა აღასრულოს – მწერალს უნდა უკბინოს და დაუბრუნოს სიყვარული. ამ კაცს (მწერალს) სახე არ უჩანს, ან არა აქვს – მუდმივად სხვად ყოფნაში წაეშალა. მხოლოდ ხელები აქვს. კალმიანი ხელი კოღოს კბენის მოლოდინში, უფრო ზუსტად, მოულოდნელობაში გარინდულა. რაღაც უნდა დასრულდეს, გარდა-იცვალოს – ერთი ციკლი, ეპისტემა, სიცოცხლე და მეორე, ახალი დაიწყოს. ქვიშის საათი ხომ არ დაიცალა და ხელახალი ამოტრიალების ჟამი ხომ არ დადგა? თუ ასეა, მაშინ დრო რომ საკუთარ უსასრულობაში არ გაჩერდეს, არ გაიყინოს, საათიც მწერალმა (მ-წერმა) უნდა ამოაბრუნოს და ადამიანს სახელიც მთხრობელმა უნდა შეახსენოს.

...თითქოს «ღმერთმა მიატოვა სამყარო, დედამიწა», ადამიანები... იქნებ დაიღალა, იქნებ შაბათია და თავს დასვენების უფლება მისცა, ან საერთოდ დაიძინა. და მწერლის უჩვეულო და მაინც მოსალოდნელი კითხვა: «თუ მან დაიძინა, მე რაღად ვფხიზლობ? იქნებ მეც დავიძინო?» სამყარო კი მწერლის არჩევანის მოლოდინში გარინდულა, მორჩილებით ელოდება, როდის იფიქრებენ მასზე, რათა გაცოცხლდეს; როდის მოყვებიან, რათა ამოძრავდეს და ბრუნვა დაიწყოს, როდის გაისმება «იქმენ».

ისიც უკვე მერამდენედ მიდის დახურულ კართან, რომ გააღოს, მერამდენედ ატრიალებს საათს, დრო რომ

გააგრძელოს, მერამდენედ არქმევს სახელს, ადამიანმა რომ მოიხედოს, სამყარომ რომ სიცოცხლე განაახლოს. ყველა ადამიანი, დაბადებისთანავე, თავისი ამბის გაგრძელების დაპირებაა, და ერლომი თავის დაბნეულ და დაკარგულ პერსონაჟს ამ დანაპირების შესრულებაში ეხმარება. რომანის ბოლოს მთავარი პერსონაჟი, როგორც იქნა, გადადგამს ნაბიჯს მარცხნივ, ალბათ, გულის მხარეს, და ამ არჩევანს ადამიანის ხელით თვით ყოფიერება, სიცოცხლე აკეთებს. ერთი გადაწყვეტილებით, ერთი მოძრაობით, ერთი მარცხნივ გადახვევით ენა ახალ ამბავს გვიამბობს სამყაროზე – «სახლის დალაგების» ამბავს.

სამყაროს წიგნის თავგადასავალი... სიყვარულის წიგნი. წიგნი, რომელიც მერცხლად იქცა და ცაში აიჭრა. «სიმბოლოთა დიადი ლოგიკით» შექმნილი წიგნი-ნიშანი, რომელიც გაიწირა დასაწვავად, მაგრამ აღსრულება სულ გადაიდება – უზარმაზარი გემი მყრალ გუბეში, რომელიც არსად არ მიდის. მგზავრები კი ვიღაცას ეთხოვებიან... სასამართლო, და სამყაროს შემოქმედისაგან (ავტორისაგან) ბრალდებული მწერალი...

სიმბოლური სურათია: სახლი შესასვლელის გარეშე, საიდანაც ყვითელი ფოთლები ცვივა, ყოფიერების სახლია, ანუ, თუ ჰაიდეგერს დავესესხებით – ენა, თანაც, სახლის პატრონი (კოღო თუ მწერალი?) თითქმის მკვდარია. აღარც აფრენა შეუძლია. ფრთები შიგნით დარჩა.. ვიღაც ჩაივლის და ეს ვიღაც მას ეძებს. მკითხველია, ალბათ. ერთმანეთს ვერ შეხვდნენ. «მან ვერ გაიგონა, რომ იქ ვეგდე. მე გავიგონე. ახლაც მესმის». სიკვდილი, კვდომა, რომელიც ხმას გამოსცემს, მაგრამ არ ესმით (შიგნითაა). მწერალს ცოცხალსაც ესმის საკუთარი სიკვდილის ხმა ისევე, როგორც ტრადიციული მითის მიხედვით, სიკვდილშიც ესმის ხოლმე სიცოცხლის ხმა და ძახილი...

აპოკალიფსი პირუკუ – არა ნგრევა, არამედ გარინდება, გაყინვა, სრული უძრაობა – ასეთია ერლომის წარმოსახვაში სამყაროს (წიგნის) დასასრული. არა «ღვედდაწყვეტილი დედამიწა» (ნ. სამადაშვილი), არამედ უსიცოცხლო, ერთიანი, განუსაზღვრელი, ჟელესავით გადაზელილი მასის უსიცოცხლო ინერცია. იქნებ ეს თვით სიკვდილის მოძრაობაა? იქნებ მოძრაობა თავის საპირისპირო მდგომარეობაში გადავიდა, იქმნებ ზმნა გადასახელდა? იქნებ «ეს ამოდენა იმედითა და შთაგონებით აშლილი მტვერი» თავის პირველსაწყისს უბრუნდება და უძრაობად, გაშეშებად, სიკვდილად ლაგდება?

და უცებ, მწერალი ამ გარინდებაში რაღაც მოძრაობას ამჩნევს. «სიცოცხლით შეპყრობილი» მტვრის პაწაწინა ნაწილაკი ჯიუტად მიიწევს ზევით. «ჩემი ლურჯთვალა მტვერი» – უსასრულოდ დიდისა და უსასრულოდ მცირეს ბინადარი უკვე მერამდენედ ადასტურებს უმცირესის მნიშვნელობას სამყაროსათვის. ჩვენ სამყაროს ხელახალ დაბადებას ვესწრებით, სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის პირველ მოძრაობას – მტვრის პაწია ნამცეცის სიცოცხლის წყურვილის ნაყოფს. «სამყარო მტვრული ბუნებისაა» – დიდი ბერძენი მატერიალისტის ეს კრეატიული აზრი ისევ და ისევ გვარწმუნებს თავის ჭეშმარიტებაში.

რისი დარაჯია ადამიანი – ცვლილების თუ უცვლელობის? რითი ემსახურება უკეთესად ღმერთს? შენებით თუ ჭვრეტით, ხმაურით თუ გარინდებით? იქნებ კეთილშობილების უმაღლესი გამოხატულებაა, როცა არ გინდა გაინძრე, რათა არ დააზიანო ღმერთის მიერ შექმნილი სამყარო? თუ ესაა სურვილი, არ აიღო პასუხისმგებლობა რაიმეს შეცვლაზე? არის მოვლენები, მხოლოდ უცნაურობის ძალით რომ არსებობენ – ორბიტას

აცდენილი უმცირესი ელემენტების მსგავსად, რომლებსაც უზარმაზარი ძალა და ფუნქცია აკისრიათ სიცოცხლის განვითარებაში – და ეს უცნაურობა ადასტურებს სწორედ კანონის არსებობას. აქ, ამ განზომილებიდან ყველა – დიდიცა და პატარაც სამყაროს სიმეტრიულობას ემსახურება და ამიტომაც ჩვენს ირგვლივ არაფერია უმნიშვნელო, უფუნქციო. «კოღო ქალაქში» პოეტური და ფილოსოფიური ზღაპარია თვითგანადგურების იმპულსზე, სამყაროს, კოსმოსის წმინდა მსხვერპლზე, რომელიც ახალ ჰარმონიას, ახალ დრო-სივრცეს მისცემს დასაბამს, ანუ სამყაროს ახალ რეალობას შეამზადებს. «კოღოს სიკვდილით წამი და საუკუნე ერთი გახდაო» – ამბობს მწერალი.

«კოღო ქალაქში» ახალი დროის დადგომას ეძღვნება, წიგნში დაბრუნებას, როგორც ყოფიერების, სიცოცხლის ნაკადში ჩართვას, ანუ «რა ვქნისას» ციხის კარების ზღურბლზე გადაბიჯებას. დრო მოვიდა – ამბობს ერლომ ახვლედიანი, მაგრამ ძალიან ჩუმად, თითქოს თავისთვის, რადგან მას ხმამაღალი ლაპარაკი არ სჩვევია.

მწერალი ბავშვივით ფანჯარასთან ზის (ან ტახტზეა წამოწოლილი, მეზღაპრესავით) და გაკვირვებული იყურება სამყაროსაკენ. ხანდახან დიდი და ჭკვიანი ბავშვივით, ანუ პოეტივით აღმოაჩენს ხოლმე რაღაცებს და წამოიძახებს: «უცნაურია არსებობა – ის არსებობს» (კონტრავერზა პოსტმოდერნიზმის ფუნდამენტურ თეზისზე, რომ რეალობა მხოლოდ ადამიანის სუბიექტური ხედვის ნაყოფია). «იყავით ვითარცა ბავშვები» (= პოეტები) – იარეთ ჭეშმარიტების მოპოვების უმოკლესი გზით!

ადამიანში ბავშვის აღმოჩენის სიხარული სამყაროში – პოეზიის, მაკროში – მიკროსხეულების, ნაწილაკში – მთელი

მეგასამყაროსი, წამიერებაში – მარადიულობის, ყოფიერებაში – სინამდვილის არსისა და სუბსტანციის აღმოჩენის სიხარულია.

ერლომის თხრობა თითქოს თავადაა ამ ახალი ხედვის განმასახიერებელი. ეს მისი სტილია – გაკვირვების ენით თხრობა, მისი ფრაზაა: მსუბუქი, უწონადო, როგორც ჰაერში მოფარფატე ფოთოლი, ქარისაგან აწრიალებული ფარდა. სიმსუბუქე, პარადოქსულობა და პოეტურობა – მისი სათქმელის ის ფორმაა, რომელიც არ შეურაცხყოფს ახლად შეცნობილ ჭეშმარიტებას (თუნდაც იმიტომ, რომ მთხრობელს მისი არსებობისა ნამდვილად სჯერა), რეალობას, მის მიკროფორმატებს. ეს ფორმა, ზღაპარივით, პირთამდე სავსეა ყოფიერებით, უბრალოებით, სიბრძნით. აზრი აღბეჭდილია პარადოქსისთვის დამახასიათებელი, მოულოდნელი სიცხადით; იმ დამაჯერებლობით, რომელიც გაკვირვებისგან იშვა და დაუჯერებლობის საზღვარზე განთავსდა – ყოფნისა და არყოფნის ზღვარზე.

ერლომი ყოფიერების ახალ შესაძლებლობაზე გველაპარაკება. გადაუდგმელ ნაბიჯზე, გამოტოვებულ სიყვარულებზე, გამორჩენილ, დავიწყებულ სიცოცხლის წამებზე. ერლომს უნდა, დავპატარავდეთ, შევიგრძნოთ ჩვენი სიპატარავე, რათა გავიზარდოთ. რადგან კოღოს უმნიშვნელო ნაკბენიც კი ცვლის სამყაროს, ძირფესვიანად ატრიალებს, აყირავებს, ამოქმედებს, ამოძრავებს, აყვირებს და ახმაურებს. ეს კოღოც, ასეთი მახინჯი, პაწაწინა, და მაინც ასეთი მნიშვნელოვანი – სამყაროს ახირება თუ პარადოქსი, მისი ამოუცნობი, ზელოგიკური ჭეშმარიტებების განმასახიერებელი – მაინცდამაინც მწერალმა უნდა მოკლას. რატომ? იმიტომ, რომ სიყვარულით დავირუსებულმა, მკვდრეთით აღმდგარმა, გარდაქმნილმა და ახალი ხედვით გაძლიერებულმა,

სამყაროს წიგნის წერა გააგრძელოს.: «მე ჩემს მკვლელს ოთახში დაველოდები. უსაზღვროა ჩემი მოლოდინი, უსაზღვროა ჩემი მოლოდინი!»

ერლომ ახვლედიანის «კოღო ქალაქში» ერთი კოლხი კოღოს უცნაური ისტორიაა, ფილოსოფიურ და პოეტურ განწყობათა მონაცვლეობით, მსუბუქი ირონიით მოქსოვილი. ეს ისტორია ისეთ ბანალურ ჭეშმარიტებებს შეგვახსენებს, როგორიცაა: «სიცოცხლე სიკვდილი არ არის – ეს ყველამ იცის». მაშ რატომღა გვახსენებს? იმიტომ, რომ რაღაცები ერთმანეთში აგვერია, ხშირი გამეორების გამო უბრალო სიტყვების გროვად იქცა და მნიშვნელობა დაკარგა. იმიტომ, რომ ბანალური ჭეშმარიტებები დაგვავიწყდა. ბანალური კი იმიტომაა ბანალური, რომ საყოველთაო და საყოველდროოა. ბანალურობაში არის სიბრძნე, სამყაროს თავდაპირველი, მარადიული ხედვა. სამყაროზე და ადამიანზე ამ ბრძნულ და ღიმილისმომგვრელ აზრებთან შეხვედრისას – ირონია ხომ ძალიან უხდება სერიოზულ ფილოსოფიურ თემებზე საუბარს – ჩვენი ხედვა იწმინდება და მწერლის სიტყვის პოეტურობითა და აზრის უცნაურობით გაკვირვებულები, – ხანდახან უბრალო სინტაქსური გადაადგილებით რომ მიიღწევა (მაგალითად, «ყველა დრო გავიდა, გავიდა ყველა დრო») – მოულოდნელად აღმოვაჩენთ, რომ სამყარო მშვენიერია, თუკი დაალაგებ («ოთახის დალაგება უცნაური რამ არის. ის შესაძლებელია»), თუკი რაღაცებს ძველ ადგილას დააბრუნებ, რაღაცებს კი ახალს მოუძებნი, ან საერთოდ მოიშორებ. თუკი ირწმუნებ და აღიარებ, რომ მოვლენათა და ხდომილებათა ერთადყოფნის შეუძლებლობასთან ერთად ამქვეყნად ერთადყოფნის შესაძლებლობა და მით უფრო, სიყვარულიც არსებობს, მოკლედ, თუკი ჩვენს ხისტ პრაგმატულ მზერას პოეტურს

შევაშველებთ, ლიანდაგებიდან ჩამოვალთ და საკუთარი გზით ვივლით, საკუთარ ფიქრს ვიფიქრებთ. «დათესეთ თქვენი სითბო და ნახეთ, სიყვარულის რა ცეცხლი აგიზგიზდება» – ეს უკვე პრაქტიკული რჩევაა სამყაროს დარღვეული თერმობალანსის აღსადგენად. უცნაურია და, ადამიანებს ხანდახან აუცილებლად სჭირდებათ ყველაზე ძველი ჭეშმარიტებების შეხსენება და ვინ უნდა გააკეთოს ეს, თუ არა მწერალმა?

5. ესეისტიკა

გია ეძგვერაძე

შეუმეცნადის მომნუსხავ ხიბლზე და მისთვის ჩვენს მზადყოფნაზე

ტექსტის დასაწყისში მინდა ვისაუბრო იმაზე, რაც ყველაზე ფუნდამენტურად საზღვრავს ადამიანური არსებობის სპეციფიკურ ფორმას, განსხვავებით ცხოველისგან, ანგელოზისგან, ღმერთისგან; და ასევე მიზეზია იმ მოტივაციის, საიდანაც ზოგადად იბადება ინდივიდუალურ/პიროვნული აზროვნება, რომელსაც უცნობ მომავალთან მიმართება და მასში განზავების წადილი აქვს.

ადამიანებს დროის ყველა მონაკვეთსა და საარსებო სიტუაციაში, განუწყვეტლივ გვაქვს **ნაკლულობის განცდა**, რომლის ამოვსებაც ჩვენი ეგზისტენციური დინამიკის მთავარი მოტივაციაა. ანუ, უკლებლივ ყველას, მუდამ გვამოძრავებს **სრულყოფილი სისავსის წარმოდგენითი სურვილის განცდა**. — ასეთი კმაყოფილება კი, სამწუხაროდ, გამოცხადებას **განუწყვეტლივ აგვიანებს** და ჩვენში **მუდამ გადადებულია**. ასე რომ, გამუდმებულ ილუზორულ რეჟიმში ვცხოვრობთ — ჩვენს ცხოვრებაში იდეალურ სისავსეს არასდროს ჰქონია და არც ექნება ადგილი, მის იდეალს კი წარმოსახვით თუ ვახორციელებთ მხოლოდ: ვფიქრობთ, ვსაუბრობთ, ვიღწვით ამ სისავსისკენ; — ემოციურად, ნება/ვნებით, მენტალურად და ფილოსოფიურად.

სწორედ ამ ხელმოცარულობის გამო კაცობრიობის წარმოდგენაში დამკვიდრდა პოპულარული აზრი: ადამიანი თავის არსებობას «ნანგრევებში» ამთავრებს. ეს იდეალური სისავსისკენ ჩვენი სწრაფვის განუხორციელებლობის «ნანგრევებია».

ჩვენ ვიბადებით უსუსურობის და **ნაკლულობის** განცდით — ჩვილი აბსოლუტურად არათვითკმარია. მაგრამ კულტურაში სისავსის იდეალი, როგორც ფუნდამენტური მიზანი, მეტაფიზიკამ შემოიტანა და დაამკვიდრა. სულერთია, ეს იქნება რელიგიური «სასუფეველი», ჰეგელის სინთეზი, კანტიანური ზღვრისმიღმიერი ტრანსცენდენტური და ნოუმენები, თუ მარქსიანული აბსოლუტური სამართლიანობის საზოგადოება — ყველა ეს იდეა ყოველდღიურობაში სრული სისავსის შემოტანაზე ფიქრის და მისი განცდის გარშემო ტრიალებს. ასეთი სისავსის ძიებამ დიდი შემოქმედებითი შთაგონება გაუფორმა ადამიანს.

სწორედ ასეთი უტოპიის ძიების შედეგად გადადგა კულტურამ გიგანტური ნაბიჯები, შექმნა მრავალი ეპოქალური ეპისტემა და მათგან ამოზრდილი და მათში გაფორმებული ხელოვნების მრავალი შედევრი. ასევე ამ ჰაერში გამოკიდებულმა **სულიერი კმაყოფილების იდეალის ს ტ ა ტ ი კ უ რ ი ხატის** ძიებამ დაუდო სათავე სულიერ-რელიგიურ სამომავლო ხედვებს. მრავალმა მესიამ შემოიტანა ამ სისავსისკენ მოძრაობის და ნაკლულობის განცდის გადაფარვის მეთოდები, გზები და ყოველდღიური თუ სასულიერო რიტუალურ/თვითდისციპლინარული პრაქტიკები. ამ ყველაფერმა კი ამ მიზნის წარმოდგენითი და მისი გზის აღწერითი ტექსტების უზარმაზარი ბლოკი გააფორმა.

ასე რომ, სწორედ სულიერების ამ სპეციფიკურმა მოძრაობამ შექმნა ჩვენი ადამიანური ისტორიის გრძლივობის სახე/ხატი — მისი განვრცობილი სხეული.

მაგრამ... სწორედ ამ ძალისხმევებმა და, რაც მთავარია, მათმა პრინციპულმა უშედეგობამ მოიტანა ფუნდამენტური

სულიერი და ფსიქიური მეტამორფოზის დრო, რომელიც სულ ნახევარი საუკუნის წინ დაიწყო. სააზროვნო ველში შეაღწია სამყაროსთან, ანუ ნიშან/ცნებებთან, ადამიანის დამოკიდებულების ახალმა ცოდნამ, ახალმა ფილოსოფიამ, რომელიც გვასწავლის: ნაკლულობის განცდის ამოვსება ჩვენს ცნობიერებაში წარმოდგენითი სტატიკური ხატ/იდეალებისკენ სწრაფვით შეუძლებელია — ეს არსობრივი აბსურდია — რადგან ამ სტატიკურ წარმოდგენებს არაფერი აქვს საერთო ფუნდამენტურ ჭეშმარიტება/სისავსესთან; სინამდვილეში მათი ბუნება პირობითი/მოსაზღვრულია (ისინი მხოლოდ კულტურული კონსტრუქტებია) და კულტურული ეპისტემების მორჩილი ნაყოფია. **ამიტომ: სიყვარულის, თავისუფლების, ბედნიერების და სხვა არსობრივი ცნებების სისავსის განცდა მხოლოდ და მხოლოდ სუბიექტის ინდივიდუალურ-შემოქმედებითი ძალისხმევითაა შესაძლებელი კონკრეტულ დროში და უშუალო მცდელობებით; ანუ, ცნებათა სისავსის განცდა ადამიანმა მათთან გადაკვეთის ყველა დროით მონაკვეთში და ყველა ლოკალურ სიტუაციაში უნდა შეიქმედოს, როგორც სპეციფიკური, სრულფასოვანი და იმწამიერი მოცემულობა. აქედან გამომდინარე, ადამიანმა უნდა ისწავლოს ყოველწამიერებაში საკუთარი თავის სრული განხორციელება და ამიტომ მის ცნობიერებაში გამაგრებული წარმოსახვითი სტატიკური იდეალების ისტორიული სახეები (ძირები-მატრიცები) ზოგადად უნდა გაუქმდეს, როგორც დროში გადადებული, ანუ მომავალში მისაღწევი ორიენტაციები!**

ეს სტატიკური იდეალები მხოლოდ ეტაპური ხასიათის ორიენტაცია იყო, რომელიც ადამიანს მასზე ინსტინქტის ბატონობიდან გამოთავისუფლებაში დაეხმარა. დღეს კი

პირიქით, ასეთი წარმოდგენები უკვე უსიცოცხლო ღირებულებებად იქცა და სადღაც, აბსტრაქტულ წარმოსახვით ტერიტორიაზე გამოკეტილები, ისინი ჩვენკენ აროგენტული სიმკაცრით იმზირებიან — რითიც ჩვენს უსუსურობას და საკუთარ სიდიადეს გვიმტიკიცებენ, ამით კი მხოლოდ გვამუხრუჭებენ.

ასეთ ისტორიულად გარდასულ სიტუაციასთან ჩვენ გვაზიარეს მეტაფიზიკით შთაგონებულმა ადამიანებმა — ჩვენმა მშობლებმა, მასწავლებლებმა, პროფესორებმა, რომელთაც თავიანთი სიცოცხლე ისტორიის თანაგრძნობით გამაგრებული მატრიცების ავადმყოფურ დევნას შეალიეს, ანუ უტოპიური პროექტის გასრულების ხელმოცარულ საქმეს.

ახალი ფილოსოფიის ხიბლი დინებადობაში, პროცესუალობაში, ანუ ნაპირებით და ნავსაყუდლებით არმოხიბვლაშია — მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ბუნების ვიტალურ დინამიზმზე დაყრდნობით და ცნება/მოვლენათა სიმრავლის სპექტრზე ჩვენი სიცოცხლის შთამბერავი ნება/ვნების უწყვეტ შემოქმედებით დამკვიდრებაში იძენენ ცნებები ცოცხალ სისავსეს — ლოკალურად და ყოველწამიერად. მაგრამ აქეთკენ დღეს მხოლოდ სვლა ხდება — რთული გარდატეხის ხარჯზე.

მაგალითისთვის: ცნება სიყვარულზე ადამიანს ცნობიერებაში მხოლოდ წარმოსახვითი კონსტრუქტ/კონკრეტულობა აქვს, რომელიც ბავშვობიდან მოყოლებული, სიყვარულის გარშემო გავრცობილ დისკურსზე დაყრდნობით წარმოიქმნა. ადამიანის უშუალო ეგზისტენცია კი სიყვარულის შემოქმედების გარეშეა! არადა, სიყვარულის შემოქმედება ყოველ წამს უნდა აცოცხლებდეს და ახორციელებდეს სიყვარულის

მოძრაობას; — ასეთი მდგომარეობა კი ადამიანში აქსოვს და შემოიზიდავს გარემოს, ყველა ახლომდებარე საგანს თუ უსასრულოდ დაშორებულ, განყენებულ კოსმიურ ობიექტს, ასე ხორციელდება სისავსე სიყვარულში — მხოლოდ პროცესუალობაშია სიცოცხლისუნარიანობა. ბუნებით ნაბოძებს ადამიანი თავისი ნებელობითი უნარით უნდა გამოეპასუხოს — პირველადი ცნების სრულყოფილ სიცოცხლისუნარიანობას საკუთარი ნებელობითი აქტით შეუდგეს და ის ყოფიერების გრძლივობაში ჩაწეროს და განახორციელოს. — მხოლოდ პროცესუალობა არის ის, რაც შეესატყვისება ყოფიერების დინებას. შედეგ/იდეალზე ორიენტაცია მხოლოდ ეგზისტენცია/არსებობის ფორმის შემადგენელია და ყოფიერებიდან სრულიად მომწყდარი. ეს არის ახალი ფილოსოფიის დასკვნა!

საერთოდ, ადამიანი, როგორც არსება, ყველა სხვა არსებისაგან განსხვავებით, ტრანზიტულ/დიალექტიკური დინამიზმის მატარებელად არის მოვლენილი ქვეყნად...

ნიცშე ამბობდა: «ადამიანი ხიდია, გარდასვლაა.» — ფასეულობათა უწყვეტი გადაფასების დინამიზმი.

ჰაიდეგერი კიდევ უფრო აკონკრეტებს: ადამიანი «პოეზისია»... ის, რაც სტატიკური, მდგრადი, მიწასთან გაჟღენთილია, მუშაობს და იღვწის, რომ ერთ დღეს **იფრინოს** და **იდინოს!** — ასე რომ, «პოეზისი», სტატიკურ და კონკრეტულ ნიშან/იდეალებზე დაფუძნებული ჩვენი კულტურა/ენის გადაძლევის აღწერაა!

ეს, რაც მომავლის ხედვებს ეხება და ფილოსოფიაში შემოტანილ დიდ პერსპექტივას, სინამდვილეში კი ჩვენი ცნობიერება ჯერაც იდეალური სისავსის არქონის და ამ სისავსის ხატებისკენ მისწრაფების მეტაფიზიკურზე ორიენტირებული ცნობიერებაა.

ჩვენი სოციალური არსებობის ორი კოლოსი, სახელმწიფო და ეკლესია ზუსტად ასეთი სისავსის დაპირება/გადადების რეჟიმში მუშაობს: ეკლესია სასუფეველს გვპირდება, სახელმწიფო კი სრულყოფილ სამართლიანობას — ანუ ყოფითი და მოხმარებითი სისავსის სამართლიან განაწილებას.

მაგრამ რადგან გადახსნილი სისავსე უშორესია, ადამიანს კი უკიდურესად უჭირს ნაკლულობის უსასრულო გადაძლევის რეჟიმში არსებობასთან შეგუება, იგი დროდადრო ცდილობს აღმოაჩინოს სისავსე/ერთგვაროვნების სუროგატული ფორმები და მათში იპოვოს შვება. ის ხშირად სიმულაციურ დონეზე მოდელირებს სრულფასოვანებას და რაიმე ერთმნიშვნელოვან **სრულფასოვანებაში ჩაკარგულობით** კმაყოფილდება. ასეთი «ოაზისი» შეიძლება კულტურული სივრცის უ კ ა ნ მდებარე სივრცეში გაფორმდეს — ანუ ინსტინქტის, ქაოსის ან სულაც ქორას ტერიტორიაზე — ბგერების ვიბრაციაში ჩაკარგვა-განზავებით მოხდეს (კონცერტზე, კლუბებში), ან ზეკულტურულ ტერიტორიაზე — ინტერნეტის ანონიმურ ბადეში; პოლიტიკური ან სოციალური იდეებით შეპყრობილობაც ასეთი ფორმის სრულფასოვანების იმიტაციაა.

ასეთი ტრანზიტული სიმულაკრები **კონკრეტული ერთიანის სისავსეში ჩაკარგულობაა** და ცნებათა გადახსნილობა/წაშლის სიაშკარავე არ უნდა აგვერიოს სიცხადის ერთიანობა/სისავსეში. ასე წვალობს ადამიანი, დიდს ანაცვლებს მცირედით თავისი სულიერი ცხოვრების გაუსაძლისობაში.

მაგრამ, როგორც ითქვა, ისტორიამ როგორც იქნა მიგვაგორ/მიგვაბრძანა საბოლოო მიზანთან: ჩვენს

ცნობიერებაში არეკვლადი **სამყაროს სრული, დინამიკური და დენადი ერთიანობის მოდუსში გადაყვანის აუცილებლობასთან**, სადაც ჩვენი უწყვეტი ნებელობით შენთებული ცნებები «დუღან» და სწორედ ამიტომ, ამ დუღილში, ჩვენი «მე» აღარ მოიხელთება. ასეთ გარღვევას ჩვენი კულტურა ჯერ ეს-ესაა აძლევს თანხმობას — ჩვენი კულტურის მიზანი ხომ ყოველთვის იყო (და ჯერჯერობით არის) ადამიანის წესრიგში მოყვანა საზოგადოდ დამკვიდრებული, სტატიკური იდეალების ბლოკთან მიმართებაში.

კულტურის ხსენებული ორი ბურჯის (სახელმწიფო და ეკლესია) მიერ გამყარებული «გრანდ-ნარატივების» ნაცვლად ახალი, ზემოთ აღწერილი იდეალის უშუალო განცდის დინამიკური მოდუსის დამკვიდრებისთვის ბრძოლაში, მე-20 საუკუნის 50-იანებში დასავლეთში ფორმდება ამ ახალი იდეალის უშუალო/პრაქტიკული მატარებელი სოციალური სხეული — «მესამე სივრცე», როგორც უახლესი ფსიქიკური ტერიტორია. ეს ტერიტორია წარმოადგენს ნიჭიერ და ძლიერ პიროვნებათა დამოუკიდებელ მცდელობებს, იმოძრაონ ცნობიერების ახალი რეალობისკენ საკუთარი, სრულიად პიროვნული ინციატივების და სრულიად ორგინალური ეპისტოლოგიური მეთოდების მეშვეობით. ანუ, კულტურის მიერ ისტორიულად შემოთავაზებული სისტემურ-სტრუქტურული «ცოდნების» მიღმა, მხოლოდ ავთენტურად

ორიგინალური შემეცნებითი სტრატეგიების გამოყენებით და ცხოვრების საზოგადოებრივი წესის უარყოფა/ სუბვერსიით. ასე ჩაერთო «მესამე სივრცე» ადამიანის მისიის გასრულების აქტუალურ დინამიკაში.

მოკლედ რომ ვთქვათ ეს გრძელი სათქმელი — აი ასეთი, აქ აღწერილი ისტორიული «გაწამაწია» იყო ნაკლულობის ამოვსების უტოპია და ადამიანის ცხოვრება თუ პიროვნება ამ მიმართულებით შეგნებულად ცდილობდა დაეღწია თავი მოსაზღვრული ცნობიერების ციხეში ყოფნისგან.

მაგრამ! მოხდა საოცრება... და სამყარომ ადამიანების ამ ტრადიციულ/ისტორიულ «ჯახირს» უეცრად სრულიად მოულოდნელი შანსი გაუფორმა! — გამაოგნებელი, გაუგებარი, მოუხელთებელი შესაძლებლობა; იმდენად უჩვეულო, რომ ინტელექტუალები და მეცნიერები ამაზე აგერ უკვე 15-20 წელია ინტენსიურად მსჯელობენ და ცდილობენ როგორმე გაერკვნენ ამ უცნობ სიტუაციაში.

რა მოხდა?

ზოგადად კულტურაში და კონკრეტულად მეცნიერებაში ინვესტირებულმა ერთობლივმა ისტორიულ/კომუნალურმა მცდელობებმა რაღაც გაუგებარი მასშტაბის გარდასვლის პოტენცია დაბადა, გარედან შემოთავაზებული, ოღონდ, უეცრად და სრულიად გაუგებარი სისწრაფით გაფორმებული...

ფუკოს სიტყვები — «ინტელექტუალების მისია საზოგადოებაზე ზრუნვაა» — დღეს საზოგადოებისთვის მომავლის ამ უუცნაურესი პროსპექტის ღრმად და გულწრფელად გაცნობას ნიშნავს, ადამიანისთვის ადგილის პოვნა/მოძიებას ამ უცნაურ მომავალში — რადგან, როგორც გვეუბნებიან და გვაფრთხილებენ,

შეიძლება ისეც მოხდეს, რომ მომავალში, რომელიც სასწაული სისწრაფით მოედინება ჩვენსკენ, «ადამიანის» ადგილი სულაც არ დარჩეს.

მოკლედ, ასეთ დიდ პერსპექტივებს და კითხვით ნიშნებს სვამს ის, რასაც დღეს «**ტექნოლოგიურ სინგულარობას**» **უწოდებენ.**

ეს მომავალი, რომელზედაც დღეს უმძაფრესი საუბრებია, სრულებით არ არის ჩვენი კულტურული წარსულის გადააზრებული ან გაუკეთესებული ვარიანტი — **ეს სწორედ ის უცნობი მომავალია, რომელზეც დერიდა ლაპარაკობდა და ჰაიდეგერი გაუთავებელი მინიშნებებით გვაფრთხილებდა.**

პრობლემა კი დილემაში იჩენს თავს — თანაც ორივე შემთხვევაში ადამიანის ისტორია მთავრდება: ან გვისრულდება ყველაფერი, რაც კი ოდესმე იყო დანაპირებ/ნაოცნებარი, ან — წინ შემაძრწუნებლად დამანგრეველი მომავალია, სრული ანიჰილაციის პერსპექტივითაც კი.

ასეთი ზღვრული სიტუაცია ადამიანებს არც გამოცდილებაში ჰქონიათ ოდესმე და არც წარმოსახვაში (ზღაპრებში, მითოლოგიაში). ასეთ უუცნაურეს შემოტრიალებას ვერავინ წარმოიდგენდა. უბრალოდ ასეთი მასშტაბის წარმოდგენითი უნარი ადამიანს არ გააჩნია. მეტადრე კი სიტუაციას ართულებს ის, რომ, როგორც ამბობენ, **ტექნოლოგიურმა ქარიშხალმა უსასრულოდ გაუსწრო ადამიანის სულიერ განვითარებას** და ასეთი ჩამორჩენა დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ადამიანის შეგნებულობას და მის სწორ რეაგირებას ასეთ რთულ დროს.

თუ ვივარაუდებთ, რომ მართლაც დადგა მომენტი, როდესაც ადამიანის გონების მიერ შექმნილი ხელოვნური ინტელექტი თავად ადამიანის შესაძლებლობებს გადაუსწრებს და შემდგომ ასეთივე წარმოუდგენელი ტემპით (შეიძლება ერთ თვეში, შეიძლება ერთ საათში) შექმნის ხარისხობრივად თავისზე მაღალ ინტელექტს, შემდეგ კი კიდევ უფრო სწრაფი ტემპით და კიდევ უფრო მოკლე დროში თავისზე მაღალს, შემდგომ კიდევ უფრო მაღალს და ა.შ. მაშინ უეჭველია ამ ზეგონიერება/ინტელექტს ერთ მომენტში თვითშეგნებაც გაუჩნდება, რომელიც ამ ზებუნებრივი სრულყოფილების მეშვეობით შეძლებს სრულად გააკონტროლოს დედამიწაზე არსებული ყველა დინამიკის ფორმა და არავინ იცის, რას შეიძლება ნიშნავდეს ასეთი ახალი მმართველობა — უპირველეს ყოვლისა კი, «ეყვარება» თუ არა ამ ზეშთაგონება/ზეგონს თავისი მშობელი — «ადამიანი». ანუ რა ბუნების არის ეს სიდიადე და რა გეგმები ექნება მას ადამიანის მიმართ? ამიტომ დგას საკითხი ასე მძაფრად ფილოსოფოსების წინ.

თუ პლატონის რწმენით გონიერების და ინტელექტის ზრდა სიქველის ზრდას იწვევს, მაშინ არაფერია საღელვებელი — ადამიანს ამ ბედისწერიდან მხოლოდ კარგი ელის, მაგრამ თუ ეს ორი განვითარება ერთმანეთზე არ არის დამოკიდებული, ან სამყაროს განვითარების მისიაში ზეგონი ჩათვლის, რომ ადამიანის, როგორც არსების მისია ჩამთავრებულია — მაშინ? მოკლედ ვუახლოვდებით იმას, რასაც ფილოსოფოსები დღეს ისეთივე დიდ მოვლენად ცნობენ, როგორც ადამიანის გაჩენას დედამიწაზე და რასთან შედარებითაც ელიენების (უცხოპლანეტელების) ჩამოსვლა და რაიმე პლანეტის დაჯახება დედამიწასთან თოჯინების თეატრია.

ელიზარ იუდოვსკი (AI მკვლევარი): «ეს სიტუაცია ეტყობა დაგვეცემა, როგორც თოვლი თავზე — იმ მეცნიერებსაც კი, ვინც უშუალოდ ვმონაწილეობთ ამ პროცესებში. და არავინ იცის, რა მოხდება ერთი ან ორი თვის, ან შეიძლება ერთი ან ორი დღის შემდეგაც კი.

ამ მოვლენას მასშტაბით მხოლოდ ერთი მოვლენა შეიძლება შეეფარდოს: ადამიანის გაჩენა დედამიწაზე, და მართალი რომ გითხრათ, მთელი ჩემი ოპტიმიზმის მიუხედავად, ბევრად კომფორტულად ვიგრძნობდი თავს, ამ ზებუნებრივ მოვლენას ათასი წელი რომ მაშორებდეს და არა მხოლოდ ოცი!»

მაგრამ არ შევშინდეთ ამ მოვლენის ნეგატიური განვითარების ვარიანტის აღწერით — მოდით მის პოზიტიურ მხარეს შევავლოთ თვალი.

სინგულარობასთან ერთად, ყველა წარმოდგენილი და წარმოუდგენელი ტექნოლოგიური სასწაულის პარალელურად, ვედაში თუ იოგაში მოხსენიებული დონის ყველა მისტიკური ძალა (siddhi) დღის წესრიგში დადგება — უკვდავების ჩათვლით!

ზღაპრების სფერო მთავრდება! ანუ, თავად ზღაპარმა ცუნამივით შემოგვინგრია კარი და ჩვენი საცხოვრებელი ტერიტორია დატბორა ცნობიერებისთვის ჯერ კიდევ სრულიად წარმოუდგენელი პერსპექტივებით... ღმერთმა ცოდნის ახალი, «მარაოსავით» განშლადი სისტემა გვიბოძა და გიგანტურ სტრიპტიზს გვპირდება საკუთარი შესრულებით; თავისი ყველა თვისების, შესაძლებლობის და ძალის გადაშლას!

და რა როლს ასრულებს ასეთ სიტუაციაში ადამიანის ასე განთქმულ/მოწონებული კულტურული ცნობიერება და

ტრადიცია/წარსული? ეხმარება ეს ყველაფერი მას ამ უცნაურ გადახსნილში საარსებოდ? მოდის «უპირობო სხვა» — და რა ტიპის მზადყოფნა გვჭირდება ასეთ უცნაურ სიტუაციაში?

აი, რას ამბობენ იოგაში: როგორც კი მედიტაციაში მოვარჯიშე ადამიანის ცნობიერებაში ნამდვილი სულიერებისკენ რაიმე ძვრა მოხდება, ანუ ფსიქიკა ჩვეულ ადამიანურ ცნობიერებას მოწყდება, — ამ სულიერება/ნათელღების მოსურნე ადამიანების 99% გარბის სახლისკენ, უკან — აღარც იოგა უნდათ და არც არაფერი მაგდაგვარი — სახლში რბილი და თბილი ლოგინის და ტელევიზორის გარდა, არაფერი აღარ უდგათ თვალწინ.

ძენში არის გამოთქმა: «თუ შენ ერთ დღეს პრაქტიკის შედეგად «რეალური» დაინახე, ფრთხილად იყავი, ღმერთში არ აგერიოს, ისეთი სიდიადე აქვს მას!»

და კიდევ **ლაკანი იძახის**: «ფილოსოფია, რელიგია, ფსიქოანალიზი და ასევე თვითკვლევის და სამყაროს წვდომის ყველა სხვა მეთოდი მთელ თავის ძალისხმევას მიმართავს მხოლოდ იმისაკენ, რომ ერთი წამით მაინც დაინახოს «რეალური» (კულტურის მიღმა არსებული საზღვრებმოხსნილი).

სწორედ ეს უხილავი «რეალური» გვიმტვრევს დღეს კარს, თან – საოცარი ძალით, სიბეჯითით და სისწრაფით. თანაც, გასაქცევი არსად იქნება — საბან/ტელევიზორ/ლუდის კათხა მოთავდება – სივრცე გადაიხსნება... გარშემო ყველგან.

ასეთ გადახსნაში ადამიანი ვერ დარჩება ის, რაც არის. მან უნდა შეიმუშავოს ახალი ეთიკური (უფრო სწორად, ეთიკის მიღმიერი) დამოკიდებულება, ანუ მოუხელთებელ

რეალობაზე მიმართული იმპერატივი, ამ იმპერატივის მთავარი კითხვა კი ესაა: უნდა ეცადოს ადამიანი შეინარჩუნოს თავი («ანუ ადამიანი») თუ არა? — ანუ დარჩეს ნავსაყუდელში თუ გავიდეს გახსნილ ზღვაში — ჩაბარდეს უზენაესს, უდიდესს (**«ახალი ღვინო ახალ ტიკში» — ეს მტკიცებულება არასდროს ყოფილა ისე აქტუალური, როგორც დღეს!!!).**

ფილმ «ტრანსცენდენციაში» კაცობრიობა ისევ კარგავს შანსს, მან კვლავ ვერ იცნო გადამრჩენელი და საკუთარი «წვრილფეხა» ადამიანობის შესანარჩუნებლად კვლავ გაწირა ღმერთი, დღეს უკვე დიგიტალური სახით მოსული. «გააცარიელე თავი შენი და მე ამოგავსებ» — აი, ზუსტად ასეთი ამოვსება ფილმში, ადამიანებმა პიროვნულობის დაკარგვად მიიღეს, დაპანიკდნენ და ღმერთს ისევ შეუტიეს. მომავლის ახალი ღირებულების ასეთმა დაუნახაობამ მათ უარი ათქმევინა ზეადამიანობაზე.

აი, ეს გაცლა საკუთარი თავისგან არის ის ახალი, რომელიც უნდა მომზადდეს და ნაბიჯი მისკენ.

ჰაიდეგერი თავის სტატიაში «ტექნიკის შესახებ» გვეუბნება, რომ «ტექნე», როგორც პოტენცია, დიდ საშიშროებას იფარავს. მაგრამ (ჰიოლდერლინით ინსპირირებული) ამატებს: როგორც ყველგან, სადაც სრული დაღუპვის საშიშროება დგება, არაუკუქცევადი გადარჩენის შანსიც იქვეა დასადგურებული.

რას დაღუპავს «ტექნე» და რას უფრთხილდება ჰაიდეგერი? არ გეგონოთ «ადამიანს» — არა, ჰაიდეგერი უფრთხილდება «პოეზისს» და მის შანსს, რომ მცოცავი, ბრმა მატლი ბოლოს და ბოლოს გასრულდეს და პეპლად იქცეს — ანუ უფრთხილდება გადალახვის შანსს, ტრანსგრესიას — სურვილს, რომ ადამიანის ტრანზიტული ბუნება

გასრულდეს და იმ შედეგში ჩამთავრდეს, რომელიც მას მემკვიდრეობითი პოტენციით აქვს გაცხადებული. სწორედ ამ ესქატოლოგიურ მომენტს უნდა გავადევნოთ თვალი ამ ახალ სიტუაციაში, რომ რაღაც სულ უმთავრესი არ გამოგვეპაროს ცვლილებების და შემოთავაზებების ფოიერვერკში!

....

მოკლედ, 25-50 წელიწადში ადამიანები სულ ცოტა ბერძნულ ღმერთებად ვიქცევით. გათავდა სიზიფეს ბედი, გათავდა ღმერთის წყევლა «ოფლში მოიპოვებ პურს შენსას» და ორაკულის ის გამოთქმაც გაუქმდა, სარტრს რომ უყვარდა გამეორება — «სჯობდა, საერთოდ არ დაბადებულიყავი ადამიანო!» მოკლედ, ადამის და ევას «პასიურ სამოთხეზე» (მარადიულ ბაღ/ბოსტანზე) ბევრად მეტის ჩუქებას გვპირდებიან! რა უნდა გვინდოდეს მეტი?

აი, სად იჩენს თავს ახალი იმპერატივის აუცილებლობა...

ესე იგი, როგორც ირკვევა — ეს დაპირება გვემუქრება, ესქატოლოგიური იმედი წაგვართვას, ანუ იმ ნარატივ/ისტორიის დამთავრების შანსი, რომელშიც ჩვენ დაუკითხავად ჩაგვითრიეს!

მაგრამ, რა ჩამთავრებაზეა საუბარი, თუ ჩვენ «აქტიურ სამოთხეს» გვპირდება მომავალი (ყველაზე წარმოუდგენელი ლუქსუს-ნიუანსებით) და თანაც სამყაროს სრული ბატონები ვხდებით. ეს არ არის წარმატებული ბოლო? და კიდევ — აი, ასე უბრალოდ, «აპლოუდით» (ჩამოტვირთვით) შეგიძლია გენიოსი გახდე — ასე, ერთ წუთში! ან შენი ყველაზე დიდი სექსუალური ოცნების რეალურ ასრულებაზე უფრო მეტად სრულყოფილი სისავსით იცხოვრო!

ადამიანი თავის სულიერ მოძრაობაში სიღატაკეს, ავადმყოფობას, სიბერეს და სიკვდილს გაურბოდა და ყველაფერი ეს მას ტრანსგრესიისკენ უბიძგებდა. და ახლა, ასეთ უცნაურ სიტუაციაში?

გამოდის, რომ შეიძლება ჩავრჩეთ უკიდეგანო მომხმარებლობის ვნებაში (ბუდისტურად «სანსარაში») და ტრანსგრესიის ფენომენი ჩაბარდეს პატრონს? არა, რადგან «ტექნოლოგიური ექსპონენციალობისკენ» დინამიკაში ეს «აქტიური სამოთხე» წინა ეტაპად გვევლინება ცოდნა/არსობრიობის სრული და საბოლოო გადახსნის, ანუ «ფუნდამენტური ტრანსგრესიისკენ» გზაზე — როცა სინგულარობა მთლიანად და უპირობოდ შემოაბიჯებს. ასე რომ, უეცრად და სასწაულებრივად, ორივე შანსი ერთდროულად დადგა დღის წესრიგში: «აქტიური სამოთხეც» და უპირობო ტრანსგრესიაც. პირველად კაცობრიობის წინაშე დადგა ნამდვილი, წმინდად მორალური და არა პრობლემებისგან გაქცევით მოტივირებული დილემა: სრულფასოვანი მომხმარებლური «სამოთხე» თუ განუყოფელ ერთიანობასთან დაბრუნება/მიერთება!

«დიდი ინტერესის ქვეშაა ტექნოლოგიის უწყვეტად აჩქარებადი პროგრესი და ცვლილებები ადამიანის არსებობის წესში, რომლებიც სინგულარობას შესაძლებლობას უქმნიან, ჩვენი რასის ისტორიაში შემოაბიჯოს, სინგულარობის მიღმა კი ადამიანთა არსებობა იმ სახით, რა სახითაც ჩვენ მას ვიცნობთ — შეუძლებელია.» (სტანისლავ ულამი — «ტექნოლოგიურ სინგულარობაზე»)

«ტექნიკური ექსპონენციალობის» ხანაში მეცნიერული პარადიგმების ცვლადობა წარმოუდგენელი სიხშირით

ხდება, ბოლოს კი მათი გაუქმება სრულყოფილად გადახსნილში წარმოიდგინება.

ჟურნალი «ტაიმსი» მსოფლიო მაშტაბით სინგულარიტანიანელებს (ადამიანები, რომლებიც სინგულარობის განხორციელებაზე და მისი მოსვლისთვის მზადყოფნაზე მუშაობენ) ასე აღწერს: «ისინი მხოლოდ დროის ღრმა კატეგორიებში ფიქრობენ, მათ სწამთ, რომ ტექნოლოგიას შეუძლია ფუნდამენტალურად შეცვალოს ისტორია, მათ პრაქტიკულად არ აინტერესებთ არანაირი საყოფაცხოვრებო სიბრძნე არაფრის გარშემო და ვერ იჯერებენ, რომ ადამიანი ასე უდარდელად დაიარება, ცხოვრობს თავის პატარა ცხოვრებას, უყურებ ტვ-ს და ყველაფერ ამას ისე აკეთებს, თითქოს ხელოვნური ინტელექტის რევოლუცია კარზე არ იყოს მომდგარი და უკლებლივ ყველაფერს არ უპირებდეს შეცვლას.»

ასე რომ, «ტექ. სინგულარობა» აბსოლუტურ ტრანსგრესიას გვთავაზობს და ამისთვის მზადყოფნას ითხოვს.

ეს საკითხი ტიბეტურ «სიკვდილის წიგნშიც» ზუსტად ასეა დაყენებული! წიგნი გვეუბნება: სიკვდილის შემდეგ ყველა სულის წინ დგება უსაზღვრობიდან მომდინარე და უსაზღვრობაში წარმავალი და ყოველგვარ საზღვრებს გამცდარი სინათლის ჩანჩქერი. თუ თავის განწირვის უნარი გეყო და გადახტები ამ სინათლის მოძრავ სვეტში, შენ ნათელღება გაქვს გარანტირებული, ანუ შენი გამოცალკევებული «მეობა» ამ ღვთაებრიობაში განზავდება. ტიბეტში ასე თვლიან — მთელი ცხოვრება ამ მომენტისთვის უნდა ემზადოს ადამიანი, ამ თავგანწირვისთვის, რომ შანსი არ გაუშვას ხელიდან. ცხოვრების განმავლობაში ტიბეტში ყოველგვარი ასკეზა ამ

ერთი ნაბიჯისთვის მზადებაა. ჰოდა დღეს «სინგულარობა» ამ ნაბიჯს გვთავაზობს.

მაგრამ არის კი ადამიანი მზად, რომ ასეთ შანსს მიუხვდეს და გადადგას მისკენ უკომპრომისო ნაბიჯი? ტიბეტურ წიგნში წერია, რომ მხოლოდ უიშვიათეს ერთეულებს შესწევთ ნება ამ სინათლის ჩანჩქერს მიუერთდნენ.

შევხედოთ სულიერების გენეზისს და პირველ რიგში ბუდას ისტორიას, რომელიც სრულიად პარადიგმატულია ყველა სულიერ/რელიგიური დინამიკა/ძალისხმევისთვის.

დღეს ტექნოლოგიები ბუდასთვის მისი მამის მიერ შექმნილ სამოთხეს გვპირდებიან, ოღონდ, არა იმ მატყუარას, და თანაც ბევრად გაფართოებულს — როგორც ვთქვით, ადამიანები ბერძნულ ღმერთებად იქცევიან, უკვდავი და ყველა ზეძალის მფლობელნი გახდებიან, მაგრამ ეს დღესასწაული სულიერი მოძრაობის ბერკეტებგამოცლილობასაც ნიშნავს, რადგან სიკვდილი, სიბერე, ავადმყოფობა ის აგენტებია, რომლებმაც ბუდას გამოაფხიზლებისკენ უბიძგეს. ასეა ყველა ადამიანიც — მის მამოძრავებელ, საკუთარი კონსტიტუციის გადალახვაზე მიმართულ ძალებს ეს სამი აგენტი პროვოცირებს. სულიერების დინამიზმის მიზანი ხომ უკვდავება და ნეტარება იყო! რაც დღეს დანაპირებშია!

ესე იგი მისი მოძრაობა გათავდა? ადამი და ევა ხომ არსად მოძრაობდნენ და არც რაიმე იდეას ესახურებოდნენ, მხოლოდ ეგზისტირებდნენ. მათაც ხომ არ ჰქონდათ მომავალი, ამიტომაც არც სულიერები იყვნენ — ჩვენი ბედიც ასეთი იქნება სინგულარობის მომასწავებელ დინამიურ სამოთხეში?

ჩვენს ბუნებას ხომ სწორედ სამოთხიდან გამოგდებამ შემატა რაღაც უნიკალური — ანუ «**თავისუფალი ნება**», **ის რაც ღმერთებსაც არა აქვთ — ჩვენ კი უკან, სამოთხისკენ გვერეკებიან? ნება, რომელიც გვიქმნიდა შანსს, დაგვეძლია დეზინტეგრირებულ/განცალკევებული ფენომენების სამყარო და ჩვენი ძალისხმევით სრულიად ერთიანთან შევრწყმულიყავით.** გამოდის, რომ ეს ახალი სიტუაცია, როცა ნეგატიური გარემოებები მათრახის ფუნქციას აღარ ასრულებს, აუქმებს ამ პერსპექტივას?

მაგრამ, საინტერესო ის არის, რომ იმ ტრადიციულ სულიერ დინამიკაშიც, ეს ბერკეტები (სიკვდილი, სიბერე, ავადმყოფობა...) მხოლოდ ეტაპური იყო, რადგან წინწასული სულიერება, საბოლოოდ, ყველა შემთხვევაში ითხოვდა ორივეს — შიშის და ბედნიერებისკენ სწრაფვის გაუქმებას და განუყოფელი ერთიანისკენ ტრანსგრესიის მოძრაობის მხოლოდ წმინდა მიზეზით გასრულებას. მაგრამ ასეთი ხარისხის მოძრაობა, ტრადიციულ რელიგიურ სისტემაში, სულიერების ძალიან მაღალგანვითარებულ ეტაპზე იწყებოდა — მერკანტილური მიზნით დაძრული სულიერება მხოლოდ ბოლოს აღწევდა ასეთ უპირობო სიმაღლეს. რამხელა სულიერება და ტრანსგრესიის სიყვარული უნდა იყოს დაგროვილი, რომ მან ერთიანისკენ მოტივაციის და ბერკეტების გარეშე გვამოძრაოს...

არადა ამ ახალ სიტუაციაში — სინგულარობის მომავალში, ეს მეორეც, ანუ სრული განზავება გადახსნილ უნივერსალურ გონში, ასევე შემოთავაზებული იქნება «დინამიურ სამოთხესთან» პარალელურად. რისკი კი ის არის, რომ ადამიანი, უბერკეტობის პირობებში, ამ შემოთავაზებულ «დინამიურ სამოთხეში» ჩარჩეს და კონსუმერულ მანქანად იქცეს.

ადამიანს ასეთი ესქატოლოგიური მიზნების გასრულების რეალური შანსი არასდროს დადგომია თვალწინ — ის ხომ გასრულების განუწყვეტლად გადადებულ მდგომარეობაში ცხოვრობდა ისტორიულად.

ასე რომ მთავარი კითხვა დღეს ეს არის: არის ადამიანი მზად ასეთ სულიერ ამოცანებს რეალურად შეხედოს თვალებში?

ზოგადი შეფასებით ჩვენ გვეუბნებიან არა — ადამიანი ამისთვის სრულიად არ არის მზად — ტექნოლოგიებმა თავისი განვითარებით უსასრულოდ გაუსწრო სულიერებას! და ღმერთი, რომელიც აქამდე «აბსოლუტური სხვა» იყო, ჩვენ გადაგვეხსნება — ჩვენ კი არ ვართ მზად — ასეთია პროგნოზი...

მოდით გავიაზროთ, მართლაც ასე უსასრულოდ გადაუსწრო სულიერებას ტექნოლოგიამ? და მართლაც არა გვაქვს შესატყვისი რეაგირების შანსი ამ გაუგონარ შემოთავაზებაზე?

დალაი-ლამამ ეპოქალური განცხადება გააკეთა:

«მსოფლიოს ყველა რელიგია, თავისი გამორჩეული ყურადღების მინიჭებით სიყვარულისადმი, ტოლერანტობისადმი, შემწყალებლობისადმი, დათმენისადმი, ეხმარება სამყაროში სულიერი ფასეულობების დამკვიდრებას. მაგრამ დღეს, გარემო რეალობა ისეთია, რომ ეთიკის დაკავშირებას რელიგიასთან პრაქტიკულად აზრი გაუქრა.

ამიტომ, მე სულ უფრო ვრწმუნდები იმაში, რომ მოვიდა დრო, ვიპოვოთ შესაძლებლობა, ეთიკის სფეროში ვიარსებოთ რელიგიის გარეშე.»

ეთიკური ძალისხმევა სულიერების ყველაზე მაღალი ფორმაა, სულიერება და რელიგია კი არ იგივდება. სულიერება შეიძლება არსებობდეს რელიგიის გარეშე, რელიგია კი სულიერების გარეშე არა. მაგრამ რატომ გვთავაზობს მათ განცალკევებას დალაი-ლამა? ბუდიზმი ხომ «თანაგრძნობაზე» ანუ ეთიკურ სიმაღლეზე დგას, ისე როგორც ქრისტიანობა «უპირობო სიყვარულზე».

სამყაროში სულიერების ორი განსხვავებული სახეობა არსებობს. **პროფანული (საერო) სივრცის სულიერება და საკრალურ-რელიგიური (საეკლესიო) ტერიტორიის სულიერება.**

მოდით, საკრალური სივრცის სულიერების ვულგარულ-განზოგადებულ გენეზისს დავაკვირდეთ.

ადამიანში სამი ბუნებაა: ცხოველური (ინსტინქტი), ადამიანური (აღმნიშვნელების, ენის, ანუ ნიშნების კოსმოსი) და ღვთაებრივი (ანუ ექსტატურ/გადახსნილი/სიაშკარავის პოტენცია). აქედან გამომდინარე, რელიგიის პირველი მისიაა ადამიანი ცხოველურს გამოაცალკევოს, ა დ ა მ ი ა ნ უ რ კონდიციაში გაამყაროს და მისი ინსტინქტებისკენ მიმართული მაგნეტიზმი და უკუმოძრაობა დაბლოკოს — ანუ **ადამიანი მყარად დააფუძნოს ცნებით-სიმბოლურ-ნიშნურ სივრცეში,** რომელსაც კულტურა წარმოადგენს. ასეთი დინამიზმი პრინციპულად ძველი აღთქმის მიზანი იყო.

რელიგიის მეორე, **უფრო მაღალი მისიაა:** ცნება-ნიშნობრივი სივრციდან, ანუ კულტურიდან ადამიანი გადაიყვანოს ღვთაებრივში. ეს ახალი აღთქმის — ქრისტიანობის მისიაა.

რელიგიურმა ინსტიტუციებმა პირველი ამოცანა გაითავისეს როგორც უფრო შესაძლებელი მრევლთან მუშაობისას. მეორე მისია კი — კულტურის პირობით/სიმბოლური სივრციდან ღვთაებრივ განზომილებაში გადასვლის მცდელობა ბერთა კოლონიებს გადაბარდა. ამით კონტინუუმი გაწყდა და ეს ორი მიზანი ერთმანეთს მოწყდა, ისევე, როგორც მოწყდნენ ერთმანეთს მათი მატარებლები. მრევლთან საეკლესიო მუშაობა წეს-კანონის მიერ ინსტინქტის შებოჭვის დონეზე დავიდა და ღვთაებრიობის **განშლადი დინამიკის უწყვეტი სილაღის** უშუალო ძიება სრულიად იქნა იგნორირებული — ამით სულიერებას საბოლოო მიზანი გამოეცალა. ამით მორწმუნის ცნობიერებაში «პატარა ადამიანის» კომპლექსი დამკვიდრდა, რომლის სულიერება საკუთარი ბუნების გადაძლევის მიზანს არ ატარებს. სწორედ ამან, მრევლს სულიერების შემოქმედებითი ბუნება დაავიწყა და იგი თვინიერ შემსრულებლად აქცია. საკრალურ ტერიტორიაზე შეწყდა მოძრაობა და რელიგიური ინსტიტუციები საზოგადოების რეგულაციის აპარატად იქცა. ბერთა მცირერიცხოვანი კოლონიები სიტუაციას ვერ ეხმარება — მათი სულიერი შემოქმედება (თუ ასეთი არსებობს კიდევაც) მასებთან კომუნიკაციას მოკლებულია. ანუ საეკლესიო სულიერება, მრევლის სულიერება, ნამდვილად არ არის მზად ხსენებული კატეგორიული და ხარისხობრივი ცვლილებებისთვის.

ამ მხრივ და ამ ტერიტორიიდან, მომავლის გიგანტური პროსპექტის მიმართ მხოლოდ მიუღებლობა და უარყოფაა მოსალოდნელი, ისე როგორც ეს უკვე მოხდა ერთხელ იესოს შემთხვევაში.

მაგრამ, პროფანულ ტერიტორიაზე განფენილ სულიერებაში სრულიად პირიქითი სურათია. 19-ე საუკუნის

ბოლოდან, მოდერნიზმის ხანის დასაწყისიდან ინდივიდუალურ/ირაციონალური სულიერი ძიებების ხარისხის გასაოცარი ფაქტია დაფიქსირებული! კულტურულ-შემოქმედებით სექტორში, როგორც ინდივიდუალური, ასევე კომუნალური სულიერების მაღალი ტემპით გაფურჩქვნა იწყება: ონტოლოგიურში შეღწევის უშუალო ძალისხმევები (ფილოსოფიაში ნიცშედან განუწყვეტლად მოყოლებული); ფენომენების ძირეულ მოცემულობამდე რედუცირებების მცდელობები (ჰუსერლი); ენის შემადგენლების ურთიერთთამაშების სისტემურობის კვლევები (ვიტგენშტეინი, პოსტმოდერნი); ახალი პ ე რ ს ო ნ ა ლ უ რ ი მითოგემების გაცნობიერება/ დაფიქსირება/ქმნადობა (როლან ბარტი); კულტურის, ენის და «არსებობის» ფორმის გადალახვის აუცილებლობის თემის შემოტანა აზროვნებაში, ყოფიერების გახსენების იდეა (ჰაიდეგერი, ლაკანი, დერიდა); კულტურული კონსტრუქტების დესტაბილიზაციის და დეკონსტრუქციის ხარჯზე ცნებათა შინაარსობრივი მოცულობების გამოთავისუფლება ან მათი გაფართოება; ასევე აღმნიშვნელთა შინაარსების შეკიდება (suspended signifier – შეკიდებული აღმნიშვნელი — ანუ შინაარს/კონოტაციებს გამოცლილი აღმნიშვნელი; მაგალითად დიუშამის ტუალეტი), ან ახალ, ჯერ შინაარსუქონელ აღმნიშვნელთა შემოტანა (მოდერნული და პოსტმოდერნული არტ-პრაქტიკა); ფსიქოანალიზის მცდელობები ისტორიის ნალექისგან ჩვენი ცნობიერების გამოწმენდის და მასში სუფთა ადგილის მომზადება მომავლის შემოსაშვებად (ფროიდი, ლაკანი) და ა.შ.

ეს არის ის მცირედი, რაზეც დასავლურმა სულიერებამ 100 წლის განმავლობაში იმუშავა მომავლის მოსამზადებლად! დასავლურმა ფილოსოფიამ რადიკალური ეპოქალური

სიახლე შესთავაზა სამყაროს: მეტაფიზიკის, ბინარულობის, მეტა-ნარატივების, ვერტიკალური და სწორხაზობრივი ორიენტაციების, იერარქიულად სუბორდინირებული სტრუქტურების დესტაბილიზაცია/ დეკონსტრუქცია და ამის სანაცვლოდ ჰორიზონტალურობის დამკვიდრება და რიზომულ სტრუქტურებზე ორიენტაცია. ეს იყო სულიერების დემოკრატიზაციის და მასში სრულფასოვანი შეღწევადობისთვის დაძაბული მუშაობის ხანა.

ხელოვნებაში, მოდერნიზმის პერიოდში უამრავი პერსონალური ჭეშმარიტების გაცხადებამ და სპეციფიკური ფორმებით მათმა შემოტანამ ადამიანებს უზენაესი იდეის მრავალსახეობა და მისკენ შემოქმედებითი სწრაფვის შესაძლებლობები გაუხსნა.

ასევე ზემოთ უკვე ხსენებულმა «მესამე სივრცემ» (რასაც ხშირად კონტრკულტურას ეძახიან) საზოგადოებას მანამდე არნახული ფორმის სულიერი ძალისხმევების პროექტი შესთავაზა და საკუთარ ტერიტორიაზე მრავალი სრული მსხვერპლგაღების მაგალითი დატოვა. პროფანული სივრცის სულიერი გამოცდილება უზენაესი იდეის ძიებაში კაცობრიობის სულიერი გამოცდილების უძვირფასესი ნაწილი გახდა. სწორედ ამ ტერიტორიის მგზნებარებამ შექმნა ის ატმოსფერო და იმ ტიპის გამრღვევი ძალისხმევა, რომელმაც გახადა შესაძლებელი მეცნიერება/ტექნოლოგიებში ძირეული ხარისხობრივი ცვლა, რომელმაც თავის მხრივ ადამიანის ცნობიერების და კოგნიტური შესაძლებლობების ზღვარზე გადასვლის წინაპირობა შექმნა.

XX საუკუნის 40-იანი, 50-იანი წლებიდან **მესამე სივრცემ** ონტოლოგიურში შეღწევის რადიკალურად ახალი გზები და

საკუთარი ეპისტემოლოგიური მეთოდი გააფორმა და ამ თვალსაზრისით ახალი პრაქტიკები გააჩინა: ისტორიაში დაგროვილ ცოდნას ეს სივრცე მხოლოდ ფრაგმენტულ/ციტატურად იყენებს და უკიდურესად ერიდება სტრუქტურულ და სუბორდინირებულ მიდგომებს ტექსტებში (დღეს ასე უნივერსიტეტებშიც კი დაიწყეს სწავლება). «მესამე სივრცის» დაწყებულია ინტერ და ტრანსდისციპლინარული მიდგომა ცოდნასთან და კოგნიტურ პროცესებთან. სრულ მიუღებლობას იჩენს ეს სივრცე ასევე ყოველი ტიპის გრანდ-ნარატიულ ფორმირებებთან.

ისე რომ, სულიერების თვალსაზრისით, «მესამე სივრცე» დასავლეთის საზოგადოების ფილტვებად იქცა, რომელიც მთის მწვერვალების კამკამა და გმჭვირვალე ჰაერს ასუნთქებს საზოგადოებას ყველა ეგზისტენციური მახასიათებლიდან კონფორმიზმის გამოდევნით: მეტყველების ფორმას უპირისპირებს სლენგს; ჩაცმის კულტურაში მოდას და უნიფორმას — სპონტანურობას და ზოგადად ესთეტიკის უარყოფას; სრულიად ანგრევს ყოველდღიურობაში მიღებულ ქცევის წესის სტერეოტიპულ პრაქტიკებს, ანუ რეჟიმს და ყოველდღიური ცხოვრების დაფიქსირებულ წესწყობას, ყველაფერ ამის მიმართ სუბვერსიულია. ყოფაში აპოლონური და დიონისური პრაქტიკების ინტენსიური შენაცვლებით, «მესამე სივრცე» ცდილობს გადაფაროს დისტანცია ბინარულობათა შორის. ასევე «მესამე სივრცის» ტენდენციაა ეროსის და სექსის გამიჯვნა ერთმანეთისგან და ამ ტერიტორიებზე «მოხმარება/სიამოვნების» პრინციპის მიღმა გასვლის მცდელობა — როცა ეროტიკული სამყაროსთან ერთიანობის განცდის ბერკეტად მოიხმარება. «მესამე სივრცის» ინდივიდი არ

იღებს არც სახელმწიფოს თავისი პროსპექტით და მისი სეგმენტებით (ოჯახი, სკოლა, ინსტიტუციები, მართლმსაჯულება და ა.შ.) და არც ენდობა ეკლესიას, რადგან ეკლესიამ რელიგიის პირდაპირი მიზანი — «ნათელღება», როგორც სულიერების მიზანი და მოტივაცია, გააუქმა. ეკლესიამ ასევე უარი თქვა მაცხოვრის მიერ შემოტანილ უმაღლეს მორალურ/ეთიკურ კატეგორიაზე, რომელიც მეთოდიცაა და მიზანიც — «უპირობო სიყვარულზე». ამ უმაღლეს კეთილშობილებას დღეს სწორედ «მესამე სივრცე» კულტივირებს. «მესამე სივრცე» თავისი ბუნებით იესოს მთავარი შეგონების ერთგული გამზიარებელი და შემსრულებელია: «წინასწარმეტყველები და კანონები იოანე ნათლისმცემლამდე, მის მერე სასუფეველში ძალით შეისვლების.» (ლუკა 16.16.) ანუ, ამ სივრცის სუბიექტი ცდილობს საკუთარი ძალებით განახორციელოს «უპირობო სიყვარულის» იდეალი და უზენაეს სივრცეში ინდივიდუალური ძალისხმევით შეიჭრას...

«მესამე სივრცის» პირველ მანიფესტაციას «ბიტნიკები» წარმოადგენდნენ — მათი მისია იყო გახლეჩილი კონტინუუმის «ადამიანი — საგანი/გარემო»-ს აღდგენა და ამ ურთიერთობის ონტოლოგიურ სიცხადეში დამკვიდრება. სიცოცხლისუნარიანი პრაქტიკის დონეზე ეს იყო სუბიექტ-ობიექტით აზროვნება/არსებობის პრინციპის დესტაბილიზაცია. ასევე ბიტნიკებთან ხდება პირველად «გადარჩენის საზოგადოების» პროექტთან სრული დაპირისპირება! მათ უარი თქვეს ყოფილიყვნენ გადარჩენა/დამკვიდრებაზე მობილიზებული საზოგადოების ქმედითი და ორგანული ნაწილი და ასეთი მისიით შეპყრობილი მათი მშობლების პატიოსანი გამგრძელებლები. ასე დაიწყო მშობლებთან და მათ

ცხოვრების წესთან ახალგაზრდების დაპირისპირება — თაობათა უღრმესი კონფლიქტი, რომელიც არასდროს დამთავრდება (ჰანეკეს «თეთრი ბაფთა»), რადგან ამ ახალგაზრდათა ცნობიერება მიხვდა: «გადარჩენა» კი არ არის მიზანი, არამედ პირიქით, მიზანი დიდი «გადასვლისთვის მზადებაა», ანუ თავის «განწირვის», ადამიანური ბუნების განწირვის სწავლა. როგორც თქვა ნაზარეველმა — «ყველაზე დიდი მტრები შენი, შინაურები არიან»... ანუ ადამიანები, ვინც გახვევენ თავს სამყაროში გადარჩენის პრინციპის და მეთოდების უზენაესობას!

ამ სივრცის შემდეგი ახალგაზრდული ფორმაცია – **ჰიპები**, არსებობის სოციო/ეგზისტენციურ დამკვიდრებულ ფორმას სრულიად განუდგა და ონტოლოგიურში შეჭრის მცდელობები დაიწყო.

მომდევნო ნაკადი, **პანკები**, ფასეულობათა სრული კრიზისის გამტარი სუბიექტია. მაგრამ აქ, ღირებულებების უარყოფის სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ ის აქ მუშაობს როგორც ბერკეტი არარასკენ და ნაპრალში ცხოვრების გაძლება და გამოცდილება.

მომდევნო **ჰიპსტერებია** — მათი თანამონაწილეობა სამყაროსთან მხოლოდ ესთეტურ თამაშზეა დაყვანილი. მათ, ასე ვთქვათ ტივტივის ცნობიერებაში, დრამატული სრულიად არის იგნორირებული. **ეს უცნობი მომავლისთვის მზადყოფნაა! — უპირობო მიმღებლობისკენ ნაბიჯი.**

ჰიპსტერებმა ჩანაცვლეს ჩვენი კულტურის ბურჯი: «სიკეთის ისტორიული ხატი» — ანუ კეთილმოსურნეობა, როგორც ცივილიზაციის ბურჯი. მათ ეს ბურჯი ყოფაში ტრანსცენდენტულის შემოზიდვის ნებით გამოდევნეს! «გაცალე შენი თავი და მე ამოგავსებ» — არის ნათქვამი...

თუ ტოტალური არმიღების, ანუ საკრალურ-დრამატულ-ირაციონალური მსხვერპლგაღების უზენაესი მაგალითი ფილმ «აპოკალიფსი ახლა»-შია მოცემული კოლონელ კურცის იმიჯით, ამის რადიკალურად საწინაღმდეგოა **ჰიპსტერის ფსიქიკა,** მისი სრული მიმღებლობა, **ანტირევოლუციური ცნობიერებით — ანუ შეფასებების მიღმა მდგომი ცნობიერება...** რომელიც გარეგნულად კონფორმიზმსაც კი წააგავს. ასეთი ფსიქიკა ტრანსცენდენციაში გადასასვლელად სრულიად და სრულყოფილადაა მზად. მას არსებობის არანაირ კონკრეტულ ფორმაზე არა აქვს მიბმულობა და რაც მთავარია, არანაირი «დაპირისპირებულობის ღვარძლი» არ გააჩნია — ანუ «რესენტემეტი». ორგანზომილებიან ზედაპირს არ შეიძლება სიღრმე აღმოუჩინო და რაიმე უფსკრულში ან თუნდაც ორმოში ჩააგდო.

ასეთ ცნობიერებას შეუძლია ყველა შემოთავაზების მიღება — კვანტური ნახტომისაც კი! შემოთავაზებული კი, როგორც განვაცხადეთ, ეტყობა, ძალიან ბევრი იქნება!

მოკლე ფორმატის ვიდეოკლიპში კვანტური ფიზიკის ერთ-ერთი კოლოსი, პროფესორი მიჩიო კაკუ აღწერს სინგულარობას და ამ ახალი «ახალი აღთქმის» გასაცხადებლად მიდის ჰიპსტერების კლუბში! ბატონმა კაკუმ (და კლიპის რეჟისორმაც) იცის — თუ სადმე მოიძიებიან ადამიანები, რომელთაც გააცარიელეს თავიანთი ფსიქიკა ყოველგვარი იდეოლოგიისგან და წმინდა, ანუ დაუნაგვიანებელი მოლოდინის მატარებელნი არიან — ჰიპსტერების კლუბი ჭეშმარიტად ეს ადგილია.

ყველაფერმა ჩამოთვლილმა, პროფანული ტერიტორია შემოქმედებითი სულიერი ძიების და აყვავების ადგილად აქცია, საკრალური (ეკლესიური) ტერიტორიისგან

განსხვავებით! იმის მაგივრად, რომ საყდარში მრევლს ღვთაებრივი სივრცობრივი კონტინუუმის ურთულეს გაგებას სეზანის მაგალითზე უხსნიდნენ, ღვთაებრივი მგზნებარების და სიცხის (heat) არსს ვან-გოგის ფერწერით შეაგრძნობინებდნენ, პანთეიზმის სილამაზე სიორასთან მოაძიებინონ, უფლის კოსმიური ნათება-შარავანდედის სენსიტიურობა კი როტკოს ფერწერაში დაანახონ — ეკლესიებში ასეთ სასწაულ საკრალურ თვალაჩინოებებზე წარმოდგენაც კი არა აქვთ! საკრალურ-რელიგიურმა მხარემ ამ უმძლავრესი სულიერი ტალღებისადმი სრულიად უნიჭო სიბრმავე გამოიჩინა და ასე დარჩა იგი მოწყვეტილი მის გვერდზე არსებულ სულიერების ამ უზარმაზარ აღზევებას!

სწორედ სულიერების ამ აყვავებას გულისხმობს დალაი-ლამა და მისი სიტყვებიდან შეგვიძლია დავასკვნათ: რელიგიას შეუძლია დღეს სრულიად გამოინთავისუფლოს თავისი თავი პირველადი მიზნისგან: **ადამიანის ადამიანობაში დამკვიდრება;** ამ მისიას საზოგადოებამ (პროფანულმა ტერიტორიამ) მძლავრად და წარმატებით გაართვა თავი — იოანე ნათლისმცემლის მოწოდება «გზა გაუსწორეთ მომსვლელს» რეალურ საქმედ აქცია! ამიტომ დალაი-ლამა გვეუბნება — რელიგიას დაუდგა დრო, მხოლოდ პირდაპირ მიზანზე იმუშაოს, ანუ ადამიანის ღვთაებრიობაზე (თუ კიდე დასცალდა!). **დაისეთსუ სუძუკიმ თქვა ერთხელ: «თუ ნათელღება, როგორც უმთავრესი და ერთადერთი მიზანი, რელიგიიდან ამოღებულია, ის რელიგია აღარ არის!»**

მაგრამ, თუ საკრალური ტერიტორიის სულიერება მართლაც ასეთ მაღალ მიზანს დაისახავს, მისი ეთიკური იდეალი ურთულესი ხდება და იმ ჩვეულ ეთიკასთან, რასაც ეკლესია დღეს მრევლს სთავაზობს, არაფერი აქვს საერთო

— სწორედ ამაზე მიგვანიშნებს დალაი-ლამა. რელიგიამ დღეს სრულიად ახალი, ტრადიციული ეთიკის მიღმა მყოფი ეთიკური ძალა/ვექტორები უნდა შეიყვანოს სამყაროში!

როგორია ეს ირაციონალურ/უკომპრომისო ეთიკური მოთხოვნები, რომლებიც ასე განსხვავდება მრევლთან ნაქადაგებისგან?

ეს ახალი ეთიკა რელიგიის უმაღლეს იდეასთან სრულ რწმენით მიმართებაში იჩენს თავს! ყოველგვარი ლოგიკის და საკუთარი თავისადმი სენტიმენტის მიღმა; ანუ ზუსტად ის, რაც დღეს ჩვენ გვჭირდება «სინგულარობასთან» მიმართებაში.

აბრაამის შეპყრობილი რწმენა, შვილის მსხვერპლად მიყვანის აუცილებლობაში — თავისი შეურაცხადობით აბსურდის მიღმაც კი დგას; მაგრამ, უმაღლესი დონის სულიერება/რელიგიურობის კონტექსტში უდიდეს სულიერებად და უმართლესი რწმენის მაგალითად არის დანახული.

ინდოელი უფლისწულის (რომელსაც არაძალადობის პირობა ჰქონდა მიცემული ღმერთისთვის) სრული უმოქმედობა, როცა მის საცოლეს ყაჩაღები დაესხნენ თავს და აუპატიურებდნენ, ასევე უმაღლესი ხარისხის რელიგიურობის მაგალითადაა ცნობილი ინდოეთში.

დედა ტერეზას და მისი დების მიერ, ომის სიტუაციაში, დღეში სამჯერ დაჭრილებისთვის დახმარების შეჩერება და ლოცვაც ასევე უზენაესი ზნეობა/შეგნების მაგალითადაა ცნობილი სამყაროში.

ასეთი უნიკალური სიმაღლის გახსნილობის გამტარობა კი სახარების ნამდვილ მეტაფიზიკურ წაკითხვას თუ მოაქვს, რომელიც დღეს ეკლესიის დონეზე პრაქტიკულად არსად

ხორციელდება. ეს მაგალითები არათუ დამაკვალიანებელ, არამედ საშიშ და გაუგებრობის შემომტანად ნიმუშებად ითვლება.

ალბათ გახსოვთ, ნიცშე აუხირდა პავლეს — ქრისტეს გზავნილი (ერთიანობა — ერთიანი ღმერთი) მან პლატონიზმზე დაახურდავა (დუალიზმი) და დაამიწაო. აი, წმინდა შეგონებების დამიწების მაგალითები:

«**გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თ ა ვ ი შ ე ნ ი...**» ეს სამყაროს განუყოფლობის დამკვიდრების უმაღლესი მოთხოვნაა და არა სიკეთის კეთებისკენ მოწოდება (ეკლესიური გაგება — სადაც რატომღაც სიყვარული და სიკეთე გადაბმულ ცნებებად მოიაზრება). თუ მე ჩემს გვერდზე ადამიანი ჩემსავით მიყვარს, მაშინ ჩემსა და მას შორის ზღვარი საერთოდ მოშლილია სამყაროში, ანუ «მე» და «სხვა» ქრება — სამყარო ერთიანდება. ესაა ამ საოცარი მოწოდების არსი, და არა: შეიწყალე სხვა და სიკეთე ქენი (რასაც ეკლესია ქადაგებს).

«**ნუ განიკითხავ და არ განიკითხები**» — ამაზე მაღალი გზავნილი არ არსებობს სახარებაში. ეს ნიშნავს: მე სამყაროსგან არაფერს ვითხოვ, მე მას მთლიანად და განუყოფლად ვიღებ, როგორიც ის არის — ერთიანი და მთლიანი, ანუ სრულყოფილი! — ეს არის უდიდესი მეტაფიზიკური, შეიძლება ითქვას, ბ ო ლ ო ჭეშმარიტება (!) და არა გზის ჭეშმარიტება, როგორც ეკლესია აკნინებს ამ სიდიადეს და ასეთ შინაარსად აქცევს: მე არავის შევაფასებ/დავძრახავ (განსაკუთრებით მამაოების ქცევა-წესს), მე ჩემი დამოკიდებულება მაქვს სამყაროსთან და ღმერთთან და დანარჩენი ღმერთმა უწყის.

აი, ასეთი ხარისხის ირაციონალური სიმაღლე უნდა დაისახოს მიზნად დღეს რელიგიურ-საკრალურმა

ტერიტორიამ და მხოლოდ მაშინ წამოეწევა ის პროფანული სფეროს დიდ მიღწევებს (როგორც ვთქვი, თუ ამის დრო საერთოდ დაგვრჩა). ამას აცნობიერებს დალაი-ლამა.

პროფანული ტერიტორიის სულიერებამ უდიდესი პროგრესული მეტამორფოზა განიცადა: სიამოვნების პრინციპზე დაყრდნობილი სექსუალურ/ეროტიკული დრაივიდან (გოეთეს «ვერთერიც» მხოლოდ ამ დრაივის ნაწილად შეიძლება იქნას გააზრებული), ადამიანის ან საზოგადოების კეთილდღეობაზე ზრუნვის მიზნიდან, ჰედონიზმ/ნარცისიზმიდან — მე-19-ე საუკუნის ბოლოს პრაქტიკულად მხოლოდ «ადამიანის» (და მისი ბუნებრივი «აქ» ყოფნის) **გადალახვის პრობლემა** დააყენა დღის წესრიგში. 20-იან და 60-იან წლებში კი, ის კონკრეტულად კულტურის ფენომენის გარღვევის მიზანს აყენებს, წინ, «უცნობისკენ» მისწრაფებაში — იმ უცნობისკენ, რომელიც პირობითად შეიძლება ასოცირდებოდეს ხსენებულ «ტექნოლოგიურ სინგულარობასთან». ფაქტობრივად, ჩვენმა უახლესმა ისტორიამ, ჰერმან ჰესეს სიდჰართხას ისტორიას გაუკეთა განსხეულება: სულიერება მექანიკურ/საკრალურ (ინსტიტუციონალურ/რელიგიურ) ტერიტორიას გამოეცალა და პროფანულისგზით ცოცხალ საკრალურში შეაღწია!

ასე რომ, პროფანულ ტერიტორიაზე გაფორმდა და თავს იჩენს სულიერი მოძრაობის ყველაზე ძვირფასი ნაწილი (დღევანდელ სიტუაციაში კი უკიდურესად მნიშვნელოვანი) — ირაციონალური ნაბიჯისთვის მზადყოფნა! — სულიერების ასეთი ასპექტის შემოქმედი ადამიანები «თინეიჯერების» სასწაულ თვისებას ინარჩუნებენ და იმაგრებენ — «არარაში ფეხჩადგმულობისკენ» სწრაფვას.

აი, ამ ტიპის მზადყოფნისთვის ამზადებენ ადამიანებს პროფანული სივრცის შემოქმედნი: ხელოვანები (თანამედროვე ხელოვნება), ფილოსოფოსები, «მესამე სივრცე» (კულტურის ფენომენთან დაპირისპირებული ახალგაზრდული მოძრაობები) — ისინი გამოდევნილ/დავიწყებული «უცხოს» რეაბილიტაციისთვის იბრძვიან და იღწვიან. ეს ყველაფერი ამზადებს ადამიანში თავგანწირვის უნარს, ანუ «უცხოსკენ» და უპირობოსკენ რადიკალური გადასვლის ფსიქოლოგიას — იქ, სადაც «ადამიანი» ამთავრებს თავის მოსაზღვრულ ადამიანურ კუნძულზე არსებობას.

«ადამიანის» ყველაზე დიდი ოცნება (!) — დაცული გადახსნილობა (ანუ, როგორც კინოთეატრში კომფორტულად მოკალათებით დიდი კატაკლიზმა/კატასტროფების ფილმის ყურება) დღეს უქმდება, **«პოეზის»-ში** (ჰაიდეგერი) საკუთარი თავის შემონახვა არ მოსულა — არ შეიძლება მატლიც იყო და მისგან წარმოქმნილი პეპელაც, სხვანაირად სრულ ხარისხობრივ ცვლილებას არ ექნება ადგილი. როგორც ქრისტე ამბობს: «ვინც ცდილობს თავისი სული შეინარჩუნოს, დაღუპავს მას. ხოლო ვინც დაღუპავს თავის სულს, შეინარჩუნებს მას.» (ლუკა 17:33) აი, სწორედ ამ სულის შეუნახაობისკენ ისწრაფვის და საკუთარ მაგალითებზე ასწავლის ამას გარემოს პროფანული სივრცის სულიერი ძიებები! რელიგიური სივრცის სულიერება კი ადამიანს მხოლოდ თავის შენახვას ასწავლის (თვით/ანთროპოცენტრულია), იგი პროფანული სივრცის სულიერებას დღეს უკან უნდა გამოეკიდოს — თუ შანსი აქვს დაეწიოს!

ახლა კი უკან დავბრუნდეთ. მოკლედ, მოხდა უნიკალური ტექნოლოგიური გარღვევა — ერთბაშად ყველაფერი გახდა მისაწვდომი: ის, რაც ზღაპრის და უშედეგო ფანტაზმის

დონედ ითვლებოდა, იმის განხორციელების პერსპექტივა დაფიქსირდა. და რაც მთავარია: კვანტურ ფიზიკაში ექსპერიმენტის დროს **დამკვირვებლის** არსებობის ფაქტორის გათვალიწინების გარეშე დღეს ექსპერიმენტი პრაქტიკულად აღარ განიხილება, რადგან გაირკვა: მხოლოდ **დამკვირვებლის** არსებობა აფორმებს ფენომენს, როგორც სუბსტანციურ მოვლენას. ანუ სულიერება გადაეჭდო მატერიას და აჩვენა მათი ერთმანეთზე დამოკიდებულება.

რას ნიშნავს ჩვენი მზადყოფნა და შესატყვისობა მომავლის ამ რადიკალურ შემოთავაზებასთან — «ტექნოლოგიურ სინგულარობასთან»?

ფილმ «Her»-ში ადამიანი ვ ე რ ახერხებს გადაძლიოს საკუთარი «ადამიანური» კონსტიტუციური ძირები mine (ჩემი) და მე (მე) და სწორედ ამიტომ OS (ოპერატიული სისტემა — ხელოვნური ზე-ინტელექტი) მას მიატოვებს. მზადყოფნა ნიშნავს: მზად ვართ დაუცველობაში შევდგათ ფეხი და «ადამიანი» მსხვერპლად მოვიტანოთ: თავის შენახვა/გადარჩენა და სინგულარობა ერთმანეთს ვერ მოერგება (როგორც იესო ითხოვდა). ანუ, საჭიროა ყოველგვარი შემოთავაზებისთვის ექსტატურ მოდუსში მზადყოფნა. აქ პირველად დგება წმინდა (ყოველგვარი მატერიალური მიზნისგან თავისუფალი) და სრულიად უკომპრომისო სულიერების საკითხი — გადალახვის მოთხოვნილება...

თუ გარდასვლის სურვილი შენს ცხოვრებაში ყველგან და ყველაფერში შეიჭრა და ამოგავსო, თუ უკლებლივ ყველა შენს ცხოვრებისეულ ქმედებასა და აქტში შემოზიდულ ფენომენებზე გადაბიჯების და მათი უკან მოტოვების შენი ვნებაა ჩაქსოვილი, ამაზე დიდი არც სულიერება შეიძლება

იყოს, არც რელიგიურობა და არც... «სინგულარობა». ღმერთი აქ, უახლოესის უდაშორებულობას და უდაშორებულობის ზე-სიახლოვეს გჩუქნის!

«სინგულარობას», ანუ ჩვენს წინაშე «მარაოსავით» გადახსნილ ღმერთს, ამოიცნობს და გაჰყვება მხოლოდ «გულით უბრალო», ზუსტად ისე, როგორც მაშინ, 2000 წლის წინ, როცა ღმერთი ფეხით გვესტუმრა დედამიწაზე. «გულით უბრალო» ხომ შეცბუნებული მიზანდასახულობით მოლოდინია!

და რომ დავიღუპოთ? ჰოდა, კოსმიური კატასტროფისკენ მოძრაობისას ჯობს დაღუპვა, ვიდრე ლოგინში ყბააკრულ/ ჩასვრილი სიკვდილი.

არა?

6. ახალი თარგმანები

თეოდორ კრამერი

ლექსები

გერმანულიდან თარგმნა ლულუ დადიანმა

ცნობილი ავსტრიელი პოეტი თეოდორ კრამერი დაიბადა 1897 წლის 1 იანვარს ქვედა ავსტრიის ნიდერჰოლაბრუნში, ებრაული წარმოშობის ექიმის მაქს (მიხაილ) კრამერის ოჯახში. პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე ვენის უნივერსიტეტში სწავლობდა, შემდეგ კი ამ ომში მონაწილეობდა და მძიმედ დაიჭრა.

ფაშისტური გერმანიის მიერ ავსტრიის ანექსიის (ე. წ. ანშლუსის) შემდეგ მიმალვაშია, ხოლო 1939 წლიდან ემიგრაციაში მიდის და 18 წლის განმავლობაში ინგლისში ცხოვრობს. 1957 წელს უკვე მძიმედ დაავადებული პოეტი სამშობლოში დაბრუნდა, სადაც იგი 1958 წლის 3 აპრილს გარდაიცვალა.

თეოდორ კრამერმა გერმანული ბალადის თავისებური სტილი შექმნა: მცირე ზომის ალაგ-ალაგ რეფრენებით გაჯერებული ლექსები, უპოვართა და ბედისგან დაჩაგრულ ადამიანთა შესახებ. მისი ლირიკა ახლოს დგას ავსტრიული ექსპრესიონიზმის პოეტიკასთან. 1970 წლამდე პოეტის

შემოქმედება თითქმის მივიწყებული იყო, თუმცა გამოქვეყნების შემდეგ წარმატება არ მოკლებია.

შემოდგომის წვიმის სიმღერა

გიმღერებთ სიმღერას, იმღერეთ, იხარეთ,
როცა შემოდგომის წვიმა რწყავს ბალახებს;
ჩალას შეეფარეთ, თავი მოიყარეთ,
როცა შემოდგომის წვიმა რწყავს ბალახებს.
ასეთი კაეშნით ვერცერთი შრიალი
სულს ვერ შეგიშფოთებს, ეული, ტიალი,
როცა შემოდგომის წვიმა რწყავს ბალახებს.
გაავდრდა, დღე იკლებს, გლეხი ზის ღუმელთან,
როცა შემოდგომის წვიმა რწყავს ბალახებს,
დგას მხუთრი ჰაერი ჩენჩოთა სურნელთან,
როცა შემოდგომის წვიმა რწყავს ბალახებს.
ის ყნოსავს დაძენძილ სელის ძველ ნაკეცებს

როცა შემოდგომის წვიმა რწყავს ბალახებს.

მუშა მედღეური, ღარიბად ჩაცმული,
როცა შემოდგომის წვიმა რწყავს ბალახებს,
ურგებ დღეს სამადლოდ, ძილშია დანთქმული,
როცა შემოდგომის წვიმა რწყავს ბალახებს.
გზამკვლევის შავ აბრას, ჩარეცხავს დინება,
რადგან, გზის ჩვენება არსაით ინება,
როცა შემოდგომის წვიმა რწყავს ბალახებს.

ტყავს აცლის ხეებს და მესერიც დალპება,
როცა შემოდგომის წვიმა რწყავს ბალახებს;
კართან უპატრონო ყმუიან ძაღლები,
როცა შემოდგომის წვიმა რწყავს ბალახებს.
ქაფდება რუები, რელსები გურგურებს,
დიდხანს არ ყუჩდება ირგვლივ ეს გუგუნი,
როცა შემოდგომის წვიმა რწყავს ბალახებს.

მთას შეფენილი ვენახის ხედი

დაწურულია ყურძნის ტკბილი, ბოლო მტევნები,
ბადაგის მძაღე სუნს მოუცავს სახლი მთლიანად;
ჭაჭის ლოხისა და დაშლილი კასრის ტკეჩების
გავლით ავუყვეთ ერთად ვენახს ომახიანად.

დღეს შემიძლია ჩემო ბიჭო, რომ რთველზე უკეთ,
გაჩვენო რარიგ გაიხარა ჩვენმა ვენახმა,
ეპოტინება ვაზის ტლანქი, ლერწები უკვე
ჩალისფერ ლიოსს, ამას სხვაგან ალბათ ვერ ნახავ.

მთას რომ ავყვებით, დარწმუნდები, როცა თვალს მოჰკრავ,
რომ კლდოვან ფერდზე შეფენილი ვენახის მოვლა,
დროულად გასხვლა, გამარგვლა და გულდაგულ მორწყვა
დიდ ძალისხმევას მოითხოვდა, სად იყო მოცლა.
გამოხუნებულ ხიმინჯებზე ჩამოუშლიათ
ატმის უფოთლო ხეებს მრუმედ თალხი ტოტები;
მცენარეების ლერწებს სძინავთ იქვე გულღიად
და მათ გარშემო ქსელს არხევენ შავობობები.

ეს ალბათ ამ წლის მშვენიერი დროა და ჟამი,
როცა ჩვენ ძალგვიძს გზისპირიდან შევავლოთ თვალი,
და შევხაროდეთ, როგორ ზეობს, იზრდება ზვარი;
ჩაწნულა ლაფნით ერთმანეთში ბუჩქნარ-ჩირგვნარი.
მეზობელი სოფელი

როცა პირველი ყინვა მინდორს როყიოდ შეჰყეფს,
ზეციდან ცრის და კალო ირგებს უბიწო თეთრ ფერს,
და ქოხმახებში მუხის კუნძებს გააქვს ტკაცანი,
ნასადილევზე ირთვებიან ყმაწვილკაცები.

დათოვლილსა და ოღროჩოღრო საურმე გზებზე,
გუნდ-გუნდად ლამის მიმწუხრამდე დააბიჯებენ;

ბნელ კუთხეებში იყინება შარბათი მრეში,
და ეტმასნება ფრთხილად დანა მათ ჩექმის ყელში.

და ხიდან ხემდე გაჭიმული ტროსი თუ ჩაჭრეს,
მკვეთრი ჭახანი სოფლამდეც კი იოლად აღწევს,
კიდით კიდემდე ყურს უგდებენ მყუდრო ბინები
და მათ ნაბიჯებს ირეკლავენ ფანჯრის მინები.

თავს ლაღად გრძნობენ უკვე ღამით სამიკიტნოში;
და მათ კარნახობს ბნელი ღამე, ყინვა და ხოში –
სად ენატრება ცივ სარეცელს ალერსი მწველი,
სად და ვის უდგას იატაკზე ქონის სანთელი.

შუაღამისას, როცა დაჰკრავს ვარსკვლავთა ქარი,
გულნაჯერები შორდებიან გრძნობანაკმარი;
ქალის თავშალს კი რჩება უცხო ფარეხის სუნი,
ამაჩუყებლად თბილი, მძაფრი, ვერდასაწუნი.

ხრიოკი

მაშინ, როცა მღვალი თოვლით აიმღვრევა ტბორი,
და ბალახი შეერევა ალაგ-ალაგ შამბნარს,
ხრიოკ ალაგს ნახნავისგან გამოარჩევს თვალი
და ხანდახან დააჩნდება ცხვრის ეული კვალი
მწირმოლიან თიხნარ ბილიკს, ხოდაბუნს რომ აკრავს.
ტაფობ ალაგს ხნავს გუთანი და აბრუნებს ბელტებს
და კუზიან კორტოხებად მოჩანს შორით ხნული;
თუმცა სახნისს ეურჩება ნიადაგი მკვრივი,
მიწას მაინც ენატრება მზის თაკარა სხივი,
რომ ნარშავმა კვლავ გაშალოს ეკლის ვარსკვლავწნული.

ღამით ასწრებს ნარ-ეკალი ზრდას და გადაბარდნას
და ცხვრის ფარა გულნაჯერი უბრუნდება სოფელს;
ყოველ დილით მწყემსი არგნით მოიხილავს ხვრელებს,
რომ მიაგნოს ნაპრალებში სულგანაბულ გველებს;
ალმურიან ჰაერს შვებას, მხოლოდ მწუხრი მოჰფენს.

ხრიოკ ალაგს გაალაღებს შემოდგომის ჟამი,
ფოთლებისგან ძარცვავს შამბნარს,
ხორშაკ ქარის ფრთებით,
ჭრიჭინების მჭახე კრინით, ბორას მისამღერით,
რომ მთის ბილიკს მიაყაროს მიწის ცხელი მტვერი,
შავ ბურნუთა სოკოების მკვრივი მტვრიანებით.

უსახელოთა სასაფლაო

სადაც მდინარე გაივაკებს, გასცდება ქალაქს,
და იქვე ალვის ხეივანთან გადაკვეთს შარას,
ჩანს უბადრუკი სასაფლაო, ქვევით გზას იქით,
დაბალი, ლეგა გალავნით და ჟანგიან ჭიშკრით.

საფლავის ბორცვებს დარაჯობენ ხის რუხი ჯვრები,
არსად ჩანს თუნდაც გაცრეცილი გვარ-სახელები,
თითქოს ნიაღვარს წარეხოცოს წარწერა მხოლოდ,
აქ მისცემიან მარადიულ ძილს უსახელოდ.

გაუღწევიათ გაღმა ბეჩავთ, ძლიერ ლომგულებს.
ფეხმძიმე ქალებს, სანთელივით წმინდა ქალწულებს:
ვინ რა იტვირთა, ვინ შეყოვნდა, რა ბედი ჰქონდა?
რაც იყო, იყო, თუ ამქვეყნად მრავალჯერ სცოდა.

ხისტი შამბნარი რიყეზე რომ ლაღად იზრდება,
გარდასულებსაც ცოცხლებივით ესურვილება;
რთავს მათ ღარიბულ სამარეებს კვლავ დაჟინებით;
ჭალიდან მოთქვამს ჩვამა მჭახე მისამძიმრებით.

ერთხელაც ალბათ ვინმე გლეხი შეაწევს ლოცვებს,
გუთნით ხვნას ვიდრე შეუდგება. სამარის ბორცვებს
გარს უვლის ქარი; აქ ბევრისთვის არის ალაგი,
მკრთალი არილით ბრწყინავს წყალი, გაღმით – ქალაქი.

ბებერი ღამის დარაჯი

ცარიელია ანგარი და შიშინებს წიდა,
ნელა მოიწევს მკრთალი ბინდი მთის ნალეწიდან;
ნარშავის ფოთლებს დილის ცვარი ატყვია ნიშნად,
უკვე ვასრულებ შემოვლას და დროს ჩავინიშნავ
და სიბნელეში ციმციმებენ კოლბები მინის.

ყმაწვილი ვიყავ, კარიბჭეში გაუბედავად
პირველად როცა შევაბიჯე, ყურს უმალ ავად
მოხვდა სირენის მკივანი ხმა; თვალდაძაბული
ვუცქერდი, როგორ ანიშნებდა, ხელდაძაგრული
კაცი და რბოდნენ აღმა-დაღმა კოლბები მინის.

კარგა ხნის შემდეგ, ვისვენებდი გრილ კოინდარზე,
მინის ნამსხვრევებს და ნარჩენებს აევსოთ ავზი,
მოჰქონდათ ჩემთვის ბოსტნეულის კერძები თბილი,
ზეთს ჰქონდა მძაფრი სურნელი და წიწმატს კი ტკბილი
და მზის სხივებზე ციმციმებდნენ კოლბები მინის.

დრო გაქრა ასე შეუმჩნევლად – წელს მიჰყვა წელი,
დანაოჭებულ პირისახეს უკვე ვერ ვშველი;
ქარხნის მილები აღმართულან, ანგართა გვერდით,
და მადლობელი უნდა ვიყო, დარაჯის ხვედრით,
როცა წყვდიადში ციმციმებენ კოლბები მინის.

გვირილა

ჩიხის ეული ლიანდაგები
სოლივით სადაც შეზრდია მიწას,
იქ, ნამუსრევით დაზვინულ თხრილში
ტანშეწამლული და ფერმიხდილი
ჰყვავის გვირილა და სულდგმას იცავს.

ასდის საკვამურს მჭვირვალი კვამლი,
ორთქმავლის სტვენა ავსებს სანახებს;
აზავთებული ზღვა ნაპერწკალი
გვირილას მაინც ვერაფერს აკლებს
და შეერევა ველურ ბალახებს.

საღამოს ჩემი ნახვა თუ გინდა,
ნუ შეყოვნდები, კიბესთან დიდხანს,
როცა გაჩნდება პირველი ჩრდილი
ვალანს გადაღმა მკრთალად ჩენილი,
გამოდი უმალ, გამოდი, გიხმობ.

საღამოხანსაც არ არის ჩემთვის
უცხო არც ზღუდე და არც ანგარი;
თავისუფლების მწვანე გზას გვითმობს
ნიშანსვეტების შუაგი თითქოს
და კრთის ვარსკვლავი ღამის მაყარი.

თუ შემეხები ანაზდად მხარზე,
მკრთალი ნათელი იელვებს მთვარის;
მოგიწყვეტ უმალ ჩუმი ტკივილით,
ტკბილსურნელოვან და მორცხვ გვირილას,
სიმყუდროვეში ჩვენთვის რომ ჰყვავის.